კვირის პალიტრა

№ 33 (494) ◆ 16 – 22 აგვისტო. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„რაზომ დაიწყეს პუშანიგარული შგურძი და სასუქის შეგანა სამაჩაგლოში?“

იმისთვის, რომ ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა 12 მილიონი ლარი მიიღოს, ბატონმა ჟვანიამ იცრუა, – ეს „სხვა ხარჯების“ მუხლიაო. სინამდვილეში ეს ფული „ატკატებით“ თუ სხვა გზით ჩასავიბად არის გამზადებული.

გვ.7



„ღღეს გაგონისა და ყოფილი ოონების დაპირისპირებაა“

რუსეთი გვეუბნება – დსთ რუსეთის იმპერიის გაგრძელებაა და საქართველოდან ფეხს არ მოვიცვლიო...

გვ.7,27

ჩემთვის ყველანაირმა შეთანხმებამ და საუბრებმა აზრი დაკარგა. ბავშვობიდან ვიცი, რომ რუსეთი ჩვენი მეგობარი არ არის, ამიტომ არც ჩვენ უნდა მივილტვოდეთ მისკენ სამეგობროდ – გულუბრყვილობაა ეს ყველაფერი...

ლევან ბერძენიშვილი

„ღვერთმა ქნას, ეს იყოს ბოლო მსხვერპლი“

„თუკი ჩვენთან მოხვდა პაციენტი დაპირისპირებული მხრიდან, აუცილებლად ვუმკურნალებთ, ალბათ ისინიც ასე მოიქცევიან.“

გვ.6,13

ინტერვიუ ქურთის საავადმყოფოს მთავარ ექიმთან

ბრძოლა საკუთარი სიმართლის მსოფლიოში გასაგანად

გვ.5,8,9

კონტრიერიში ქართული სახელმწიფო ინტერესების დასაცავად...



ნებისმიერი პროპაგანდისტული ბრძოლა ერთგვარი პრელუდიაა რეალური საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ...

ფრონტის ხაზიდან ბავშვებისა და ქალების გარიდებით, ქართული მხარე იძენს უფრო თამამი მოქმედების საშუალებას... ამასთან, თუკი დაფიქსირდა, რომ სეპარატისტებმა წამოიწყეს შეტევა თამარაშენის მიმართულებით და ეს ინფორმაცია ოპერატიულად გავრცელდა მთელ მსოფლიოში, თბილისს ხელი ეხსნება, წამოიწყოს კონტრიერიში...

დაზავება ორიგი თავდასხმის წინ?!

წარმოუდგენელია მშვიდობისა და ომის თანაარსებობა – ეს მარაზმია... ამაზე, სამწუხაროდ, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ცეცხლის შეწყვეტიდან რამდენიმე საათში სეპარატისტების სნაიპერმა მძიმედ დაჭრა ქართველი სამხედრო... ძალიან ცუდი იქნება, თუკი პრეზიდენტ სააკაშვილსაც ისევე გააცურებს კრემლი, როგორც შევარდნაძეს... გამორიცხული არ არის, განმეორდეს 1993 წლის 16 სექტემბერი – რუსი „ცისფერ-ჩაფხუტიანების“ მხარდაჭერით გათამამებულმა ოსმა სეპარატისტებმა ცხინვალიდან თამარაშენს შეუტიონ, ხოლო ჯავიდან – კეხვს...

„ინსტიტუტში ჩაირიცხება კოდი და არა ადამიანი“



მოსწავლის ცოდნას 10-ბალიანი სისტემით შევაფასებთ

2006 წლიდან ეტაპობრივად გადავალთ 12-წლიან სწავლებაზე.

გვ.11,13

მისაღები გამოცდები უნივერსიტეტებში აღარ იქნება. გამოცდებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩაიბარებს. საამისოდ შექმნილია სპეციალური ორგანიზაცია...

იმ ინსტიტუტის დიპლომს, რომელიც აკრედიტაციას ვერ გაივლის, ჩვენ არ ვცნობთ. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებული სახელმწიფო სამსახურში ვერ იმუშავებს.

„მოდი, დავნაძლევდეთ, რომ ჩემს ბიჭებს მომიტინგეები არ უცემიათ“




ჟურნალისტების არმია იქ იდგა და მიტინგი დასარბევიც რომ ყოფილიყო, ბიჭებს ამის ნებას მივცემდი კამერების წინ? რა, სულელი მნახეთ?

...ხალხის გასახალისებლად და გასამხიარულებლად ყველაფერს გავაკეთებ.

გვ.27

საქართველოს ღვთისმშობელი გამოეცხადა(?!)



სასწაული სოფელ ფაფის სამლოცველოში

შეუძლებელია, ვინმეს დაეხატა ან ძველი ფრესკა ამოტივტივებულიყო, კედელი სულ ორი წლის წინაა აშენებული... ღვთისმშობლის გამოცხადების პირველ დღეებში ვეღარ ავუდიოდით სანთლების ჩამოსხმას...

სწორედ ეს არის ღვთის სასწაული, რომელიც ღვთისმშობლის სახით მოგვევლინა...

გვ.6,12

ჩვენ ფოტოები საქართველოს პატრიარქს ვაახლეთ და მის სიტყვას მოუთმენლად ველოდით. გვიანი ღამე იყო, როდესაც უწმიდესმა დამირეკა და პირადად მესაუბრა. დაწვრილებით გამომკითხა ღვთისმშობლის გამოცხადების დეტალები და დაადასტურა, რომ ეს აშკარად ღვთის ნიშანი და ღვთისმშობლის გამოცხადებაა!

„უწმიდესმა დამავალა ბორჯომელებისთვის სასწაული მიმელოცა“

მეუფე სერაფიმე

სპორტი: ქართველები საბერძნეთში

გვ.33,34

„სვანური“ წისქვილი ათენის ოლიმპიადაზე

ნესტორ ხერგიანის პირველი ვერცხლი დამოუკიდებელ საქართველოს!

„ჩვენი სპორტსმენები კიდევ არაერთხელ ავლენ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.“



გამარჯვებებით გვევლოს – „კვირის პალიტრა“

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

„იმსახურეთ პოლიციაში“..

„საპატრულო პოლიციის შექმნა არის პირველი ნაბიჯი, გადადგმული პოლიციის ძირეული რეფორმისკენ. ჩვენ ვაშენებთ ახალ შენობებს პოლიციელებისთვის, სადაც თქვენთვის იქნება შხაპები, სასადილოები იმისათვის, რომ შეგეძლოთ დასვენება და თავის წესრიგში მოყვანა. პოლიციის ოფისები უნდა ჰგავდეს სახელმწიფო დაწესებულებებს და არა გომურებს, როგორც აქამდე იყო. მინდა მოგიწოდოთ ყველას, პოლიციაში ადგილები კიდევ არის საკმარისად და ვთხოვ პატიოსან, კვალიფიციურ სპეციალისტებს — იმსახურეთ პოლიციაში“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა 15 აგვისტოს საპატრულო პოლიციის ოფიციალური პრეზენტაციის დროს. „თქვენი სირენების ხმაზე ადამიანები უნდა მხნევდებოდნენ და შუქურების დანახვაზე ბავშვებს ეღიმებოდეთ. თქვენი შვილები უნდა ამაყობდნენ თქვენით“, — დამოძღვრა პრეზიდენტმა სამართალდამცველები. „საქართველო აუცილებლად დადგება ფეხზე. ხელისუფლება თავის მოქალაქეებს დაიცავს აგრესორებისგან. შეიარაღებულ ძალებს ნაბრძანები აქვთ, არ გადავიდნენ შეტევაზე, რადგან ჩვენ გვსურს გამარჯვება მხოლოდ მშვიდობიანი გზით“, — განაცხადა სააკაშვილმა.

ოსეთია შეთანხმება დაარღვიეს

ქართულ-ოსურ კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიუხედავად, 15 აგვისტოს, ღამით, კონფლიქტის ზონაში ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცეცხლი გახსნეს. სწორედ იმ დროს რეგიონში ოს ძალოვნებსა და ეუთოს წარმომადგენლებთან ერთად ერთობლივ პატრულირებას ატარებდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი გია ბარამიძე. ფაქტობრივად, მათ თვალწინ განვითარდა მოვლენები, თუმცა ოსური მხარე დაჟინებით უარყოფს ინციდენტის პროვოცირებას. ერთი საათის შემდეგ ქართულმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა. ორმხრივი სროლა თითქმის 3 საათის განმავლობაში გრძელდებოდა. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ინციდენტი მეტყველებს იმაზე, რომ ედუარდ კოკოითი რეგიონში ვითარებას ვერ აკონტროლებს.

დიპკორპუსი კონფლიქტის ზონაში ჩაფრინ

15 აგვისტოს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ჩავიდნენ. ცხრა ქვეყნის, მათ შორის, შვედეთის, ავსტრიის, უნგრეთის, ლიტვისა და ლატვიის კონსულები შიდა ქართლის რეგიონამდე სამთავრობო დაცვამ მიაცილა. დიპლომატები ადგილობრივ მოსახლეობასა და ხელისუფლებას შეხვდნენ და რადიკალური განცხადებებიც გააკეთეს.

„ჩვენ, სხვადასხვა ქვეყნის საპატიო კონსულები, სამაჩაბლოში ჩამოვედით იმ სახელმწიფოების პოზიციის დასაფიქსირებლად, რომელთაც ჩვენ წარმოვადგენთ. როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ოფიციალურად აცნობეს მსოფლიოს სამაჩაბლოს რეგიონში კრიზისული სიტუაციის შესახებ, გადავწყვიტეთ, მოგვეწყო ეს აქცია და ჩვენი მოქმედებით დაგვენახვებინა მსოფლიოსთვის, თუ რაოდენ ახლოს არის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი საქართველოს ხელისუფლებასთან მისი დემოკრატიული პრინციპებისა და ჰუმანურობის გამო“, — განაცხადეს კონსულებმა და მხარეებს მოლაპარაკებისკენ მოუწოდეს.

სეპარატისტულმა ხელისუფლებამ დიპლომატები ცხინვალში არ შეუშვა.

პარლამენტარებიც იმორიგეებენ სამაჩაბლოში —

საქართველოს პარლამენტი დეპუტატთა ჯგუფებს ქმნის, რათა ცხინვალის რეგიონში მორიგეობა დაწესდეს. ამგვარი ინიციატივა პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ გამოთქვა.

ნინო ბურჯანაძის განმარტებით, საპარლამენტო ჯგუფები ცხინვალის რეგიონში მორიგეობით ჩავლენ და ადგილობრივ მოსახლეობას თანადგომას გაუწევენ, რათა მათ თავი საქართველოს ხელისუფლებისგან მიტოვებულად არ იგრძნონ.

ქვეყნის ეთლიანობისა და ქეთილდღეობისთვის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნეტარესმა და უწმიდესმა ილია II-მ სიონის საკათედრო ტაძარში ქვეყნის მთლიანობისა და კეთილდღეობისთვის პარაკლისი გადაიხადა. პატრიარქმა მოუწოდა ყველა მართლმადიდებელს, ილოცონ მშვიდობისთვის. „დღეს თუ ხვალ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება და ყველას ერთად ცხოვრება მოგვიწევს, რაც უფრო მალე შევრიგდებით, მით უკეთესი იქნება ორივე მხარისთვის“, — განაცხადა უწმიდესმა.

სერგეი ივანოვი შიშობს?!

14 აგვისტოს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ამერიკელ კოლეგასთან, დონალდ რამსფელდთან სანქტ-პეტერბურგში გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველოში ფეთქებადსაშიში სიტუაციაა.

„ჩვენ ეს თემა განვიხილეთ. მე შიში და შეშფოთება გამოვთქვი, თუმცა მისი ციტირება არ მინდოდა. საქართველოში სიტუაცია ძალიან საშიში სცენარით ვითარდება“, — თქვა ივანოვმა. მისი თქმით, კონფლიქტის მოგვარებისთვის პირველი ნაბიჯი უნდა გახდეს რეგიონიდან ყველა უკანონო ფორმირების გამოყვანა.

საქართველოს ბრალდებას რუსი სამშვიდობოების მიკერძოებისა და არაობიექტურობის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა „სისულელე“ უწოდა.

„დაგომისის შეთანხმება უნდა გაუქმდეს“

„1992 წლის დაგომისის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც რუსი სამშვიდობოები ცხინვალის რეგიონში შევიდნენ, უნდა გაუქმდეს“, აცხადებს ზვიად ძიძიგური.

მისი თქმით, „საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ კანონი ამგვარი პროცედურის ჩატარების საშუალებას იძლევა. „როცა არ სრულდება საერთაშორისო შეთანხმების ნორმები და პირობები, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, პარლამენტში აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების ანულირება მოითხოვოს. თუ საქართველოს ხელისუფლება არ გააუქმებს ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე რუსი სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში მოქმედებენ, პარლამენტის მიერ რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ მიღებულ განცხადებას აზრი არ ექნება“, — განაცხადა ძიძიგურმა.

სოკორი ქართველებს უჩივის...

ამერიკის არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯეიმს თაუნის ფონდი“ და ცნობილი პოლიტოლოგი ვლადიმირ სოკორი საქართველოს ხელისუფლებას 1992 წელს გაფორმებული დაგომისის ხელშეკრულებიდან გამოსვლას ურჩევენ.

სოკორის განცხადებით, უკვე აშკარა და ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთი მომრიგებელი კი არა, კონფლიქტის ერთ-ერთი მხარეა, რომელიც აშკარა მხარდაჭერას უცხადებს სეპარატისტებს. მისივე აზრით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვარდება, თუ შეიცვლება ის ფორმატი, რომლითაც ამჟამად დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ამერიკელ პოლიტოლოგს მიაჩნია, რომ საერთაშორისო საზოგადოება კონფლიქტების მოგვარებაში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს. „ეს კონფლიქტები მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად უნდა განიხილებოდეს. კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს და არასტაბილურ ვითარებას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებაზე. კარგი იქნება, თუ კონფლიქტების მოგვარებაში აქტიურად ჩაერთვება ნატო და სამშვიდობო ოპერაციები დაიწყება“, — აღნიშნა სოკორმა, რომელსაც განზრახული აქვს ამგვარი რეკომენდაციებით საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათ შორის, ნატოს მიმართოს.

კოკოითი ოლიპიადას გულშემატკივრობს

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ქართულ მხარეს ათენის ოლიმპიური თამაშების დღეებში საომარი მოქმედებების შეწყვეტა შესთავაზა (ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს).

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, კოკოითის თქმით, „ჩვენ მივმართავთ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე შეიარაღებულ ფორმირებებს — ოლიმპიური თამაშების პერიოდში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ძალადობრივი აქციების ჩატარებაზე უარი თქვან“, — განაცხადა კოკოითმა. როგორც ჩანს, ყოფილ სპორტსმენს, მოჭიდავე კოკოითს ომზე მეტად სპორტული სანახაობები იტაცებს. საინტერესოა, რა უშლის ხელს, მშვიდობიანად და სპორტულად არაოლიმპიურ დღეებშიც იცხოვროს.

უკვე 12 წელი გავიდა

12 წლის წინ აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო.

14 აგვისტოს, გმირთა მოედანზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს.

1992-93 წლებში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე დანიელმა და მამა ილიამ გადაიხადეს. დაღუპულთა მემორიალურ დაფასთან დაღუპულთა დედები, ოჯახის წევრები და თანამებრძოლები შეიკრიბნენ.

„მოვედი, რათა ქედი მოვიხარო იმათ წინაშე, ვინც ჩვენი ისტორიის ღირსებას წარმოადგენენ“, — განაცხადა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ სამგლოვიარო მიტინგზე.

1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების შედეგად, 12 ათასი მოქალაქე დაიღუპა, ხოლო აფხაზეთის ტერიტორია 300 ათასზე მეტმა ქართველმა დატოვა და დევნილად იქცა.

ჯარისკაცები ოცეთაურს აღანაშაულებენ

საქართველოს სახალხო დამცველის კახეთის რეგიონულ წარმომადგენლობაში 14 აგვისტოს ვაზიანის ბაზიდან თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის საშტაბო ასეულიდან გამოქცეული ქისტი ეროვნების სამი ჯარისკაცის — თამაზ გორგიშვილის, ჯაბრაელ ხანგოშვილის, ტარიელ მარგოშვილისა და სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის შეხვედრა გაიმართა.

ოცეულის მეთაურს ჯარისკაცები სიტყვიერ და მორალურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ და სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გაგრძელებას სხვა ნაწილში ითხოვენ.

როგორც სახალხო დამცველის რწმუნებულმა კახეთის მხარეში ნოდარ სეფიაშვილმა განაცხადა, გენერალური შტაბის უფროსს, გივი იუკურიძეს გაეგზავნა შუამდგომლობა ქისტი ჯარისკაცების სხვა ნაწილში გადაყვანისა და მომხდართან დაკავშირებით შესაბამისი ზომების მიღების შესახებ.

საჩუქარი ამერიკიდან

ფოთის პორტში ამერიკის მთავრობის საჩუქრის — 50 ათასი ტონა სასურსათო ხორბლის პირველი პარტია, 43 ათასი ტონა ხორბალი შემოვიდა. დარჩენილი 7000 ტონა ფოთის პორტში, სავარაუდოდ, 18 აგვისტოს შემოვა.

ხორბალი საქართველოში „სურსათი პროგრესისთვის“ პროგრამის ფარგლებში შემოვიდა. ხორბლის მონეტიზება საქართველოს ნავთობპროდუქტებისა და ხორბლის ბირჟაზე მოხდება, ხოლო მიღებული თანხები სოფლის მეურნეობის პროგრამების განხორციელებას მოხმარდება.

საქართველო ყოველწლიურად 600-750 ათას ტონა სასურსათო ხორბალს მოიხმარს, რომლის დაახლოებით მესამედს, 200-250 ათას ტონას, თავად ქვეყანა აწარმოებს, ხოლო დანარჩენი იმპორტის მეშვეობით ბალანსდება. ამიტომ ამერიკული საჩუქარი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს სასურსათო ხორბლით უზრუნველყოფის საქმეში.

უკანონოდ აშენებული კორპუსები დაინგრევა

ქალაქის მერმა, ზურაბ ჭიაბერაშვილმა მშენებლობების კანონიერების შემსწავლელ კომისიას ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარე მშენებლობების მაქსიმალურად შეზღუდვა დაავალა. მისი განცხადებით, ბინათმშენებლობების პროცესმა თბილისის გარეუბნებში უნდა გადაინაცვლოს, ხოლო ქალაქის ცენტრი ტურისტებისთვის მიმზიდველ ზონად და ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან წყაროდ იქცეს.

მშენებლობის კანონიერების შემსწავლელი კომისიის სხდომაზე წარმოადგინეს იმ მშენებარე და ახალაშენებულ ობიექტთა ნუსხა, რომლების მფლობელთა წინააღმდეგ ქალაქის მერის მითითებით სხვადასხვა სახის სანქციები ამოქმედდება. როგორც კომისიის სხდომაზე გახდა ცნობილი, იმ ახალაშენებულ ობიექტთა მესაკუთრეებს, რომელთაც შეუსაბამო შენობის სტატუსი მიენიჭებათ, ეკონომიკური სანქციები დაეკისრებათ, ხოლო უნებართვო ან კანონდარღვევით აშენებული შენობები დაინგრევა.

სტიქია ონში

ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრი მამუკა კაციტაძე ონის რაიონში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთათვის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინებას მოითხოვს. მისი თქმით, „ონის რაიონს წარმოუდგენელი კატასტროფა დაატყდა თავს. მოშლილია კომუნიკაციები, რამდენიმე სოფელი რაიონულ ცენტრს ვერ უკავშირდება. 400 დამსვენებელი უგზოობის გამო შოვში ჩარჩა. აუცილებელია, ბიუჯეტმა ოპერატიული ხარჯები გასწიოს“, — აცხადებს კაციტაძე.

ფინანსთა მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად მთავრობა უკვე მუშაობს. ბიუჯეტში გადაუდებელი ოპერატიული ხარჯებისთვის 5 მლნ ლარია გათვალისწინებული, საიდანაც თანხები ონშიც გადაირიცხება.

იაპონელმა ჟურნალისტმა დაბნაშავე „დააპატიმრა“

საპატრულო პოლიციის ამოქმედებამდე, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციამ თბილისში მოქმედი ორი ყაჩაღური ჯგუფის წევრები დააკავა.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ვახტანგ მაჭავარიანი, რომელმაც პოლიციელებს დაკავების დროს წინააღმდეგობა გაუწია, მაღაზიების ძარცვაზე სპეციალიზებული ერთ-ერთი ჯგუფის წევრია. ვლადიმერ მაღლაკელიძე კი თანამზრახველებთან ერთად უცხოელ ტურისტებს ძარცვავდა. პოლიციამ დააფიქსირა, თუ როგორ აჩუქა მაღლაკელიძემ იაპონელ ჟურნალისტს სანთებელა, სანაცვლოდ კი ჯიბიდან ფული ამოაცალა და მისი ჩანთის გატაცებაც სცადა. დამნაშავის დაკავებაში პოლიციას იაპონელი ჟურნალისტი დაეხმარა.

„მაღლაკელიძეზე ოპერატიული ინფორმაციები გვქონდა და მასზე თვალთვალი იყო დაწესებული. ახლახან მან მორიგი დანაშაული ჩაიდინა. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მძარცველის მსხვერპლმა, იაპონელმა ჟურნალისტმა საბრძოლო ხელოვნების იმდენად მაღალი ცოდნა გამოავლინა, რომ სანამ ოპერატიული მუშაკები მივიდოდნენ შემთხვევის ადგილზე, დამნაშავე თითქმის პარალიზებული იყო“, — განაცხადეს სამართალდამცველებმა.

ურიგო არ იქნებოდა, იაპონელის მაგალითი ქართველებსაც გადმოეღოთ. ასე უფრო უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს და სამართალდამცველებსაც მუშაობას გაუადვილებენ.

ნავთობის ფასები რეკორდული ნდება —



შავი ოქროს ფასი კატასტროფულად იზრდება. ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ნავთობის ფასმა ახალ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. გასულ კვირას, ვაჭრობის დასრულების წინ, ერთი ბარელი მსუბუქი ნავთობის ფასი 46,58 დოლარის ნიშნულზე შეჩერდა, თუმცა ვაჭრობის დროს ფასმა 46 დოლარსა და 65 ცენტს მიაღწია, რაც რეკორდული მაჩვენებელია 1983 წლიდან.

ექსპერტები შავი ოქროს ფასების ზრდას აშშ-ში ერთ-ერთ უდიდეს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მომხდარ აფეთქებას, ერაყის ნავთობსადენზე დივერსიებს, რუსულ კომპანია „იუკოსთან“ დაკავშირებულ პერიპეტიებსა და ვენესუელაში არასტაბილურობის საფრთხეს უკავშირებენ.

ექსპერტები ნავთობის შემდგომ გაძვირებას ვარაუდობენ — მოსალოდნელია ერთი ბარელის ფასმა 50 დოლარს გადააჭარბოს.

მსოფლიო კონიუნქტურაზე გავლენა ჩინეთის მთავრობის ცნობამაც მოახდინა, რომელმაც დაადასტურა, რომ ჩინეთი სტაბილურად ზრდის ნავთობის მოხმარებას. 2004 წლის შვიდი თვის განმავლობაში იმპორტი ყოველდღიურად 2,49 მნ/ბარელს აღწევდა, რაც გასული წლის ამავე პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელზე 40%-ით მეტია.

პუტინი ვერ გადოქმორდა

10 სექტემბერს ჰამბურგის უნივერსიტეტში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისთვის სანქტ-პეტერბურგში, ქალაქის მერის (ანატოლი სობჩაკის) თანაშემწედ მუშაობის პერიოდში, საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დოქტორის საპატიო წოდება უნდა მიენიჭებინათ.

ცერემონიალი ჩაიშალა, მიზეზები არაორდინარული და ბუნდოვანია.

გერმანული პრესის მიხედვით, ეს რუსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულმა საპროტესტო აქციამ გამოიწვია. როგორც პრესა იუწყება, ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორმა, მიხაილ გრევენმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რათა უნივერსიტეტს უარი ეთქვა პუტინის დაჯილდოებაზე.

თავის საპროტესტო განცხადებაში ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორი აცხადებს, რომ ჩეჩნეთში ირღვევა საერთაშორისო ნორმები, რუსეთში იდევნება სიტყვის თავისუფლება და ავიწროებენ ადამიანის უფლებათა დამცავ ორგანიზაციებს. გრევენის განცხადებას მხარი დაუჭირა უნივერსიტეტის 67-მა პროფესორმა და გამოკითხული სტუდენტების 55%-მა.

ბერლუსკონი ისევ პირველობს

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ქვეყნის უმდიდრეს ადამიანად დასახელდა.

კომპანიებისა და ფინანსური კაპიტალის სახით არსებული მისი აქტივების ღირებულება მიმდინარე საბირჟო კოტირებებით 6,1 მილიარდ ევროს აღემატება. თუ ამას დავუმატებთ იმ აქციებს, რომელსაც მისი უფროსი შვილები პირველი ქორწინებიდან — ქალიშვილი მარიანა და ვაჟი პიერ-სილვიო ფლობენ, ბერლუსკონის ოჯახის კაპიტალი 7,2 მილიარდ ევროს აჭარბებს.

გასულ წელთან შედარებით, პრემიერ-მინისტრის პირადი აქტივები 12%-ით გაიზარდა.

ოპოზიციის ლიდერს თავს დაესხნენ

უკრაინის ოპოზიციის ლიდერს, ვიქტორ იუშჩენკოს თავს დაესხნენ. პოპულარული პოლიტიკოსი ქვეყნის სამხრეთით საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებს. როგორც თავად დაზარალებული აცხადებს, სატვირთო მანქანამ მისი ავტომობილის გზიდან გადაგდება სამჯერ სცადა, თუმცა პირადმა დაცვამ ინციდენტის უმსხვერპლოდ მოგვარება მაინც მოახერხა.

პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბში აცხადებენ, რომ ინციდენტამდე ერთი დღით ადრე შესაძლო თავდასხმის შესახებ მათ ანონიმმა აცნობა.

CMYK

„საქართველოს ხელისუფლების მიღწევა – მოწდა რუსული პოლიტიკის ღუსტრაცია“



ჯერჯერობით ქირინოვსკის კლოუნადა, რომლის მისიაც საქართველოს წყობიდან გამოყვანაა, რუსეთს სჭირდება

„როგორია, მცირეწლოვანი ბავშვი ვინმეს ალალბედზე ჩააბარო და შენ, შენი მიწის დასაცავად დარჩე?!“

ზემოთ დღევანდელობის განსხვავებაზე ვლაპარაკობდით და ამის დასტურად ადგილობრივი მოსახლეობის განწყობაც გამოდგება — არავითარი პანიკა და მასობრივი აყრა ლიახვის ხეობის სოფლებში დღეს არ შეიმჩნევა მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტებისა და ე.წ. სამშვიდობო რუსული შენაერთების მძიმე ტექნიკა უკვე ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს ბომბავს. სწორედ ამაში მდგომარეობს რუსი გენერლებისა და მათი ქვეშევრდომი კოკოითის ბანდის გათვლა — რეგიონი ქართული მოსახლეობისგან დაცალონ, შემდეგ კი სისხლისმღვრელი ომის პროვოცირება მოახდინონ, სადაც რუსული სამხედრო ელიტა ისე იგრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. მათი სურვილების მიუხედავად, რეგიონიდან მხოლოდ ბავშვები გამოიყვანეს — ეს გასაგებიც არის და ამავე დროს, შიდა ქართლელთა გმირობაზეც მიუთითებს. როგორია მცირეწლოვანი ბავშვები ვინმეს ალალბედზე ჩააბარო და შენ, შენი მიწის დასაცავად დარჩე?! ისიც გასათვალისწინებელია, რომ აფხაზეთისგან განსხვავებით, ცხინვალს რუსეთთან არც ზღვა აკავშირებს და არც მიწა — მხოლოდ ერთი გვირაბი! რაც შეეხება გამოსავალს: გასულ კვირაში კვლავ გააქტიურდა მსჯელობა ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გასვლასა და მათი სხვა ძალებით ჩანაცვლებაზე. ვფიქრობ, ეს არასერიოზული მიდგომაა და ფანტასტიკის სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე რეალობას, რადგან დღეს არც გაერო, არც ამერიკის შეერთებული შტატები და არც სხვა რომელიმე ორგანიზაცია, ვისაც ამის უნარი და კომპეტენცია აქვს, ცხინვალში თავის ძალებს არ გამოგზავნის, თუნდაც ერთი უბრალო მიზეზის გამო — ცხინვალის რეგიონში მყოფი რუსული ჯარის ნაწილები გაეროს მანდატით არიან აღჭურვილნი. თუ ვთქვათ, გაერო ან ამერიკა სურვილს გამოთქვამენ, რუსეთის ძალები თავისით ჩანაცვლონ, გამოვა, რომ ისინი რუსეთს, როგორც სახელმწიფოს, უნდობლობას უცხადებენ და პირველ რიგში, უნდობლობას უცხადებენ მის მოღვაწეობასა და ყოფნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ასე, ქვების სროლით კი პოლიტიკა არ კეთდება. მეორე მხრივ, თუ რუსეთის ჯარი რეგიონს დატოვებს და იქ ვაკუუმი შეიქმნება, ამით ხელები ისევ რუსულ სამხედრო ელიტას გაეხსნება, რადგან ის ფორმალურადაც აღარ იქნება პასუხისმგებელი რეგიონის სიმშვიდეზე. თუმცა საქართველოს მხრიდან, რუსული სამშვიდობო ძალების მიმართ უნდობლობის დაფიქსირება (მხოლოდ დაფიქსირების დონეზე) შექმნილ ვითარებაში მაინც აუცილებელია — კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის მიერ მომრიგებლისადმი უნდობლობის გამოცხადება კიდევ ერთი სერიოზული ბერკეტი იქნება საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე რუსეთზე ზეწოლის მოსახდენად. რაც შეეხება გამოსავალს: ვფიქრობ, საქართველოს მიერ განხორციელებულ ქმედებათა ყველაზე ლოგიკური გაგრძელება ცხინვალის რეგიონში მყოფი ეუთოს დამკვირვებელთა მისიის მნიშვნელოვანი გაზრდა იქნება — ნიშანდობლივია, რომ ამის შესახებ განაცხადა კიდეც ეუთოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა. მართალია, ეს არც ისე იოლი პროცედურაა — 54 ქვეყნის თანხმობა იქნება საჭირო, მაგრამ, სამაგიეროდ, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ჩავთვალოთ, რომ ცხინვალში 54 სახელმწიფოს „თვალი და ყური“ იფხიზლებს. მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსავალი როკის გვირაბის გაკონტროლება გახლავთ. კოსმონავტებთან, მარსელებთან, პაპუასებთან თუ ვისთან ერთადაც კოკოითი, უფრო სწორად კი, რუსეთი დათანხმდება, როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლება და მონიტორინგი უნდა შევძლოთ — უნდა შევძლოთ კოკოითის რეჟიმისთვის ჟანგბადის არტერიის გადაკეტვა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც უკვე გადადგა პრეზიდენტმა სააკაშვილმა — მან განაცხადა, რომ ცხინვალის რეგიონში ომის დაწყება — ეს იქნება ომის დაწყება რუსეთსა და საქართველოს შორის. ფაქტის ასეთმა კონსტატაციამ, რომელიც ათი წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებაში მყოფთაგან არავის გაუკეთებია, რუსეთში ბევრი „ცხელი თავი გააგრილა“...

— თუმცა „ცხელი თავები“ იქ მაინც რჩებიან. ქირინოვსკის ტაკიმასხარაობა მხოლოდ ირონიულ ღიმილს თუ იწვევდა, მაგრამ აფხაზეთის პლაჟზე მისმა გამოჩენამ ქართული საზოგადოება უკვე სერიოზულად გააღიზიანა..

— ეს კლოუნი საქართველომ მაინც უნდა დაიფასოს შესაბამისად. ეს არის ვითომ პოლიტიკოსი, რომელსაც 6 მილიონი ამომრჩეველი თუ სეირის მაყურებელი ჰყავს და ყველაფერს აკეთებს მათ გასახალისებლად. მეორე მხრივ, მისი საქციელი უკვე ტაკიმასხარაობის ზღვარსაც სცილდება — ბოლო ხანს ის პუტინს ხშირად აყენებს უხერხულ მდგომარეობაში და გამორიცხული არ არის, სხვების მსგავსად, ჟირინოვსკიც რუსული პოლიტიკის სანაგვეზე აღმოჩნდეს, თუმცა, ჯერჯერობით, მისი კლოუნადა, რომლის მისიაც საქართველოს წყობიდან გამოყვანაა, რუსეთს სჭირდება.

დაჩი გრძელიშვილი

კოსმონავტებთან, მარსელებთან, პაპუასებთან თუ ვისთან ერთადაც კოკოითი, უფრო სწორად კი, რუსეთი დათანხმდება, როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლება და მონიტორინგი უნდა შევძლოთ – უნდა შევძლოთ კოკოითის რეჟიმისთვის ჟანგბადის არტერიის გადაკეტვა.

შექმნილ ვითარებაში რუსეთს არაფრით აძლევს ხელს ძლიერი პრეზიდენტი საქართველოში – რუსული გეგმის თანახმად, პოსტსაბჭოთა სივრცეში ძლიერი მხოლოდ პუტინი უნდა იყოს და ამისთვის კრემლი ყველაფერს იღონებდა იმისდა მიუხედავად, ჩვენ დღეს მოვინდომებდით ცხინვალის პრობლემის გადაჭრას თუ ხვალ.

მიაქციეთ ყურადღება, რა ხშირად უსვამს ხაზს ბოლო პერიოდში დასავლეთი რუსეთის მნიშვნელობას საქართველოსა და კავკასიისთვის. შექმნილი ვითარება კრემლს არჩევანის წინაშე აყენებს – მსოფლიოს თვალში ის ან მეზობელ სახელმწიფოში დესტაბილიზაციის ხელშემწყობად უნდა დაფიქსირდეს, ან ხელი აიღოს პროვოკაციულ ზრახვებზე და დემოკრატიული, ცივილიზებული სახელმწიფოს სახელი დაიმკვიდროს.

ჰყვეს. ამ საფრთხეს ჩვენი დასავლელი სტრატეგიული პარტნიორებიც აცნობიერებენ. ალბათ სწორედ ამაზე მიგვითითებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური განცხადება, სადაც თეთრი სახლი უკვე აშკარად აღნიშნავს, რომ ცხინვალის, ისევე როგორც სხვა კავკასიური კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთის როლი გადამწყვეტია. მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა გასული კვირის ბოლოს, ამერიკის შეიარაღებული ძალების პირველი პირისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრის შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაშიც — დონალდ რამსფელდმაც შექმნილ ვითარებაში კვლავ რუსეთის მნიშვნელობასა და როლს გაუსვა ხაზი, თუმცა დაურთო, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ხელშეუვალია და რომ ზემოაღნიშნული როლი ამ ხელშეუვალობას არ უნდა გასცდეს. ჩვენთვის დიდად დასაფიქრებელი უნდა იყოს რამსფელდის გვერდით მდგომი ივანოვის განცხადება — საქართველოში მოვლენები „ძალიან ცუდი სცენარით“ განვითარდება, თუ მხარეები კეთილგონიერებას არ მოუხმობენ. სად იწერება „ძალიან ცუდი სცენარის“ და ვისადმი კეთილგონიერებას გულისხმობდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. თუმცა ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე მოსკოვში, იმავე ივანოვის გვერდით მდგომმა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, როგორც ჩანს, ამერიკული მხარის დაჟინებული მოთხოვნით, უკვე გვიჩვენა კიდეც „კეთილგონიერების“ უნიკალური მაგალითი. ივანოვმა რუსეთის მიმართ საქართველოში გაკეთებულ ბოლოდროინდელ განცხადებებს „სრული ბოდვა და უმცრება“ უწოდა. ბარამიძეს „არ გახსენებია“, რომ ამ განცხადებებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ორი ოფიციალური საპროტესტო ნოტაც იგულისხმებოდა და კომპეტენტური, დიპლომატიური ღიმილით დაეთანხმა მძვინვარე რუს კოლეგას, რამაც მოგვიანებით რუსული მედიის გაოცება და ერთგვარი გაღიზიანებაც კი გამოიწვია. უკვე ყველაფრიდან ჩანს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისეთ ფაზაში შედის, რომლის შემდეგაც სახელმწიფოები ერთმანეთისთვის ან აშკარა მტრებად უნდა იქცნენ, ან აშკარა მეგობრებად — საშუალო აღარ იარსებებს. ფაქტია, რომ რუსეთთან მეგობრობისთვის საქართველომ უფრო მეტიც გააკეთა, ვიდრე შეიძლებოდა. ჯერი — რუსეთზეა.

საქართველოში, კავკასიასა და მსოფლიოში მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს**:

— შიდა ქართლში სიტუაციის დაძაბვასთან ერთად, აქტუალური ხდება მსჯელობა, რომ ცხინვალთან მიმართებაში ვითარების ესკალაცია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შეცდომად უნდა ჩაითვალოს, საქართველო ჯერ არ იყო მზად ამ პრობლემის მოსაგვარებლად და კონფლიქტის მოგვარების მცდელობამ ჩიხში შეგვიყვანა...

— მსგავს მოსაზრებებს კონფლიქტოლოგები ბოლო დროს მართლაც გამოთქვამენ. ჩემი აზრით კი, არანაირ ჩიხზე ფიქრიც არ შეიძლება. ამაზე მსჯელობისას, უბრალოდ, ჯერ უნდა შევთანხმდეთ — გვინდოდა თუ არა ცხინვალის კონფლიქტის მოგვარება. თუ არ გვინდოდა, ბუნებრივია, ამ მიმართულებით რაიმე აქტიურობა შეცდომად უნდა ჩაითვალოს — ჩვენ ჩვენთვის ვიქნებოდით, კოკოითის კონტრაბანდისტული ბანდა კი თავისთვის. არც რუსეთი ამოიღებდა ხმას და არც ამდენი დავიდარაბა გადაგვხდებოდა; მაგრამ თუ კონფლიქტის მოწესრიგება გვსურს, მაშინ კეთილი უნდა ვინებოთ და გავისარჯოთ კიდეც — ის, რაც დღეს ამ რეგიონში ხდება, ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. ვფიქრობ, ცხინვალის პრობლემის გადაჭრა საკმაოდ ლოგიკური გეგმით მიმდინარეობს. დღესდღეობით, ხელისუფლება წარმატებით ართმევს თავს ნომერ პირველ ამოცანას — ცხინვალის რეგიონში არ დაიწყოს ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები. ამის მიღმა კი, დაკონსერვებული და დაჭაობებული კონფლიქტის „გახსნით“, უაღრესად მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა — უპირველესად, მსოფლიომ დაინახა, რომ არანაირ „თვითგამორკვევასთან“ და ეროვნული უმცირესობის უფლებებისთვის ბრძოლასთან საქმე არ გვაქვს. მკაფიოდ გამოჩნდა რუსული სამხედრო მანქანისა და მისი ნაყოფის — კოკოითის — სახე და განზრახვაც. დღეს ხშირად ავლებენ პარალელებს 1992 წელთან. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო მაშინ მსოფლიოც და საქართველოც ჩამოყალიბების სტადიაში იყო — მიმდინარეობდა აქტიური გადანაწილება, ძალთა შეფასება თუ გადაფასება. დღეს კი ასე არ არის — უკვე ინტერესებიც გარკვეულია და ძალთა თანაფარდობაც. შექმნილ ვითარებაში რუსეთს არაფრით აძლევს ხელს ძლიერი პრეზიდენტი საქართველოში — რუსული გეგმის თანახმად, პოსტსაბჭოთა სივრცეში ძლიერი მხოლოდ პუტინი უნდა იყოს და ამისთვის კრემლი ყველაფერს იღონებდა იმისდა მიუხედავად, ჩვენ დღეს მოვინდომებდით ცხინვალის პრობლემის გადაჭრას თუ ხვალ. სხვათა შორის, ეს ცხადი ჯერ კიდევ პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ გახდა — მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მეთაურთა შეხვედრას მაშინ ძალიან კარგი მომავალი უწინასწარმეტყველეს. ამ შეხვედრაზე პუტინს უნდა გაერკვია, ვინ იყო საქართველოს ახალი პრეზიდენტი — შევარდნაძე ნომერი ორი, თუ საქართველოში ახალი ფორმაციის, ახალი ეპოქის დამამკვიდრებელი ახალი ლიდერი. როგორც ჩანს, კრემლის პოლიტტექნოლოგიურ კულუარებში ამ შეხვედრების შემდეგ შეიმუშავეს გეგმა, რომლის თანახმადაც საქართველო მცოცავი დესტაბილიზაციის კერად უნდა ქცეულიყო, არ უნდა გასაკვირი იყოს, სწორედ ეს გახლავთ საქართველოს ხელისუფლების მიღწევა — მოხდა რუსული პოლიტიკის ღუსტრაცია და დღეს უკვე მკვეთრად ჩანს კოკოითის რეჟიმის ანატომიაც. ჩვენ ეს შეიძლება დიდი ხანია ვიცით, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ცხინვალის რეგიონში არსებული რეალური ვითარება და მისი გამომწვევი მიზეზები უკვე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და წამყვან სახელმწიფოთა საგარეო უწყებების ოფიციალურ რაპორტებსა და ბიულეტენებში მოხვდა.

— მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ შეტრიალდება, თუ ცხინვალში ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციები დაიწყება და „მონასტერი აირევა“... ასეთ შემთხვევაში რუსეთს საშუალება ეძლება, ხელი შეუწყოს ცხინვალში იარაღისა და ცოცხალი ძალის ფარულ შედინებას, რაც რეგიონში ეთნიკურ წმენდას და კონფლიქტის არეალის გაფართოებას გამოიწვევს. ისიც ფაქტია, რომ არსებული სიტუაციის შენარჩუნება უფრო და უფრო ძნელდება — სად არის გამოსავალი?

— კოკოითის სანუკვარი ოცნებაც კონფლიქტის მასშტაბების გაზრდაა. მან ხომ სეპარატისტადაც ვერ ივარგა! კოკოითისთვის ყოველთვის მისაბაძი იყვნენ აფხაზი სეპარატისტები, შურდა, რომ მათ შეძლეს ეთნიკური წმენდის ჩატარება, ტერიტორიის გასუფთავება ქართველი მოსახლეობისაგან. მაგრამ ეს წლების წინ ხდებოდა. ვევაში, ხელისუფლებაზე უარის თქმაც მოუწევდა. თუ გახსოვთ, თავდაპირველად რუსეთის მხრიდან „კონტრჰუმანიტარული“ შეტევის მცდელობაც იყო, თუმცა ამან არ გაამართლა და კრემლი იძულებული გახდა, საქართველოს მის მიერ ინსპირირებულ თამაშში აჰყოლოდა. რაც ძელება ცხინვალის რეგიონში მყოფი ეუთოს

საღილი ყველას!

დღეს, როცა ჩვენ ირგვლივ უამრავი ადამიანი ითხოვს დახმარებას, როცა ჩვენს ქალაქში უამრავი მარტოხელა პენსიონერია, რომელთა შემოსავალი მხოლოდ მწირი პენსიაა, როცა ბევრს აღარც ახსოვს, როდის ისადილა გემრიელად, რა თქმა უნდა, ჩნდება სურვილი ერთხელ მაინც გაუმასპინძლდე მათ ცხელი კერძით და ადამიანური სითბო დაანახვო...

შაბათს, 28 აგვისტოს, მარიამობის ღვესასწაულზე „კათარზისი“ იწვევს ყველას, ვისაც სურვილი აქვს დაპურდეს.

თქვენ მარტო არ ხართ, თქვენზე ფიქრობენ!

ამჯერად თქვენი მასპინძელი იქნება გაზეთი „კვირის პალიტრა“.


გელით სათნოების სახლში 12-დან 17 საათამდე (დავით აღმაშენებლის პრ. №121).

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 11-დან 17 სთ-მდე.

ტელ.: 95-16-46, „კათარზისი“.

„ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი...“

ქართველ არქეოლოგთა ახალი აღმოჩენა წმინდა მიწაზე



იერუსალიმში ახალაღმოჩენილი ქართული წარწერა, რომელიც V-VI საუკუნით თარიღდება

რამდენიმე დღის წინ იერუსალიმიდან დაბრუნდა ქართველ არქეოლოგთა დელეგაცია. ჩვენი დღევანდელობისა და ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ყოველი ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი, განსაკუთრებით კი წმინდა მიწაზე აღმოჩენილი.

ცოტა ხნის წინ ჩადენილმა ვანდალობამ — რუსთაველის ფრესკის განადგურებამ — კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ბევრი რამ გვაქვს საპატრონო იერუსალიმში. სამწუხაროდ, ეს ძალიან რთული საქმეა და მხოლოდ ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ როგორც ხალხური ლექსი ამბობს, „ბრძოლას ყოველთვისა აქვს აზრი, დედოფალო“. ჩვენი ცნობიერება ბრძოლისათვის უნდა მოვმართოთ და საქართველოს ისტორიის ყოველი მისხალი შევუნახოთ შთამომავლობას.

ვესაუბრებით არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, **იულონ გაგოშიძეს**.

— ჩვენი რამდენიმე არქეოლოგი გაემგზავრა იერუსალიმში. ისინი ინახულა იერუსალიმის არქეოლოგიური სამსახურის უფროსმა, ჯონ ზელიგმანმა და სთხოვა ახალაღმოჩენილი ქართული წარწერის წაკითხვა. ეს აღმოჩნდა ასომთავრულით შესრულებული ეპიტაფია, რომელიც გვამცნობს: „ესე სამარხოი იოჰანე ფურტაველ ეპისკოპოსისაი ქართველისაი“. წარწერა V-VI საუკუნისაა და იმითაც არის საინტერესო, რომ მასში პირველადაა ნახმარი სიტყვა „ქართველი“ იმ სახით, როგორც დღეს ვხმარობთ. მონასტერი, რომელშიც ეს წარწერა აღმოჩნდა, V საუკუნეშია დაარსებული და შეიძლებოდა „ფურტავიც“ რქმეოდა.

— როგორ იპოვეს ქართული მონასტრის ნაშთები?

— იმ ადგილას ახლა არაბული სოფელია, უმ-ლეიზუნი, რომელიც დღეს ფაქტობრივად იერუსალიმს შეუერთდა. იქ საცხოვრებელი უბანი შენდება. ერთ-ერთმა არაბმა საძირკვლის გათხრისას აღმოაჩინა მოზაიკის ფრაგმენტები და არქეოლოგებს შეატყობინა. მონასტრის ტერიტორია ოთხი ადამიანის ნაკვეთშია მოქცეული. ერთმა მათგანმა დაუდევრად გათხარა მიწა და გადაყარა... ერთ-ერთ ნაკვეთში ჩავატარეთ გათხრები, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯონ ზელიგმანი, გიორგი გაგოშიძე, დავით ცხადაძე და მე. გავთხარეთ მონასტრის სამხრეთ ნაწილი, კოშკისებური ნაგებობა, თლილი ქვით მოკირწყლული გასასვლელები, ეზოები. აქ ყოფილა უმაღლესი დონის მონასტერი. მისი აშენება, რა თქმა უნდა, დიდ ხარჯს მოითხოვდა. ეს V საუკუნის ნაგებობა VII საუკუნეში არაბებმა დაარბიეს.

ვიპოვეთ VI-VII ს.ს. თიხის და მინის ჭურჭელი, დიდი რაოდენობით — კრამიტი. იერუსალიმში კრამიტით მხოლოდ ტაძრებს ხურავდნენ, აქ კი ყველა ნაგებობა კრამიტით იყო გადახურული (ისევე, როგორც საქართველოში), ნაშენებია მკვიდრად, დიდი, რუსტირებული (უხეშად დამუშავებული) ქვებით.

სამონასტრო ადგილი ბრწყინვალედაა შერჩეული. იქიდან ჩანს მთელი იერუსალიმი და მზიან ამინდში — მკვდარი ზღვაც. თითქმის იქვეა (სულ 1,5 კმ აშორებს) მეორე ქართული მონასტერი ბირ ელ-კუთი, რომელიც იოანე ღაზმა და პეტრე იბერმა დააარსეს. გაითხარა უნიკალური საკანალიზაციო სისტემა. მოზაიკის კენჭების სიუხვე ცხადყოფს, რომ მონასტრის იატაკი მოზაიკისა იყო.

სამუშაო ვერ დავამთავრეთ. ერთი კვირაც რომ გვემუშავა, მონასტრის მთელ სურათს აღვადგენდით. სამწუხაროდ, თანხა აღარ გვეყო. გათხრილ ფართობს შემოვარტყით ბადე წარწერით — ძეგლს იცავს სახელმწიფო. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს არის ძლიერი მონასტერი, რომელსაც უდიდესი მხარდაჭერა ექნებოდა სახელმწიფოსაგან.

V საუკუნეში საქართველოს ძალიან უჭირდა, სულ ომში იყო, მაგრამ მაინც საარაკო თანხები იხარჯებოდა იერუსალიმის ქართული სიწმინდეების შესანახად. იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში ქართველები ყველაზე მეტ ხარჯს სწევდნენ იერუსალიმში. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ყველაზე დიდი განძეული ქართული წარმოშობისაა, მათ შორის XVII-XVIII-XIX საუკუნეებისაც კი. ჯვრის მონასტერს საქართველო ინახავდა 1922 წლამდე. ახლა კი ქართველები ერთადერთი ქრისტიანი ერი ვართ, რომელსაც წარმომადგენელი არ ჰყავს იერუსალიმში. მთავარია, რომ ჩვენ აქედან შევძლოთ იერუსალიმში ბერ-მონაზვნების შენახვა — მათ ხომ არსებობა სჭირდებათ...

— რა ბედი ეწევა „უსახელო“ მონასტრის იმ ნაწილს, რომელიც ძეგლად აღიარეს (დანარჩენი კერძო ნაკვეთების ქვეშ რჩება)?

— უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ჰქონდა წინადადება, ეს ტერიტორია შევიძინოთო. კარგი იქნებოდა, ყოფილი მონასტრის მთელი ტერიტორია შეგვეძინა, მაგრამ... იერუსალიმში მიწა ძალიან ძვირია, თუმცა შეუძლებელი არაფერია.

P.S. უნდა შევძლოთ. ჩვენზე ნაკლებად როდი უჭირდათ V, XVI თუ XIX საუკუნეებში, როცა გრანდიოზულ, საშვილიშვილო საქმეებს ართმევდნენ თავს.

ლელა ჯიყაშვილი

„აფხაზეთის“ ლტოლვილები დაუბრუნდნენ

თუ სოფლები დავტოვეთ, აქ მაინც ვერ ვიცოცხლებთ



მოგვცენ უფლება და მტერს თვითონ მოვუვლით. ის სოფლები თუ დაგვატოვებინეს, მაინც დავიხოცებით, ცალკე სირცხვილით და ცალკე უმიწოდ. თბილისს რომ კიდევ ლტოლვილები დაემატოს, ასფალტზე რა მოსავალი უნდა მოვიყვანოთ, რა უნდა ვიშოვოთ იმდენი, რომ ყველას გვეყოს.

ჩვენი ქვეყნის არცთუ დალხინებული მდგომარეობა სამაჩაბლოს მოვლენებმა კიდევ უფრო დაამძიმა. დღეს ზედმეტია საუბარი იმაზე, რა დღეში არიან სამაჩაბლოში დარჩენილები, თუმცა უკეთესად არც იქიდან დედაქალაქში გამოხიზნული მოსახლეობაა. სასტუმრო „აფხაზეთში“ ჩასახლებულ ლტოლვილებს ბოლო დღეებში კვლავ დაემატნენ სამაჩაბლოდან ჩამოსული ქალები და ბავშვები. ყოფილი სასტუმროს უსახურ დერეფნებში პატარები დარბიან, დანგრეულ ვესტიბიულში მოხუცები კი მხოლოდ სამაჩაბლოში არსებულ მდგომარეობაზე საუბრობენ. საბედნიეროდ, ეს საუბარი იმედიანია, თუმცა, ემოციების გარეშე მაინც ვერ მოისმენ... დიდი ლიახვის ხეობიდან გამოხიზნულ ადამიანთა მხოლოდ სახელებს გთავაზობთ, — ისინი ქართულ სოფლებში დარჩენილ ოჯახის წევრებს უფრთხილდებიან.

გიორგი: — ძალიან ვწუხვარ, რომ ახლა აქ ვარ. ფეხი დავიზიანე და ექიმთან ჩამოვედი... დღეს იქ ყოფნა ჩვენს გადარჩენას ნიშნავს, — დავტოვებთ თუ არა პოზიციებს, ბოევიკებია თუ ვილაც გადამთიელები, ქართულ სოფლებში შემოვლენ... ლიახვის ხეობის ის სოფლები, რაც მოსახლეობამ ამდენ ხანს შეინარჩუნა, ახლა უნდა დავკარგოთ? ჩვენზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენ ისეთ ადგილებში ვდგავართ, ზოგჯერ ჯარისკაციც რომ ვერ შევა.

ნოდარი: — სამოცდაათს უკვე გადავცდი. ცხინვალში ორსართულიანი სახლის პატრონი კაცი, ახლა ამ ნანგრევებში ვცხოვრობ. გეფიცებით, ავადმყოფი რომ არ ვიყო, წავიდოდი და იქ დავდგებოდი, ძმები და ძმისშვილები მყავს ერედვში. თუ ბევრს ვერ მივეხმარები, გავამხნევებ მაინც. რაც სიტუაცია გართულდა, ჩემი ბიჭი იქ არის. გუშინ შემოირბინა, ფეხსაცმელები დამეხაო... ფული ვუსესხე, გზაში საჭმელი იყიდე-მეთქი... როგორ შეიძლება ახლა იქ ხალხს ლუკმაპური მოაკლო. ამ ხნის კაცი ვარ და დამეჯერება: თუ გეომებიან, რაღას ეფერები. შეიძლება ჩვენი ხელისუფლება სწორ პოლიტიკას ადგას, ამდენ სამშვიდობო მოლაპარაკებას რომ მართავს, მაგრამ რა გამოვიდა, დღეს 3 ქართველი მოგვიკლეს, ხვალ 5-ს მოგვიკლავენ და ასე გამოვცარიელდებით ქართველობა. თავში ათჯერ რომ ჩაგარტყამენ და თავი გაქვს დახრილი, მეთერთმეტედ ხომ მაინც უნდა ასწიო და პასუხი გასცე? რუსი სამშვიდობოების თვალწინ გესვრიან, მაშინ რაღად გინდა ეს სამშვიდობოები? რუსებს უნდა გავცეთ პირველ რიგში პასუხი.

— ომი რომ დღეს ჩვენს ქვეყანას არ უნდა?

— სამშვიდობოები უნდა გავიდნენ. ხელისუფლებამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვას. მტერი ხედავს, რომ არაფერს ვაკეთებთ და აღარც ეშინია... მოგვცენ უფლება და მტერს თვითონ მოვუვლით, თუ ვერ მოვუვლით და მოვკვდებით. ის სოფლები თუ დაგვატოვებინეს, მაინც დავიხოცებით, ცალკე სირცხვილით და ცალკე უმიწოდ. თბილისს რომ კიდევ ლტოლვილები დაემატოს, ასფალტზე რა მოსავალი უნდა მოვიყვანოთ, რა უნდა ვიშოვოთ იმდენი, რომ ყველას გვეყოს.

მანანა: — ძმისშვილები ჩამომიყვანეს ერედვიდან, სამნი არიან. აი, აქ შევიყვანე, ამ ბნელ ოთახში, სოფელში სირბილს დაჩვეულნი, გული მიკვდება, კედლებს რომ აწყდებიან. ის დრო მახსენდება, 14 წლის წინ, ცხინვალი რომ დავტოვეთ. სანამ იქ ჩვენი მილიცია იდგა, ყოჩაღად ვიყავით. ისინი რომ გაიყვანეს, ვეღარც ჩვენ გავჩერდით. ღმერთმა ნუ ქნას, ახლაც ასე მოხდეს. ჩვენ ცხინვალში მხოლოდ სახლები გვქონდა. ამათ მამულები აქვთ, შრომობენ. მიწას რომ მოაცილო, ვერ გაძლებენ...

ლელა: — ჩვენი ბავშვებით ჩამოვედი. ვითომ აქაურებს გაჭირვება აკლდათ, ჩვენც დავემატეთ. არც წასასვლელი მაქვს არსად... ვუყურებ ტელევიზორს და გული მიკვდება. ახლა სხვა გზა არც ჩვენ გვაქვს და არც ხელისუფლებას. ჩემს ხალხს მიწის დაცვა და მოვლა არ ესწავლება. დღისით ტყვიების სამიზნეზე გამოსვლას ერიდებიან. ხომ ნახეთ ერთერთი დაღუპულის ოჯახში თანაგრძნობისთვის მისულ ჟვანიას, მარტო მიცვალებულის ქმარი რომ დახვდა ჭირისუფლად. სხვათა შორის, იმ კაცის მცირეწლოვანი შვილი ახლა სასტუმროში გვყავს, შიშისაგან ენა წაერთვა, ვეღარ ლაპარაკობს. ხელისუფლების გვესმის, ოსებს რომ ეფერებიან, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მიტარებში დაბრუნებული 5 ოსური ოჯახის სანახავად იყვნენ მისულნი და ამ დროს ბავშვებით სავსე ავტობუსებს ბომბავდნენ. ასე მგონია, მტერი ფიქრობს, ქართველები უნიათო ხალხია და ამიტომ მათ მორევას რა უნდაო? ქართული სოფლების მოსახლეობა იხვეწება, მოგვხედეთო... თუ ხელისუფლება თავის ადგილზე არ დადგება, სულ ასე იქნება. მარტო ჩემი ოჯახი ოთხჯერ წამოვიდა სამაჩაბლოდან და უკანვე დაბრუნდა. არც ჩვენ და არც ხელისუფლებას შეცდომების დაშვების უფლება არა გვაქვს. თუ ახლა რამე შეგვეშალა, შეცდომას უკვე ვეღარასოდეს გამოვასწორებთ.

ეთერ ერაძე

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანაჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

ამ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 25 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 20 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 15 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ეკა ლომიძე** — „უზენაესმა ცისარტყელით გაგვიღო კარი“ — 83 ხმა.
2. **დაჩი გრძელიშვილი** — „თუ ადამიანი დასაჭერია, რატომ უშვებ და თუ გამოსაშვებია, რატომ იჭერ?“ — 50 ხმა.
3. **ირაკლი ალადაშვილი** — სამხედრო თემა — 44 ხმა.

მკითხველის სახელით პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **ეკა ლომიძეს**, მეორე — 20 ლარი — **დაჩი გრძელიშვილს**, ხოლო მესამე — 15 ლარი **ირაკლი ალადაშვილს**.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 334-მა რესპონდენტმა გამოავლინა

საპატრულო ევოლუცია დაიწყო...



დამყარდება თუ არა თბილისის ქუჩებში ოდესმე წესრიგი?!

ორშაბათიდან თბილისის ქუჩებში საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები გამოჩნდნენ. პირველ ხანებში დედაქალაქს 580 პატრული გააკონტროლებს. მათი რიგები კიდევ შეივსება. პოლიციის აკადემიაში ამბობენ, რომ წლის ბოლოსთვის ქვეყნის საპატრულო სამსახურები მთლიანად დაკომპლექტდება.


პატრულები „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომობილებით ივლიან. 130-მდე „პასატი“ თბილისის ერთერთ ქარხანაში სახელდახელოდ გადაღებეს და სპეციალური აპარატურითაც აღჭურვეს. თუმცა, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, პირველ ხანებში პატრულები საგზაო პოლიციის ძველი მანქანებითაც ივლიან. ახლის დასაუფლებლად და აპარატურის მუშაობის შესასწავლად მათ დრო სჭირდებათ, როცა ისინი გამოცდას ჩააბარებენ, მხოლოდ მერე მიუჯდებიან ახალი საპატრულო მანქანების საჭეს.

მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო სამსახური თითქმის უკვე ჩამოყალიბდა, როგორც პოლიციის აკადემიაში, ასევე მთლიანად შსში მის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე თავს იკავებენ. მიზეზად ირაკლი ოქრუაშვილის პირადი ბრძანება სახელდება, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლებს საუბარს უკრძალავდა. რატომ დაადო შს მინისტრმა ტაბუ საპატრულო სამსახურზე საუბარს, უცნობია. კულუარული ინფორმაციით, ამის მიზეზი საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელობაში არსებული განხეთქილებაა. დღემდე უცნობი მიზეზით ოქრუაშვილმა ამ სამსახურის 60 პოლიციელის გათავისუფლებაზე მოაწერა ხელი. ეს ხალხი მანამ მოიცილეს, ვიდრე პატრულის ახალი ფორმის ჩაცმას მოასწრებდნენ. მიზეზებზე ოფიციალურად არავინ საუბრობს. თუმცა, ინფორმაცია იმის შესახებაც არსებობს, თითქოს მათ სამსახურში მოწყობისთვის ფულს სძალავდნენ. რამდენიმე დღის წინ ირაკლი ოქრუაშვილმა პოლიციის აკადემიის ხელმძღვანელობა დაიბარა და მკაცრად დატუქსა. საქმე ეხებოდა ერთ-ერთი პოლიციელის — კაპანაძის გარშემო ამტყდარ აჟიოტაჟს. აღმოჩნდა, რომ საპატრულო სამსახურში მოსაწყობად გამოცდას ერთდროულად ორი კაპანაძე აბარებდა. როგორც ამბობენ, ერთ მათგანს მალხაზ მაისურაძე მფარველობდა, ხოლო მეორეს — აკადემიის რექტორი ლევან იზორია. რექტორის მფარველობაში მყოფმა კაპანაძემ საპატრულო სამსახურში მუშაობის უფლება მოიპოვა, მეორე კაპანაძემ კი გამოცდები ვერ ჩააბარა. მალხაზ მაისურაძემ ლევან იზორია კურსანტების მფარველობაში დაადანაშაულა. ამ ინციდენტს კიდევ უფრო საინტერესო გაგრძელება მოჰყვა: ის კაპანაძე, რომელმაც გამოცდები ვერ ჩააბარა, სამსახურში მაინც აიყვანეს. როცა ეს საქმე გასკდა, ირაკლი ოქრუაშვილმა ღამის აკადემიის მთელი შემადგენლობა სამსახურიდან გაყარა. საბედნიეროდ, ბოლოს გაირკვა, რომ კაპანაძის სამსახურში მოწყობა რაიონული პოლიციის ხელმძღვანელობის ბრალი იყო და არა აკადემიის რექტორის. მიუხედავად ამისა, საპატრულო სამსახურის მესვეურებს მაინც ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ საქმიანობაში პირადი ნაცნობობა და ფულის გამოძალვაც იშვიათი არ არის. აკადემიის ხელმძღვანელობა ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. რაც შეეხება იმ კონტინგენტს, რომელმაც საპატრულო პოლიციელის მუნდირი უკვე მოირგო, მათ წინ სერიოზული გამოცდა ელით. პოლიციის პატრული საგზაო პოლიციის ფუნქციასაც შეასრულებს და ამავდროულად, სისხლის სამართლის დანაშაულებზეც აწარმოებს პირველად მოკვლევას. ეს კი ჩვენი სამართალდამცავი სისტემისათვის ნამდვილად არის ახალი სიტყვა. დამყარდება თუ არა თბილისის ქუჩებში ოდესმე წესრიგი, თუ ეს ახალი დანაყოფიც ისევე გააგრძელებს „დამრღვევი“ მძღოლების „დასჯას“, როგორც ეს მათი წინამორბედების ხელში ხდებოდა და რამდენად შეძლებს იგი კრიმინოგენული სიტუაციის განეიტრალებას, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

დავით დევიძე

ბრძოლა საკუთარი სიმართლის მსოფლიოში გასაგებად

კონტრიერიში ქართული სახელმწიფო ინტერესების დასაცავად



რაღა დასამალია და, ნებისმიერი პროპაგანდისტული ბრძოლა ერთგვარი პრელუდიაა რეალური საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ. ასე იქცეოდა მოსკოვი 1999 წელს, ჩეჩნეთზე ხელმეორე შეტევამდე მან მასმედიის საშუალებით შექმნა ჩეჩნის, როგორც დამნაშავის, ადამიანის გამტაცებლისა და მკვლელის ხატი. მოსკოვს არც ვაშინგტონი ჩამორჩენია: ერაყზე თავდასხმამდე ნახევარი წლის განმავლობაში სადამ ჰუსეინს სისხლისმსმელ დიქტატორად და მსოფლიო ბირთვული იარაღის ლამის ნახევარი არსენალის ფლობელად წარმოაჩენდა...

12 წლის წინ, ცხინვალის ომი ძლივს ჩავაცხრეთ, რომ ერთ თვეში აფხაზეთის ომში ამოვყავით თავი. ამ ეთნიკური თუ პოლიტიკური დაპირისპირებების დროს საკუთარი სიმართლის გატანა მსოფლიოში ძალიან გაგვიჭირდა და საბოლოოდ მაინც ვერ შევძელით. მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ მაშინ ქართული საინფორმაციო შეტევის მცდელობა რუსული მასმედიის „მინდვრის“ გავლით უნდა განხორციელებულიყო, რასაც, ბუნებრივია, წარმატებული შედეგი ვერ მოჰყვებოდა.

დღეს სხვა სიტუაციაა — საქართველოში მომხდარზე ყველა ინფორმაციის მიღება დასავლეთს ურუსეთოდაც შეუძლია და გვეძლევა შესაძლებლობა, უფრო მომგებიანად წარვმართოთ ჩვენი საინფორმაციო ბრძოლა.

რაღა დასამალია და, ნებისმიერი პროპაგანდისტული ბრძოლა ერთგვარი პრელუდიაა რეალური საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ. ასე იქცეოდა მოსკოვი. 1999 წელს, ჩეჩნეთზე ხელმეორე შეტევამდე მან მასმედიის საშუალებით შექმნა ჩეჩნის, როგორც დამნაშავის, ადამიანის გამტაცებლისა და მკვლელის ხატი.

მოსკოვს არც ვაშინგტონი ჩამორჩენია: ერაყზე თავდასხმამდე ნახევარი წლის განმავლობაში სადამ ჰუსეინს სისხლისმსმელ დიქტატორად და მსოფლიო ბირთვული იარაღის ლამის ნახევარი არსენალის ფლობელად წარმოაჩენდა.

რაღა დასამალია და, ნებისმიერი პროპაგანდისტული ბრძოლა ერთგვარი პრელუდიაა რეალური საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ. ასე იქცეოდა მოსკოვი. 1999 წელს, ჩეჩნეთზე ხელმეორე შეტევამდე მან მასმედიის საშუალებით შექმნა ჩეჩნის, როგორც დამნაშავის, ადამიანის გამტაცებლისა და მკვლელის ხატი.

მოსკოვს არც ვაშინგტონი ჩამორჩენია: ერაყზე თავდასხმამდე ნახევარი წლის განმავლობაში სადამ ჰუსეინს სისხლისმსმელ დიქტატორად და მსოფლიო ბირთვული იარაღის ლამის ნახევარი არსენალის ფლობელად წარმოაჩენდა.

მთავარი ყურადღება და აქცენტი, შეძლებისდაგვარად, მაინც დასავლეთის და დსთ-ის მცხოვრებლებზე უნდა გადავიტანოთ, რათა ჩვენი სიმართლე როგორმე გავაგებინოთ.

რაღა დასამალია და, ნებისმიერი პროპაგანდისტული ბრძოლა ერთგვარი პრელუდიაა რეალური საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ. ასე იქცეოდა მოსკოვი. 1999 წელს, ჩეჩნეთზე ხელმეორე შეტევამდე მან მასმედიის საშუალებით შექმნა ჩეჩნის, როგორც დამნაშავის, ადამიანის გამტაცებლისა და მკვლელის ხატი.

მოსკოვს არც ვაშინგტონი ჩამორჩენია: ერაყზე თავდასხმამდე ნახევარი წლის განმავლობაში სადამ ჰუსეინს სისხლისმსმელ დიქტატორად და მსოფლიო ბირთვული იარაღის ლამის ნახევარი არსენალის ფლობელად წარმოაჩენდა.

დღეს კოკოითის სეპარატისტული ხელისუფლება ცდილობს და ზოგჯერ არცთუ უშედეგოდ (რაშიც მას არა თუ ეხმარება, არამედ ხელმძღვანელობს კიდევაც კრემლი), ქართველს შეუქმნას დამპყრობლის და ომის გამჩაღებლის იმიჯი.

ჩვენ არავინ გვიშლის იმავე ხერხებით ვებრძოლოთ სეპარატისტებს. თუმცა ამას შედეგი უფრო „პროპაგანდისტული ბრძოლის“ გარეთა ფრონტზე მოაქვს, თორემ ქვეყნის შიგნით უმეტესი სტატია თუ ტელეგადაცემა, რომლებიც სეპარატისტების ზრახვების გამოაშკარავებას ეხება, ძირითადად, გულის მოოხება და „საკუთარ წვენში ხარშვაა“.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

რა თანხის სანაცვლოდ გამოუშვებენ ჯაფარიძეს?!

გასულ ხუთშაბათს გენერალურმა პროკურატურამ სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე გივი ჯაფარიძე დააკავა. ჯაფარიძეს, რომელიც ამჟამად უშიშროების იზოლატორში იმყოფება, პროკურატურა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას სდებს ბრალად. კონკრეტულად კი, სატყეო დეპარტამენტის ყოფილ შეფს, წყნეთში მიწების უკანონო გასხვისებაში ედავებიან.

გენერალური პროკურორის მოადგილის, კახა კობერიძის ინფორმაციით, წყნეთში 200 ჰექტარი მიწის უკანონოდ გაცემით სახელმწიფომ 180 ათასი ლარი იზარალა. თუმცა, პროკურატურა არც იმას გამორიცხავს, რომ 200 ჰექტარი მიწის გასხვისების ბრალდება პირველი და უკანასკნელი არ იქნება, გამოძიების პროცესში შესაძლოა ბრალდებათა ნუსხა უფრო გაიზარდოს.

ჯაფარიძის დაკავებისთანავე სამართალდამცველებმა მისი ბინა გაჩხრიკეს. ამოღებულია სხვადასხვა პრესტიჟულ ადგილზე განთავსებული 4 ბინის დოკუმენტაცია. დოკუმენტების მიხედვით, საცხოვრებელი ბინები ჯაფარიძის ნათესავებს ეკუთვნის. გენპროკურატურაში ვარაუდობენ, რომ სინამდვილეში ყველა ჯაფარიძის კუთვნილებაა.

უკვე ასახელებენ ჯაფარიძის თანამზრახველებსაც, მათ, ვისთან ერთადაც სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მიწების გაყიდვის ოპერაციებს ატარებდა. მათ შორის არიან მათიაშვილი და შოთა მეფარიძე. ამ უკანასკნელმა ჯაფარიძის ხვედრი უფრო ადრე გაიზიარა — იგი გენპროკურატურამ რამდენიმე თვის წინ დააკავა და იზოლატორიდან მხოლოდ განსაზღვრული თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მეფარიძემ გამოძიებას ბევრი საინტერესო ცნობა მიაწოდა სატყეო დეპარტამენტში არსებულ კორუფციაზე და, ცხადია, არც ჯაფარიძის პერსონაზე საუბრისგან შეიკავებდა თავს. მით უმეტეს, რომ ბოლო წლების განმავლობაში შოთა მეფარიძე გივი ჯაფარიძეს ისედაც უჩიოდა სხვადასხვა ინსტანციაში და მის მუშაობაში არსებულ დარღვევებზე საჯაროდ ლაპარაკობდა.

ჯაფარიძე შს ყოფილი მინისტრის, კახა თარგამაძის ცოლის ბიძაა. საინტერესო დამთხვევაა, — ზუსტად იმ დღეს, როცა ჯაფარიძე დააკავეს, სატყეო დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელმა, ბიძინა გიორგობიანმა პრესკონფერენცია გამართა და სატყეო მეურნეობაში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე ისაუბრა. გიორგობიანის ინფორმაციით, ბოლო წლებში სატყეო მეურნეობებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მინიმალური თანხა შედიოდა — წელიწადში, საშუალოდ, სამი მილიონი ლარი. წინასწარი დაანგარიშებით კი ათობით მილიონი დოლარი უნდა ყოფილიყო, ანუ გამოძიებამ შეიძლება დაამტკიცოს, რომ ჯაფარიძის თავმჯდომარეობის დროს ქვეყანამ ორმაგად იზარალა: გაიჩეხა ტყის მასივები და სანაცვლოდ შემოსული თანხები ყველგან მიდიოდა, სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა. თუკი გივი ჯაფარიძეს ამ საქმიანობას გაუხსენებენ, ცხადია, ბრალდებები კიდევ უფრო დამძიმდება.

როგორც გენპროკურატურაში ამბობენ, მიწების გასხვისება, რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, ეტყობა, გარიგების მექანიზმი ამ შემთხვევაშიც ამუშავდება და ჯაფარიძეს მალე დაუსახელებენ იმ თანხას, რის სანაცვლოდაც იზოლატორიდან თავის დაღწევას მოახერხებს.

დავით დევდარიანი



საქართველოს ღვთისმშობელი გამოეცხადა(?!)

სასწაული სოფელ ფაფის სამლოცველოში

„უწმიდესმა დამავალა ბორჯომელებისთვის სასწაული მიმელოცა“

ათეისტი, მით უმეტეს, თავგადაკლული არასოდეს ვყოფილვარ. ყოველთვის მწამდა და მწამს ღვთისა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ეკლესია შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ მახსენდება და ისიც გაჭირვების ჟამს. ერთი სიტყვით, ჩემნაირ ქრისტიანებს მცირედმორწმუნეებს უწოდებენ. ამიტომ გამიკვირდა, როდესაც რედაქტორმა ბორჯომში, სოფელ ფაფის სამლოცველო სახლში გამოცხადებული სასწაულის დაფიქსირება და ამის შესახებ სტატიის მომზადება დამავალა. ვიფიქრე, ფაფაში რა ისეთი სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ იქ წასვლა ღირდეს-მეთქი (მით უმეტეს, გასულ კვირას მასალებზე მუშაობისას ნახევარი საქართველო მოვიარე). ერთი სიტყვით, სოფელ ფაფაში გამგზავრება რამდენიმე დღით გადავდე, რათა დამესვენა. ამიტომ იმ საღამოს თითქმის გათენებამდე ტელევიზორთან შემოვრჩი, მხოლოდ დილის ხუთ საათზე მივაშურე საწოლს იმ იმედით, რომ ხვალინდელ დღეს „გავახალტურებდი“.

დამეთანხმებით, თბილისური სიცხეების გადამკიდე კაცისთვის რა სიამოვნებაცაა დილის სიგრილეში ძილი. მით უმეტეს, თუ გვიან დაიძინე. გადაწყვეტილი მქონდა, სანამ შუადღის სიცხე არ შემაწუხებდა, თვალი არ გამეხილა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, დილის შვიდ საათზე თვალები დავაჭყიტე. დიდხანს ვიწვალე, მაგრამ ძილი ვერაფრით შევიბრუნე. რაღას ვიზამდი, ავდექი და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ბორჯომში წასვლა გადავწყვიტე, მიუხედავად იმისა, რომ საქმეები ბლომად მქონდა. ყველაფერი მაინც რედაქციის წინაშე პასუხისმგებლობას მივაწერე და შინიდან გავედი. დაახლოებით სამ საათში სოფელ ფაფის სამლოცველოსთან ვიყავი. უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ჟურნალისტის სტატუსით ვისარგებლე, მლოცველებს მოვუბოდიშე და ურიგოდ შესვლა ვითხოვე. არავის გაუპროტესტებია, პირიქით, გზა მომცეს. პატარა დარბაზში ნემსის ჩასაგდებ ადგილსაც ვერ მოძებნიდა კაცი. ყველანი გულმხურვალედ ლოცულობდნენ. განსაკუთრებული ხალხმრავლობა სამლოცველოს მარჯვენა კუთხესთან იყო. სანთლების შუქით განათებულ კედელს დავაკვირდი. თავდაპირველად, სისველის გარდა, კედელს რომ მუქად ეტყობოდა, ვერაფერი გავარჩიე. მერე თვალი სიბნელეს შევაჩვიე და აშკარად დავინახე კედელზე ღვთისმშობლის სახება. კიდევ უფრო მივუახლოვდი კედელს. ღვთისმშობელს თავს შარავანდედი ადგა. გაოცებული მივშტერებოდი ამ სასწაულს და პირჯვარს ვიწერდი. დაბნეული ვლუღლუღებდი „მამაო ჩვენოს“. როცა აღელვებამ გამიარა, სამლოცველოდან გამოვედი და ჩემში ურწმუნო თომამ გაიღვიძა. სამლოცველოს შემოვუარე და იმ კედლის გარეთა მხარეს მივადექი, რომლის შიგნითა ზედაპირზე ღვთისმშობელი იყო გამოსახული. კედელს სისველის ნიშან-წყალიც კი არსად ეტყობოდა. იმდენი მოვახერხე, რომ სახურავიც კი შევათვალიერე, წყალი ხომ არ ჩასულა-მეთქი. მაშ, რა ძალას უნდა დაესველებინა შიგნიდან კედელი? — მერამდენედ ვეკითხებოდი თავს. იქნებ ამ ადგილას ძველად ღვთისმშობლის ფრესკა იყო, რომელიც დროთა განმავლობაში წაიშალა და ახლა, კედლის გაღესვის შემდეგ, ძველი საღებავი რეაქციაში შევიდა ცემენტთან და ღვთისმშობლის სახეც გამოჩნდა? — სწორედ ამ კითხვით მივმართე სამლოცველოს მომვლელს, **ეთერ ანასაშვილს:**

— რას ამბობ, შვილო? აქ ადრე მართლაც იყო ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, მაგრამ იგი დიდი ხანია, რაც დაინგრა. მხოლოდ საძირკვლის ქვები და კედლების ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. ორი-სამი წლის წინ სოფლის მოსახლეობამ ეკლესიის ნანგრევებზე სამლოცველოს აშენება გადაწყვიტა. სამლოცველოს კედლები შარშან გაჯით შეილესა. მერე ხატები დავაბრძანეთ და ხალხმაც დაიწყო მისვლა-მოსვლა. ასე რომ, შვილო, ღვთისმშობლის ხატება ახალამოყვანილ კედელზე გამოისახა. ეს 4 აგვისტოს მოხდა — მომვლელმა ქალმა იხილა პირველად ღვთისმშობლის გამოცხადება.

(გაგრძელება იხ. გვ. 12)

„ღმერთმა ქნას, ეს იყოს ბოლო მსხვერპლი“

„თუკი ჩვენთან მოხვდა პაციენტი დაპირისპირებული მხრიდან, აუცილებლად ვუმკურნალებთ, ალბათ ისინიც ასე მოიქცევიან“



შიდა ქართლში შექმნილი ურთულესი მდგომარეობა საქართველოს ყველა მოქალაქის ტკივილია, მაგრამ მთელი სიმძიმე მაინც ლიახვის ხეობის მოსახლეობაზე გადადის. თუ პატარა ლიახვის ხეობაში იოლად შედიან სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, დიდი ლიახვის ხეობაში ყოველ ნაბიჯზე შეიძლება საშიშროების წინაშე დადგე, რადგან ეს ხეობა ცხინვალსა და ჯავას შორისაა მოქცეული. იქ ერთადერთი — ქურთის საავადმყოფო ფუნქციონირებს. სიტუაციის გამწვავებასთან ერთად სამი დღის განმავლობაში მობილურ ტელეფონზე დაკავშირებაც კი შეუძლებელი იყო იქაურებთან. კავშირი ახლახან აღდგა. ჩვენ დავუკავშირდით მთავარ ექიმს **გელა ჭულუხაძეს** (რომელიც დღესაც იქ არის და არც ოჯახის გახიზვნაზე ფიქრობს) და ვთხოვეთ მოეწოდებინა ინფორმაცია საავადმყოფოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

— დაჭრილები ბევრნი არ არიან, თავს კარგად გრძნობენ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ერთად შემოვლაზე ყველანი ვნახეთ. თბილისში გადასაყვანი არც ერთი არ არის. არც ერთი მათგანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

— ბატონო გელა, მედიკამენტების მოწოდება ხომ არ ფერხდება, ყველაფერი გაქვთ, რაც გჭირდებათ?

— ჯერჯერობით არაფერი გვაკლია. მერე რა იქნება, ვერ გეტყვით.

— დამხმარე ექიმები ჩამოვიდნენ თუ მხოლოდ ქურთის საავადმყოფოს მედპერსონალი იღებს დაჭრილებს?

— თბილისიდან ჩამოსული კოლეგები გვეხმარებიან. ცოტა ხნის წინ შეიცვალა ექიმთა ბრიგადა.

— გარდაცვლილთა რიცხვის შესახებ თბილისში სხვადასხვა ინფორმაცია გავრცელდა. მანც რამდენი გარდაცვალების შემთხვევა გქონდათ?

— 12 აგვისტოს საღამოსთვის მხოლოდ ორი იყო გარდაცვლილი. ერთი სამხედრო დილით გარდაიცვალა, საღამოს კი — ოპერაციის მიმდინარეობის დროს მძიმედ დაჭრილი, 59 წლის თამარაშენის მკვიდრი არმან მელანაშვილი. ღმერთმა ქნას, ეს იყოს ბოლო მსხვერპლი.

— როგორია დიდი ლიახვის ხეობაში მოსახლეობის განწყობა?

— მე, მაგალითად, შვილები აქ მყავს, ქურთაში, არც ვაპირებ გამოყვანას... უფროსი 3 წლისაა, უმცროსი — ორი კვირის. აქვე არიან ჩემი ძმისშვილები, ისინიც პატარები არიან.

— საშიშროება ყველგან არის ბატონო გელა, მაგრამ ახლა მანდ გაცილებით მეტია...

— არაფერი არ არის საგანგაშო, ჯერ-ჯერობით ვუძლებთ, ყველაფერი ნორმალურადაა.

— ვიდრე არეულობა დაწყებოდა, საჭიროების შემთხვევაში ქურთიდან პაციენტები ცხინვალში გადაგეყვანათ. ახლა, რა თქმა უნდა, ეს გამორიცხულია, მაგრამ ქართველ ექიმებს თუ აქვთ თავისუფალი მიმოსვლის საშუალება ცხინვალში, თუკი ეს აუცილებელი გახდა?

— დღეს ჩვენ ჩვენი ავადმყოფი გვყავს, იმათ — თავიანთი. თუკი ჩვენთან მოხვდა პაციენტი დაპირისპირებული მხრიდან, მას ყოველ მიზეზგარეშე ვუმკურნალებთ. ალბათ, ისინიც ასე მოიქცევიან. ექიმი არც მეომარია, არც პოლიტიკოსი...

— ოს კოლეგებთან გაქვთ ურთიერთობა?

— გვაქვს. როცა ოსეთის მინისტრი ლიახვში დაიხრჩო, ცხინვალის საავადმყოფოს პროზექტურაში პირადად ვესწრებოდი გაკვეთას...

— გამძლე და ვაუკაცი ხალხი ხართ, მაგრამ საბრძოლო მდგომარეობა ხშირად ადამიანს შოკში აგდებს. დაჭრილების გარდა, სტრესების გამო ხომ არ მოგმართავენ?

— არა, ქალბატონო, საღამოს ორი-სამი ჭიქა ღვინო უნდა დავლიოთ და ყველაფერი კარგად იქნება...

იქ მცხოვრები ქართველები გმირულად იტანენ თავსდატეხილ რეალობას. ხეობის ერთ-ერთმა მკვიდრმა, რომელსაც გასაგები მიზეზების გამო თავის გამხელა არ სურს, გვითხრა, რომ „ეს ხეობა წლების განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მათ თითქოს არც ქართული მხარე თვლიდა თავისად და არც ოსური. კოკოითი ყოველდღე მიმოდიოდა გზაზე, რომელიც ქართულ სოფლებზე გადის, ღამეს ჯავაში ათევდა, დღისით კი ცხინვალში სამუშაოდ უკან ბრუნდებოდა. მას მერე, რაც ერგნეთის ბაზრობა დაიხურა, ქართველებს პროდუქტები გორიდან მოგვქონდა, იმის საშუალება არავის აქვს, რომ წლის სარჩო ერთიანად მოიმარაგოს. ამიტომ ძალიან გვიჭირს, ფქვილისა და შაქრის შეძენა აქ შეუძლებელია. ეს რომ დროებითი იყოს, გავუძლებთ, ოღონდ ვიცოდეთ, როდემდე?

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

55-ე სკოლელმა მინისტრმა ამავე სკოლის პარლამენტარი შეურაცხყო

„არ ვიცი რამდენად ემორჩილება იგი საკაშვილს და ქვანიას“

ქართველი პოლიტიკოსებისა და მთავრობის წევრების დაპირისპირებებით, ცემა-ტყეპითა და ბორჯომით წუწაობით „განებივრებული“ მრავლისმნახველი ტელემაყურებელი ახლახან არაორდინარული ქართველი, განვითარებისა და ეკონომიკის მინისტრის კიდევ ერთი არაორდინარული გამოხდომის მოწმე გახდა.

დიდი პრივატიზაციის პროცესის „პიონერის“, „თბილავიამშენის“ გაყიდვასთან დაკავშირებით ატეხილ მითქმა-მოთქმას ერთ-ერთი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში უჩვეულოდ უცენზურო გაგრძელება მოჰყვა. თბილისის 55-ე საშუალოს სკოლის აღზრდილმა, კახა ბენდუქიძემ კითხვაზე პასუხის სანაცვლოდ რუსულად შეაგინა ამავე სკოლის კურსდამთავრებულს, **ლევან გაჩეჩილაძეს**. საზოგადოება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქართული ეკონომიკის ამჟამინდელმა „მამამ“, რომელსაც ყიდვა-გაყიდვა კარგად ეხერხება, ნამდვილად არ იცის, რომ ათასად კაცი ფასდება და ათი ათასად ზრდილობა. ბენდუქიძეს, შესაძლოა, სხვაც ბევრი რამე ეშლებაო, ეჭვობს შეურაცხყოფილი პარლამენტარი, რომელიც ეკონომიკის მინისტრის თავიდან აღზრდას არ აპირებს.

— პატარა კაცის დონეზე არ დავეშვები, თუნდაც დიდი ფიზიკური წონა ჰქონდეს. ბენდუქიძეს პასუხს ისევ საზოგადოება გასცემს. პირდაპირ ეთერშიც ვერ მალავს, რომ უზრდელია, თავს კი გვამადლის, რომ მინისტრია და არავინ არაფრად მიაჩნია. ამ კაცისგან მხოლოდ იმის გაგება მინდა, რის გაკეთებას შეძლებს ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვან დროს. ამიტომ მუდამ მისი ოპონენტი ვიქნები და თუ ეს არ მოეწონება, ცივი წყალი დალიოს.

— საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ თქვენს პროტესტს იწვევს ის კურსი, რომელსაც ახორციელებს მინისტრი ბენდუქიძე. თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რა მიგაჩნიათ შეცდომად?

— ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა არ შეიძლება იყოს მხოლოდ პრივატიზაცია. ბენდუქიძის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კი გაუთავებლად ლაპარაკობენ პრივატიზაციაზე. ძალაუნებურად დაეჭვდები, იქნებ ეს კაცი კონკრეტული მისიითაა ჩამოსული? ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია პრივატიზაცია, მაგრამ არა ბენდუქიძის არჩეული ფორმით. ეს არის ტიპური რუსული ფორმა, შავ-ბნელი ფორმულებით, აქ გამჭვირვალობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამა თუ იმ ობიექტის გაყიდვა საქართველოსთვის მომგებიანი იქნება თუ არა, მხოლოდ ბენდუქიძის გადასაწყვეტი არ არის. ამიტომ მოვითხოვთ პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობას — საზოგადოებამ უნდა იცოდეს კონკრეტული საპრივატიზაციო ობიექტის საფინანსო, სამენეჯმენტო, საგადასახადო, მოგება-წაგების მონაცემები, დღევანდელი მდგომარეობა და ა.შ. ობიექტი უნდა გაიყიდოს მხოლოდ ამ ინფორმაციების საჯაროდ გამოცხადების შემდეგ და არა ბენდუქიძის გასაიდუმლოებული გადაწყვეტილებებით. ავიამშენებელ ქარხანაზე ბრძანა, არსებობს ათწლიანი დროებითი მმართველობის შესახებ ხელშეკრულება, არ მინდა მისი დარღვევა და ამიტომ იძულებული ვარ, ქარხანა პანტიკო თორდიას ჯგუფს მივყიდოო. მეორეს მხრივ კი ამბობს, თუ თქვენ ამ ქარხანას გამოცხადებულ ფასზე უფრო ძვირად გაყიდით, საკუთარი ჯიბიდან მილიონს ვიხდიო. ვერ გავიგე, რას ნიშნავს ეს?

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

„დღეს ბაზრისა და ყოფილი ომების დაპირისპირებაა“

რუსეთი გვეუბნება – დსთ რუსეთის იმპერიის გაგრძელებაა და საქართველოდან ფეხს არ მოვიცვლიო...



„აქ უკვე ომია“, — ამბობენ სამაჩაბლოელები და შვილები სამშვიდობოს გაჰყავთ. დიახ, ეს უკვე ომია, გამოუცხადებელი ომი, რომელიც ნელ-ნელა აქტიურდება. მეზობელი ჩვენს მოთმინებას ცდის, ათასგვარი ხრიკითა და პროვოკაციით ცდილობს ისეთ ინტრიგაში ჩაგვაბას, რომელიც ძირძველ ქართულ კუთხეს საბოლოოდ დაგვაკარგვინებს ან კიდევ ისეთ შეცდომას დაგვაშვებინებს, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს რამდენიმე წლით უკან დახევს. მაგრამ ჩვენს დიდ მეზობელს ავიწყდება, რომ მისმა მზაკვრობამ ჭკუა გვასწავლა; რომ ასე იოლად ვეღარ მოგვატყუებს და ვეღარ გაგვაცურებს. საქართველოს ხელისუფლება მკაცრი რეალობის პირისპირ დარჩა, ახლა, ამ ძნელ დროს სჭირდება მას მოზომილი, ასჯერ გაზომილი და ერთხელ ზუსტად გადაჭრილი ნაბიჯის გადადგმა და ისეთი ქმედება, როგორიც ღირსეული ქვეყნის ღირსეულ ხელმძღვანელობას შეეფერება.

გასულ კვირას სამაჩაბლოს პრობლემის მშვიდობიანი და სამართლებრივი მოგვარება საქართველოს პარლამენტმა სცადა. კონფლიქტის ზონაში ცისფერჩაფხუტიანი მშვიდობისმყოფელების ყოფნის მიზანშეწონილობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რუსეთი კი კონფლიქტის მხარედ გამოცხადდა. ძნელი სათქმელია, რა საპასუხო ხრიკს მიმართავს რუსეთი. სავარაუდოდ, მას რაიმე „სიურპრიზი“ ამ შემთხვევისთვისაც ექნება გადანახული. ვნახოთ, რა იქნება, მანამდე კი კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტარ **ლევან გერაძეშვილს.**

— სამაჩაბლოს პრობლემა ისეთ მთვლემარე მდგომარეობაში, როგორიც ბატონმა შევარდნაძემ დაგვიტოვა, კიდევ 50 წელიწადს დარჩებოდა, მაგრამ ახალი ხელისუფლება ვერ წაუყრუებდა ამ ამბავს და ამიტომაც გამძაფრდა იქ დღეს ვითარება. ჩვენ მთელი სიცოცხლე ვერ ვუყურებთ, როგორ ითბობენ ხელს კოკოითისნაირი არამზადები საკუთარი ხალხისა და სხვათა ხარჯზე. თავის დროზე ხელისუფლებამ და ჩვენმა საზოგადოებამ უამრავი შეცდომა დაუშვა. მოდი, გულახდილად ვთქვათ, ჩვენც ცუდად მოვიქეცით და ოსებიც. თავისთავად ცხადია, ასეთ დროს რუსებიც გამოიღებდნენ ხელს — ეს ქვეყანა არავისთან გამოირჩევა კეთილმეზობლობით. ყველა მეზობელი ეზიზღება, განსაკუთრებით კი საქართველო. რუსეთისთვის სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტებია, საქართველო კი, — მთელი კავკასიის გასაღები და ამიტომაც იოლად არ დაგვთმობს. ასეთი რეალობის ფონზე არჩევანი იყო გასაკეთებელი — ეს ტერიტორია რუსეთისთვის გვეჩუქებინა, შევარდნაძესავით ხელუხლებლად დაგვეტოვებინა და დაგვეკონსერვებინა პრობლემა, თუ მისი გადაწყვეტა დაგვეწყო. ხელისუფლებამ მესამე გზა არჩია. შეიძლება ამ საკითხს მეტი სიდინჯითაც უნდა მივდგომოდით, მაგრამ ამჟამად ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ფაქტი ერთია, საქართველოს ყოველთვის აქვს უფლება, საკუთარ ტერიტორიაზე იზრუნოს და იფიქროს.

კოკოითის უკან რუსეთის იმპერია და მისი ინტერესი დგას. ამავდროულად, დგანან ის ოსებიც, რომელთაც დამოუკიდებლობა სურთ. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა არ ითხოვს დამოუკიდებლობას და ესენი რატომღა ითხოვენ. რაო, ვითომ, რუსეთი ძლიერი ქვეყანაა და მას ვერაფერს გაუბედავთ, საქართველო კი სუსტია და დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადებინოთო?! ასეთი ზღაპრები ოსებს არ გაუვათ. სამაჩაბლო არის და იქნება საქართველოს ტერიტორია. შევარდნაძე და მისი ხელისუფლება მშვიდად შეჰყურებდნენ, სამაჩაბლოელი ოსები რომ რუსულ პასპორტებს იღებდნენ, ამის შედეგს კი ახლა ვიმკით. რუსები გვიცხადებენ, — მანდ ჩემი მოქალაქეები არიან, მათი ინტერესები უნდა დავიცავთო და კიდევ ათასნაირად დემაგოგობენ. რაც უნდათ, თქვან. ამ ხერხით რუსეთს საქართველოს ტერიტორიის ნაწილის მიტაცება უნდა. ამას კი ნამდვილად ვერ შევეგუებით — ამიტომ პარლამენტი იქნება თუ მთავრობა, ხელისუფლება თუ ოპოზიცია, მემარცხენეები თუ მემარჯვენეები, ყველა ერთ აზრს ვიზიარებთ — საქართველოს ტერიტორიის ნაწილს რუსეთი ვერ წაიღებს, არ გავატანთ.

— ასე გამწვავებული ვითარების ფონზე ბევრს ზედმეტად, უადგილოდ და დაუშვებლადაც მიაჩნია საქართველოს თავდაცვის სამოქალაქო მინისტრის დასტური დსთ-ის ერთიან ჰაერსაწინააღმდეგო სისტემაში შესვლაზე და რუს კოლეგასთან გულთბილი საუბარი.

— ყველაფერი ეს მანამდე მოხდა, სანამ ქართულ სოფლებს დაგვიბომბავდნენ. ახლა ჩემთვის ყველანაირმა შეთანხმებამ და საუბრებმა აზრი დაკარგა. ბავშვობიდან ვიცი, რომ რუსეთი ჩვენი მეგობარი არ არის, ამიტომ არც ჩვენ უნდა მივილტვოდეთ მისკენ სამეგობროდ. გულუბრყვილოა ის, ვინც ფიქრობს, რუსებს ლამაზი სიტყვებით და ტონით მოვხიბლავთო. კაცი ქალს ძალით თავს ვერ შეაყვარებს. ასევე ვერ შევაყვარებთ თავს ჩვენც რუსეთს და არც ძალით (ან ძალის გამო) შეგვიყვარდება. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს — ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებზე“ გაზრდილი საქართველო რუსეთის მოყვარული ვერ იქნება.

— როგორც ვიცით, თვით საქართველოს ხელისუფლებაში აზრთა სხვადასხვაობა და არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ამ საკითხის მიმართ. ერთი ნაწილი (ოქრუაშვილი-თარგამაძე, ანუ სააკაშვილი) ამ პრობლემის ძალისმიერ მოგვარებას ფიქრობს, მეორე ნაწილი კი (ბარამიძე, ხაინდრავა-ჟვანიას ჯგუფი) რუსებთან მოლაპარაკებების გზას არჩევსო. თქვენ რომელ აზრს იზიარებთ?

— თუ ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზა გამოინახება, ძალიან კარგია. ამ საკითხში პაციფისტი ვარ და თუ პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდება, ამას რა ჯობს, მაგრამ როგორც ექსპერტი გეტყვით — სამწუხაროდ, ჯერ არ მსმენია წართმეული ტერიტორიის მშვიდობიანი გზით დაბრუნების ამბავი, მსოფლიოში ამის პრეცედენტი არ არსებობს. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, კოკოითი მშვიდობიან მოლაპარაკებებზე არ დათანხმდება. იგი დღეს მხოლოდ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს — სხვა რამეზე ლაპარაკის უნარი მას არ აქვს. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შექმნას მისთვის ხელსაყრელი ახალი კოკოითები და შეიყვანოს სამაჩაბლოში. კოკოითთან მოლაპარაკება კი არა, მისთვის გამარჯობის თქმაც არ შეიძლება. კაცი, რომელიც რუსეთში ლამის ყოველდღე დადის და ეხვეწება — შემიერთეთ, შემიერთეთო, საქართველოს მოღალატეა და მასზე პროკურატურამ უნდა იზრუნოს.

ყოველგვარი ლაპარაკი, ხელისუფლებაში დაპირისპირებაა სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარების საკითხზეო, უსაფუძვლოა. ყველაფერი ისე იქნება, როგორც პრეზიდენტი და ქართველი ხალხი გადაწყვეტს. ამ შემთხვევაში ბარამიძეც, ხაინდრავაც და ოქრუაშვილიც ერთად იქნებიან. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მშვიდობიან გადაწყვეტილებებს ვემხრობი, თუ ოსები ტერიტორიის წაგლეჯას მოგვინდომებენ, სხვებთან ერთად მეც ჩემს სიტყვას ვიტყვი, ისეთს, როგორიც შეეფერება საქართველოს მოქალაქეს.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

რატომ დაიწყეს ჰუმანიტარული შტურმი და სასუქის შეტანა სამაჩაბლოში?

„როდესაც პრემიერ-მინისტრის მანქანას ესვრიან, პასუხი ადეკვატური უნდა იყოს“



კობა დავითაშვილი გასულ კვირას ისე მწვავედ დაუპირისპირდა ზურაბ ჟვანიას (ხალხზე არ ვრცელდება), რომ ვიფიქრეთ, ამ კაცზე გულს ვერასოდეს მოიბრუნებს-თქო, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრის მანქანას კონფლიქტის ზონაში ცეცხლი გაუხსნეს, დავითაშვილს გული კი არ მოუბრუნდა, ეს ფაქტი საკუთარ შეურაცხყოფად აღიქვა და პრემიერის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის გამო რუსების წინააღმდეგ ომის დაწყებისკენაც მოგვიწოდა. როგორ და რის გამო განიცადა **კობა დავითაშვილმა** ასეთი მეტამორფოზა, ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ბატონო კობა, პრემიერ-მინისტრმა ბიუჯეტის გაზრდითაც ვერ მოგაწონათ თავი, რატომ ამოიჩემეთ ეს კაცი?

— ბიუჯეტის გაზრდას პრეფიციტი ჰქვია და ეს ნამდვილად არ მომხდარა, უბრალოდ, მისი ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა. ბატონ ჟვანიას, ეტყობა, ცუდი მეხსიერება აქვს და ამიტომ მინდა შევახსენო — მან თავის დროზე განაცხადა, ასლან აბაშიძე საქართველოს ბიუჯეტს დახლოებით 400 მლნ დოლარს უმალავდაო. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურისდიქციის აღდგენის შემდეგ ბიუჯეტი 230 მლნ ლარით, ანუ 100 მილიონი დოლარით გაიზარდა, სად წავიდა დანარჩენი 300 მილიონი ლარი, რომელიც აბაშიძის წასვლის შემდეგ უნდა შემოსულიყო ბიუჯეტში (რომ არაფერი ვთქვათ ბიზნესმენებიდან ამოღებულ ფულზე)? ბიუჯეტი ხალხისთვის არსებობს და არა — პირიქით. რა მიიღო საქართველოს მოსახლეობამ ამით? პარადოქსია, რომ ე. წ. „ბიუჯეტის ზრდის“ პირობებში უმწეოთა დახმარებები 1,5 მლნ ლარით შემცირდა. აბსოლუტურად ცრუარგუმენტია — მონიტორინგი ჩატარდა, უმწეოთა სიებიდან მკვდარი სულები გაიცხრილა და ამის შედეგად დაიზოგა თანხაო. თუ ამ საკითხით დაინტერესებით და საპენსიო ფონდში გაიკითხავთ, უთუოდ გიპასუხებენ, რომ მონიტორინგი არ ჩატარებულა. მოსახლეობამ არ იცის, რა არის დეფიციტი, პრეფიციტი, ინფლაცია და დეფლაცია. მან იცის, რომ 14-ლარიანი პენსიით აქამდე თუ ფქვილს ყიდულობდა, დღეს ვეღარ ყიდულობს. ამიტომაც ჩვენ პენსიების გაზრდას კი არა, მათთვის კომპენსაციის გაცემას ვითხოვთ, რათა პენსიის მსყიდველობითი უნარი იგივე დარჩეს. ცხოვრება გაძვირდა, ვალუტის კურსის გამყარება ინფლაციას არ შველის. 115-ლარიანი ხელფასის დაპირება ისევ დაპირებად რჩება. დღეს 115 ლარი ნამდვილად აღარ არის საარსებო მინიმუმი. თუ ხალხისთვის არაფერი გაკეთდებოდა, რისთვის გაიზარდა ბიუჯეტი? იმისთვის, რომ ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა „სხვა საქონელზე მომსახურებისთვის“ 12 მილიონი ლარი მიიღოს? ბატონმა ჟვანიამ იცრუა, — ეს „სხვა ხარჯების“ მუხლიაო. სინამდვილეში, ის 12 მილიონი „ატკატებით“ თუ სხვა გზით ჩასაჯიბად არის გამზადებული. თავდაცვის სამინისტროსთვის რომ გაეზარდათ დაფინანსება, არავინ არაფერს იტყოდა, მაგრამ, როდესაც ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს უზრდიან დაფინანსებას, ეს ნიშნავს, რომ მოსაპარადაც დებენ ფულს. ბატონმა ჟვანიამ დიდი ზარ-ზეიმით გამოგვიცხადა — „თბილავიამშენის“ დიდი პრივატიზაცია იგეგმება და აქედან მოსახლეობა ნულს მიიღებსო. აბა, რაღა უხაროდა? როცა ხელისუფლებას მოსახლეობის იმისთვის, რომ ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა „სხვა საქონელზე მომსახურებისთვის“ 12 მილიონი ლარი მიიღოს? ბატონმა ჟვანიამ იცრუა, — ეს „სხვა ხარჯების“ მუხლიაო. სინამდვილეში, ის 12 მილიონი „ატკატებით“ თუ სხვა გზით ჩასაჯიბად არის გამზადებული. თავდაცვის სამინისტროსთვის რომ გაეზარდათ დაფინანსება, არავინ არაფერს იტყოდა, მაგრამ, როდესაც ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს უზრდიან დაფინანსებას, ეს ნიშნავს, რომ მოსაპარადაც დებენ ფულს. ბატონმა ჟვანიამ დიდი ზარ-ზეიმით გამოგვიცხადა — „თბილავიამშენის“ დიდი პრივატიზაცია იგეგმება და აქედან მოსახლეობა ნულს მიიღებსო. აბა, რაღა უხაროდა? როცა ხელისუფლებას მოსახლეობის ვალი აქვს, პენსიები და დახმარებებია გასაცემი და ამ დროს იყიდება უმსხვილესი ობიექტი, თან ხალხს არაფერს აძლევენ, ეს არის საზეიმო? რატომ არის ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელისთვის უფრო მნიშვნელოვანი თურქმენეთი, ვიდრე ჩვენი მოსახლეობა. მივესალმები ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას, თუ ეს მოსახლეობას მოხმარდებოდა, მაგრამ, როცა ეს ბიუროკრატიის ხარჯებს ხმარდება, ნამდვილად არ გამიხარდება.

— ხალხი ახსენეთ და დღეს მეტად შეჭირვებულია სამაჩაბლოს მოსახლეობა. ხომ არ ნანობთ თავდაცვის მინისტრობაზე უარის თქმას, დღეს შანსი გექნებოდათ მათი უსაფრთხოება დაგეცვათ?

— ჟვანიას კაპიტულანტურ მთავრობაში თავდაცვის მინისტრობაზე უარის თქმას ნამდვილად არ ვნანობ. ეს მთავრობა აცხადებს, — რუსეთის სამშვიდობოები უნდა გავიდნენ სამაჩაბლოდანო და ამ დროს არ სვამს დაგომისის ხელშეკრულების დენონსირების საკითხს. ეს ხომ სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა რუსეთის ე. წ. სამშვიდობო (სინამდვილეში კი საოკუპაციო) ჯარების გაყვანისთვის. დღევანდელი ხელისუფლება, ფაქტობრივად, რუსეთისთვის კოჭის გაგორებისა და წაყრუების შევარდნაძისეულ პოლიტიკას აგრძელებს და ნამდვილად ვერ ვიქნებოდი ამის მონაწილე. რისთვის ჩავიდა გია ბარამიძე რუსეთში და რას მიაღწია სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარების მხრივ? დღეს დახოცილები და დაჭრილები გვყავს, დავკარგეთ კონტროლი 5 სოფელზე, დაიწყო ეთნიკური წმენდის მეორე ეტაპი და ყველაზე დიდი მიღწევა, რომელიც გვახარეს, ის ყოფილა, — ოსებმა ცეცხლი შეწყვიტესო. კატეგორიულად ვწინააღმდეგები რუსეთთან ერთად რაიმე სამხედრო ალიანსში შესვლას. დსთ-ის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემაში შესვლის საკითხი ბარამიძემ კი არა, პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს. ჩვენც ვხედავთ და ხელისუფლებაც, რომ რუსების ფერების პოლიტიკა კრახით დასრულდა. ჯერჯერობით ხელისუფლების პოლიტიკის შედეგი ისაა, რომ კონფლიქტის ზონიდან 800 ბავშვი გაიყვანეს. თუ ეს იყო ხელისუფლების მიზანი, აფერუმ, მათ პოლიტიკას.

— გასულ კვირას პრემიერ-მინისტრი რეალურ საფრთხეს გადაურჩა, მის მანქანას ცეცხლი გაუხსნეს. როდესაც ეს ამბავი შეიტყვეთ, რა იფიქრეთ?

— მნიშვნელობა არა აქვს, ჟვანიას ესროლეს თუ დავითაშვილს, როდესაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მანქანას ესვრიან, პასუხი ადეკვატური უნდა იყოს. მერე მაინც უნდა გავბრაზებულიყავით და დაგვემყარებინა ჩვენი იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე. როდესაც შენს ტერიტორიას ასე თავხედურად გეცილებიან, ის ძალით უნდა დაიბრუნო. რუსეთის განზრახვები პუტინის მართულით ჟირინოვსკის ქმედებებმაც არ უნდა დაგვანახვოს? რატომ ვერ ვხედავთ, რომ ორი რუსეთის თეორია ძალზე ზღაპრულია. რუსეთი ერთია, ის საქართველოს მიმართ მტრულად არის განწყობილი და ჩვენც მტრულად უნდა დავხვდეთ.

— არ ფიქრობთ, რომ მთავრობას ომამდე არ უნდა მისვლა და იმიტომ ფრთხილობს.?

— სამშობლოს დასაცავად ომი წმიდათაწმიდა საქმეა. თუკი სამშობლო არ გვანაღვლებს, მაშინ ვცნოთ ოსეთის დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობაც დავამყაროთ. ჩვენი სამშობლო ჩვენ უნდა დავიცვათ. თუ ამ პრობლემის მოგვარების შნო არ ჰქონდათ, რად დაიწყეს ეს ჰუმანიტარული შტურმი და სასუქის შეტანა სამაჩაბლოში? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენს მთავრობას მხოლოდ ერთჯერადი პიარაქციების ჩატარება შეუძლია და არავითარი სტრატეგია არა აქვს შემუშავებული. მათ მხოლოდ ტაქტიკა აქვთ და ერთ კვირაზე უფრო წინ არ იყურებიან.

— პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს მოგიწოდათ, სამაჩაბლოში მორიგეობით ჩადითო, აპირებთ იქ გამგზავრებას?

— როდესაც სამშობლო ჯარში გამიწვევს, მომცემს იარაღს და ნათელ საბრძოლო ამოცანას დამისახავს, სამაჩაბლოში მაშინ ჩავალ. პირდაპირი ჩართვებისთვის და ეკრანზე გამოჩენისთვის კი არა, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ნამდვილი ბრძოლა, კოკოითის ბანდიტების დაპატიმრების ოპერაცია დაიწყება, უთუოდ ჩავალ სამაჩაბლოში. ომი და სისხლის ღვრა არავის გვინდა, მაგრამ, როდესაც სამშობლოს გართმევენ, როდესაც რუსეთის დუმა ტერიტორიულ პრეტენზიებს გიყენებს, როდესაც შენს პრემიერ-მინისტრს ესვრიან, თუ თავმოყვარე ერი ხარ, სამშობლო უნდა დაიცვა და თუ საჭირო გახდა, იარაღითაც, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ.

იზო რკაძე

დაზავება მორიგი თავდასხმის წინ?!

მოიტყუებს თუ არა თავს შევარდნაძესავით სააკაშვილი?



დღეს საქართველო ამ ჯარისკაცს წააგავს, რომელსაც ავტომატზე ფუჭი ტყვიების სასროლი მოწყობილობა უყენია, თუმცა... ნამდვილი ტყვიების სროლაც შეუძლია...

12 წლის წინ, 14 აგვისტოს, აფხაზეთის ომი დაიწყო. ამ ომში არაერთხელ მოატყუეს საქართველოს მაშინდელი მეთაური ედუარდ შევარდნაძე: ჯერ ზავზე მოაწერინებდნენ ხელს და შემდეგ აფხაზურ-რუსული გაერთიანებული ძალები ხელშეკრულებას მუხანათურად არღვევდნენ და მოულოდნელად ესხმოდნენ თავს ქართულ პოზიციებს და ქალაქებს. ბოლო შეთანხმება, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, 1993 წლის 27 ივლისს მოხდა, თუმცა უკვე 16 სექტემბერს აფხაზურმა მხარემ მოულოდნელად განაახლა შეტევა სოხუმზე, რასაც აფხაზეთის დროებით დაკარგვა მოჰყვა.

ახლაც, 14 აგვისტოს, ოღონდ 2004 წელს, მორიგი შეთანხმება იქნა მიღწეული ცხინვალში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მოლაპარაკებებზე ამ ქალაქში ქართველი ძალოვნების მთელი კოჰორტა ჩავიდა. საუბარი შეეხო ცეცხლის შეწყვეტასა და ძალთა დაშორიშორებას, მათ შორის, ყველა იმ სამხედრო დანაყოფების კონფლიქტის ზონიდან გაყვანას, რომლებსაც არ გააჩნიათ სამშვიდობო ძალების მანდატი.

თუკი კეთილსინდისიერად მოეკიდება პირობის შესრულებას, ქართული მხარე ვალდებული იქნება, თითქმის გორამდე გამოიყვანოს მთელი ძალები, გარდა 498-კაციანი სამშვიდობო ძალების პირადი შემადგენლობისა და 15 ჯავშანმანქანისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდი ლიახვის ხეობაში მხოლოდ ამ ნახევარათასიანი ქართული სამშვიდობო კონტინგენტის მცირე ნაწილი დარჩება აჩაბეთის ბაზაზე და ხეობიდან გამოყვანილი იქნება ის დამატებითი ძალები, რომელთა იქ ყოფნას დღემდე გვედავება მოსკოვი და ცხინვალი.

პარალელურად, ცხინვალი უნდა დატოვოს ყველა უცხო ძალამ — ეს ასეც რომ მოხდეს, ისინი მაქსიმუმ დიდ გუფთამდე ან ჯავამდე მივლენ და იქ დაბანაკდებიან, რადგან დიდ გუფთასთან რჩება კონფლიქტის ზონის ჩრდილოეთი საზღვარი.

თუმცა დიდი გამჭრიახობა არ უნდა იმის მიხვედრას, რომ ქართული მხარის დამკვირვებლები ეზო-ეზო, სართულ-სართულ ვერ ჩამოივლიან მთელ ცხინვალს და ვერ შეამოწმებენ, დარჩა იქ ვინმე თუ არა. პატარა ქალაქში უფრო ადვილია ხალხის გადამალვა, ვიდრე თამარაშენსა თუ კუხვში, რომ აღარაფერი ვთქვათ ტყიან ფერდობებზე. თანაც ღამღამობით ცხინვალის შემოგარენში უკვე შესამჩნევად აცივდა და ცოტა ხანში ტყეში ხალხის უცეცხლოდ გაჩერება შეუძლებელი გახდება. თუკი დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლებიდან, რომლებიც ბავშვებისა და ქალების დიდმა ნაწილმა დატოვა, მთლიანად გამოყვანილი იქნა მისი დამცველი დამატებითი ქართული დანაყოფები, გამორიცხული არ არის, განმეორდეს 1993 წლის 16 სექტემბერი — რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ მხარდაჭერით გათამამებულმა ოსმა სეპარატისტებმა ცხინვალიდან თამარაშენს შეუტიონ, ხოლო ჯავიდან — კუხვს. პარალელურად წარიმართება შეტევები ოსური ფრისიდან და სარაბუკიდან — ერედვის, ხოლო დმენისიდან — ვანათის მიმართულებით.

დამატებითი ძალების უკან დაბრუნება, გზების გადაჭრის გამო, ძალზე გაძნელდება და თბილისს დარჩება ერთადერთი გამოსავალი — ბრძოლაში უპირატესობის მოსაპოვებლად ჩართოს მსხვილკალიბრიანი არტილერია და საბრძოლო ავიაცია.

ეს კი ბევრად ადვილად დასაფიქსირებელია ვიდეოკადრებზე, ვიდრე 5-10-კაციანი ოსურ-რუსული საბრძოლო ჯგუფებით ქართული სოფლების აღება, შესაბამისად, ეს ვიდეოკადრები სათაურით — „აი როგორ ბომბავენ ჰაუბიცებითა და მოიერიშე თვითმფრინავებით მშვიდობიან ქალაქ ცხინვალს“ — გავრცელდება რუსული პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით.

წარმოუდგენელია მშვიდობისა და ომის თანაარსებობა — ეს მარაზმია. უბრალოდ, ძალიან ცუდი იქნება, თუკი პრეზიდენტ სააკაშვილსაც ისევე გააცურებს კრემლი, როგორც შევარდნაძეს (და, შესაბამისად, მთელ საქართველოს)...

კვლავ შეცდომები თუ ელემენტარული უვიცობა?!

ქართველი პოლიტიკოსები და მასმედია 12 წლის წინანდელ შეცდომებს იმეორებენ

— უშიშროების მინისტრის მოადგილე პრესკონფერენციაზე, მორიგი ორმხრივი სროლის კომენტირებისას, აზუსტებს, რომ რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა“ ქართული სოფლის დაბომბვისას ჰაუბიცები გამოიყენეს. რამდენიმე საათში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ახალი უფროსი აკონკრეტებს, — კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ბატალიონს შეიარაღებაში ჰაუბიცები არა აქვსო.

და ეს უკანასკნელი მართალია, რადგან თამარაშენს ნაღმსატყორცნებით ბომბავენ და არა ჰაუბიცებით, რაზეც სოფელში აღმოჩენილი ნაღმის კუდის ნაწილის ნარჩენებიც მეტყველებს. ელემენტარული შეცდომის ან უცოდინარობის გამო საქართველოს ოფიციალური პირი „ნაღმსატყორცნის“ ნაცვლად ხმარობს „ჰაუბიცას“, რაც რუს გენერალს პასუხის ვარირების საშუალებას აძლევს და ის თვით დაბომბვის ფაქტზე კი აღარ აკეთებს კომენტარს, არამედ გამოყენებული იარაღის სახეობაზე და მოხერხებულად იმართლებს თავს, ხოლო ქართულ მხარეს ერთგვარ სიცრუეში ამხელს, რითაც მრავალმილიონიან მაყურებელს თავის სიმართლეში არწმუნებს.

— საქართველოს პრეზიდენტი უცხოელი ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენციას იწვევს და ოპერატიულ რუკასთან საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსს აკეთებინებს კომენტარს საქართველოს საჰაერო სივრცის ჩრდილოეთიდან დარღვევაზე. მაგრამ მესაზღვრეები ქვეყნის საჰაერო სივრცეზე პასუხისმგებლები მხოლოდ მათი სასაზღვრო კოშკურების სიმაღლეზე (3-5 მ) თუ არიან. საჰაერო სივრცის დარღვევაზე მოხსენება კი საჰაერო ძალების სარდალმა უნდა გააკეთოს. ალბათ ამიტომაც მოჰყვება ამ სპეციალურ კონფერენციას ცოტა უზრდელი პასუხი მოსკოვიდან, სადაც რუსეთის თავდაცვის მინისტრი საკმაოდ აგდებულად უკეთებს კომენტარს რუსული თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევას დამტკიცება უნდაო.

— ჟურნალისტი, კარგი ჩეკისტივით, ტელეკამერის წინ, რამდენიმე წუთი ნამდვილ დაკითხვას უწყობს 70 წლის მანდილოსანს თამარაშენში თუ ერედვში — თქვენს სოფელს ოსები რას ესროდნენ — ავტომატს, ტყვიამფრქვევს, ყუმბარსატყორცნს თუ ბალისტიკურ რაკეტასო. მოწინააღმდეგის მიერ გარკვეული დისტანციიდან გამოყენებული იარაღის კონკრეტული სახეობის აბსოლუტურად ზუსტად დადგენა მხოლოდ ხმით, მარო ბაბოს კი არა, „რემბოსაც“ გაუჭირდება.

ეს ორიოდ მაგალითი ნათელს ხდის, საბრძოლო მოქმედებების გაშუქებისას თუ რა არაკომპეტენტურად ვიქცევით როგორც პოლიტიკოსები, ისე ჟურნალისტები.

არავის ჭკუის სწავლებას არ ვაპირებთ, მაგრამ დასანანია, რომ ხშირად იმავე შეცდომებს ვუშვებთ, რის გამოც 12 წლის წინ (თუნდაც იმავე ცხინვალის რეგიონში) ბევრი სიმწარე ვიწვნიეთ.



ქართული იარაღის სამჭედლო

მიუხედავად „ეკონომიკური შემოტევებისა“, „თბილავიამშენი“ ქართულ არმიას იარაღს კვლავ აწვდის



ცხინვალის რეგიონში პერმანენტულ დაძაბულობას „თბილავიამშენის“ პრივატიზებასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი მაინც არ დაუჩრდილავს. გარკვეულ ფინანსურ წრეებს და პოლიტიკოსებს შეიძლება კვლავ უნდოდეთ „თბილავიამშენის“ გარშემო ახალი ფინანსური სკანდალის აზვირთება, მაგრამ ეს ჩვენი სტატიის მთავარი თემა არ გახლავთ.

მთავარი ის არის, რომ „თბილავიამშენი“ აგრძელებს ქართული იარაღის წარმოებას. ცოტა ხნის წინ უშუალოდ ცხინვალის მისადგომებთან ქართულ შეიარაღებულ დანაყოფებს გარკვეული რაოდენობით (ციფრს, რა თქმა უნდა, არ დავაზუსტებთ) ამ ქარხნიდან უკვე მიაწოდეს საჭირო ყუმბარსატყორცნები და ნაღმსატყორცნები, ანუ იარაღის ზუსტად ის სახეობები, რომელთა ეფექტიანად გამოყენება შეიძლება ამ რეგიონში.

ეს „თბილავიამშენის“ საქმიანობის მეორე, შედარებით უხილავი მხარეა, თორემ ეს კოლექტივი მერამდენე წელია აქტიურად ეხმარება (ხშირად უსასყიდლოდ) ქართულ სამხედრო ავიაციას. ეს დახმარება განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალების ახალი სარდლის დანიშვნის შემდეგ.

ამ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად უკვე გარემონტებულია რამდენიმე ქართული Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი და Ми-8 ტიპის შვეულმფრენი.

თუკი „თბილავიამშენი“ უცხოელი მმართველის ხელში აღმოჩნდება, საეჭვოა, მან ქართული საბრძოლო თვითმფრინავები და სამხედრო შვეულმფრენები გულისყურითა და თანაც ნისიად გაარემონტოს.

თურქმენეთის მოიერიშე თვითმფრინავების შემდეგ ამავე ქვეყნის სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8МТ და საბრძოლო Ми-24 ტიპის შვეულმფრენების კაპიტალური რემონტის დაწყება იმაზე მიუთითებს, რომ აღარასოდეს განმეორდება ის სირცხვილი, რასაც ქართული შვეულმფრენების უკრაინაში, ხუთწლიანი „იძულებითი“ რემონტი ერქვა.

Ми ტიპის შვეულმფრენების რემონტის სრულყოფილი ათვისება „თბილავიამშენს“ საშუალებას აძლევს, გახდეს ამ შვეულმფრენების კაპიტალური რემონტის მთავარი სერვისცენტრი არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ შუა აზიაშიც. მით უმეტეს, როცა ქარხანაში აპირებენ, ხელი მოჰკიდონ ზემოხსენებული შვეულმფრენების ტურბოხრახნიანი ძრავების ТВ3-117-ისა და მთავარი რედუქტორების რემონტსაც.

ასევე გათვალისწინებულია Су-25 ტიპის მოიერიშეებზე დაყენებული Р-95Ш და Р-195 ტიპის რეაქტიული ძრავების რემონტიც.

ანუ ქარხანა, რომელიც დღემდე მხოლოდ თვითმფრინავებს აწყობდა, ამიერიდან ძრავებსაც გაარემონტებს და ამით მიიზიდავს ყველა პოტენციურ კლიენტს.

ყოველივე ეს კი იმისთვის კეთდება, რომ „თბილავიამშენი“ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სამგზავრო თვითმფრინავის, „ბოინგ-737“-ის, კაპიტალური რემონტის სერვისცენტრად იქცეს, სადაც ამ თვითმფრინავების ძრავებსაც გაარემონტებენ.

და ყველაზე მთავარი: ცოტა ხანში, თუკი ყველაფერი გეგმით წარიმართა, „თბილავიამშენი“ ქართულ საჰაერო ძალებს რამდენიმე „სკორპიონს“ მიაწვდის, რის შემდეგაც საქართველოს სამხედრო ავიაციას შეეძლება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უზუსტესად და თანაც ღამითაც მიაღწიოს წარმატებას.



ისრაელში უგანდის МиГ-21-ების შემკეთებელ ქართველ სპეციალისტებთან შეხვედრისას, პრეზიდენტმა საკაშვილმა კბილებში გამოცრა: — ფეხით უნდა ჩამოკიდო ის ქართველი ჩინოსნები, რომლებმაც „თბილავიამშენს“ ხელი შეუშალეს ამ თვითმფრინავების თბილისში ჩამოტანასა და გარემონტებაშიო.

კაცი, რომელსაც ძლიერი ქართული სამხედრო ფლოტის შექმნა არ დასცალდა



სულ ორიოდე კვირის წინ საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალებმა დიდი მწუხარებით მიუსამძიმრა „კვირის პალიტრას“ მთავარი რედაქტორის, ქალბატონ ლალი გუნთაიშვილის გარდაცვალების გამო.

ახლა კი სამწუხაროდ „კვირის პალიტრა“ უსამძიმრებს საზღვაო თავდაცვის ძალებს სარდლის, ვიცე-ადმირალ გიგლა (ზურა) ირემაძის უცარ გარდაცვალებას.

ზურა ირემაძე რთული, მაგრამ ძლიერი პიროვნება გახლდათ. იგი დღედაღამ ქართული სამხედრო ფლოტის გაძლიერებაზე ფიქრობდა და მუშაობდა. ზოგიერთისგან განსხვავებით, კარგად იცოდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ზღვიდანაც იწყება...

სამწუხაროდ, 44 წლის ვიცე-ადმირალს არ დასცალდა ქართული სამხედრო-საზღვაო ძალების იმ სახით შექმნა და გაძლიერება, როგორსაც შავ ზღვაში საქართველოს სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს...

„კვირის პალიტრის“ რედაქცია და რუბრიკის ავტორი თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და საზღვაო-თავდაცვის ძალებს, რომელმაც ნამდვილი მეთაური დაკარგა.

თავდაცვის მინისტრმა მატყუარებს ხელი სერიოზულად მოჰკიდა

დანუნებული კარტოფილი საბავშვო ბაღს აჩუქეს

ამ სტატიით დავამთავრებ თემას, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მიერ უხარისხო ორცხობილისა და კარტოფილის შესყიდვას ეხება.

„კვირის პალიტრის“ წინა ორ ნომერში გამოქვეყნდა ექსკლუზიური მასალები იმ დარღვევების შესახებ, რაც ჯარისკაცებისთვის პროდუქტების შესყიდვის პროცესს ახლდა.

სასიამოვნო იყო, რომ თავდაცვის მინისტრმა, ბატონმა გიორგი ბარამიძემ, ძალზე ოპერატიული რეაგირება მოახდინა ამ სტატიებზე (მსგავსი რამ ადრინდელი თავდაცვის მინისტრებისგან წარმოუდგენელი გახლდათ). რედაქციას დაუკავშირდნენ თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები და გვაცნობეს: — თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-კრიმინალისტიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების მიერ ჩატარებულმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ორცხობილა გამომხმარი (და არა ღუმელში გამომშრალი) პურის უფორმო და არათანაბარი ზომის უხეში ნარჩენები და ნატეხებია, არ შეესაბამება სტანდარტს და დაკარგული აქვს სასაქონლო სახე. თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნით, ორცხობილის შემომტანმა კერძო ფირმამ იგი უკან გაიტანა და, შესაბამისად, მთავარ სამხედრო უწყებას ზარალი არ უნახავს. თუმცა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს (პირადი თხოვნის საფუძველზე!) თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, აგრეთვე ცენტრალური სასურსათო ბაზის უფროსი.

„კარტოფილის საქმესთან“ დაკავშირებით კი შემდეგი გაირკვა: — 30 თეთრზე ნაკლებად შესყიდული იქნა 10 ტონა კარტოფილი, რომლის ხარისხზე სამხედროებს თავიდან არავითარი პრეტენზია არ ჰქონიათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მომწოდებელს უთაღლითია — სტანდარტული და კარგი კარტოფილის ქვეშ არასტანდარტული, 3 სმ დიამეტრზე პატარა კარტოფილი შემოუტყუებია. წვრილი კარტოფილი, რა თქმა უნდა, საჭმელად ვარგისია, მაგრამ ცხადია, იაფი. ნორმატიული აქტით — შესყიდულ პროდუქტში წვრილი კარტოფილის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს, აქ კი, გადარჩევისას, წვრილი კარტოფილის პროცენტულმა შემადგენლობამ 25%-ს გადააჭარბა.

შემომტანმა ფირმამ წვრილი კარტოფილი გაიტანა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასურსათო ბაზიდან და, როგორც ამბობენ, ერთ-ერთ საბავშვო ბაღს აჩუქა.

ეს მცირე ჟურნალისტური გამოძიება და მისი შედეგები მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს — ქვეყნის თავდაცვის საქმეში ყველა ნიუანსს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ვიღაცის ნასუფრალი გამხმარი პურით დანაყრებული ჯარისკაცი გმირობაზე ვერ იფიქრებს.

არსენალი

ომს ნაღმსატყორცნები იწყებენ

ცხინვალის რეგიონში „მცირე არტილერია“ ამუშავდა

12 ივლისის „კვირის პალიტრის“ სტატიაში, „რა უნდა იცოდეს მოსახლეობამ ომის დროს“, ვწერდით: — „საფრთხეს უპირველესად ზრდის გეოგრაფიული მდგომარეობა — დიდი და პატარა ღიახვის ხეობები ერთმანეთისგან სულ რამდენიმე კმ-ითაა დაშორებული, ხოლო ცხინვალიდან ქართულ სოფელ ერედვს 82 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნის ნაღმიც კი სწვდება.

სწორედ ნაღმსატყორცნებია ყველაზე საშიში მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, რადგან სროლა მთის უკანა, ტყიანი ფერდობიდანაც შეიძლება, ხოლო ნასროლი ნაღმი თითქმის შვეულად, ზემოდან ეცემა და დაუცველ მოსახლეობას საფრთხეს უქმნის“.

სამწუხაროდ, ვარაუდი გამართლდა — სწორედ სეპარატისტების ნაღმსატყორცნებიდან ნასროლი ნაღმები აზიანებდნენ ყოველ ღამეს ერედვისა თუ თამარაშენის საცხოვრებელ სახლებს, დაიჭრა მშვიდობიანი მოსახლეობა.

დაბომბვის ადგილიდან ამოღებული ნაღმების ნარჩენების თვალის შევლებაც კმარა იმის დასადგენად, რომ სეპარატისტები ძირითადად 82 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნებით ისვრიან, თუმცა ბოლომდე არც 120 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნების გამორიცხვა იქნებოდა სწორი.

ნაღმსატყორცნებს I მსოფლიო ომის დროიდან იყენებენ. დღეს ცხინვალის რეგიონში ძირითადად 82 მმ კალიბრიან 2Б14 Поднос-ის ტიპის ნაღმსატყორცნებს ხმარობენ. იგი ავღანეთის ომში გამოსცადეს და 1983 წელს მიიღეს საბჭოთა არმიის შეიარაღებაში.

„პოდნოსი“ სამი ნაწილისგან — გლუვი ლულის, ღაფეტისა და ფეხებისგან შედგება. ნაღმს მსროლელი ნაღმსატყორცნის ლულის პირიდან, ზემოდან აგდებს. ლულის ძირში ნემსია დამაგრებული, რომელიც აფეთქებს ნაღმის კუდში ჩაყენებულ ვაზნას. ამ დროს ხდება ნაღმზე შემოხვეული დენთით სავსე ტილოს ტომსიკის ინიცირება და აფეთქების ძალა ნაღმს ლულიდან გამოტყორცნის. „პოდნოსი“ 42 კგ-ს იწონის და მისი გათვლა წუთში 15-22 ნაღმს ისვრის 4 კმ-ზე შორ მანძილზე.

120 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნი 2Б11Сани, „პოდნოსისგან“ განსხვავებით, მანქანის ძარით კი არ გადააქვთ, არამედ ორბორბლიან ღაფეტზე დგას და ბუქსირით ებმება მანქანას. იგი 1979 წელს მიიღეს შეიარაღებაში. „სანი“ საბრძოლო მდგომარეობაში (ბორბლებიანი ღაფეტის გარეშე) 210 კგ-ს იწონის და 120 მმ-იან ნაღმს მაქსიმალურ, 7,2 კმ-ზე ისვრის. ნაღმსატყორცნიდან მისი გათვლა წუთში 10-15 გასროლას ასწრებს. შეუძლია როგორც მსხვრევად-ფუგასური, ისე მანათობელი, ცეცხლგამჩენი და საკვამლე ნაღმების სროლა. 82 მმ კალიბრიანი ნაღმი დაახლოებით 3 კგ-ს იწონის, ხოლო 120 მმ-იანი — 16 კგ-ს.

როდესაც ამხელა ნაღმი თითქმის შვეულად, ზემოდან ეცემა კრამიტით გადახურულ საცხოვრებელ სახლს, იოლი წარმოსადგენია, შიგ მყოფთ რა ზიანს მოუტანს.

ჩვენი ინფორმაციით, სიტუაციის დაძაბვამდე სეპარატისტებს არც ისე დიდი რაოდენობით ჰქონდათ 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნები, მაგრამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩრდილო ოსეთიდან ბევრი შემოზიდეს — ტენტიანი სატვირთო მანქანის ძარაზე მოთავსებული იარაღის გარედან შემჩნევა შეუძლებელია.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: კონფლიქტის ზონაში განთავსებული რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ შეიარაღებაში ბოლო დრომდე 6 ცალი 82 მმ კალიბრიანი „პოდნოსი“ იყო, რომლებიდანაც, სავარაუდოდ, ასევე იბომბება ქართული სოფლები.

ნაღმსატყორცნით ნაღმის გასროლის მომენტის დაფიქსირება დღისით, შორიდან ჭირს, რადგან გასროლის პროცესს არ ახლავს ისეთი ცეცხლის გამოტყორცნა, როგორიც ქვემეხისთვისაა დამახასიათებელი; თუმცა ღამით სროლისას მაინც შეიმჩნევა ლულის პირიდან ამოტყორცნილი მცირე ალი. გასროლის ხმა კი მინიმალურია.





120 მმ კალიბრიან ნაღმსატყორცნს ბორბლებიანი ღაფეტიდან ხსნიან (მარცხნივ);

120 მმ-იანი ნაღმი (შუაში);

82 მმ-იანი ნაღმსატყორცნი ღამით სროლის დროს (ქვემოთ).



ნასროლი ნაღმი ოვალური ტრაექტორიით არც ისე სწრაფად მიფრინავს. მისი მიზანში დაცემის წინ ისმის დამახასიათებელი ზუზუნი, რაზეც პროფესიონალ და გამოცდილ მებრძოლს შეუძლია სწრაფი რეაგირება და სანგარში დროულად ჩახტომა, მაგრამ მშვიდობიანი მოსახლეობა ამას ვერ მოახერხებს.

ამიტომაც მათ ერთი თვის წინანდელ რჩევას გავუმეორებთ: ნუ დაიზარებთ ეზოში ელემენტარული თავშესაფრის გაკეთებას, იქნება ეს სანგარი თუ სარდაფი, აკარით ფანჯრებს ჯვარედინად ქაღალდის ზოლები, რათა ნაღმის აფეთქების ტალღით დამსხვრეულმა მინამ არ დაგაზიანოთ...

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

უპატრონო საფლავი



ლენინგრადელ ბორია ბაბანოვს თუ რამ ჰქონდა ამქვეყნად სატრაბახო, ის იყო, რომ მისი დიდედის ბებია ანა იმ ერთ-ერთი ქართველი თავადის ასული გახლდათ, რომელიც ვახტანგ მეექვსის ამალას ახლდა მოსკოვში და მეფის სამშობლოში წამოსვლის შემდეგ, მამის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თავის გულის სწორთან დარჩენილა. მართალია, ბორის მარკოვიჩს ქალბატონი ანას გვარიც კი არ ახსოვდა ხეირიანად, მაგრამ ნათქვამის დასტურად განჯინიდან წინაპრის ნაქონ ღვთისმშობლის ხატს გამოაბრძანებდა. ერთხელ ერმიტაჟში ვიღაც ქართველმა მეცნიერმა ამ ხატის ხუცური წარწერა დაახლოებით ასე გაშიფრა: — „ხატი ესე თავადს წულუკიძეს და მის მოდგმას ეკუთვნის... ამიერიდან უკუნისამდე“. ჰოდა, ბორია ხატის კანონიერი მფლობელი გახლდათ და ამაყობდა კიდეც. მერე რა, რომ ვერაფრით მოეხერხებინა შორეული წინაპრის უცნაური გვარის გამოთქმა, მერე რა, რომ სოციალისტურ რუსეთში არც ხატის, მით უმეტეს, ქართული ხატის გამომზეურება იყო მაინცდამაინც სასურველი. დიდი ამბავი — ბორიას ვერც პარტიიდან გარიცხავდნენ და ვერც სამსახურში დააქვეითებდნენ — მორეისე შოფერი იყო და ამგვარ აკრძალვებს არაფრად დაგიდევდათ. თუმცა მაინც შეაჭრეს ფრთები და აი, როგორ: ავტოპარკის მანქანებს, სადაც ბორის მარკოვიჩი მუშაობდა, საბჭოთა კავშირის ნებისმიერ კუთხეში შეხვდებოდით და, ბუნებრივია, არც საქართველო იყო გამონაკლისი, მაგრამ ბორის ბაბანოვს ერთხელაც არ აღირსეს ამ მიმართულებით რეისი. ისღა დარჩენოდა, ამხანაგი შოფრებისგან მოესმინა მონათხრობი საქართველოს შესახებ. ეს იყო და ეს, რაც საქართველოსთან აკავშირებდა ბორისს. მის ოცნებას — ერთხელ მაინც ეხილა ეს ჯადოსნური ქვეყანა, ეტყობა, ჯერ ახდენა არ ეწერა. გაივლის წლები. ბორის ბაბანოვი საქართველოშიც ჩამოვა და სამუდამო განსასვენებელსაც აქ დაიდებს, მაგრამ ახლა ის ამაზე არ ფიქრობს. სხვა უფრო დიდი საზრუნავი გასჩენია ოჯახის თავკაცს.

თეთრი ცხელება

ბაბანოვები ლენინგრადის გარეუბანში, სოფლური ტიპის დასახლებაში ცხოვრობდნენ. მარიასა და ბორისს ერთადერთი ვაჟი ჰყავდათ, ვასილი. იგი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბორიამ გემზე სამსახურს დაანება თავი. არადა, კარგი მეზღვაური იყო. ერთ რამედ ღირდა ამ ახოვანი ვაჟკაცის მხარულის ცქერა — ტორპედოსავით მიაპობდა ტალღებს. არაერთი თანამოძმე უხსნია ზღვის კლანჭებისგან გაავებული შტორმის დროს. გემის ეკიპაჟმა, რომელზეც ბოლოს მსახურობდა, ცრემლიანი მზერით გამოაცილა მამაცი მეზღვაური. თვითონაც დასწყდა გული, მაგრამ ოჯახის შექმნა გადაეწყვიტა და თანაც არა ისეთის, ქმრები ორ წელიწადში ერთხელ რომ ნახულობდნენ ცოლ-შვილს. ბავშვობიდან უყვარდა მარია და ახლა, როცა რაღაც კაპიკებს მოუყარა თავი, საკუთარი ჭერი გაიჩინა — პატარა ქოხი, ხმაურიანი ქალაქისგან მოშორებით.

საყვარელი ცოლი და ნანატრი შვილი — ვასია ჰყავდა. სამსახურიც მიწიერი იშოვა, ვეებერთელა მორეისე სატვირთოზე მოეწყო მძღოლად და მართალია, გამუდმებით მივლინებებში იყო, მაგრამ მუზღვაურებისაგან განსხვავებით ორი წლის ნაცვლად, ორ-სამ კვირაში ერთხელ მაინც ათევდა ღამეს შინ. ასე ცხოვრობდნენ, ვიდრე ბიჭი არ წამოიზარდა. მერე კი:

— ბორია, ბიჭს რაღაც ემართება. მეტის-მეტად გულჩათხრობილი გახდა. მთელ დღეებს მეზობელთან ატარებს. იქ კი გამუდმებით საეჭვო ხალხი ირევა. იქნებ დაელაპარაკო და გაიგო, რა ხდება მის თავს.

ასეთი რამ არასდროს უფიქრია, მაგრამ ახლა აღმოაჩინა, რომ ამ კითხვას ელოდა. მეზობელი ნარკოტიკებით ვაჭრობდა და საეჭვო ხალხიც ამიტომ დადიოდა მასთან. უეჭველია, ვასიაც ამ სატყუარას გამო ათენ-აღამებს მათ კარზე. აგერ-აგერ, ბიჭი თხუთმეტი წლის გახდებოდა და ჯერ ერთხელაც არ უსაუბრია მასთან, თანაც არა მარტო როგორც მშობელს, ისე, როგორც თანატოლს თანატოლთან. სულ აპირებდა, მაგრამ ფიქრობდა, ჯერ ადრეაო და ახლაღა აღმოაჩინა, რომ დაჰგვიანებოდა. ბორისი მიხვდა, რა სენიც შეიძლებოდა შეჰყროდა შვილს. აღარ დაახანა და საღამოს ფარდულისკენ გაიხმო და ძმაკაცივით ელაპარაკა ვასიას. ბიჭმაც მიკიბ-მოკიბვის გარეშე უთხრა, ნარკოტიკებს ისე შევეჩვიე, ახლა ნემსის გარეშე სიცოცხლე აღარ შემიძლიაო. ბორისს თავზარი დაეცა, მაგრამ თავს მოერია — არ უნდოდა შვილისთვის თავისი სისუსტე ეჩვენებინა. სიმწრისაგან ენა მოიკვნიტა და ჰკითხა:

— ძალიან რომ მოინდომო, მაშინ?

— არა, მამა. მე უკვე ისეთი ავადმყოფი ვარ, რომელიც აღარ იკურნება.

— მაგასაც ვნახავთ. მე ვიქნები შენი მკურნალი და პირობას გაძლევ, განგკურნავ კიდეც. ხვალიდან შევუდგებით საქმეს. ახლა კი დაწექი და ეცადე, მაგ საწამლავზე აღარ იფიქრო.

ბორიას ერთი ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს შვილისთვის, ყველაფერს საკუთარ თავს აბრალებდა. იმ გაუთავებელი მივლინებების ბრალი იყო, რომ შვილი ხელიდან წაუვიდა. ოჯახის რჩენა როდი ყოფილა მთავარი. ბიჭს მამა სჭირდებოდა, ბორია ბაბანოვი კი ამ დროს კემპინგებში ათევდა ღამეებს.

— ჩემი ბრალია და მე უნდა გადავარჩინო, — მერამდენედ იმეორებდა ფიქრში. გაახსენდა, ერთხელ ვიღაც ცნობილი ნარკოლოგი დაემგზავრა რეისში. ჰოდა, იმ კაცმა ისეთი რამ ასწავლა, არ უნდა გასჭირვებოდა ამის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღებაც ამან გაუადვილა. მეორე დღეს სამუშაოდან გათავისუფლდა. მერე ნაცნობი მილიციელების დახმარებით ბორკილები იშოვა და საღამოს შინ რომ დაბრუნდა,

ამ მოულოდნელობით გაოგნებულმა, როგორც ოდესღაც, მეზღვაურობისას, ახლაც შეჰყვირა: Полундра, спасайся, кто может! — და თავით გადაეშვა წყალში... მაგრამ ეს არ იყო უძირო ბალტიის ზღვა. ეს მხოლოდ მშვიდად მორაკრაკე ჩიხურა გახლდათ, რომლის ზედაპირიდან ფსკერამდე ასე ათი-თხუთმეტი სანტიმეტრი თუ იქნებოდა.

ვასია რკინის საწოლზე მიაბა.

— გახსოვდეს, მარია, ბიჭს ძალიან გაუჭირდება, მაგრამ მის ხვეწნა-მუდარას ყური არ ათხოვო და არ ახსნა ბორკილები. შენზე ნაკლებად არც მე მეცოდება ბიჭი, მაგრამ მისი გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს. ცოტა ხანს უნდა გავიჭირვოთ და ვუშველოთ, თორემ დავიღუპებით.

ეგონა, ცოლს ამ ღონისძიების აუცილებლობა ჩავაგონეო და დაიმედებული გავიდა სახლიდან. ახლა როგორმე ის ნარკოლოგი უნდა ეპოვა ლენინგრადში და მისგან დამატებითი კონსულტაცია მიეღო, მაგრამ ამაოდ გაისარჯა და შინ დაბრუნებულს აღარც საწოლზე მიბმული ბიჭი დახვედრია შინ.

— შემეცოდა, ტუალეტში მინდაო და... — ლუღლუღებდა მარია, რომელიც ქმარს თვალს ვერ უსწორებდა. მეზობლის ეზოში მიაგნო ვასიას. ნარკოტიკით გაბრუებული მესერს მიყრდნობოდა და უაზრო თვალებით შესცქეროდა ცას. ტომარასავით მოიგდო მხარზე და სახლამდე ისე ატარა, არ დაუსვენია. მერე ბიჭი საწოლზე დააწვინა და ისევ დააბა. მეორე დილით მეზობელს მიადგა — ჩემს შვილს თავი დაანებეთ, თორემ მწარედ განანებთო, დაემუქრა, მაგრამ მისი მუქარა არაფრად ჩაუგდიათ.

— შენ ბიჭს აქ არავინ ეპატიჟება და კარგს იზამ, თუ ჩამოგვაცილებო, — შეუღრინეს. დილა კი იყო, მაგრამ სახლის წინ უკვე რამდენიმე მსუბუქი მანქანა იდგა. ახალგაზრდები ბრტყელი პაკეტებით ხელში ტოვებდნენ მეზობლის სახლს. ოცამდე ახალგაზრდა დაითვალა ბორისმა.

— ოცამდე მოწამლული სიცოცხლე. არადა, ჯერ კიდევ დილაა, საღამომდე ეს რიცხვი ბარე ორმოცდაათსაც მიაღწევს. ამიტომ საწამლავის ბუდე სასწრაფოდ უნდა მოისპოს, — დაასკვნა თავისთვის და შინ დაბრუნდა.

მთელი ღამე ღმუოდა ვასია, სიმწრის ოფლი სდიოდა დაჩიავებული სხეულიდან. გველივით იკლაკნებოდა და შველას ითხოვდა. მუხლებზე დაჩოქილი მარია მავედრებელი თვალით შესცქეროდა ქმარს, მაგრამ ოჯახის მამა შეუვალი იყო, თუმცა შვილის წამების შემყურეს ერთი წამითაც არ მოუხუჭავს თვალი. ბორისს ვასიასთან ერთად უნდა გაეძლო ამ გამოცდისათვის.

— ცოდვაა, ბორის! იქნებ კიდევ გეცადა იმ შენი ნაცნობი ნარკოლოგის პოვნა. ეგებ ცოტა უშეღავათოს ბიჭს, — შეევედრა მარია ქმარს, მაგრამ ბორისი იმ დღესაც გაწბილდა — ექიმს შვებულება აეღო და სოხუმში ისვენებსო, უთხრეს. თავს იმითღა ინუგეშებდა, რომ მთლად ხელცარიელიც არ დარჩენილა — მართალია, სამსახურიდან გათავისუფლდა, მაგრამ პროფკავშირებში მაინც გაუხერხეს დიდი ხნის წინ შეპირებული საგზურები საქართველოს ერთ პატარა კურორტ კვერეთში.

„ერთ კვირაში ვასიას ალბათ „ლომკები“ მოეხსნება. მერე კი მოვკიდებ ხელს დედა-შვილს და სამ კვირას გავატარებთ ჩემი წინაპრების სამშობლოში“, ფიქრობდა ბორისი და შინისკენ მიიჩქაროდა, მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდაო. სახლთან მისულს ცუდად ენიშნა მის ჭიშკართან თავმოყრილი მეზობლების შეშფოთებული სახეები.

— აი, აქ, — ძლივს ამოილუღლუღა ერთერთმა, — მარია გარბოდა და მანქანა დაეჯახა. ღმერთო, საკუთარი თვალით ვნახე, რაც მოხდა. მარია ასე აღელვებული არასოდეს მინახავს, ვერ გამიგია, სად მიიჩქაროდა?!

ბორისს მუხლები მოეკვეთა. მიხვდა, მარია ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ტრაგედია ვასიას უკავშირდებოდა. უეჭველია, ბიჭმა ამჯერადაც შეაცოდა თავი და მამის დაბრუნებამდე განავარდება სთხოვა დედას. მერე კი, როცა ბორისის დაბრუნების დრო დადგა, ქალი აფორიაქდა, ქუჩაში გავარდა და აი აქ, მათი ჭიშკრის წინ, სადაც დღის განმავლობაში ორი-სამი მანქანა თუ ჩაივლის, ბორბლების ქვეშ აღმოჩნდა. მეუღლის ცხედარი სახლში მარტომ გადაასვენა. იმ ოთახში, სადაც საწოლზე მიჯაჭვული ვასია უნდა ყოფილიყო, არც შეუხედავს. განჯინიდან ღვთისმშობლის ხატი გამოაბრძანა, ზედ დაემხო და მწარედ აქვითინდა.

მოგვიანებით ვასიას საძებნელად წავიდა. იცოდა, იქ იპოვიდა, მეზობლის ეზოში. მართლაც იქ იყო ვასია, უცნაურად მიკუნტულიყო მესერთან. ბაგეზე შემზარავი ღიმილი შეჰყინვოდა. ბიჭი მკვდარი იყო.

„ნარკოტიკული შიმშილის შემდეგ ზედმეტი დოზის მიღების შედეგი“, თითქოს ნარკოლოგის ხმა ჩაესმა ბორისს. შვილის ცხედარი ზურგზე წამოიკიდა და დედის გვერდით მიუჩინა ადგილი.

შურისძიება

ცოლ-შვილის დაკრძალვის შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში, ბორის ბაბანოვს ფეხი არ გამოუდგამს შინიდან. იჯდა და ფიქრობდა. ფიქრობდა იმაზე, რა უნდა ექნა ამის შემდეგ. დიდი მორწმუნე არ ყოფილა, მაგრამ ის კი იცოდა, თავის მოკვლა რომ არ ივარგებდა. გაახსენდა, რომ ჯიბეში კურორტ კვერეთის საგზურები ედო. მართალია, მარია და ვასილი ვეღარ წამოვლენ, მაგრამ მარტოც შეუძლია წავიდეს. ბოლოს და ბოლოს, მთელი სიცოცხლე ოცნებობდა, რომ საქართველო ენახა. აქამდე მხოლოდ ცოლ-შვილისთვის ცხოვრობდა, ახლა თვითონაც უნდა ისიამოვნოს. თუმცა, ვიდრე საქართველოში ჩავა, ერთი პატარა ზეიმი აქვე უნდა მოაწყოს. სარდაფში ჩავიდა. ბენზინით სავსე ბალონი აიღო და მეზობლის ეზოში გადავიდა. დინჯად შემოუარა სახლს. ყველა კუთხეში მიასხა საწვავი კედლებს. მერე სიგარეტს მოუკიდა. ხარბად ჩაისუნთქა თამბაქოს ბოლი და ასანთის ჯერ კიდევ ჩაუმქრალი ღერი სახლისკენ ისროლა. წამიც და ცეცხლის ალში გაეხვია ბოროტების ბუნაგი. ერთხანს უყურა, აინტერესებდა, რას იზამდნენ სხვა მეზობლები — არც ერთი მათგანი არ გამოსულა ცეცხლის ჩასაქრობად. მიხვდა, ყველა თანაუგრძნობდა. გარინდებიდან ბავშვების კივილმა გამოიყვანა. აშკარა იყო, უფროსები შინ არ იყვნენ. ბავშვებმა კი, ბავშვებმა რა დააშავეს?! ეს რა ჩაიდინე, ბორის, ამაზე როგორ არ დაფიქრდი?! პიჯაკი გვერდზე მოისროლა და ალმოდებულ სახლში შეიჭრა. რის ვაი-ვაგლახით მიაღწია ბავშვების ოთახამდე. პატარების კივილმა შიშიც დაავიწყა და სიფრთხილეც. ოთახში შევარდა, მერე იდაყვით ფანჯარა გაანგრია. უფროსები ქვემოთ, ბოსტნის მხარეს, გადაისროლა, უმცროსი კი მკერდზე ისე მიიკრა, რომ ბავშვს ცეცხლის ალი არ შეესუნთქა და ფანჯრიდან ისკუპა. ახლა თვითონაც და ბავშვებიც სამშვიდობოს იყვნენ. ზურგს უკან კი „სასიამოვნოდ“ ტკაცუნებდა ცეცხლი, იწვოდა ჯოჯოხეთის ბუნაგი და ბორისს მოეჩვენა, რომ მასთან ერთად იწვოდა მისი წარსულიც. ერთხელ კიდევ მოავლო თვალი აგიზგიზებულ ცეცხლს და რკინიგზის უახლოესი სადგურისაკენ გასწია.

სარდაფში ჩავიდა. ბენზინით სავსე ბალონი აიღო და მეზობლის ეზოში გადავიდა. დინჯად შემოუარა სახლს. ყველა კუთხეში მიასხა საწვავი კედლებს. მერე სიგარეტს მოუკიდა. ხარბად ჩაისუნთქა თამბაქოს ბოლი და ასანთის ჯერ კიდევ ჩაუმქრალი ღერი სახლისკენ ისროლა. წამიც და ცეცხლის ალში გაეხვია ბოროტების ბუნაგი. ერთხანს უყურა, აინტერესებდა, რას იზამდნენ სხვა მეზობლები — არც ერთი მათგანი არ გამოსულა ცეცხლის ჩასაქრობად. მიხვდა, ყველა თანაუგრძნობდა.

კვერეთი, ჩიხურა, სხვიტორი

ზაფხული იყო, მაგრამ ღამე რატომღაც მაინც გრძელი ეჩვენა ბორისს. დღის შუქი მხოლოდ მას შემდეგ შენიშნა, როცა მატარებელი საჩხერის სადგურზე გაჩერდა. გარემოს დააკვირდა. აი, თურმე როგორი ყოფილა მისი დიდი წინაპრის სამშობლო — აქ სიცოცხლეც ელირება და სიკვდილიცო, — გაიფიქრა და კურორტისკენ მიმავალ გზას დაადგა.

რამდენიმე დღეს თავის ოთახში იყო გამოკეტილი, ხმა არავისთვის გაუცია, ამიტომ მეზობლებს მუნჯი ეგონათ. იჯდა ცას მიშტერებული და სიგარეტს სიგარეტზე ექაჩებოდა. მხოლოდ მეექვსე დღეს წამოდგა — თეთრი პერანგი გადაიცვა, ფეხსაცმელები საგულდაგულოდ გააპრიალა. ეზოში ჩავიდა და დალაქს გამოუტყდა — მინდა კარგად გამოვთვრე და არაყს სად ვიშოვიო. მანაც საჩხერის ბაზრისკენ გაუშვირა ხელი. ბაზარში კი, მოგეცათ ლხენა, თავზე სასხმელად იყო არაყი. ბაბანოვი არ იყო სმის მოყვარული, მაგრამ დღეს რატომღაც დათრობის სურვილი გაუჩნდა. გაუხარდა, რომ რიგში დგომა არ მოუწევდა. ის კი არა, ცოტა გაუკვირდა კიდეც, ქართველები ზედაც რომ არ უყურებდნენ არყით სავსე ბოცებს. იქვე, დახლთან, გამოთვრა და რაღაც უცნაური, ირონიული ღიმილით დატოვა ბაზარი.

— კვერეთში მიმავალი ავტობუსი ახლახან გავიდა და საღამომდე არ იქნებაო, უთხრეს. ეს მაინცდამაინც არ სწყენია. პერანგის ზედა ღილი შეიხსნა და ფეხით გაუყვა გზას. წყაროზე, საჩხერე-სხვიტორის საზღვართან, დიდხანს იგრილებდა გახურებულ შუბლს. პერანგი ერთიანად დაუსველდა და მკერდზე სასიამოვნო სიგრილე იგრძნო. ცოტაც და ჩიხურასკენ გადაუხვია, მაგრამ ბორისი ისე წაეღო ფიქრს, ეს არც შეუმჩნევია. არ ანაღვლებდა, რა ხდებოდა ირგვლივ. არც წერეთლების სასახლე შეუმჩნევია, ზემოდან რომ გადმოჰყურებდა იქაურობას; არც გზისპირა სოფლის სასაფლაო, მისი დანგრეული ეკლესიით და არც მზით განათებული აკაკი წერეთლის კარ-მიდამო. ბაბანოვი სადღაც შორს, თავის ფიქრებთან იყო და ერთადერთი, რასაც გრძნობდა, გაუსაძლისი სიცხე იყო. პერანგი ჩაიხსნა, მაგრამ შვება ვერ იგრძნო და უცებ შორიახლო, დაბლა, მდინარე შენიშნა.

ამ მოულოდნელობით გაოგნებულმა, როგორც ოდესღაც, მეზღვაურობისას, ახლაც შეჰყვირა: Полундра, спасайся, кто может! — და თავით გადაეშვა წყალში... მაგრამ ეს არ იყო უძირო ბალტიის ზღვა. ეს მხოლოდ მშვიდად მორაკრაკე ჩიხურა გახლდათ, რომლის ზედაპირიდან ფსკერამდე ასე ათი-თხუთმეტი სანტიმეტრი თუ იქნებოდა.

P.S. ბორია რუსს, ნახევრად ქართველების შთამომავალს და უშვილძირო კაცს ჭირის სუფრაც გაუმართეს იმერლებმა და იქვე, სხვიტორის სასაფლაოზე დაკრძალეს. მას შემდეგ აქაურებს წესად აქვთ სუფრაზე უპატრონო მიცვალებულის სადღეგრძელოს შესმა.

ამას წინათ, ბორია რუსის საფლავზე საქართველოს ტელევიზიის უხუცესი დიქტორი, თენგიზ ნათაძე ვნახე ღვინით სავსე ჭიქით ხელში და ეს ამბავიც ამან გამახსენა.

ვაჟა გავაშელი

55-ე სკოლელმა მინისტრმა ამავე სკოლელი პარლამენტარი შეურაცხყო



(დასაწყისი იხ. გვ. 6)

— მინისტრთან თუ გაარკვიეთ ეს საკითხი?

— რა თქმა უნდა და რაც მოჰყვა ამას, ტელევიზიით ბევრმა მოისმინა და ნახა. როგორც კი 31-ე ქარხნის გაყიდვის ამბავი გავიგე, ბენდუქიძეს ოფიციალურად გავუგზავნე შეტყობინება, — ქარხნის დოკუმენტაციის გაცნობას ვითხოვდი. დოკუმენტაცია ჯერ არ მიმიღია, თუმცა, ვფიქრობ, სექტემბრისთვის ამ საქმესთან დაკავშირებით დასკვნას გავაკეთებ. არც პანტიკო თორდიას, არც მისი კოლექტივის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. რადგან ამ ქარხნის გაყიდვით დიდი პრივატიზაციის პროცესი იწყება, არ მინდა პირველი პრეცედენტი სავალალო გამოდგეს და ისეთი მდგომარეობა შეიქმნას, როგორც ერთ ანეკდოტშია — გაბღენძილი კაცი ლამაზ გოგოს მიათრევს საძინებელში და ანუგეშებს, პირველადაა ძნელი, თორემ მერე წყალივით მიდისო. მინდა მომავალი თაობის წინაშე მართალი ვიყო.

— ფიქრობთ, რომ ბენდუქიძე პრეზიდენტისგან და პრემიერ-მინისტრისგან მინიჭებულ უფლებებს იყენებს და თავის შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებებს?

— ბენდუქიძის საქართველოში ჩამოსვლა გამიხარდა, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა უცნაურად, სასწრაფოდ მოხდა ყველაფერი. მეგონა, ბიზნესში მისი გამოცდილება და ცოდნა ქვეყანას წაადგებოდა, მაგრამ მისმა აგდებულმა ლაპარაკმა, მენტორულმა ტონმა და უზრდელობამ შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი შესაძლოა მართლაც დამოუკიდებლად იღებდეს გადაწყვეტილებებს. არ ვიცი, რამდენად ემორჩილება იგი საკაშვილსა და ჟვანიას, ან რამდენად არიან ისინი საქმის კურსში ასეთ დაძაბულ სიტუაციაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ბენდუქიძე თავისი ცინიზმითა და თავხედობით ვიღაცებს ამადლის, რომ მინისტრია.

როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამ ქარხნის ისტორიიდან და დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე (ასე სწრაფად რომ ხდება მისი გაყიდვა), ვეჭვობ, რომ პროცესი სერიოზული დარღვევებით წარიმართება. ნაჩქარევად გაკეთებული საქმე ქვეყნის ინტერესებს არ წაადგება. თუ აღმოვაჩინე, რომ 31-ე ქარხანასთან დაკავშირებით ადგილი აქვს არასწორ გარიგებას, პარლამენტში უმრავლესობის წინაშე დავაყენებ ბენდუქიძისა და არა მარტო მისი პასუხისმგებლობის საკითხს.

ეკა ლომიძე

„ინსტიტუტში ჩაირიცხება კოდი და არა ადამიანი“

არაქართული მოსახლეობის ქართულად ამეტყველება ცალკეულ რეგიონში აქამდე სერიოზული პრობლემა იყო. დღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ პრობლემასთან შეჭიდება განიზრახა და არაქართულ რეგიონებში მისიონერ-მასწავლებლებს აგზავნის, რომლებიც არაქართველებს სახელმწიფო ენაზე გაანათლებენ და ალბათ მის პატივისცემასაც ჩაუნერგავენ. კარგი იქნება, თუ ეს საქმე მართლაც მოგვარდება, მაგრამ სამინისტროში, რომელმაც მომავალი თაობის განათლებაზე უნდა იზრუნოს, კიდევ უამრავი რამაა მოსაგვარებელი და ამიტომ იქ ბევრ სიახლესაც ელიან. სიახლეებმა საზოგადოების ერთ ნაწილში გაურკვევლობა გამოიწვია, მეორე ნაწილში მოწონება, ზოგს კი პროტესტის გრძნობა გაუღვიძა. მაინც რა ხდება ქართულ განათლების სისტემაში, ჩვენი აზრით, ყველა მშობლისთვის საინტერესო საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, **კახა ლომაიას** ვესაუბრეთ.

— მომავალი აკადემიური სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 3-წლიან გრაფიკს შემოვიღებთ. გამიზნული გვაქვს, სასწავლო ციკლი რიტმული და სტაბილური გავხადოთ, შევუსაბამოთ ჩვენს კლიმატურ, გეოგრაფიულ და ეკონომიკურ პირობებს. ამიტომ სასწავლო წელი გახანგრძლივდება — ის 20 სექტემბერს დაიწყება და მომავალი წლის 1-ელ ივლისს დასრულდება. საქართველოში სექტემბრის პირველი ორი კვირა ცხელია, ივნისში კი ისე არ ცხელა, რომ სწავლა გაჭირდეს. ამიტომ ჯობს, სასწავლო წელი გვიან დაიწყოს და უფრო გვიან დამთავრდეს. სხვადასხვა რეგიონიდანაც გვთხოვეს, — სექტემბრის პირველ ორ კვირას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარეობს და სასწავლო წლის დაწყება გადაწიეთო. ამაზე აზრს იზიარებდნენ საკურორტო რეგიონებიც — აჭარასა და ბორჯომშიც. ასე რომ, ამიერიდან სასწავლო წელი ყოველთვის სექტემბრის მესამე ორშაბათს დაიწყება.

— როგორც წესი, სასწავლო წლის დასაწყისშივე თავს იჩენს სახელმძღვანელოების პრობლემა, რომლებიც ლამის ყოველ წელს იცვლება. ვიცით ისიც, რომ ადრე ასეთი მანკიერი ტრადიცია არსებობდა — თუ ავტორი საქმეს განათლების სამინისტროში „ჩააწყობდა“, მის წიგნს სახელმძღვანელოდ დაუშვებდნენ.

— სამწუხაროდ, წიგნების შერჩევის პროცედურა მართლაც კორუფციასთან იყო დაკავშირებული. ნაცნობობისა და „ჩაწყობის“ მეშვეობით, ხშირად თვით სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ სახელმძღვანელოების ავტორები. ამიტომ ჩვენს თანამშრომლებს შევთავაზეთ — ან სამინისტროში დარჩენილიყვნენ და ემუშავათ, ან წიგნის ავტორები ყოფილიყვნენ. არჩევანიც გაკეთდა — ბევრმა წიგნის ავტორობა არჩია. დღეს უკვე ყველა სკოლიდან გვაქვს მიღებული პედსაბჭოების ოქმები, სადაც მითითებულია, რომელი სახელმძღვანელოთი სურთ სწავლების პროცესის წარმართვა. მაგალითად, დაწყებით კლასებში 10-ზე მეტ სახელმძღვანელოს აქვს მინიჭებული გრიფი „ძირითადი სახელმძღვანელო“, მაღალ კლასებში კი არჩევანი ნაკლებია. ამ შემთხვევაში ჩვენ პედაგოგების სურვილებიც გავითვალისწინეთ და მათთვის მისაღები სახელმძღვანელოები დავუშვით. ამავდროულად, პედაგოგს შეუძლია წიგნის ავტორს გააცნოს ის შენიშვნები, რაც თავს იჩენს სწავლების პროცესში. სახელმძღვანელოების 2 ან 3 სერია იქნება და გაცილებით გაიოლდება მათი ხარისხის კონტროლი. უმეტესობა მართლაც ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

— განათლების რეფორმა ბევრ სიახლეს ითვალისწინებს, იცვლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლებისა და გაკვეთილების ხანგრძლივობაც. რამდენწლიან სწავლებაზე გადავდივართ?

— 2006 წლიდან ეტაპობრივად გადავალთ 12-წლიან სწავლებაზე. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის 12 წელზე ნაკლები სწავლება, ზოგან 14-წლიანიც არის. რაც შეეხება გაკვეთილების ხანგრძლივობას, მისი განსაზღვრისას ჩვენთვის უმთავრესი ბავშვის ჯანმრთელობა იყო. მათ, ვინც კითხულობს — 1 საათის განმავლობაში რამდენჯერ უნდა დაირეკოს ზარიო, ჯობს ეფიქრათ, რამდენ ხანს შეუძლია ბავშვს გაუნძრევლად ჯდომა და რამდენად ხარისხიანად აღიქვამს ის პედაგოგისგან მიწოდებულ ინფორმაციას. ხომ ცხადია, რომ პირველკლასელსა და მაღალკლასელს ერთნაირი შესაძლებლობები არ აქვთ. ამიტომ ჩვენ ექიმების რეკომენდაციას ვითვალისწინებთ. ასევე შეიცვლება მოსწავლის ცოდნის შეფასების სისტემაც, 5-ბალიანის ნაცვლად, 10-ბალიანის შემოღებას ვგეგმავთ.



— ახალი კანონპროექტის თანახმად, სკოლების განკარგვა სამეურვეო საბჭოების ხელში გადადის. რა პრინციპით უნდა აირჩეს საბჭო და ხომ არ იქნება სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს თავლებში შემყურე პირი, რომელიც ეცდება არაფერი აწყენინოს მას?

— სამეურვეო საბჭოების შექმნის ინიციატივა მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარე იყო. მაგრამ შევარდნაძემ და მისმა ხელისუფლებამ საფუძველშივე ჩაკლეს ინიციატივა — ეს პროექტი სკოლებისთვის გაზრდილი უფლებამოსილების მინიჭებას ითვალისწინებს. სკოლებს ვერც სამინისტრო მართავს და ვერც ადგილობრივი ხელისუფლება, ის თვითმმართველი უნდა გახდეს. ამ ინიციატივაში შევარდნაძის ხელისუფლებამ ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე დაინახა, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. სკოლა აპოლიტიკური ორგანო უნდა იყოს. თუ სკოლაში რამე პრობლემაა, სკოლაშივე უნდა გადაიჭრას, განათლების სამინისტროს ფუნქცია კი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ფინანსური, მეთოდური და პროგრამული უზრუნველყოფა იქნება. ტრადიციულად, სკოლა საარჩევნო ხმების მიღების რესურსიც იყო. ჩვენი ხელისუფლება ამ „რესურსზე“ უარს ამბობს. სამეურვეო საბჭოში მშობლები და პედაგოგები პარიტეტულად შევლენ. სკოლის პედაგოგიური საბჭო აირჩევს თავის წარმომადგენლებს სამეურვეო საბჭოში, ასევე აირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს მშობლები. ეს იქნება 12-კაციანი საბჭო, რომლის ფუნქცია სკოლის ბიუჯეტის მართვა და მისი დაგეგმვა იქნება. საბჭო თავად გადაწყვეტს, რამდენი მასწავლებელი ჰყავდეს სკოლაში და რა ოდენობის ხელფასი მისცენ მათ. სკოლებს შეუძლიათ, მოიზიდონ თანხები გარედან — შეძლებული ადამიანებისგან, კურსდამთავრებულებისგან და სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან. სამეურვეო საბჭო გამოაცხადებს ღია კონკურსს დირექტორის ვაკანსიაზეც. აუცილებელი არ არის, სკოლის დირექტორი პედაგოგი იყოს. მთავარია, ორგანიზატორობის ნიჭი ჰქონდეს. კონკურსისა და გასაუბრების შემდეგ სკოლა აირჩევს დირექტორს და გააფორმებს მასთან ხელშეკრულებას. აქ არის ერთი ნიუანსიც — ერთი პირი მხოლოდ 12 წლის განმავლობაში შეიძლება იყოს სკოლის დირექტორი. მართალი ხართ, ასეთი დირექტორი სამეურვეო საბჭოს თვალებში დაუწყებს ყურებას. მთავრობაც ასეა — ის თვალებში უყურებს მოსახლეობას, მისი მსახურია და ასე უნდა იყოს სკოლის დირექტორიც. საბჭოთა სკოლიდან მემკვიდრეობით ჩვენ ავტორიტარული დირექტორები მივიღეთ. ისინი ერთპიროვნულად წყვეტდნენ ყველაფერს. მათი დრო დამთავრდა. ახალ სკოლაში დირექტორი მნიშვნელოვანი, მაგრამ არაავტორიტარული ფიგურა იქნება. მან პასუხი უნდა აგოს სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, დისციპლინაზე, თანხების მიზნობრივად განკარგვაზე და ა. შ. სამეურვეო საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით დაინიშნებიან ადგილობრივი ხელისუფლებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებიც.

მისაღები გამოცდები უნივერსიტეტებში აღარ იქნება. გამოცდებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩაიბარებს. საამისოდ შექმნილია სპეციალური ორგანიზაცია – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ქვეყნის დიდ ქალაქებში შეიქმნება 15 საგამოცდო ცენტრი, სადაც მომავალი წლის ივლისში მივლენ აბიტურიენტები და დაგროვილი ქულების მიხედვით ჩაირიცხებიან იმ უნივერსიტეტებში, რომლებსაც აირჩევენ.

სკოლას მეთვალყურეობა ნამდვილად სჭირდება. შორს რომ არ წავიდეთ, თბილისის მაგალითს მოგიყვანთ. ბევრ სკოლაში კრიმინოგენული ვითარებაა. უფროს კლასებში სასწავლო პროცესი, ფაქტობრივად, ჩაშლილია. პარადოქსამდე მივედით — მოსწავლე რომ მისაღები გამოცდებისთვის მოემზადოს, სკოლა უშლის ხელს (სასკოლო პროგრამა მისაღები გამოცდების პროგრამას არ შეესაბამება) და მშობელს ბავშვი ჩვეულებრივ სკოლაში აღარ დაჰყავს — მიჰყავს საღამოს ან სპორტულ სკოლაში, რათა უპრობლემოდ აიღოს ატესტატი. უფროსკლასელები სკოლაში ცივი იარაღით დადიან. პედაგოგი მოსწავლისთვის ავტორიტეტს აღარ წარმოადგენს. თუ დაბალ კლასებში პედაგოგი თრგუნავს მოსწავლეს, მაღალ კლასებში პირიქითაა. ამიტომ მშობლებისა და დაინტერესებული ხალხის ჩართვა აუცილებელია სკოლის ცხოვრებაში.

— მეტისმეტად ანგაჟირებულია სკოლაში ახალი საგნის, სექსუალური აღზრდის სწავლების საკითხიც. მშობლები ჩივიან, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მოსწავლეებს უხამს ბროშურებს და პრეზერვატივებს ურიგებენო.

— მეც მითხრეს ასეთი რამ, მაგრამ ვერ მაჩვენეს ბროშურები... შესაძლოა, ლაპარაკი იყოს ერთ პატივსაცემ საერთაშორისო ფირმაზე, რომელიც ჰიგიენურ პროდუქციას აწარმოებს. ამ ფირმასთან 5-წლიანი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ჩემს წინამორბედს. ოქტომბერში ამ ხელშეკრულების ვადა გადის და მის გაგრძელებაზე მტკიცე უარი განვაცხადეთ. ვიცი, რომ ეს ფირმა სკოლებში ატარებდა ჰიგიენის გაკვეთილებს და, ბუნებრივია, საკუთარი პროდუქციის, მაგალითად, კბილის პასტისა და ჰიგიენური საფენების რეკლამასაც ეწეოდა. ფირმას უარი ვუთხარით იმ მოტივით, რომ სკოლა არ არის სავაჭრო ობიექტი, სადაც პროდუქცია უნდა გაიყიდოს.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო უნივერსიტეტი – თესისუ
მის: ფალიაშვილის 42 ☎ 25 15 61; 32 55 86; 8(99) 19 05 26
სბუ I კორპ.
თესისუ
პირველ კურსზე სწავლა უფასოა

განცხადება
გაეროსპრესი შეიქმნა ასოციაცია –
გაეროსპრესი კლუბი "ქართველი პროდუქტი"
ასოციაციის მიზანია მეწარმეობის ხელშეწყობა, ქართული პროდუქციის რეკლამირება, ქართველი მწარმოებლების ინტერესების დაცვა, ქართული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა, ქართული პროდუქციის ბაზრის ფორმირება და სხვა.
ასოციაციის დამფუძნებლები: ააიპ "ეროვნული ასოციაცია ქართული პროდუქტი", ააიპ "ბავშვთა ფონდი "ნიკორწმინდა" და სხვები.
ასოციაციის რეგისტრაცია გაეროსპრესის ინფორმაციის ცენტრში 2004 წლის 30 ივნისს.
იურიდიული მისამართი: თბილისი, კოსტავას 13, მე-3 სართული, 203



საქართველოს ღვთისმშობელი გამოეცხადა(?!)

სასწაული სოფელ ფაფის სამლოცველოში

„უწმიდესმა დამავალა ბორჯომელებისთვის სასწაული მიმელოცა“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

მთელი სოფელი შეიყარა. ეპისკოპოსსაც შევატყობინეთ. მეუფე მობრძანდა და დაგვიდასტურა, რომ არ ვცდებოდით — კედელზე ღვთისმშობელი ღვთიური ძალით გამოისახა. როგორც მეუფემ გვითხრა, ეს კარგი ნიშანია. ხალხი კი ფიქრობს, რომ ღვთისმშობლის გამოცხადება პასუხია ბორჯომელების ვედრებაზე — წელს დიდ წყალდიდობას ველოდით და ყოველდღე ღვთისმშობელს შევთხოვდით, აჟაურობა ეხსნა. ეტყობა, დედა მარიამმა ჩვენი ვედრება შეისმინა.

— ღვთისმშობელს მირონიც ხომ არ სდიოდა?


— როგორ არა, თითქოს ცრემლი სდიოდა, სამი დღის განმავლობაში მოდიოდა.

სასწაულის ამბავი სწრაფად გავრცელდა, საიდან არ მოაწყდნენ სამლოცველოს. პირველ დღეებში დარბაზში ძნელად შემოხვიდოდი. დღესაც არ წყდება მლოცველების ნაკადი — ღამეს უთევენ ღვთისმშობელს...

სანამ ქალბატონ ეთერს ვესაუბრებოდი, სამლოცველოსთან ახალგაზრდა წყვილი შევნიშნე, გულმხურვალედ ლოცულობდნენ. გავესაუბრე ორივეს — მითხრეს, უშვილონი ვართ და გვჯერა, ღვთისმშობელი ჩვენს ვედრებას შეიწყნარებსო.

სანთლების გამყიდველმა მოხუცმა მითხრა: „დღეში დაახლოებით 700 სანთელს ვყიდი. ამდენივეს კიდევ სხვა სამი ქალიც. ღვთისმშობლის გამოცხადების პირველ დღეებში კი ველარ ავუდიოდით სანთლების ჩამოსხმას“.


მეუფე სერაფიმე


მწვანე მონასტერი

ფაფიდან ისე როგორ წამოვიდოდი, ბორჯომ-ბაკურიანის ეპისკოპოსი, მეუფე სერაფიმე (ჯოჯუა) არ მენახა, ღვთისმშობლის გამოცხადების შესახებ მისი აზრი არ მომესმინა და მისგან ლოცვა-კურთხევა არ მიმეღო. მეუფეს თავის რეზიდენციაში ვეახლე. მორჩილმა ანთისემ მითხრა, რომ მეუფე ბორჯომში არ იმყოფებოდა და მისი მობილური ტელეფონის ნომერი მომცა. რადგან წინა დღეს აქეთ წამოსვლას არ ვაპირებდი, მობილურის დეპოზიტი არ შემივსია, ამიტომ ცალმხრივად გათიშული მქონდა. თუმცა მაინც დავუკავშირდი მეუფეს — სასწაული მოხდა, ჩემი ცალმხრივად გათიშული ტელეფონით მეუფეს ვესაუბრე(!). მეუფე სერაფიმემ მითხრა — ხაშურში ვარ, ნახევარ საათში რეზიდენციაში ვიქნები, მანამდე კი ანთისემ და თქვენ იტრაპეზეთო. სანამ მეუფე მობრძანდებოდა, **მორჩილ ანთისემს** გავესაუბრე. „ბოლო დროს ბორჯომის რაიონში ღვთის სასწაულები გახშირდა. ამ რამდენიმე კვირის წინ მწვანე მონასტრის ახლოს, ნაკადულიდან, სადაც რამდენიმე საუკუნის წინ თურქებმა წმინდა მამები ამოწყვიტეს, დამსვენებლებმა სისხლით მორწყული ქვები ამოიღეს. დიახ, ქვებს დღესაც ეტყობა სისხლი — თითქოს წმინდა მამები რამდენიმე წუთის წინ გამოასალმეს სიცოცხლეს. ქვები შინ მიუტანიათ თუ არა, ბავშვები ცუდად გამხდარან და იძულებული შეიქნენ, ქვები უკან დაებრუნებინათ. ბავშვებიც მაშინვე გამომჯობინდნენ. სოფელ ფაფის სამლოცველოშიც ღვთისმშობლის გამოცხადება ნამდვილად ღვთიური სასწაულია“, მითხრა მორჩილმა ანთისემ.

ნახევარი საათი სწრაფად გაიღია და მეუფე სერაფიმეც მობრძანდა. ცოტა რომ დაისვენა, სასაუბროდ მიხმო.

მეუფე სერაფიმე: — ღვთისმშობლის გამოცხადებამდე ბორჯომის რაიონში სხვა ბევრი სასწაულიც მოხდა. მაგალითად, ერთი თვის წინ ერთ-ერთი ბორჯომელის ოჯახში დაბრძანებულ ხატებსა და ჯვარს მირონი სდიოდათ. შარშან ბორჯომში რუსეთიდან იქაურმა მოქალაქემ ხატი ჩამოაბრძანა და ტიმოთესუბანში დაასვენა. ხატსაც ოთხი თვის მანძილზე სდიოდა მირონი. სოფელ ფაფაში კი ადრე ეკლესია ყოფილა, იმ ეკლესიის ნანგრევებიც კი სასწაულმოქმედი იყო — არაერთხელ შეუმჩნევია ხალხს, თუ ნანგრევებთან იღოცებდი, სანთელს დაანთებდი და ღმერთს რაიმეს შესთხოვდი, აუცილებლად შეიწყნარებდა თქვენს ვედრებას უფალი. ის კი, ვინც ქვებს უდიერად შეეხებოდა, სასტიკად ისჯებოდა.

რამდენიმე წლის წინ ეკლესიის ადგილზე სამლოცველო ავაშენეთ. უფრო სწორად, კედლების შემორჩენილ ნაწილს დავაშენეთ კედლები და გადავხურეთ. სწორედ აქ გამოგეცხადა ღვთისმშობელი. შეუძლებელია, ვინმეს დაეხატა ან ძველი ფრესკა ამოტივტივებულიყო, კედელი სულ ორი წლის წინაა აშენებული.

— მეუფეო, თუნდაც წყალი ჩასულიყო სახურავიდან, მაინც როგორ გამოისახებოდა მაინცდამაინც ღვთისმშობელი?

— სწორედ ეს არის ღვთის სასწაული, რომელიც ღვთისმშობლის სახით მოგვევლინა. ჩვენ ფოტოები საქართველოს პატრიარქს ვაახლეთ და მის სიტყვას მოუთმენლად ველოდით. გვიანი ღამე იყო, როდესაც უწმიდესმა დამირეკა და პირადად მესაუბრა. დაწვრილებით გამომკითხა ღვთისმშობლის გამოცხადების დეტალები და დაადასტურა, რომ ეს აშკარად ღვთის ნიშანი და ღვთისმშობლის გამოცხადებაა. დამავალა, ბორჯომელებისთვის სასწაული მიმელოცა, მოუწოდა ყველას, იცხოვრონ ეკლესიური ცხოვრებით, მოინათლონ და ჯვარი დაიწერონ ცოლქმრულ ურთიერთობაში მყოფმა წყვილებმა.

— მეუფეო, როგორც მორჩილმა ანთისემ მითხრა, მწვანე მონასტერში ღვთის კიდევ ერთი სასწაული მომხდარა.

— მწვანე მონასტერი წმინდა ადგილია ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის. მორჩილი ანთისე გეტყოდათ, წმინდა მამათა სისხლნაპკურები ქვები რომ დამსვენებლებს შინ წაუღიათ. თურმე რამდენიმე წუთში მაგიდაზე ჭიქა და თეფში არ დარჩენილა, რაღაც ძალა ჭურჭელს ჰაერში ისროდა და ძირს ანარცხებდა. ბავშვებიც შეუძლოდ გამხდარან. საბედნიეროდ, ქვები დააბრუნეს. ცელოფანის პარკით მოიტანეს, გზაში ისე გახურებულა ქვები, რომ პარკი დაიწვა. ქვები ისევ ნაკადულში დავაბრუნეთ...

მეუფე სერაფიმეს ნებართვით მწვანე მონასტერში გავემგზავრე. იქით მიმავალი გზა დაბურულ ტყეში გადის. რაც უფრო ღრმად შედიხარ, ტყე უფრო და უფრო იბურება, მზის სხივები ხშირ ფოთლებში ძნელად ატანს. კიდევ რამდენიმე წუთიც და მონასტერი გამოჩნდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯიც და ბერების სამყოფელში ვარ. წინამძღვარი მონასტერში არ დამხვდა. ჩემი მასპინძლობა **ბერმა ელისემ** იკისრა. ბერი ელისე წინ მიმიძღვის და თან მეუბნება: — თუ კარგად დააკვირდებით ტაძარს, მიხვდებით, რატომ ჰქვია მწვანე მონასტერი. აქა-იქ კიდევ შემორჩენილია კლდიდან ჩამონაშალი მწვანე ქვები, რომელთაც ჟამმა ფერი ვერ უცვალა. ეს მონასტერი მე-9-10 საუკუნეებში აუშენებია გიორგი ხანძთელის მოწაფეს, ქრისტეფორეს. მე-12 საუკუნეში კი მოუხატავთ. დღეს მხოლოდ მხატვრობის ფრაგმენტებია შემორჩენილი. თითქმის სამი საუკუნე იყო მიტოვებული მონასტერი. მხოლოდ ორიოდე წლის წინ დაიწყო აქ ღვთისმსახურება.

— თუ შეიძლება, წმინდა მამების სისხლნაპკურები ქვები მაჩვენეთ.

— აი, ამ მომცრო ქვას, რომელიც საკურთხეველზე დევს, ცხადად ჰჩნია წმინდა მამების სისხლის წვეთები, — ბერმა ელისემ მოწიწებით აიღო ქვა და გამომიწოდა. მართლაც, აშკარად ემჩნევა ქვას წითელი წვეთები, თითქოს სისხლი იყოს, — ახლა ნაკადულთან მივიდეთ, — აგრძელებს საუბარს ელისე, — იქ წყალშიც არის ასეთი ქვები და ლოდები.

— გავიგე, დამსვენებლებს წაუღიათ თურმე ქვები, მაგრამ მერე დაუბრუნებიათ.


— წყლიდან რომ ქვები ამოკრიფა, იმ ქალბატონს მკლავებზე წყლულების სახით ჯვრები გამოესახა. როგორც კი დააბრუნა ქვები, რამდენიმე წუთში ჯვრები უკვალოდ გაქრა. ადრე ხალხს ყველაფერი ეს ღამაზი ლეგენდა ეგონა. ახლა დარწმუნდნენ, რომ ეს ლეგენდა კი არ არა, რეალური ამბავია და მაცხოვრის განგებით არ იშლება ქვებიდან სისხლის წვეთები.

ელისეს გამოვემშვიდობე და საავტომობილო გზატკეცილზე ჩამოვედი. როგორც კი ბორჯომში მიმავალ ავტომობილში ჩავჯექი, თითქოს ჩემს გამგზავრებას უცდიდაო, ცამ პირი მოხსნა და ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, გარეთ რომ ვყოფილიყავი, ერთიანად გავილუმპებოდი. ეს კიდევ არაფერი, ფოტოაპარატში შეიძლებოდა წყალიც შეპარულიყო და მარიამ ღვთისმშობლის სახების უნიკალური კადრები გაფუჭებულიყო. მართლა, ფოტოაპარატს ნათება გაფუჭებული ჰქონდა, როდესაც სამლოცველოს დაბინდულ ოთახში ფოტოაპარატი მოვიმარჯვე, ჩემდა გასაოცრად ისიც ამუშავდა.

შინ თითქოს დაღლილ-დაქანცული უნდა მივსულიყავი, მაგრამ პირიქით — ენერგიის უჩვეულო მოზღვავებას ვგრძნობდი და იმ დღის მუშაობით კმაყოფილიც ვიყავი. ორი დღის შემდეგ, როდესაც სტატიის დასაწერად მაგიდას მივუჯექი, მხოლოდ მაშინ დავფიქრდი იმ პატარა სასწაულების შესახებ, რომელიც თავს გადამხდა მივლინების დროს. ეს მეუფე სერაფიმესაც ვუამბე ტელეფონით საუბრისას, მითხრა: „სასიკეთო, ღვთის საქმეზე წასულ კაცს განგება ხელს უწყობს და ეხმარება. როგორ გგონია, ახალჩაძინებული კაცი რა ძალამ გაგაღვიძა და გაიძულა ბორჯომში წამოსულიყავი?“

P.S. იქნებ უფალმა არა მარტო ბორჯომელებისთვის მოახდინა ეს სასწაული, არამედ ჩემნაირ მცირედმორწმუნეთა დასაფიქრებლადაც და, რაც მთავარია, ქართველი ხალხის სანუგეშოდ, რათა სიძნელეებსა და ბოროტებას ვძლიოთ. საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ის ჩვენთან მოვიდა. ის ჩვენთან არის, ჩვენ?..

ზვიად ჩაკვეტაძე


სამლოცველოს კედელზე გამოისახა ღვთისმშობელი



წმინდა მამათა სისხლნაპკურები ქვები დამსვენებლებს შინ წაუღიათ. თურმე რამდენიმე წუთში მაგიდაზე ჭიქა და თეფში არ დარჩენილა, რაღაც ძალა ჭურჭელს ჰაერში ისროდა და ძირს ანარცხებდა. ბავშვებიც შეუძლოდ გამხდარან. საბედნიეროდ, ქვები დააბრუნეს. ცელოფანის პარკით მოიტანეს, გზაში ისე გახურებულა ქვები, რომ პარკი დაიწვა. ქვები ისევ ნაკადულში დავაბრუნეთ...

რას გვეტყვი, მამაო?

— შინ ხატების კუთხე მაქვს. მაინტერესებს, რაგითობის მიხედვით, როგორ უნდა განვალაგო ხატები კედელზე.

— ხატების განლაგებისას მართლაც სასურველია წმინდანთა იერარქიის წესის დაცვა. ეს წესი დაცულია ტაძრებში. ჯერ წმინდა სამების ხატი განთავსდება, შემდგომ მაცხოვრისა, მათ მომდევნოდ კი დედაღვთისმშობლის. ამის შემდეგ განთავსდება სხვა წმინდანთა ხატები. ასევე შეგიძლიათ განალაგოთ შინაც ხატები თუმცაღა შეეცადეთ, რომ შინ ხატები მცირე რაოდენობით გქონდეთ. ტრადიციულად საქართველოში ყოველთვის ცდილობდნენ, ოჯახში მცირე რაოდენობის ხატები ჰქონოდათ... თუკი შინ გაქვთ ერთი და იმავე წმინდანის რამდენიმე ხატი და არ შეგიძლიათ, ყველა კედელზე დაკიდოთ, გირჩევთ, გააჩუქოთ, რადგანაც ხატი სარკმელია ზეციურ სარკმელში საჭვრეტად, თუ მასზე ვერ ლოცულობთ, ამ მისიას ვერ ასრულებს.

— მინდა საგანგებოდ ჩამოვიდე თბილისში და მშენებარე სამების ტაძარი მოვინახულო, რისი შეწირვა შეიძლება მისთვის?

— არაერთგზის გვითქვამს, რომ ღვთის წინაშე მატერიალურ შესაწირს სულიერი შესაწირი აღემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ რიგში, ქრისტიანული ცხოვრების წესით, სათნოებითა და ადამიანების სიყვარულით უნდა ცხოვრობდეთ. ეკლესიურად ცხოვრება იქნება თქვენი ყველაზე დიდი შესაწირი ღვთისადმი. ამის შემდეგ კი შეგიძლიათ შესაძლებლობის მიხედვით გაიღოთ რისი სურვილიც გაქვთ — გნებავთ ბევრი, გნებავთ მცირედი. შესაწირის რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, წრფელი გულით შესწიროთ. ფსალმუნი გვასწავლის: „გული შემუსვრილი და დამდაბლებული, ღმერთმან არა შეურაცხყოს“-ო.

— რით გვიკავშირდება მართლმადიდებლებს ებრაელთა პასექი, რატომ ვახსენებთ მას აღდგომასთან ერთად?

— პასექის დღესასწაული ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის აღსანიშნავად დაწესდა. როცა უფლის მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, ეგვიპტელებმა ებრაელები ტყვეობიდან არ გაათავისუფლეს, ღმერთმა ებრაელებს უბრძანა სახლის კარი კრავის სისხლით დაეღებინათ, რათა ეგვიპტელების დასასჯელად მოვლენილი ანგელოზი მათ ოჯახებს არ შეხებოდა. ამ მრისხანე სასჯელის შემდეგ ეგვიპტელებმა საზღვრები გახსნეს. იმ დროიდან ებრაელები მადლიერების ნიშნად, პასექის დღესასწაულზე უფალს კრავს მსხვერპლად სწირავენ. უფალი ჩვენი, იესო კაცობრიობის ცოდვებისგან გამოხსნას კრავის მსგავსად შეეწირა. წმინდა წერილებში ქრისტეს ასეც მოიხსენიებენ — „კრავი უფლისა“. თუ ებრაელები კრავის სისხლმა ფიზიკურად გადაარჩინა, კაცობრიობა უფლის მსხვერპლად შეწირვამ ფიზიკურადაც იხსნა და სულიერადაც. უფალი უკანასკნელი სისხლიანი მსხვერპლია. ახალი აღთქმის მიხედვით სისხლიანი მსხვერპლი აღარ შეიწირება.

— რაიონში ვცხოვრობ, გვყავდა მოძღვარი, რომელიც საპატრიარქოს კურთხევით თბილისში გადაიყვანეს ღვთისმსახურების ჩასატარებლად. შეიძლება თუ არა ჩვენმა მოძღვარმა კვირაში ერთხელ მაინც ჩვენს ტაძარშიც აღასრულოს წირვა-ლოცვა?

— საეკლესიო წესით, მოძღვარი იმ ტაძარში უნდა აღასრულებდეს წირვა-ლოცვას, რომლის მსახურებაც საპატრიარქომ დაუდგინა.

თქვენი სურვილის გასათვალისწინებლად. საჭიროა საქართველოს პატრიარქისა და იმ ეპარქიის ეპისკოპოსთან შეთანხმება, რომელშიც თქვენი ტაძარი მდებარეობს.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთუბის საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

„ინსტიტუტში ჩაირიცხება კოდი და არა ადამიანი“

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

რაც შეეხება სქესობრივი აღზრდის სწავლებას, ამ საკითხის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ბევრი მშობლის აზრით, კვალიფიცირებული სპეციალისტი ტაქტიანად უნდა დაელაპარაკოს ბავშვს ამ თემაზე. ეს საგანი არ იქნება სასწავლო პროცესის ნაწილი, მაგრამ თუ სკოლის სამეურვეო საბჭო გადაწყვეტს, შაბათს ან კვირას მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან ფსიქოლოგი და ჩაატაროს საუბარი, გნებავთ, მშობლებთან ან უფროსკლასელებთან, საწინააღმდეგო არაფერი მექნება.

— **რამდენადაც ვიცი, მართლმადიდებლური ეკლესია ამ საგნის სკოლებში სწავლების წინააღმდეგია.**

— ეკლესიას არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს იმისა, რომ კვალიფიციური სპეციალისტი დელიკატურად ესაუბროს მშობელს ან მოზარდს ამ რთულ პრობლემაზე. უწმიდესთან ამ თემაზე ხშირად მისაუბრია და კატეგორიულად არ გამოუხატავს ამ თემის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.

— **ბევრი კითხვა ჩნდება ერთიან ეროვნულ ცენტრში ჩატარებულ გამოცდასთან დაკავშირებითაც, რომლის შედეგადაც აბიტურიენტები უნივერსიტეტებში განაწილდებიან. რა პრინციპით ჩატარდება გამოცდა?**

— მისაღები გამოცდები უნივერსიტეტებში აღარ იქნება. გამოცდებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩაიბარებს. საამისოდ შექმნილია სპეციალური ორგანიზაცია — შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ქვეყნის დიდ ქალაქებში შეიქმნება 15 საგამოცდო ცენტრი, სადაც მომავალი წლის ივლისში მივლენ აბიტურიენტები და დაგროვილი ქულების მიხედვით ჩაირიცხებიან იმ უნივერსიტეტებში, რომლებსაც აირჩევენ. სკოლაში გამოსაშვები გამოცდების საკითხს კი თავად სკოლები გადაწყვეტენ. სკოლამ უნდა გასცეს ატესტატი, რომელიც იქნება საშვი მისაღებ გამოცდაზე.

— **უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ კორუფციაზე ერთი თვის წინ ჩვენთან პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა და ისიც დასძინა, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ისეთი ბანდიტები არიან მოკალათებული, რომელთაც ოქრუაშვილისაც არ ეშინიათო. სხვა სფეროებისა არ იყოს, კორუფციის აღმოსაფხვრელად ვინმეს სამაგალითო დასჯა ხომ არ არის აუცილებელი?**

— სავსებით სამართლიანია საზოგადოების შეშფოთება და ამიტომაც კორუფციის აღმოფხვრის მიზნით მისაღებ გამოცდებს ვატარებთ ჩვენ და არა — უნივერსიტეტები. გამოცდები აბსოლუტურად კონფიდენციალურად ჩატარდება. ჩაწყობა შეუძლებელი იქნება. აბიტურიენტებს თავ-თავიანთი შტრიხკოდები მიენიჭება და არავის ეცოდინება, რა გვარი იქნება შტრიხკოდის მიღმა. ინსტიტუტში ირიცხება კოდი და არა ადამიანი და ჩარიცხვის მერე მჟღავნდება მისი ვინაობა.

— **როგორც ამბობენ, მალე ბევრი უმაღლესი სასწავლებელი დაიხურება, რადგან განათლების სამინისტროსგან შესაბამის აკრედიტაციას ვერ მიიღებენ. რა ბედი ელის ამ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს?**

— ინსტიტუციური აკრედიტაცია შემოდგომაზე დაიწყება. შევისწავლით სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერებს და პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციას. ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგით დავუწესებთ უმაღლეს სასწავლებლებსა და ამა თუ იმ ფაკულტეტს სტუდენტების ზღვრულ ოდენობას. განისაზღვრება ე. წ. უფასო სწავლების ლიმიტიც.

იმ ინსტიტუტის დიპლომს, რომელიც აკრედიტაციას ვერ გაივლის, ჩვენ არ ვცნობთ. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებული სახელმწიფო სამსახურში ვერ იმუშავებს. ამიტომ მეტი დაფიქრება მართებთ მშობლებს, რომელთაც შვილი კერძო სასწავლებელში მიჰყავთ. სინამდვილეში, ასეთი უნივერსიტეტები მხოლოდ დიპლომის მისაღები მანქანაა...

P. S. როგორც ხედავთ, ბატონი განათლების მინისტრი ოპტიმისტურად არის განწყობილი და რეფორმების გატარებისთვის ემზადება.

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი კი (განსაკუთრებით, პედაგოგები) სკეპტიკურად უყურებს ე. წ. განათლების რეფორმას. როგორც ჩანს, კამათი ამ საკითხზე კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ჩვენ შევეცდებით მოვლენების განვითარებისდა კვალად გაგაცნოთ ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა თვალსაზრისი ამ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით.

იზო რიკაძე

დასავლეთი ქართულ სიმართლეში რწმუნდება, ხომ არ დგება მოქმედების დრო?!

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

არსებობს ვარაუდი, რომ ოფიციალურმა თბილისმა უკვე მოახერხა თავისი სიმართლის გატანა დასავლეთში, რასაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საზღვარგარეთ საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელმა ვიზიტებმაც.

თუკი პროპაგანდისტული ფონი მეტნაკლებად მართლაც მომზადებულია, თბილისს ეძლევა შანსი, უფრო აქტიურად იმოქმედოს სეპარატისტების წინააღმდეგ, რადგან დღეს უმოქმედობა ამ უკანასკნელთა და მათი დამქაშის მოსკოვის წისქვილზე დაასხამს წყალს. გასაგებია, რომ მათ სიტუაციის შეცვლა ხელს არ აძლევთ, მაგრამ საქართველო ამას ვერ შეეგუება.

ომის ქადაგება ძალიან რთულია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ოსების თუ აფხაზების ის ნაწილი, რომელმაც სისხლი დაღვარა თავისი იდეებისთვის, მშვიდობიან მოლაპარაკებებში არ დათმობს ძალით მოპოვებულს.

ასე რომ, ძალაუნებურად მივდივართ აზრამდე — ძალით წართმეულს ძალით იბრუნებენ!

ამ სტატიის დაწერის მომენტისთვის უკვე ცეცხლის შეწყვეტაა გამოცხადებული ცხინვალის რეგიონში, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დაძაბულობა განელდება. ამაზე, სამწუხაროდ, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ცეცხლის შეწყვეტიდან რამდენიმე საათში სეპარატისტების სნაიპერმა (სავარაუდოდ, ღამის ხედვის ხელსაწყოს გამოყენებით) მძიმედ დაჭრა ქართველი სამხედრო.

არის კიდევ წინაპირობა ორმხრივი სროლების განახლებისთვის. სეპარატისტთა რიგებში მყოფი დაქირავებული სნაიპერები კვლავ განაგრძობენ ნადირობას და ყველა იმ ქართველს ესვრიან, ვინც მათ ოპტიკურ სამიზნეში გამოჩნდება.

ქართულმა მხარემ გამოიყვანა დიდი ლიახვის ქართული სოფლებიდან ბავშვებისა და ქალების უმეტესი ნაწილი.

ეს, ერთი შეხედვით, სეპარატისტებს აფიქრებინებს, რომ ქართული მოსახლეობა ტოვებს თავის კარ-მიდამოს და ცხინვალელ სეპარატისტებს, ბოლოს და ბოლოს, მიეცემათ შესაძლებლობა, ერთი დარტყმით აიღონ თამარაშენი-კეხვის ის მონაკვეთი, რომელიც მათ 12 წელია ყელში აქვთ გაჩხერილი.

მეორე მხრივ, ერთგვარი ფრონტის ხაზიდან ბავშვებისა და ქალების გარიდებით, ქართული მხარე იძენს უფრო თამამი მოქმედების საშუალებას, რადგან ცხინვალიდან წამოსული ტყვიებისა და ნამსხვრევების წვიმას ნაკლებად შეეწირება მშვიდობიანი მოსახლეობა.

ამასთან, თუკი დაფიქსირდა, რომ სეპარატისტებმა წამოიწყეს შეტევა თამარაშენის ასაღებად და ეს ინფორმაცია ოპერატიულად გავრცელდა მთელ მსოფლიოში, თბილისს ხელი ეხსნება, წამოიწყოს კონტრიერიში, ამ რეგიონში ერთხელ და სამუდამოდ ქართული სახელმწიფო ინტერესების დასაბრუნებლად.

ირაკლი ალადაშვილი

„ღმერთმა ქნას, ეს იყოს ბოლო მსხვერპლი“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

დიდი ლიახვის ხეობის ქურთის თემის გამგებელმა **ნოდარ ყოჩიშვილმა** გვითხრა, რომ მოლაპარაკებების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, 14 აგვიტოს 12.00 საათზე სროლა შეწყდა.

— **მოსახლეობაში ბევრია დაჭრილი?**

— დაჭრილები არიან. უმძიმეს მდგომარეობაშია ზინა ჩიბიროვა, რომელიც მძიმედ დაიჭრა საკუთარ ეზოში აფეთქებული ყუმბარის ნამსხვრევით. ჩვენი მოსახლეობიდან სულ 36 კაცია დაჭრილი.

— **დიდი ლიახვის ხეობაში ჰუმანიტარულ კატასტროფაზეც საუბრობენ, ხომ არ შიმშილობენ ქართველები?**

— იყო მცდელობა, რომ შემოვლითი გზა დაეკავებინათ ოსებს. მაშინ მართლაც კატასტროფა იქნებოდა.

— **კოკოითი ადგილობრივი ტელევიზიით თურმე ხშირად მოგმართავთ დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობას, მაინც რას გეუბნებათ?**

— სიმართლე გითხრათ, მათ გადაცემებს არ ვუყურებ. იმდენ ტყუილსა და სისაძაგლეს გადმოსცემენ, ნერვები არ მყოფნის, რომ ვუსმინო. კოკოითის დაპირებების მოსმენას და მისთვის ხვეწნას — ხელი არ გვახლოო, გვირჩევნია, ისევ ბომბების ქვეშ ვიცხოვროთ ჩვენს სამშობლოში. ალიკა კოზაევი, ობოლი ბავშვი, რომელიც გაიზარდა სოფელ ქურთაში, დღესაც ცხინვალის ციხეში ზის. დედამისი ოსის ტყვიამ იმსხვერპლა. ეს ბიჭი აქ დავაჟკაცდა, უნდოდა თანასოფლელებს დახმარებოდა, სამშობლოს გამოსდგომოდა, მაგრამ ხომ ხედავთ, რაც დამართეს, რაკი ბავშვების ზღვაზე დასვენებას ორგანიზაციას უკეთებდა. ძალიან რთულია მოწინააღმდეგე მხარესთან საერთო ენის გამოძებნა...

ლელა ჯღიაშვილი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი

კვლავ ვაგრძელებთ მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი პროექტის: სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის განხილვას, რომელიც მომზადდა საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, სასოფლო მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის მიერ. ამჯერად ჩვენი სტუმარია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი **თამარ კაჭარავა**, რომელიც ონის რაიონის სოფელ ბლოლაში „მაღალეფექტიანი“ პროექტის ხელმძღვანელია. პროექტის მიმდინარეობის, საქმიანობის და კატაბალახას წარმოების ტექნოლოგიების შესახებ სწორედ ქალბატონ თამარს დავუსვით რამდენიმე შეკითხვა.

— ქალბატონო თამარ, მოგვიყვით როგორ დაიწყეთ მუშაობა, რატომ აირჩიეთ კატაბალახას წარმოება თქვენს საქმიანობად?

— ჩვენ ჩამოყალიბებული გვქონდა შპს „ფიტო“, რომლის საქმიანობაც გახლდათ სამკურნალო მცენარეთა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების დანერგვა. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებული კონკურსი. ჩვენ კონკურსზე გავიტანეთ ჩვენი პროექტი, რომელმაც გაიარა შეფასების რამდენიმე საფეხური და მოწონება დაიმსახურა. ამის შემდგომ უკვე აქტიურად დავიწყეთ მუშაობა მაღალმთიან ზონაში, სადაც არის სამკურნალო მცენარეთა კერა. კერძოდ, ონის რაიონ სოფელ ბლოლაში. როდესაც ჩვენ შევუდექით მუშაობას, ავარჩიეთ მრავალი მცენარე, ბოლოს კი კატაბალახას წარმოება დავისახეთ მიზნად. ეს იმიტომ, რომ კატაბალახა მართლაც რომ ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული და შეუცვლელი სამკურნალო მცენარეა, რომლის მიმართ მოთხოვნა დღითი დღე იზრდება. მისი ინტენსიური ექსპლუატაცია კი ბუნებრივი რესურსების განადგურებას იწვევს და ამ უნიკალური მცენარის კულტივირების აუცილებლობა იქმნება. კატაბალახას სამრეწველო პლანტაციები ხელს შეუწყობს ქვეყანაში უნიკალური გენოფონდის შენარჩუნებას. მისი სწორად ჩართვა თესლბრუნვაში და მექანიზმის პროფესიული გამოყენება შეამცირებს ეროზიულ პროცესებს ფესვებისა და ფესვურების ნიადაგში განლაგების სქემის გამო. იგი წარმოადგენს მეტად ძვირფასსა და შეუცვლელ ნედლეულს არა მარტო სამამულო ფარმაცევტული მრეწველობისათვის, არამედ მას საექსპორტო პოტენციალის სერიოზული პერსპექტივაც გააჩნია, რადგან ჩვენთან მოყვანილი კატაბალახა საკმაოდ მაღალი ხარისხისაა. სამკურნალო მცენარეთა კულტივირება და ბუნებრივი მცენარეული რესურსების მიზნობრივ-რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვას და შეამცირებს ეროზიულ პროცესებს. მეორე, კატაბალახას ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისა და სტანდარტული თესლის წარმოება უზრუნველყოფს გარანტირებულ შემოსავალს, შეიქმნება ადგილობრივი წარმოების იაფი სამკურნალო საშუალებები, განვითარდება ფერმერული მეურნეობები და ფულად-საკრედიტო ურთიერთობები.

— პროექტის ფარგლებში რა ახალი ტექნოლოგიები დაინერგა, როგორ მიმდინარეობს სწავლებისა და კონსულტირების პროცესი?

— ჩვენს ფერმერულ მეურნეობაში დავნერგეთ მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები ძალზე პერსპექტიულად. შედეგად, ჩვენს კატაბალახას აქვს მაღალი ხარისხი. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს წინ უძღოდა დიდი მუშაობა, რათა სწორად დაგვემუშავებინა მისი მოყვანის ტექნოლოგიები. აგრეთვე, ჩვენი მეურნეობისთვის შევიძინეთ აპარატურა, კომპიუტერული ტექნიკა, ლაბორატორია, რომელიც გვაძლევს საშუალებას თვითონ ვაკონტროლოთ პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

რაც შეეხება სწავლების პროექტს, იგი ინტენსიურად მიმდინარეობს ონის რაიონში, იმერეთსა და სამეგრელოს ზონაში. მიმდინარეობს ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გაცვლა ფერმერებსა და დაინტერესებულ მოსახლეობას შორის. აგრეთვე, ჩვენ მათთვის გამოვუშვით სპეციალური მეთოდური მითითებანი, ვატარებთ სადემონსტრაციო ღღეებს, რათა სრულად დავაკმაყოფილოთ დაინტერესებული ფერმერების ინტერესი.

— ქალბატონო თამარ, რამდენად კმაყოფილი ხართ აღნიშნული პროექტის მიმდინარეობით, რაში დაგეხმარათ მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტი?

— მე მინდა მადლობა გადავუხადო ამ პროექტის მესვეურებს, რადგან ეს არის მართლაც უნიკალური პროექტი თავისი დანიშნულებით. მართალია აღნიშნული პროექტი ვერ ააღორძინებს სოფლის მეურნეობას, მაგრამ დიდ დახმარებას რომ გაუწევს, უდავოა. ჩვენ ეს პროექტი პირველ რიგში დაგვეხმარა, შეგვენარჩუნებინა სხვადასხვა სამკურნალო მცენარეთა გენოფონდი და გვეხსნა ისინი გადაშენებისაგან.

თემურ კაციაშვილი



გაყინული კონფლიქტები: რუსეთის გამოწვევის დრო



მოლდოვეთის და სამხრეთ კავკასიის გაყინული კონფლიქტები ძალზე მნიშვნელოვან პრობლემად იქცა და თუ ევროკავშირი და აშშ-ის ახალი პრეზიდენტი სწორად მოახდენენ ზეწოლას რუსეთზე, მაშინ იგი თავის პოზიციას შეცვლის.

იმის თქმა, სამხრეთ ოსეთი საქართველოს „აჯანყებული რეგიონიაო“, მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის ენაა. აჯობებს, მას ვუწოდოთ კონტრაბანდის არხი, რომელსაც რუსეთი უმაგრებს ზურგს და მიბმული აქვს მიწის დიდი მონაკვეთი. რაც უფრო სწრაფად დაუბრუნდება ეს მიწა საქართველოს, მით უკეთესი იქნება ყველასათვის.

შავი ზღვის ოთხ გაყინულ კონფლიქტთაგან სამხრეთ ოსეთში ყველაფერი ნათელია: სეპარატისტულ მთავრობას არაფერი აქვს სათქმელი იმაზე, თუ რამ განაპირობა მისი თბილისთან დაპირისპირება. რუსეთის „სამშვიდობოები“ ზურგს უმაგრებენ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას, ხელს უწყობენ კონფლიქტის გაგრძელებას და არა მის გადაწყვეტას.

თითქმის ასევეა დნესტრისპირეთის საკითხი მოლდოვაში. იქაც რუსი ჯარი და რუსი დიპლომატები ამაგრებენ სეპარატისტულ რეჟიმს, რომელიც ყოფს და ამხინჯებს ქვეყანას.

მესამე გაყინული კონფლიქტია — აფხაზეთი. აფხაზეთს ისტორიაც ანიჭებს დამაჯერებელ პრეტენზიას მისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური სტატუსისათვის. საქართველო მზადაა მოსალაპარაკებლად, მაგრამ რუსეთი უკეთეს გამოსავალს ხედავს აფხაზეთის მთავრობის კონტრაბანდის მეშვეობით დაფინანსებასა და დაცვაში.

მეოთხე გაყინული კონფლიქტია — მთიანი ყარაბაღი. მასზე რუსეთს, როგორც სომხეთის მოკავშირეს, მეტი ზეგავლენა აქვს. ყარაბაღმა, სომხებით დასახლებულმა რეგიონმა აზერბაიჯანში, 1994 წელს გამოაცხადა თავი დე ფაქტოდ.

უმნიშვნელოვანესი პრობლემები...

არსებობს ამ გაყინული კონფლიქტების მოგვარების რამდენიმე შესაძლებლობა.

ერთ-ერთი გასული წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუცია“ და მიხეილ სააკაშვილის საქართველოს პრეზიდენტად არჩევაა.

ადრე კავკასიაში არ არსებობდა ისეთი ლიდერი, რომელსაც შეეძლო ამერიკის ყურადღების მიპყრობა (შევარდნაძეს მხოლოდ ვაშინგტონელი ვეტერანები სცემდნენ პატივს, თანაც არა პიროვნულად, არამედ გორბაჩოვის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს ნათამაშები როლის გამო).

სააკაშვილს აქვს ხიბლი, ახალგაზრდული ენერგია, ბრწყინვალედ იცის ინგლისური ენა, აშკარა ლიბერალ-დემოკრატია. მისი პოპულარობა და პოლიტიკა დასტურია იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში საქმე უკეთესობისკენ წავა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელი პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც უნდა დარწმუნდნენ, რომ წარმატების მიღწევა მათ ჩაურევლადაც შეიძლება.

მეორე ფაქტორი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს გაყინული კონფლიქტის გალღობას, არის დასავლეთის ნდობის შემცირება რუსეთისადმი. აქამდე დასავლეთი ნებას აძლევდა რუსეთს, მოლდოვეთსა და კავკასიაში პრობლემების მართვაში მთავარი როლი ეთამაშა.

„იუკოსის“ საქმემ, ჩეჩნეთის ომმა და ვლადიმირ პუტინის მიერ თავისუფალი მედიის შევიწროებამ დაარწმუნა დასავლეთი, რომ რუსეთი, თავისი პოლიტიკური ღირებულებებით, შორდება მათ და ხდება უფრო ავტორიტარული.

პრეზიდენტ ბუშის სამი წლის წინანდელი აბსურდული განცხადება, — მე ჩავიხედე პუტინის სულში და მივხვდი, რომ მისი ნდობა შეიძლებაო, აფერხებს აშშ-ს რუსეთისადმი ნამდვილი პოლიტიკა გამოავლინოს. ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა ბოლო ხანს იმდენად დაიძაბა, რომ მოსკოვის მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკის გამკაცრება მხოლოდ დროის საკითხია. ასე მოხდება, თუ წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ჯონ კერი მოიგებს, როგორც ყველა ახალი პრეზიდენტი, ისიც დაიწყებს წინამორბედების პოლიტიკის კრიტიკას. იგივე მოხდება, თუ ბუში გაიმარჯვებს და დანიშნავს ახალ სახელმწიფო მდივანს.

მესამე ფაქტორი, რომელსაც გაყინული კონფლიქტები ტრანსატლანტიკურ გეგმაში უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს, არის ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება, აშშ-ის დიდი ინტერესი 11 სექტემბრის ტერაქტის მიზეზისა და ავღანეთსა და ერაყში გაჩაღებული ომების მიმართ.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და მოლდოვეთი უეცრად აღმოჩნდნენ სტრატეგიული ინტერესის ეპიცენტრში. ისინი არიან ნატოს და მომავალში — ევროკავშირის მეზობლები. ამის გამო საჭიროა მათი სტაბილურობის დაცვა და წახალისება. ამიტომ სურთ ევროპას და ამერიკას ამ ქვეყნებში გაყინული კონფლიქტების გალღობა. ეს კონფლიქტები იწვევენ ამ სახელმწიფოებში დესტაბილიზაციას და შესაძლოა უფრო ფართო სპექტრის პრობლემებს.

მარშალის ფონდის მიერ ახლახან ჩატარებულ გამოკვლევაში კონფლიქტის ზონებს უწოდეს „საბჭოთა იმპერიის მოუწესრიგებელი ფრაგმენტები, რომლებიც ახლა იარაღითა და ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობისა და ტრანსპორტირების, ტრეფიკინგის, ორგანიზებული საერთაშორისო დანაშაულებრივი ჯგუფების და ტერორიზმის პუნქტებად გამოიყენება“.

დასავლეთმა პუტინს უნდა უთხრას, — სასურველია სახალხოდ, რომ რუსეთის განცხადებები ბოროტმოქმედებისა და ტერორიზმის აღკვეთის შესახებ, არ შეიძლება სერიოზულად ჩაითვალოს მანამ, სანამ იგი კრიმინალური რეჟიმების დაფინანსებას გააგრძელებს და ეჭვქვეშ დააყენებს რეგიონულ უსაფრთხოებასა და ლეგიტიმურ მთავრობებს. რუსეთი უნდა მიხვდეს, რომ მისი საერთაშორისო ავტორიტეტი გაცილებით ფასეულია, ვიდრე ის უსუსური ზემოქმედება, რომელსაც იგი მანიპულირებით ახორციელებს საქართველოსა და მოლდოვეთის გაყინული კონფლიქტების ზონებში.

დასავლეთმა სწორედ ასე უნდა დააყენოს საკითხი, თუ სურს, რომ რუსეთმა პოზიცია შეცვალოს. სიცრუე და ორჭოფობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამაზე ხელის აღება არის პირველი ნაბიჯი არსებული მდგომარეობის შესაცვლელად.

რუსეთი პოზიციას შეიცვლის, თუკი მართებულ ზეწოლას იგრძნობს, რადგან აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი მისთვის საბოლოოდ დიდად მნიშვნელოვანნი არ არიან. კომერციულად მხოლოდ რამდენიმე თაღლითი სარგებლობს არსებული სიტუაციით, პოლიტიკურად კი — რუსეთის დუმის წევრი ორიოდე ნაციონალისტი. მაგრამ ისინი ბევრს არაფერს წარმოადგენენ პუტინის პოლიტიკური კაპიტალისათვის. თუ ეს პრობლემები მაღალ დონეზე განიხილება, მაშინ იგი უფრო იოლად მოგვარდება, ვიდრე კამათი დაბალ დონეზე, სადაც წვრილწვრილი ლობისტები სათავისოდ იბრძვიან...

ეს მაღალი დონის დიპლომატია ძირითადად აშშ-ის მოსაგვარებელი იქნება, რომლის პრეზიდენტსაც შეეძლება პუტინის ყურადღების მიპყრობა ისე, როგორც არც ერთ სხვა ევროპელ ლიდერს. თუმცა ევროკავშირსაც ბევრი სამუშაო ექნება ჩასატარებელი. უპირველესად, ევროკავშირმა უნდა უპასუხოს ამერიკის პოლიტიკურ მიმართვას. შემდეგ უნდა მისდიოს „ახალი სამეზობლოს“ პოლიტიკის იდეასაც, რომელიც ითვალისწინებს შავი ზღვის ქვეყნებისათვის ევროკავშირის ბაზრის ხელმისაწვდომობას და ევროკავშირის დახმარებას სახელმწიფო რეფორმების სანაცვლოდ, ასევე, მან უნდა დაარწმუნოს ევროკავშირის წევრობის მოსურნე თურქეთი, რომ აუცილებელია სომხეთთან ურთიერთობების მოგვარება. თუ თურქეთი გახსნის აზერბაიჯანის მხარდასაჭერად ჩაკეტილ სომხეთ-თურქეთის საზღვარს, მაშინ სომხეთი აღარ იქნება მარტო რუსეთის იმედად, გამოუსწორდება ეკონომიკური მდგომარეობა და ეს მას უბიძგებს ყარაბაღის პრობლემის მოგვარებისაკენ.

გაყინული კონფლიქტური ზონების შესახებ რუსეთთან ბჭობაა საჭირო: საქართველო და მოლდოვეთი თუ გაიმარჯვებენ და ნორმალურ ქვეყნებად იქცევიან, ეს რუსეთის დახმარებაცაა, რადგანაც მისი უსაფრთხოება და აყვავება დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნების სტაბილურობასა და ძლიერებაზე. რუსეთს ეს ნაწილობრივ ესმის, მაგრამ ხელის წაკვრაც აუცილებელია. ერთი-ორი წელი სჭირდება დასავლეთს, რომ რუსეთს ნირი შეაცვლევინოს.

ეკონომისტი

სააკაშვილის სახიფათო თამაში

ზაფხულის დამდეგს საქართველოს პრეზიდენტმა მშვიდობიანი გზით მოახერხა ერთ-ერთი განდგომილი რეგიონის მოთვინიერება. ახლა, როგორც ეტყობა, მზად არის, ძალაც გამოიყენოს თვითმარქვია „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს იურისდიქციაში დასაბრუნებლად. ეს კი მიხეილ სააკაშვილს სერიოზულ საშიშროებას უქადის — იარაღის ჟღარუნით მან შეიძლება ახალი ეთნოკონფლიქტები გამოიწვიოს და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს „ვარდების რევოლუციასთან“ დაკავშირებული იმედები და მიღწევები.

რამდენიმე კვირაა, რაც საქართველოსა და მის ურჩ პროვინციებს (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს) შორის „მცირე ინტენსივობის კონფლიქტები“ ღვივდება. საზღვართან ჯარები ხან თავს იყრიან, ხან მოულოდნელად უკან იხევენ. ღამღამობით ორივე მხრიდან ისმის უწესრიგო სროლები. როგორც ეტყობა, სააკაშვილის საომარი რიტორიკა და მისი მტკიცებულებები — რუსეთის ჯარები რეგიონში უშიშროებას ვერ უზრუნველყოფენო — ტაქტიკური სვლაა, რომელსაც რუსეთთან კონფრონტაციის ფორსირება აქვს გამიზნული. მას იმედი აქვს, ახალშეძენილი მოკავშირე — შეერთებული შტატები — მხარში ამოუდგება ქვეყნის გამთლიანებაში. ეს სახიფათო თამაში შეიძლება კრახით დამთავრდეს.

დინამიკური ცვლილებების გარეშე „ვარდების რევოლუცია“ დაიღუპება. ორივე ამბოხებული რეგიონი რუსეთის მოსაზღვრეა და რუსეთის ფედერაციაში უნდათ შესვლა. რუსეთშიც არიან ძლიერი დაჯგუფებები, რომელთაც ხელს აძლევთ ამ რესპუბლიკებში არსებული მდგომარეობა: ლაპარაკია ორივე რეგიონის ხელისუფალთა და რუსეთის სამშვიდობოების სიხარბეზე. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკონომიკა კონტრაბანდასა და სხვა უკანონო ქმედებებზეა დაფუძნებული. რუსეთის სამხედროები კი სიამოვნებით უწყობენ ხელს ამ მექანიზმის „მუშაობას“, რადგან მოგებიდან პროცენტი მათაც ხვდებათ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ასეთი მფარველის ხელში თავს ბედნიერად გრძნობენ. თავის მხრივ, რუსეთს, რომელსაც ანალოგიური პრობლემები აქვს საკუთარ საზღვარზე და ქვეყნის შიგნითაც, ნამდვილად არ აძლევს ხელს სააკაშვილის გეგმა — „ვარდების რევოლუციის“ ფინალი — სახელმწიფოს გაერთიანება. არც სააკაშვილს არგებს შეერთებული შტატების იმედად ყოფნა — მოსკოვსა და ვაშინგტონს გაცილებით მნიშვნელოვანი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი — მთავარი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაა და არა — ეროვნული ინტერესები. სააკაშვილი კი თავისი დახლეჩილი ქვეყნის გამთლიანებას ლამობს და კორუფციისადმი ზიზღი და ეროვნული სიამაყე ამოძრავებს. როგორც არ უნდა თანაუგრძნოს აშშმა სააკაშვილს, საჯაროდ ვერაფერს შესთავაზებს ორაზროვანი მხარდაჭერის გარდა. რუსეთი კი თავად სააკაშვილის მიერ პროვოცირებული კონფლიქტისგან განზე ვერ გადგება. თუ სააკაშვილი ქვეყნის გამთლიანებას კონფლიქტის საშუალებით აპირებს, უეჭველად მიიღებს კონფლიქტს; მაგრამ ამით მან შეიძლება ის სუსტი სტაბილურობაც დაარღვიოს, რომელიც მისი კონტროლის ქვეშ მყოფ საქართველოშია, გამოუსწორებლად შელახოს „ვარდების რევოლუციის“ იდეალები და ხალხის მხარდაჭერაც დაკარგოს, ხალხისა, რომელმაც ხელისუფლების სათავეში მოიყვანა.

ნე შენს ინტერესი

ოსური ჩიხი

აგვისტო სამხედრო ესკალაციისთვის ხელსაყრელი დროა. „სისულელეს“ ხშირად სწორედ მაშინ სჩადიან, როცა კონფლიქტის მონაწილე მხარეებს გონიათ, მთავრობა შვებულებაშია და დასვენების გარდა, არაფერი აინტერესებსო. სამხრეთ ოსეთში ახლა ყოველდღიურად ხდება ამგვარი „სისულელე“, რომელიც თვალის დახამხამებაში შეიძლება გადაიზარდოს ქართულ-რუსულ-სამხრეთ ოსურ ომად. საქართველოს სურვილი, დაიბრუნოს ამბოხებული პროვინცია — კანონიერია. სამხრეთ ოსეთი, ისევე როგორც აფხაზეთი — საქართველოს სახელმწიფოს შავი ხვრელია, საიდანაც კონტრაბანდული გზით შემოდის ბენზინი, ნარკოტიკი, იარაღი, პროდუქტი. ასეთი კრიმინალური მდგომარეობის გაგრძელება საქართველოს ბიუჯეტს ემუქრება. ედუარდ შევარდნაძის მთავრობა ამაზე 12 წელი თვალს ხუჭავდა, რადგან კორუფციიდან და კონტრაბანდიდან მოგება ჰქონდა. საქართველოს ახალი ხელისუფლება ამ უმსგავსობის ალაგმვას ცდილობს. სააკაშვილმა ფსონი ქვეყნის გამთლიანებაზე დადო — უნდა ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორებამდე დაიბრუნოს განდგომილი პროვინციები და ამით ხალხის ნდობა უფრო განამტკიცოს.

სამხრეთ ოსეთის „პრეზიდენტის“ ედუარდ კოკოითის რეჟიმი მხოლოდ კონტრაბანდის საშუალებით ფინანსდება, რომელსაც თბილისმა ყველა გზა გადაუჭრა. რუსეთის მთავრობა მხარს უჭერს კოკოითს და ოსეთში მდგარ თავის ჯარებს კონტრაბანდით ფულის გაკეთების საშუალებას აძლევს. ამიტომაც იძულებულია, ჩრდილში დარჩეს — მოსკოვი კავკასიაში ახალი კონფლიქტის გაღვივებით არ არის დაინტერესებული.

დერ სტანდარტი

ტალღებზე მოჯირითე



რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ვლადიმირ ჟირინოვსკის სარისკო მოგზაურობა აფხაზეთში

10 აგვისტოს, 8.05 სთ-ზე, სოჭის პორტიდან ახალი ათონისკენ თბომავალი „აკაცია“ დაიძრა. ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკი თავმომწონედ დააბიჯებდა გემბანზე და შიგადაშიგ კაპიტნის მოვალეობასაც ასრულებდა. სააკაშვილის მუქარის შემდეგ ექსკურსანტების რიცხვი შემცირდა, მაგრამ „აკაცია“ სიხალვათეს მაინც არ უჩიოდა — საგზურები თვალის დახამხამებაში დაიტაცეს, რადგან საექსკურსიო ფირმები ტურისტებს ასეთი მოწოდებებით იწვევდნენ: „მხოლოდ ერთხელ ახალ ათონში ჟირინოვსკისთან ერთად!“ სოჭის პორტში ჟირინოვსკის ЛДПР-ის აქტივისტები ელოდნენ, მაგრამ ადამ და ევას დროინდელი „აკაციის“ დანახვაზე პარტიული გზნება წამსვე ჩაუქრათ და კომფორტული „მერსედესის“ ტიპის ავტობუსით ამჯობინეს აფხაზეთისკენ გზის გაგრძელება, თავი მხოლოდ ოცმა თანაპარტიელმა გასწირა და ვლადიმირ ჟირინოვსკისთან ერთად გემბანზე ავიდა. დემონსტრაციული აქციის მონაწილეთა სავალალოდ, სანაპიროზე გამცილებელი ცოტა იყო: ათიოდე ჟურნალისტი, სოჭის მერი და რამდენიმე ადგილობრივი თანაპარტიელი. ამიტომ აქტივისტებს თავად მოუწიათ გულისამაჩუყებელი გაცილების ინსცენირება, აფრიალებდნენ ЛДПР-ის ცისფერ დროშებს და თავისი ბელადის სადიდებელს გაიძახოდნენ. „აკაციაზე“ ასვლის წინ ჟირინოვსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა: — პირობა შევასრულე და სააკაშვილის ჯიბაზე აფხაზეთში დასასვენებლად ზღვით მივემგზავრებიო.

საქართველოს საბრძოლო კატერებს შეუძლებელია, არ შეემჩნიათ მათკენ მომავალი დროშებით აჭრელებული გემი, მით უმეტეს, რომ წინადღეს ბატონმა სააკაშვილმა განაცხადა, — თუ ჟირინოვსკის კატერი აფხაზეთის აკვატორიაში გამოჩნდება, ამ შემთხვევისთვის გათვალისწინებულ ყველა ღონეს ვიხმართო. მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა ჟირინოვსკის გემბანიდან „რეპორტაჟი“ მიჰყავდა: „გამოჩნდა აფხაზეთის რამდენიმე სამხედრო კატარღა, შესაძლებელია მათსა და ქართულ გემს შორის სროლა ატყდეს“... „აფხაზურმა კატერებმა ალყაში მოაქციეს ქართული გემი და აფხაზეთის ტერიტორიული წყლების დატოვებას სთხოვენ“...

სოხუმში ლიბერალ-დემოკრატების ბელადს აფხაზეთის ხელისუფლება და ხალხი ყვავილებით შეეგებენ. ჟირინოვსკელების ჩასვლამდე კი აფხაზეთს „ედინაია როსიას“ დელეგაცია სტუმრობდა, უფრო ადრე — იური ლუჟკოვი.

აფხაზეთში დარწმუნებული არიან, რომ ბატონმა სააკაშვილმა თავისი გამოხდომებით კი არ ავნო მათ, არამედ პირიქით, აფხაზეთის კურორტებს ისეთი რეკლამა გაუკეთა, რაზედაც ვერც იოცნებებდნენ — ახლა რუსეთ-საქართველოს საზღვარს ყოველდღიურად 3-4 ათასი დამსვენებელი კვეთს. აფხაზეთის მთავრობა ვარაუდობს, რომ მათი რიცხვი 100 ათასს გადააჭარბებს.

ვრემია ნოვოსტეი

გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



პატარები გეიმოცნობენ

სახურავზე კატა გამოჩნდა.

— ბებო, ნაქე, კატა მოვიდა, — უთხრა ბებიას 1,8 წლის შვილთაშვილმა **გვანცა გალდავაძემ**.

— ჰო, ბებო, ჰო, კატაა. მაგას რუსულად „კოშკა“ ჰქვია, — აუხსნა ბებიამ.

რამდენიმე ხნის შემდეგ კატა ისევ გამოჩნდა.

— ბებო, ბებო, — ეძახის გვანცა, — ნაქე, კატა მოსულა ლუსულად.

***

გვანცა ცქიტიშვილი 3 წლისა შეიყვანეს ცეკვაზე. ერთ დღეს გახარებული გამორბის დარბაზიდან და დედას ეუბნება:

— დედიკო, ვაჟა მასწავლებელმა მარტო მე მითხრა — ტყემალზე ზიხარო.

***

4 წლის **გიორგი ჯავახია** დედამ ვაკის პარკში წაიყვანა გასართობად. გიორგიმ პარკის თავზე მიმავალი საბაგირო ვაგონები დაინახა და დაიყვირა:

— დედიკო, დედიკო, შეხედე, საჰაერო ტროლეიბუსი მოდის.

დედა ღორი და მგელი

ზღაპარი

ერთ დედა ღორს სამი გოჭი ჰყავდა. ნათესავმა მლაშე ზურგიელი მოართვა, ღორულად მიასკდნენ და მერე წყურვილი ახრჩობდათ. დედა ღორი წყლის მოსატანად წავიდა. როგორც კი ჭურჭელი მდინარეში ჩაყო, საიდანღაც გაჩნდა მგელი და ზურგზე მოახტა.

— უნდა შეგჭამო, დედა ღორო!

— შემჭამო?! — გაიკვირვა დედა ღორმა, — ხორცი რომ არ მაბია, რას შეჭამ! თუ კბილები არ გეცოდება, თავი დამანებე, სამი ისეთი გოჭი მყავს, როგორც მწიფე მსხლები. ერთს მოგცემ და მომეშვი.

— ეგ კი მომწონს! — თქვა მგელმა, — რა ჰქვიათ?

— ერთს უდროო ჰქვია, მეორეს მაგარა, მესამეს თბილანა.

— კარგი, — უთხრა მგელმა და გაუშვა.

წავიდა დედა ღორი, შვილებს წყალი დაალევინა, ორივე კარი მაგრად ჩაკეტა და თავის გოჭებთან თბილად დაწვა.

სად იყო და სად არა, მოძუნძულდა მგელიც და დაიძახა:

— ჰაი, უდროო!

— უდროო დროს ვერ გამოგხედავ! — გამოსძახა დედა ღორმა.

მგელმა ისევ დაიძახა:

— ჰაი, მაგარა!

— მაგრად არის კარი ჩაკეტილი! — მოესმა პასუხი.

მესამედაც დაიძახა მგელმა:

— ჰაი, თბილანა!

— თბილად ვწევარ ჩემს შვილებთან, — ისევ გამოსძახა დედა ღორმა.

სიბრაზისაგან მგელი იქვე დაეცა. სადაც კი ყვავები იყვნენ, სულ აქ მოფრინდნენ და კორტნა დაუწყეს. მგელმა დააღო პირი და ერთი ყვავი დაიჭირა.

— მთელი ჯავრი შენზე უნდა ვიყარო, — უთხრა მგელმა.

— რაც გინდა ის მიყავი, გინდ შემჭამე, გინდ წყალში გადამაგდე, შენი ნებაა. ოღონდ ერთ რამეს გთხოვ, ცერცვის ასხმულას და ხაჭაპურს ნუ შემაბამ ყელზე და კლდიდან ნუ გადამაგდებ.

— კიდევ კარგი, შენ თვითონ მითხარი, რისიც გეშინია, — გაიხარა მგელმა, შეაბა ყელზე ცერცვის ასხმულა, ხაჭაპური და კლდიდან გადაუძახა. ყვავმა შეიფრთხიალა და ერთ მაღალ ხეზე შემოჯდა; ჩაიგდებს პირში ცერცვის მარცვალს, დააყოლებს ხაჭაპურს და ყრანტალებს:

— ყვა-ყვა, მგელო, ყვა-ყვაა, გასკდი გულზე!

მეორედ მოტყუებამ სულ გადარია მგელი და ბრაზით მართლა გაუსკდა გული.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ცხელ ქვეყნების ბინადარი, ტანად უზარმაზარი, გრძელცხვირა და კისერმოკლე, ეშვები აქვს მაგარი“.**



იპოვე 9 განსხვავება





II ანა, გამოიცანი

1) რომელი გამოთქმა ნიშნავს „არაფერს აკეთებს, უსაქმურადაა“?

ა) ბუზი არ აფრენია; ბ) ბუზსაც არ იკარებს; გ) ჭერში ბუზებს ითვლის; დ) ბუზადაც არ აგდებს.

2) რა არის კვარცხლბეკი?

ა) კვარცის საათი; ბ) კვარცის ლამპა; გ) რაზეც ძეგლი ან ქანდაკება დგას; დ) მინერალი.

3) ვისი სურვილით გამეფდა თინათინი?

ა) ხალხის; ბ) ვეზირების; გ) როსტევანის; დ) ავთანდილის.

4) რომელია სასულიერო პირის სამოსი?

ა) მანტია; ბ) ანაფორა; გ) ლაბადა; დ) ტოგა.

5) რა არის გობელენი?

ა) მოხატული ხის თასი; ბ) ხელით ნაქსოვი ხალიჩა-სურათი; გ) მინანქრის ნაწილებისგან შექმნილი სურათი; დ) მხატვრული ტილო.

6) რომელი მეცნიერების ნაწილია ოპტიკა?

ა) ფიზიკის; ბ) ქიმიის; გ) ბიოლოგიის; დ) მათემატიკის.

7) რომელი ქვეყნის კუნძულებია ჰონსიუ, ჰოკაიდო, სიკოკუ, კიუსიუ?

ა) ინდოეთის; ბ) ესპანეთის; გ) იაპონიის; დ) კანადის.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



CMYK

ისიც დედა იყო და გაამგო!..

ქალბატონი ლაურა 40 წელიწადზე მეტია მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ბავშვებს. მისი დაზრდილი თაობები თავად გასცემენ ახლა მასწავლებლის ნაქადაგებ სიკეთესა და მადლს...

ერთადერთი შვილი ჰყავს, ხელმაძღლიანი ქირურგი, ბატონი სანდრო და ორიც — საფიცარი შვილიშვილი...

მისი ქმარი არავის უნახავს და ამის გამო მისთვის ალმაცერად არავის შეუხედავს, არც უკითხავთ რამე, ეჭვით გული რომ არ ტკენოდა...

ქალბატონი ლაურა მეც მასწავლიდა. თუმცა ძალიან ცოტა ხანს ვიყავით ერთად, მაგრამ ქართული სიტყვის მადლი სწორედ მისგან შევიგრძენი. ჰოდა, ჩემმა სათაყვანო მასწავლებელმა შინ რომ დამპატიჟა — სალაპარაკო მაქვსო, — სიხარულით გვერდზე გადავდე ყველა საქმე და შინ ვეწვიე.

მომეფერა და მითხრა, ისეთი რამ უნდა გიამბო, ერთი შეხედვით დაუჯერებელი რომაა, მაგრამ მერწმუნე, ოდესღაც მეც მოვხვდი ნამდვილ ზღაპარში, რომელიც არასოდეს გამიმხელია და თუ მოგეწონება, დაწერე... იცოდნენ ადამიანებმა, რომ თუ ბუნებას, თვით უსასტიკეს მტაცებელსაც კი მტრულად არ მოვექცევით, პირველი არასოდეს გამოიჩენს აგრესიას, პირიქით, თვისტომზე მეტად გაგიგებს და შეგიბრალებს, თავის მოკვლის სურვილს გაგიქრობსო!..

სიმართლე გითხრათ, სიმკაცრით განთქმული ლაურა მასწავლებლისგან გამიკვირდა ასეთი სენტიმენტალობა თუ, არც კი ვიცი, რა დავარქვა...

— უკან მიხედვისა მეშინია. ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობა რომ დამესიზმრება, ეს ჩემთვის კოშმარია... ნამდვილი დედა არასოდეს მინახავს, ჩემზე მშობიარობას გადაჰყოლია. სამი წლისას მომგვარა მამამ დედინაცვალი, რომელსაც ერთხელაც არ დაუძახია ჩემთვის — შვილო. თავიდანვე ვგრძნობდი, რომ ზედმეტი ვიყავი მისთვის და არასოდეს შემიყვარებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავისი შვილები გაუჩნდა... აღარ მინდა რამე ვთქვა დედინაცვალზე, არც მამაზე, რომელმაც არ დამიცავა და 13 წლის ასაკში დედინაცვლის დაჟინებული მოთხოვნით 30 წელს გადაცილებულ კაცზე გამათხოვა. იგი გალოთებული იყო, სამამული ომში ნამყოფი. იქიდან ჩამოსულა ნერვებაშლილი, ყველას ხომ ერთნაირად არა აქვს სიმამაცე და გულადობა!..

...ჯერ ლოთობით გამაწამა და მერე ეჭვიანობით, ხმას ამოვიღებდი და მცემდა, გავჩუმდებოდი და... მაინც მცემდა — სათქმელი არაფერი გაქვს, განა არ ვიცი!..

არც ბავშვის დაბადებამ მოიყვანა გონს. ახლა სანდროს თვალწინ მცემდა და მივხვდი, ბავშვიც გაბოროტდებოდა, თუ თავს არ ვუშველიდი... არც წასასვლელი მქონდა, ამიტომ დიდხანს ვყოყმანობდი, მაგრამ ერთხელაც მთვრალმა ნაჯახს რომ წამოავლო ხელი და სამი წლის სანდროს შიშისაგან გაფართოებულმა თვალებმა და განწირულმა ყვირილმაც არ შეაჩერა, მივხვდი, ფიქრის დრო და საშუალება არ მქონდა. შვილს ხელი დავავლე და ეზოდან გამოვვარდი, ქმარი გინებით და მუქარით მომდევდა...

— მეზობლებმა ვერ გაიგონეს თქვენი ყვირილი?

— მობეზრებული ჰქონდათ თავი. იქნებ ძალიანაც ვეცოდებოდი, მაგრამ თავზეხელაღებულ კაცთან დაპირისპირებას ყველა ერიდებოდა...

...ტყე იყო ჩვენი სოფლის შორიახლოს და იქით გავიქეცი. გავრბოდი უკანმოუხედავად... ბნელოდა, შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო ალბათ...


ზაფხული იყო, მაგრამ მაინც ციებიანივით გვაკანკალებდა დედა-შვილს, სანდრო პატარა ხელებს მისვამდა სახეზე და მეხვეწებოდა — ნუ ტირი, დე, ნუ ტირი!.. გულში ჩავიკარი პატარა, მკლავები მოვხვიე... ჩაეძინა. ცოტა რომ დავშვიდდი, მთვარის შუქზე თვალი შევაჩვიე ტყეს და შორიახლო გამოქვაბულივით დავლანდე რაღაც... მონუსხულივით შევედი შიგ, შიშის გრძნობა გამქრალი მქონდა თითქოს. მშრალი ფოთლების გროვა ეყარა და იქვე, შესასვლელში მივწექი, ფოთლებში გავეხვიე ბავშვთან ერთად... ეტყობა, მალე ჩამეძინა...

...სახეზე თბილი სუნთქვის შეგრძნებამ გამომაფხიზლა და თვალი რომ გავახილე, შიშით შევკივლე — უზარმაზარი მურა დათვი მადგა თავს. სანდრო გულში ჩავიკარი და გამოქვაბულის კედელს ავეკარი.

...დათვი ადამიანივით ჩაჯდა უკანა თათებზე და მომაცქერდა. თვალები დავხუჭე, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ დაგვგლეჯდა...

ცოტა ხანში ღმუილმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. თვალი გავახილე და ორი პატარა ბელი დავინახე, რომელიც დედას მიადგნენ და ძუძუებზე დაეკიდნენ, რძეს დაუწყეს თქვეფა. სანდრომ გადაიკისკისა და ტაში შემოჰკრა — იმათთან მინდაო!

ბუნებრივია, არ გავუშვი. მერე გაჭირვეულდა — მშიაო!.. გაშეშებული ვიჯექი და განძრევას ვერ ვბედავდი... სანდრო ხელიდან გამისხლტა და დათვთან მიირბინა, ბელებს შუაში ჩაუდგა. დათვმა მსუბუქად გაჰკრა ტორი და წაიქცა ბავშვი, უმალ ბელებიც მის გვერდით გადაკოტრიალდნენ...



დათვი გამოქვაბულის სიღრმეში შევიდა და ცოტა ხანში უკან მობრუნებულს ფიჭის ნატეხი ეჭირა პირში, რომელიც ბელების წინ დააგდო და ჩემი სანდროც მიუცუცქდა, პირი თაფლით მოითხუპნა, მერე ჩემთან მოვიდა და მითხრა, შენც ჭამეო! აბა, რა ჭამის თავი მქონდა...

დათვი გარეთ გავიდა და ბელებიც გაედევნენ, სანდროც არ ჩამორჩა მათ და მეც მონუსხულივით მივყევი... ტყის პატარა მდინარეს მიადგნენ. დათვი წყალში ჩადგა და ბელებსაც მოუხმო. ერთს, ეტყობა, ცივი ეჩვენა წყალი და არ აპირებდა ჩასვლას, მაგრამ ძალით ჩააგდო დედამ და ჩააყვინთვინა. ამის დანახვაზე გამეცინა კიდევაც... მეც დავიჭირე სანდრო და მოთხუპნული პირი ძალით დავბანე...

მდინარიდან რომ ამოვედით და მზეს მივეფიცხეთ, სწორედ ამ დროს გავიგონე კაცის ხმა: — ვინა ხარ, რა სულიერი, ბავშვს ხელი დაავლე და გამოიქეცი, დათვს მე მოგაშორებო! შემართული თოფიც დავინახე. ვიკივლე — არ ისროლო, არ დამღუპო-მეთქი! და ბელებიან დათვს წინ ავეფარე...

მოკლედ, შეტრიალდა დათვი თავისი ბელებიანად და შევიდა ტყეში, მიიმალა... კაცი მოხუცი მონადირე გამოდგა მეზობელი სოფლიდან, მეტი გზა არ მქონდა და მოვუყევი რა უბედურებაც მჭირდა, ვინც ვიყავი...

ძია ამბაკოს ორი უცოლშვილო ვაჟი ჰყოლია და ორთავე ომში დაღუპვია, შინ ის და მწუხარებისგან გაოგნებული მისი ცოლი მართა იყვნენ. — თქვენი თავი ღმერთმა გამომიგზავნაო! — წამიყვანა და დამმალა. — შენი მშობლები და ქმარი არ ყოფილან თქვენი ღირსები, იმათ რა იციან შვილის და შვილიშვილის ფასი, მე მკითხონო!..

იმ მოხუცების სიკეთემ გადაგვარჩინა მე და ჩემი შვილი. 17 წლისა მოვხვდი მათთან, ინსტიტუტიც დამამთავრებინეს დაუსწრებლად, ქალაქში დასახლებაშიც მათ შემიწყვეს ხელი — ჩვენ რომ რამე მოგვივიდეს, იქ უფრო შეინახავთ თავს, თანაც იქ ნაკლებად გიპოვის შენი უღირსი ქმარიო.

...ახლა ისევ იმ დათვის საქციელის შესახებ მინდოდა მეთქვა — დედა იყო და რადგან მეც დედა ვიყავი, იმიტომ გამიგო და დამინდო... და კიდევ, ასე მგონია, ბუნების კიდევ ერთი ასაწაულის შემსწრე გავხდი...

„მიყვარხარ, თამუნია!..“

ოდესღაც ულამაზეს თამუნიას ახლა ყველანი ბებია თამარს ეძახიან და მხოლოდ ძალზე დაკვირვებული თვალი თუ შენიშნავს მის დანაოჭებულ სახეზე წარსული სილამაზის კვალს... მხოლოდ თვალები აქვს ძველებურად ღამაზი, — მოლისფერი სიმშვიდით სავსე...

78 წლის ქალბატონი მარტოხელაა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში მოტრფიალეც ბევრი ჰყავდა, მოტაცებითაც ბევრი ემუქრებოდა, მარტოობა არჩია — თავისი პირველი და ერთადერთი სიყვარულის ერთგული დარჩა, სიყვარულისა, რომელსაც მომავალი არ ეწერა და მაინც მძლავრი ფესვები გაიდგა...

თამუნია მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, ის კი... მისი რაინდი და ერთგული მეგობარი — ებრაელი... სხვადასხვა რწმენა და სალოცავი ჰქონდათ, სხვადასხვა პასუხისმგებლობა. ბიჭს ისააკი ერქვა, ჩვენებურად სოსო და გოგოზე ექვსი წლით იყო უფროსი. ერთ უბანში იზრდებოდნენ, მათი მამები მეგობრობდნენ კიდევაც...

სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისელი სოსო მოსკოვში გაემგზავრა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ომი რომ დაიწყო, მეოთხე კურსზე სწავლობდა და 21 წლისა იყო მხოლოდ. პირველ დღეებში გაიწვიეს და ბერლინამდე ჩავიდა მატარებელში განლაგებულ მოძრავ ჰოსპიტალთან ერთად. ტყვია არ მიჰკარებია, ერთხელაც არ დაჭრილა, თავად კი უამრავ ადამიანს აჩუქა სიცოცხლე. 1945 წლის სექტემბერში დაბრუნდა მშობლიურ ქუთაისში და ვერ იცნო მზეთუნახავად ქცეული 19 წლის თამუნია. ახლობლებს ჰკითხა მისი ვინაობა... სიყვარულმა გადარია 25 წლის ვაჟკაცი, მაგრამ გამხელაც ვერ გაბედა, იცოდა, ოჯახი მხოლოდ „სინაგოგიდან გამოყვანილ“ ქალზე დაქორწინების ნებას თუ დართავდა, წინააღმდეგობას კი ვერ აკადრებდა მშობლებს...

ისევ მოსკოვს მიაშურა იმ იმედით, რომ „თვალი თვალს მოშორდებოდა და გული გადასხვაფერდებოდა...“ ასე კი არ მოხდა და როცა მიხვდა, მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, უფროს დას სთხოვა შუამავლობა ცალკე მშობლებთან და ცალკე თამუნიასთან... — ეგრამ გაფიქრებინაო, — თამუნიამ. — მშობლების დალოცვის გარეშე საქორწინო გვირგვინს ვერ დავიდგამო!..

მშობლებს კი არაფრის გაგონება არ სურდათ...

სოსო მაინც ჩამოვიდა ქუთაისში და თამუნიას გაპარვა შესთავაზა, — ბოლოს და ბოლოს, გვაპატიებენო!.. თამარმა უარი უთხრა — მშობლების დალოცვის გარეშე ბედნიერები ვერ ვიქნებით, ვფიცავ, შენს გარდა არავის გავყვები და გაუთხოვარს ხომ არ დამტოვებენ — დაგვთანხმდებიანო!..

არ დათანხმდნენ...

სოსო მოსკოვს დაუბრუნდა. ყოველკვირა მოდიოდა წერილები თამუნიას სახელზე ქუთაისში — ბიჭი ეძახდა და ბოლოს დაემუქრა, თუ არ ჩამოხვალ მოსკოვში, იცოდე, იმას შევირთავ ცოლად, ვინც საერთოდ არ მიყვარსო...

თამუნიამ არ უპასუხა ამ ბარათს...

სოსომ მუქარა შეასრულა და მამის შერჩეული გოგო შეირთო ცოლად. არ იყო ცუდი ქალი ლამარა, შვილებიც კარგი გაუჩინა — ჯერ მიშა, მერე მზია და ციური. გადიოდა წლები. ვერ შეძლო ქართული ცის გარეშე სოსომ და მოსკოვის ცნობილი კლინიკიდან ქუთაისში ჩამოვიდა 1957-ში... გაუთხოვარი დახვდა თამუნია. შემთხვევით შეხვდნენ ქუჩაში. სევდიანად გაუღიმა ქალმა: — დედ-მამა აღარა მყავს, დები გამითხოვდნენ, მარტო ვცხოვრობ და ფიცი არ გამიტეხავსო...

დიდხანს უმტკიცა სოსომ — უნდა გათხოვდე, შენთვისაც ასე ჯობია და ჩემთვისაც!.. თამუნიამ არ დაუჯერა...

მერე დამეგობრდნენ და ისეთი უანგარო იყო მათი მეგობრობა, ეჭვითაც ვერავინ გაუბედა ჭორი. თამუნიას, მარტოხელა პედაგოგს უჭირდა და სოსო ვითომ შემთხვევით, ხან პროდუქტით გაუმართავდა ხელს, ხანაც სახლმმართველობაში მის გადასახადებსაც გადაიხდიდა. ქალის საყვედურნარევ სამადლობელს უფრო დიდ საყვედურს შეაგებებდა — გათხოვდი და პასუხისმგებლობის გრძნობაც მომეხსნებაო!..

ჭაღარა გაერია ჯერ სოსოს, მერე თამუნიას ხორბლისფერ თმას... მერე სოსო ოჯახთან ერთად აღთქმულ მიწას დაუბრუნდა...

ახლა ისრაელიდან მოდიოდა ბარათები სოსოგან, ფულსაც უგზავნიდა... გათხოვებას აღარ სთხოვდა...

ერთი წლის წინ მიიღო ეს ბარათი 77 წლის იუბილეზე ქალბატონმა თამარმა სოსო-ისააკისგან: „დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ერთადერთო სიყვარულო... მიყვარხარ და არ მრცხვენია ამ გრძნობის გამო, არც ცოლისა და არც შვილების მერიდება, მათ ხომ არაფერს ვართმევ ამით და ის სიყვარულიც სხვაა, მათ რომ მივუძღვენი...

საქართველო შენ გამო დავტოვე, მეგონა, თუ შორს ვიქნებოდი, დაგივიწყებდი. მაგრამ უშენობის დარდს, ახლა ქართული მიწის დარდი დაემატა და ლამის გამაგიჟოს მონატრებამ, ვერავის ვაგებინებ, რომ მე ქართველი ვარ, ქართველი ებრაელი და საქართველო ისეთივე სამშობლოა ჩემი, როგორც ისრაელის უძველესი მიწა... 83 წლის კაცი ვარ და ჩემი ავადმყოფობა რა გასაკვირია ალბათ, ნურც შენ გაიკვირვებ და იდარდებ, სიმართლე გითხრა, სიკვდილი ახლა საუკეთესო გამოსავლად მიმაჩნია: იქნებ იქ, ზეცაში მაინც მოვიდეს სიმშვიდე. ექიმი ვარ და ვიცი — ის ვერაგი სენი, ჩემს სხეულს რომ ღრღნის, დიდხანს არ დამტოვებს დედამიწაზე... გულზე სასოებით შენახულ ქართულ მიწას დამაყრიან და, მოვა სიმშვიდე... მიყვარხარ!“

სოსო-ისააკი 2004 წლის 17 იანვარს მიიცვალა...

მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ ერთი ბარათი მიიღო ქალბატონმა თამარმა, უფრო სწორად — თაბახის თეთრ ფურცელზე ასჯერ განმეორებული: „შენით ვიყავი... შენით ვარ... შენთვის ვიქნები! მიყვარხარ და უსასრულოა ჩემი სიყვარული!..“

ეს გზავნილი ჩარჩოში ჩაასმევინა დისშვილიშვილებს ქალბატონმა თამარმა, სოსო-ისააკის ფოტოსთან ერთად. ამ ფოტოზე სოსო 20-22 წლისა თუ იქნება...

ქალბატონ თამარს ანდერძიც დაუწერია, — ეს სურათიც და ბარათიც საფლავში უნდა ჩააყოლონ, როგორც მისი ერთადერთი განძი. — სხვისი ცოლი რომ გავმხდარიყავი, ცხრა შვილიც რომ გამეჩინა, საკუთარ თავთან მართალი არ ვიქნებოდი... სოსო მიყვარდა. ამ სიყვარულით სხვასთან ცხოვრება უკვე ღალატი იქნებოდაო. არ ვთვლი, რომ შეცდომა დავუშვი — მარტოობაშიც ბევრ ქალზე მდიდარი ვიყავიო!..

ალბათ ასეცაა!..

მოამზადა ინგა ჯაყელმა



„ციცინათელა“

ზოგჯერ მაინც თუ გიფიქრიათ, რამდენი რამ გვაშორებს სულ ახლო წარსულთან. ცხოვრების წესი, რომელიც ერთი საუკუნის წინ სისხლხორცეული იყო, დღეს გაუცხოებულია. ტექნიკურ პროგრესთან ერთად მოვიდა ბევრი რამ, კაცის ღირსება ჩრდილში რომ მოაქცია... თუმცა ის მაინც არსებობს და ისეთ ოჯახებში, როგორიც ბარბარე (ბაბო) ფალავასია, შესვლისთანავე იგრძნობთ.

ქალბატონი ბარბარე პედიატრია, მამამისი, ცნობილი ექიმი დავით ფალავა, დიდი მუსიკალური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული... სწორედ მისი შეთხზულია გახალხურებული სიმღერა „ციცინათელა“. XX საუკუნის პირველ წლებში ფირფიტაც კი გამოვიდა, რომელზეც ჩაწერილი იყო დავით ფალავას საავტორო და მის მიერ შესრულებული მეგრული სიმღერები.

ფალავები ბანძელი თავადები არიან. მათი შთამომავლები ძალიან ცოტანი დარჩნენ (თითებზე დაითვლით). ქალბატონმა ბარბარემ გვიამბო რამდენიმე ამბავი, რომლებიც მის წინაპრებს შემთხვევიათ ან თავად მშობლებმა გამოიარეს.



სოსიკო მერკვილაძე მეუღლესა და ცოლისდასთან ერთად

ბუკინისტ მერკვილაძის სალონი

დავით ფალავამ ოთხწლედი ქუთაისში დაამთავრა. სწავლის პერიოდში ბიძამისის — ცნობილი იურისტის, მექი ფალავას ოჯახში ცხოვრობდა. ამ ოჯახთან ბევრი სასახელო პიროვნება მეგობრობდა. მექის მეუღლე, დარია ფალავა, განათლებული ქალი იყო. ოთხი შვილი ჰყავდათ, სამი ქალი და ერთი ვაჟი, იური. იური ტუბერკულოზით დაავადდა და საფრანგეთში გაგზავნეს სამკურნალოდ. იქ დარჩა, დაოჯახდა. მისი ქალიშვილი, ვერა ფალავა, საფრანგეთში სახელმოხვეჭილი მხატვარი იყო, მან აღადგინა ვატიკანში უძველესი ფრესკა.

დავით ფალავამ სწავლა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში განაგრძო. ბინად იყო ცნობილი ბუკინისტის სოსიკო მერკვილაძის ოჯახში. სოსიკოს სახლში ბევრ გამოჩენილ ადამიანს უცხოვრია, მათ შორის აკაკი წერეთელსაც.

როცა აკაკის დუქანში რამე სჭირდებოდა, გიმნაზისტ დავითს ავალებდა თურმე. ისიც ყველგან ეგზავნებოდა. ძალიან დაუმეგობრდა მგოსანს. ერთხელ უთხოვია: თქვენ რომ გადასაგდებად გაიმეტებთ რაიმე ნაწერს, მე მომეცითო. მართლაც აძლევდა აკაკი ყმაწვილს ხელნაწერებს. დავით ფალავას ყდაში ჩაუსვამს ყველა ნაგლეჯიც კი (რომელიც დღესაც მის ქალიშვილთან ინახება). იოსებ გრიშაშვილს წაუწერია წიგნზე: „დათიკო ფალავას საკუთრებაა!“ ეს „წიგნი“ დღესაც ინახება ფალავების სახლში.

სოსიკო მერკვილაძის მეზობლად ვანო მაჩაბელი ცხოვრობდა, იქვე ახლოს — ვასო აბაშიძე და მაკო საფაროვა... საღამოობით სოსიკოსთან მწერლები იყრიდნენ თავს.

მამაჩემი, დავითი აკვირდებოდა და გულისყურით უსმენდა დიდ მწერლებს. მიყვებოდა: აკაკი ისეთი ლაღი იყო, ყველა თამამად მიდიოდა მასთან და ათას რამეს სთხოვდა, ილია ცოტა უფრო მკაცრი იყო და მისი რიდი ჰქონდათო.

ერთ საღამოს ილია ჭავჭავაძე ამდგარა ლექსის წასაკითხად. იქვე ყოფილა აკაკიც. ილია ზეპირად ვერ იმახსოვრებდა ლექსებს, ამიტომ დაწერილი გაუტანია და კითხვა დაუწყია: „ერთ ბედქვეშა ვართ ლაბავ, მე და შენ, წილად გვარგუნეს...“ მეორე სტრიქონზე რომ გადავიდა, სიტყვა გაუწყდა თურმე. ეძებს მომდევნო გვერდებს, ვერ პოულობს. ბოლოს, უთქვამს, — „ცუღლუტი“ აკაკი ამომიხევდა ფურცლებსო! წამომდგარა მაღალი, მომხიბლავი აკაკი და მიუტანია ფურცლები. ეს ისეთი სანახავი იყო, ვერ მოვითმინეთ, ყველამ ტაში დავუკარითო.

აკაკი, ვიდრე წერას დაიწყებდა, თითქოს რიტმს ითვლიდა, ამიტომაც ამღერდა მისი ლექსებიო.

ბანქოს თამაში უყვარდა მგოსანს. მამაჩემი არ თამაშობდა, მაგრამ გვერდით ედგა თურმე და ზოგჯერ ჩაულაპარაკებდა, — ასე ითამაშეო. თუ კარგად არ წაუვიდოდა ხელი, „გაუბრაზდებოდა“, — მომშორდი, შე მამაძაღლოო.

იღუმალი მაჩაბელი

ვანო მაჩაბელი რომ გაქრა, იმ დროს ბებიაჩემი, ბარბარე ლორთქიფანიძე და დედაჩემი, ნინო ფარსადანიშვილი პარიზში ცხოვრობდნენ. მერე ბებია ჰყვებოდა ხოლმე: — მონტე-კარლოში ვისვენებდით და იქ შემთხვევით შევხვდი მაჩაბელს. მიცნო. სასწრაფოდ მივუბრუნდი ჩემს თანმხლებ ერისთავის ქალს, — ნანე, მაჩაბელი აქ არ ყოფილა-მეთქი. სანამ მივუახლოვდებოდით, თვალს მიეფარა. როგორც ჩანს, არ უნდოდა ქართველებთან შეხვედრაო.

მამა იხსენებდა: — მაჩაბლის სიკვდილის ამბავი რომ შევიტყვეთ, აკაკი საშინლად აღელდაო. ისინი მეგობრობდნენ და ხშირად იყვნენ ერთად. მამას ვანოსა და აკაკის ნარდის თამაშის დროს გადაღებული ფოტოც კი ჰქონდა. აკაკის უთხოვია მამაჩემისთვის, — ფაიტონი დამიჭირეო. მოვუყვანე ფაიტონი, ჩავსხედით... გზად ეტლმა ჩაგვიქროლა. უცებ აკაკიმ დაიძახა: — აი, მაჩაბელიო და მეეტლისთვის უბრძანებია, — დაედევნეო... თვალსა და ხელს შუა გამქრალა ეტლი. ბოლოს, შეწუხებულ პოეტს უთქვამს, — ალბათ ვანო არ იყოო...

„ციცინათელა“

ყველა ფალავა საუცხოოდ მღეროდა. განსაკუთრებით — დავითი. თან მშვენიერ მელოდიებსაც თხზავდა.

ერთხელ დავითს აკაკისთვის მიუმღერია „ციცინათელა“. მგოსანს ისე მოსწონებია ჰანგი, რომ აღტაცება ვერ დაუფარავს.

დღეს ბევრმა არც იცის, რომ „ციცინათელა“ ხალხური არ არის. ისე შეიყვარა ყველამ, უცებ მოედო ქვეყანას ეს სიმღერა. როცა მამას ეტყოდნენ, — მოითხოვე, გამოაცხადონ, რომ შენი სიმღერააო, ღიმილით ამბობდა: — რა საჭიროა ჩემი სახელი დარჩეს. იყოს ხალხური და იმღერონო.



ვერა და მექი ფალავები

ამ სიმღერის შექმნის შემდეგ მამას „ციცინათელასაც“ ეძახდნენ, მარტო მამას კი არა, ჩემს ძმასაც...

პეტერბურგში ერთხელ დავითმა მეგობრის, ლევან წერეთლის ბინაზე ისე მომაჯადოებლად იმღერა, რომ შემთხვევით გვერდით ოთახში მყოფი ცნობილი ბარიტონი, ლეონიდ იაკოვლევი შეიჭრა მასთან და სთხოვა: — ვოკალური განათლება მიიღე. მე გასწავლი სიმღერას, თანაც უსასყიდლოდ, ოღონდ მოინდომეო... დავითმა მაინც ექიმობა აირჩია.

დავით ფალავასთან მეგობრობდა ვანო სარაჯიშვილი. თურმე ხშირად ჩადიოდნენ იმ დროს სახელგანთქმულ „ქოსების“ სარდაფში, ილხენდნენ და მღეროდნენ.

მამაჩემის კოლეგა, ბაქტერიოფაგის ამშენებელი და მოამაგე, გოგი ელიავა, შესანიშნავად უკრავდა როიალზე, მამა კი მღეროდა. ბატონ გოგის უყვარდა ხოლმე მისთვის თქმა: — ბატონო დავით, ვერ გაპატიებთ, რომ ერთი ნაკლიც კი არ გაქვთო.

ქართველი თავადები პეტერბურგში

დავით ფალავა იურიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის V კურსზე იყო, როცა მატარებლით მგზავრობისას შეეყარა ძველ მეგობარს, ალექსანდრე მაჭავარიანს (შემდეგ პროფესორი). რად გინდა იურისტობა, წამოდი პეტერბურგში და სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში გააგრძელე სწავლა, ექიმი გამოხვალ და ქვეყანას სიკეთეს მოუტანო. დაუჯერა მამამ.

პეტერბურგში ქართველები ბევრნი იყვნენ. სამის მშობლების იყო, ესეც, მეორე სახლიც და სხვა მიწებიც ჩამოგვართვეს. ეს რა სახსენებელია, როცა ზოგიერთმა სიცოცხლე დაკარგა.

იცით, რამდენი ახალგაზრდა ცხოვრობდა ჩვენს სახლში? შოთა ელიავა, კუკური ელიავა, დათაშკა კავსაძე, მისი ძმა... სტუდენტები იყვნენ, რა საშუალება უნდა ჰქონოდათ, ჩემი მშობლები ზრუნავდნენ მათზე.

ჩვენთან ცხოვრობდა ორი ახალგაზრდაც, რომლებიც შემდეგ ცნობილი პარტიული მოღვაწეები გახდნენ. მსახურს დედა მათთან სადილს გაატანდა ხოლმე. ხილს კი ლარნაკზე დაასწყობდა და გამოსაჩენ ადგილას დადგამდა, რომ ყველა სტუდენტს შესძლებოდა ეჭამა. ახლანდელი ბორჯომის ქუჩა ჩვენი ბაღი იყო, სადაც ნაირ-ნაირი ხეხილი გვედგა. როცა ეს სტუდენტები პარტიული ხაზით დაწინაურდნენ, მამას მოაკითხეს: — ბატონო დავით, იქნებ რამე გნებავთ, რომ გაგიკეთოთო. მამამ უთხრა, — თქვენი კარგად ყოფნის მეტი არაფერი მინდაო.

უკანასკნელ გროშს გასცემდნენ ჩემი მშობლები. ჩვენი სოფლიდან ორი ბიჭი სწავლობდა ერთ-ერთ სასწავლებელში. ყოველ შაბათ-კვირას გვაკითხავდნენ. მამა მთელი კვირის სამყოფ ფულს აძლევდა ხოლმე...

მარტო ჩემი მშობლები კი არა, ყველა შეძლებული ოჯახი ასე იქცეოდა.



1909 წელი. ქართველ მემამულეთა შეკრების მონაწილენი პეტერბურგში. მეორე რიგში, მარჯვნიდან მეორე, დავით ფალავა

სიყვარულო, ძალსა შენსა

დედაჩემის წინაპრები, ფარსადანიშვილები, კახეთში ცხოვრობდნენ. მის პაპას შეჰყვარებია ვაჩნაძის ქალი. ვინ გაატანდა თავადის ასულს გლეხს მაშინ? არადა ვაჩნაძის ქალსაც ჰყვარებია ფარსადანიშვილი. ყმაწვილს უთქვამს: — მე და ჩემი ბიძაშვილი ბაქოში მივდივართ, თუ მართლა გიყვარვარ, წამომყევიო. გაჰყოლია ქალი. ვაჩნაძეებმა დააწიოკეს თურმე ფარსადანიშვილების ოჯახი.

ბაქოში, ზღვის სანაპირო სილაზე უსწავლია რუსული წერა-კითხვა ფარსადანიშვილს, ცოლს ცივ ნიავს არ აკარებდა თურმე... იმდენი უქნია, გამდიდრებულა კიდეც. შესძენიათ პაპაჩემი — ანტონი. მერე თბილისში ჩამოსულან, უყიდიათ სახლი, მამულები. კოლოსალური სიმდიდრე ჰქონიათ: საკუთარი გემი, ნავთობი...

ანტონ ფარსადანიშვილს უცნაურად გაუცნია ბებიაჩემი, ბარბარე ლორთქიფანიძე. ბებიას პირველი ქმარი, კორძაია, ბანქოს მოტრფიალე, მსმელი კაცი ყოფილა. გამწარებული ჰყოლია ულამაზესი ცოლი... გაპარულა სახლიდან ბარბარე. ძმებს შებრალებიათ და გადაუმალავთ. თვითონაც დასთან ერთად ცხოვრობდნენ თურმე. მერე ძაღლს მიუგნია ბარბარესათვის. დაუბრუნებიათ უკან.

მალევე თბილისში გამოქცეულა ბარბარე. ანტონ ფარსადანიშვილს სადგურში მოუკრავს თვალი. მოუხიბლავს მის სილამაზეს. უკან გაჰყოლია. ბებია მწერალ ბარბარე ჯორჯაძესთან მისულა, რომელიც სწორედ ანტონის სახლის პირდაპირ ცხოვრობდა. ჯორჯაძეების ოჯახში გაუცნიათ ერთმანეთი და შეუღლებულან კიდეც.

სხვათა შორის, ანტონ ფარსადანიშვილი მარილით ვაჭრობას კიდევ უფრო გაუმდიდრებია. დღემდე ვინახავთ ქვამარილის ნატეხს, როგორც ოჯახის ძველი სიმდიდრის სიმბოლოს.

ლამაზად შვილის გამზრდელი

დედაჩემს სამი ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. იყო ეკონომისტი, იურისტი და ინგლისური ენის სპეციალისტი. ფრანგული ხომ იცოდა და იცოდა! დედას ჯერ ფრანგი აღმზრდელი ჰყოლია, რომელიც სულ ბუმბულ-მაქმანებში ზრდიდა, მერე ინგლისელი ქალისთვის მიუბარებიათ, რომელსაც ბუმბულის ქვეშაგები გადაუყრია, ხმელი ლეიბი დაუგია და ბავშვის სპარტანული აღზრდისთვის მიუყვია ხელი. ეს ქალი მერე თბილისშიც წამოუყვანიათ.

მეც ასე მზრდიდა დედა, წინდას არ მაცმევდა. სიცივით ვკანკალებდი ხოლმე... როგორც კი წამოვიჩიტე, წყალში ჭყუმპალაობას არ მიშლიდა. მასწავლიდა რეცხვას — არ მახსოვს, ჩემი სარეცხი ვინმეს გაერეცხოს, თუმცა ორი მოსამსახურე გვყავდა. დედა გაჭრიდა წინდას და დაკემსეო, მეტყოდა. სადილსაც თვითონ აკეთებდა და მეც მაკეთებინებდა.

ყველაფერი გვქონდა, მაგრამ... ამის გამო არ გვიცხოვრია განცხრომით...

P.S. ძველ ფოტოებზე აღბეჭდილ სახეებს თუ დააკვირდებით, მიხვდებით, რომ მათთვის ფუფუნება არაფერს ნიშნავდა. არსებობდა რაღაც უფრო დიდი, ასე ვთქვათ, ცხოვრების მარილი და მას კაცის ღირსება ერქვა...

ლელა ჯიყაშვილი

უნივერსიტეტი «საქართველო»
და მასთან არსებული სამედიცინო კოლეჯი 2004-2005 სასწავლო წლისთვის აცხადებს აბიტურიენტების მიღებას
შემდეგ ფაკულტეტებზე
უნივერსიტეტში:
1. სამედიცინო
სამკურნალო
სტომატოლოგია
ფარმაცია
2. სამართალმცოდნეობა
კოლეჯში:
1. საერთო პროფილის მედდა
2. საბებიო საქმე
3. ორთოპედული სტომატოლოგია
4. ფარმაცია
თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1ბ
☎ 29-40-70; 95-67-36; 37-18-29
E-mail: unisak@myoffice.ge http://unisak.myweb.ge

თბილისის საინჟინრო-პუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“
აცხადებს მიღებას 2004-2005 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:
1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. უცხოური ენები; 3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 5. ქართული ენა და ლიტერატურა; 6. ისტორია; 7. ჟურნალისტიკა; 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 9. საბანკო საქმე; 10. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; 11. ფინანსები და კრედიტები.
წარმოებს მოწინავე სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.
ინსტიტუტთან 9 და 11 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს
კოლეჯი შემდეგი სპეციალობებით:
1. სამეანო საქმე; 2. ორთოპედიული სტომატოლოგია; 3. მედდა; 4. სამართალმცოდნეობა; 5. საბაჟო-ეკონომიკური; 6. უცხოური ენები; 7. ფარმაცევტია.
მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა
☎ 35-27-00; 36-00-83; 899-90-25-99; 893-30-32-83; 52-67-67



მეთერთმეტე საუკუნის ორი მესამედი ქართველთა და ბიზანტიელთა დიდი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. არაბეთის დასუსტების შემდგომ ბერძნებს, რა თქმა უნდა, აღარ უნდოდათ ახალი და ძლიერი, თუნდაც ქრისტიანული ქვეყნების დანინაურება. მათ თავისი, გამოკვეთილი იმპერიული მიზნები ჰქონდათ და პრეტენზიებს აუხდებდნენ კავკასიასა და ბალკანეთზეც. არადა, მსოფლიო ისტორიამ და ჩვენს თავზე გადატანილმა უბედურებებმაც დაადასტურა, რომ მაშინ, როდესაც საქმე ეხება იმპერიულ ამბიციებს, გულუბრყვილობაა მხოლოდ ერთმორწმუნეობაზე მინდობა და მისი იმედი. ასე იყო შუა საუკუნეებში, სამხრეთ დასავლეთით ბიზანტიის იმპერიის, ხოლო ახალ და უახლეს პერიოდში უკვე ჩრდილოეთით, – რუსეთის მაგალითზეც.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლო მესამედში საქართველო–ბიზანტიის დაპირისპირება ქართველთა და ოღუზური მოდგმის თურქ–სელჩუკების ხმალთაკვეთამ შეცვალა. იმიერკავკასიისპირეთის უდაბნოებიდან და სტეპებიდან დაძრულმა სელჩუკთა ნიაღვარმა ჯერ თოღრულ ბეგის, შემდეგ მისი მემკვიდრის, ალფ-არსლანის მეთაურობით წალეკა უზარმაზარი ირანი, აგრეთვე სირია და პალესტინა, და ალფ–არსლანისვე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, – შუა ახიიდან ნამოსულებმა ხხენები ხმელთაშუა ზღვაში შეაგდეს. მიზანში მცირე აზია და ამიერკავკასია ამოიღეს. ორჯერ შეხვდნენ საომარ ასპარეზზე ალფ-არსლანი და ბაგრატ მეოთხე, მაგრამ თურქებმა სანდველს ვერ მიაღწიეს, – ბაგრატი ისე გარდაიცვალა, არც თურქთა ბატონობა უღიარებია და არც ხარკი გადაუხდია მათთვის...

ერთსა და იმავე, 1072 წელს, აღესრულა ბაგრატ მეოთხე, ხოლო შეთქმულთა ხელით დაიღუპა მისი მოქიშპე, თურქ–სელჩუკთა სულთანი ალფ-არსლანი... ქართველი მემატიანის სიტყვებით, „ვერღარა ჴნეს ბაგრატ და სულტანმან ერთმანეთისა სიკუდილი“.

გულუბრყვილო დიდსულოვნება

საქართველოს ტახტზე ავიდა ძე და მემკვიდრე ბაგრატ მეოთხესი — გიორგი მეორე. გამეფებიდან ერთი წლის შემდეგ შეეძინა უფლისწული დავითი (აღმაშენებელი), რომელსაც წილად ხვდა შეესრულებინა უდიდესი მისია საქართველოს ისტორიაში. გიორგი მეორე სახელიანი მხედარი და მოისარ-მონადირე იყო, მაგრამ ქართველთა მეფეს გაცილებით მეტი მოეთხოვებოდა. მეტადრე იმ ურთულეს დროში, როდესაც დადგა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი. მეფობა კი შინააშლილობით დაიწყო: მომდევნო წელს სამი მძლავრი დიდგვაროვანი განუდგა მეფეს. ლიპარიტ ბაღვაშის ძემ, ივანემ (იგი ჯერ კიდევ ბაგრატ მეოთხემ შემოირიგა და მისი ერთგულიც იყო), რომელმაც კარგად იცოდა გიორგი მეფის ხასიათის სირბილე, კახელთა დახმარებით ქსნის ხეობა დაიჭირა. ვარდან სვანთა ერისთავმა ეგრისი მოარბია, ხოლო ნიანია ქუაბულის ძემ თვით სამეფო ქალაქი ქუთაისი დაიკავა და მეფეთა საჭურჭლე იგდო ხელთ.

მთლად უიმედოდ არ იყო საქმე. ტახტის ერთგულნი და მხარდამჭერნი გაცილებით მეტნი აღმოჩნდნენ და მეფემ განდგომილნი ადვილად დაამარცხა. დაამარცხა და აი, აქ დაუშვა პირველი შეცდომა. ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავენი სამაგალითოდ დაესაჯა, ყოვლად გაუგებარი ლმობიერება გამოიჩინა — ყოფილი განდგომილნი შემოირიგა და უხვადაც დაასაჩუქრა ციხე-მამულებით, გულუბრყვილოდ „დაანამუსა“. შედეგმაც არ დააყოვნა. იმავე წელს კვლავ განუდგა ივანე ბაღვაში.

მსწრაფლ გამოეშურა გიორგი მეფე ქუთაისიდან, მესხებიც შეუერთდნენ. მიადგა ბაღვაშების მთავარ ციტადელს, სამშვილდეს. კახთა მეფემ, აღსართანმა ამჯერადაც გიორგი მეორეს დაუჭირა მხარი. ახლა კი დაფრთხა ივანე ლიპარიტის ძე, უჩუმრად გაიპარა სამხრეთის მთებისკენ. მაგრამ რად გინდა! კვლავ შეურიგდა მეფე — ირწმუნა ივანე ბაღვაშის ფიცი და კვლავ დაუტოვა სამშვილდე-კლდეკარი.

გიორგი მეორის ხასიათის სისუსტემ მთლად გაათავხედა ბაღვაშების შთამომავალი. მეფის მეციხოვნეებს გამოსტყუა ჰერეთში გაგის ციხე და განძის ამირას, ფადლონს მიჰყიდა. ვერ მოასწრო ურჩი ფეოდალის დასჯა მეფემ. მდგომარეობა სხვაგვარად განვითარდა, საქართველოს სამხრეთის საზღვრებს კვლავ თურქები მოადგნენ.

გამარჯვება ფარცხისთან

წინა აზიაში ძალთა თანაფარდობა 1071 წელს შეიცვალა. მანაზკერტთან სელჩუკებმა ალფ-არსლანის სარდლობით სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები და მათი იმპერატორი რომან დიოგენი ტყვედ ჩაიგდეს. ამ გამარჯვებით თურქულ ტომებს გზა გაუხსნათ მცირე აზიაში და საქართველოს სამხრეთითაც დაიწყეს მომთაბარეობა და დასახლებაც.

გიორგი მეფე ივანე ბაღვაშის დასასჯელად განემზადა, როდესაც ქვეყნის საზღვრებს თურქთა ახალი სულთანი, მალიქ-შაჰი მოადგა. კლდეკარის ერისთავმა ისარგებლა ამ მომენტით — ძე თვისი ივანე შეაგება მტერს და ქვეშევრდომობა აღუთქვა. ფაქტობრივად, მძევლად მისცა შვილი. გიორგი მეფის გულმოწყალებას შეჩვეულმა კლდეკარის ერისთავებმა ახლა სულთანს გაუტეხეს პირი. გამოეპარა უჩუმრად ლიპარიტი. გაგულისებულმა მალიქ-შაჰმა აიღო სამშვილდე, ტყვედ იგდო ივანე ბაღვაში თავისი სახლეულობით, სასტიკად მოარბია თრიალეთ-კლდეკარი და ქართლიც მიაყოლა. გზად განძა მოაოხრა და მის ახალ გამგებელს 48000-იანი ჯარი დაუტოვა ქართლის სარბევად.

1074 წელს გულდაჯერებულმა გამოილაშქრა განძის მფლობელმა ქართლზე. დვინისა და დმანისის მფლობელნი ახლდნენ თან. აქ კი გაიელვა მეფე გიორგის მხედრულმა ნიჭმა. უეცრად დაეცა მტერს ფარცხისთან, გონს მოსვლა არ აცალა, დაამარცხა და განდევნა საზღვრებს იქით.

გამარჯვების ეშხში შევიდა ახალგაზრდა მეფე. გაიხსენა მისუსტებული ბიზანტიის მიერ წართმეული მიწა-წყალი. ჯერ ბაგრატის დროს დაკარგულ ანაკოფიას მიხედა, შემდეგ სამხრეთის საზღვრებსაც: „წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხე აფხაზეთისა და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შაგშეთისა და არტაანისა“. ეს დიდი წარმატება იყო.

გიორგი მეორე — მამა დიდი დავით აღმაშენებლისა



მეფე ვეჯინის ალყას ტოვებს და აჯამეთს მიდის... სანადიროდ

დამსახურება ქართული და ბერძნული კულტურის განვითარებაში ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე გიორგი მთაწმინდელისა. ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში ბაგრატ მეოთხემ, როგორც ჩანს, ჩაფიქრებული საეკლესიო გარდაქმნების მხარდასაჭერად მოიწვია ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღოლი გიორგი მთაწმინდელი.

...ძნელი დრო დასდგომოდა საქართველოს. უჭირდა მოსახლეობას. ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლას დიდი სახსრები სჭირდებოდა. ამას ზედ დაერთო მოუსავლიანი წლები და შიმშილობა. დაითრგუნა ხალხი. გიორგი მთაწმინდელს საშუალება არ მიეცა საქართველოში მოღვაწეობისა. ამიტომაც იყო, რომ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და კვლავ ქალკედონიის ნახევარკუნძულზე დაბრუნებულიყო. მიდიოდა და თან მიჰყავდა 80 უდედმამო ნიჭიერი ბავშვი საბერძნეთში სწავლა-განათლების მისაღებად.

საეკლესიო რეფორმები კი გადაიდო... ზუსტად ოთხი ათეული წლით, დავით მეოთხემდე (რუის-ურბნისის კრებამდე).

მართალია, გიორგი მთაწმინდელი საბერძნეთში მოღვაწეობდა, მაგრამ იქიდანაც იცავდა ქართული სამოციქულო ეკლესიის დამოუკიდებლობას საეკლესიო პირთა მიერ წამოჭრილ სხვადასხვა დავაკამათსა და დისპუტებში, განსაკუთრებით კი ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსისთან.

მშვენიერება დედოფალ მართა-მარიამისა

დიდი ღვაწლი დასდო ამ ეპოქაშივე საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობას გიორგი მეორის დამ, მართამ. იგი პირველად კონსტანტინეპოლში 1056 წელს მოხვდა, როდესაც ბიზანტიის კეისარმა თეოდორამ შვილად, აღსაზრდელად მიიწვია. მაგრამ თეოდორა მოულოდნელად გარდაიცვალა.

ამ ფაქტის შემსწრე გიორგი მთაწმინდელს, რომელიც აღფრთოვანებულა მართას სილამაზით, წარმოუთქვამს: „ყველამ იცოდეთ, რომ დღეს ქონებაც შესწირა და „ტიპიკონიც“, ანუ წესდებაც შეუდგინა. ამ ტიპიკონის მიხედვით, მონასტერში მხოლოდ ქართველი მართლმადიდებელი ბერ-მონაზვნების მიღება იყო ნებადართული. ბერძენი ბერების მიღება კი სასტიკად იკრძალებოდა. ჯერ კიდევ როდის განჭვრიტა დიდმა მოღვაწემ: რომ მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, დროთა განმავლობაში ბერძენი ბერების ეს აგრესია ამოუკვეთდა ფეხს ქართველებს პეტრიწონიდანაც, ათონის მთის ივერთა მონასტრიდანაც და იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდანაც...

...ბალკანეთის მთებში მიმალულ პეტრიწონში კი ქართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ფილოსოფიური საქმიანობა იყო გაშლილი. და ამ საქმეს 20 წლის მანძილზე მეთაურობდა საქართველოში ნეოპლატონური ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი იოანე პეტრიწი, რომელმაც თავის მოძღვრებაში ქრისტიანულად გაიაზრა ანტიკური ფილოსოფია.

...საბოლოოდ, მაინც მეორე სამშობლოს შესწირა თავი გრიგოლ ბაკურიანის ძემ. მომთაბარე თურქული ტომების — პაჭანიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა 1086 წელს. იგი თავისივე აგებულ ქართველთა მონასტერში დაკრძალეს პეტრიწონში.

გიორგი მთაწმინდელი

საქართველოში მოღვაწე ბერძნებისა რა მოგახსენოთ, ბიზანტიაში კი უდიდესი კვალი დატოვეს ქართველებმა. გრიგოლ ბაკურიანის ძის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. განუზომელი იყო მისი სიყვარული ქართველთა მიმართ. ამ სიყვარულის ნიშანი იყო ის, რომ ათონის მთაზე ქართველთა მონასტრის დაარსების შემდეგ მან ბიზანტიის დედაქალაქში, კონსტანტინეპოლში დააარსა ქართველთა სამონასტრო. ეს ის ადგილია, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ ათონის მონასტრის დაარსებამდეც. ამ სამონასტროში ქართველები ცხოვრობდნენ ათონის მონასტრის დაარსების შემდეგაც. ეს სამონასტრო ქართველებისთვის ერთგვარი ტრამპლინი იყო ბიზანტიის დედაქალაქში მოსახვედრად.

ბიზანტიის დედაქალაქში ქართველთა ცხოვრების ამსახველი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფაქტი ის არის, რომ ქართველებს ჰქონდათ საკუთარი ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელობის. ეს ეკლესია ქართველებს ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი I კომნენოსმა (1081–1118) გადასცა. ალექსი I კომნენოსი ქართველებს ძალიან პატივს სცემდა. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ალექსი I კომნენოსის ასული ანა, რომელიც ისტორიკოსი იყო, ქართველებს ხშირად ახსენებს თავის ნაშრომში „ალექსიადა“. ანა კომნენოსი ქართველებს ხშირად ახსენებს ისეთ ადგილებში, სადაც ისტორიკოსი ბიზანტიის ომებზე საუბრობს. ანა კომნენოსი ქართველებს ხშირად ახსენებს ისეთ ადგილებში, სადაც ისტორიკოსი ბიზანტიის ომებზე საუბრობს. ანა კომნენოსი ქართველებს ხშირად ახსენებს ისეთ ადგილებში, სადაც ისტორიკოსი ბიზანტიის ომებზე საუბრობს.

დიდი თურქობა

1079 წელს თურქ-სელჩუკთა ერთ-ერთი ურდო აჰმად ამირას სარდლობით თავს დაესხა კარის ციხესიმაგრეს და აიღო. ღალატის წყალობით ჯავახეთში, ყუელის ციხეში მდგარი გიორგი მეორეც დაამარცხეს და უამრავი სიმდიდრე იგდეს ხელთ: „საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვერცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდეონი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი“... მეფე დასავლეთ საქართველოში გაიხიზნა.

...და დაიწყო სელჩუკთა მუდმივი თარეში. იდგა 1080 წელი. „მოეფინნეს პირსა ყოველისა ქვეყანისასა ვითარცა მკალნი და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა“... ეს იყო დიდი თურქობა, განსაცდელი საქართველოსი.

დავითის ისტორიკოსის ცნობით, „არა იყო მას ჟამთა შინა თესვა და მკა, მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა. და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრეს მას შინა“. თანაც ეს შემოსევა ყოველ წელს მეორდებოდა, — გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე დათარეშობდნენ, წასაღები მიჰქონდათ, დანარჩენს ანადგურებდნენ და სპობდნენ.

საშველი აღარ იყო. ამიტომაც 1083 წელს გიორგი მეორემ თავი დამარცხებულად ცნო და ისპაანში ეახლა მალიქ-შაჰს, ხარკი აღუთქვა ყოველწლიური და მშვიდობა ითხოვა. საქართველო თურქთა მოხარკე გახდა! სანაცვლოდ სულთანმა გიორგი მეორეს კახეთი და ჰერეთი „უწყალობა“, ანუ აჩუქა ის, რისი ხელში ჩაგდება თავად სწადდა... სწორედ გიორგი მეორის ხელით! თან ჯარიც გამოაყოლა. გიორგი მეორე ქართველთა და თურქთა ჯარებით შეიჭრა კახეთში და ვეჯინს შემოარტყა ალყა „ჟამსა სთვლისასა“. შემოდგომაც გაილია და ზამთრისპირი დადგა. პირველი თოვლიც ჩამოჰყარა.

...და აქ მოხდა დავითის ისტორიკოსის მიერ უგუნურ ნაბიჯად შეფასებული ქმედება გიორგი მეორესი: — ალყა მოხსნა ვეჯინს, თვითონ აჯამეთში წავიდა სანადიროდ, თურქთა ლაშქარს კი იორის ხეობა გამოუყო „საკვებ-საჯიჯგნად“. ახლა უკვე გახეთის მეფე აღსართანი ეწვია მალიქ-შაჰს, ქრისტიანობა უარყო, გამაჰმადიანდა და ამ გზით კახეთი კვლავ დაიბრუნა.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა კონსტანტინე 1096 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა და უბედურმა მართა-მარიამმაც დაანება თავი პოლიტიკურ ბრძოლას, მონაზვნად აღიკვეცა. თუმცა გარდაცვალებამდე, 1103 წლამდე როგორც საქართველოში, ისე ბიზანტიაში დიდი გავლენით სარგებლობდა. იყო ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, მფარველი და შემწე ქართული მონასტრებისა ბიზანტიასა და პალესტინაში.

ასეთი საინტერესო პასაჟებით ხასიათდებოდა ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობანი. მაგრამ ბიზანტიის ძველი სიძლიერე თანდათან იშრიტებოდა, ხოლო წინა აზიის მძლავრი წარმართველი ძალა კი კვლავ თურქ-სელჩუკები და მათი სულთანი, მალიქ-შაჰი გახლდათ.

ნადირობაზე თავგადაკლული მეფის ხელში საქართველო უმძიმესი განსაცდელის წინაშე დადგა. მთელი წინა აზიაში გაბატონდნენ თურქები. მანაზკერტის ბრძოლის შემდეგ ფაქტობრივად დაიწყო მცირე აზიის, ბიზანტიის ამ მხარე–წყლის გათურქება. ასევე დაიწყო ალმოსავლეთ ამიერკავკასიის, ყოფილი ალბანეთის გათურქება. პრაქტიკულად იგივე რეალური საშიშროება ელოდა საქართველოსაც. კიდევ ერთხელ დადგა ყოფნა–არყოფნის საკითხი. ამას დაერთო უძლიერესი მიზისძვრა, რომლითაც თითქოს განგებამ ნიშანს აძლევდა გიორგი მეორეს გადამწყვეტი, გონივრული ნაბიჯისთვის.

და აი, ამ სამედისწერო ჟამს გიორგი მეორემ მიიღო ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება თავისი მეფობის მანძილზე. დაჰყვა პატრიოტ თავად–აზნაურთა ნებას, დატოვა მეფობა და ტახტი დაუთმო სასუთარ ვაჟს, თექვსმეტი წლის დავით მეოთხეს, რომელსაც ბედმა არგუნა არა მხოლოდ საქართველოს გადარჩენა, არამედ მისი გადაქცევა წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ.


ისტორიული წყაროების მიხედვით მოამზადა ნოდარ შოშიტაშვილმა

CMYK









1 მაღალი კოშკი
2 მეფედ კურთხევა
3 თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი
4 ჭამის სურვილი
5 ბიბლიის ათი მცნება
6 დერეფანი
7 სასვენი ნიშანი
8 დიდი ციმბირული ირემი
9 ციმბირის ტყეები
10 უძირო წინდა
11 ლუთერანული ეკლესია
12 ოთახი მატარებლის ვაგონში
13 ჩხირისებრი ბაქტერია
14 ცეცხლგამძლე კარადა
15 კავკასიელ მთიელთა სოფელი
16 თხელი ტალახი
17 მტკიცე პირობა
18 სპილენძის ჩასაბერი საკრავი
19 ჰადრაკის ფიგურა
20 „ჰამლეტის“ პერსონაჟი
21 ფართო მოსასხამი
22 ძაღლის ჯიში
23 ერთგვარი ავსტრალიური ხვლიკი
24 იაპონიის ფულის ერთეული
25 ლონდონის საქმიანი ნაწილი
26 ესპანური ავიაკომპანია
27 ტროა
28 სახელმწიფო აზიაში
29 ხვიარა მცენარე
30 თმის საღებავი
31 საზეიმო წვეულება
32 ღვთაებრივი ხარი
33 ტროპიკული ხილი
34 ... მორჩილაძე
35 საგაზეთო წერილი
36 მხარე საქართველოში
37 იუგოსლავიის ნაწილი
38 ქართველი წმინდანი
39 დანელიას ფილმი
40 პირის ნაცვალსახელი
41 სპექტაკლის დასრულებული ნაწილი
42 მცირე არია
43 აშშ-ის შტატი
44 აუქციონზე გასაყიდი ნივთი
45 კუნძული ინდოეთის ოკეანეში
46 აშშ-ის სატელევიზიო პრემია
47 მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი
48 მტაცებელი ცხოველი
49 უფლებო ადამიანი
50 ქრება ძვ. საბერძნეთში
51 მდინარე ურალის ძველი სახელწოდება
52 გრძელი ნაწნავი
53 იაპონური ფეხსაცმელი
54 დაბა ქართლში
55 ავეჯის ნაწილი
56 არაბული ზღაპრების გმირი
57 ცხიმოვანი სიმსივნე
58 ზნეობა
59 პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი
60 ინფორმაციის ერთეული
61 გვარის ან სახელის პირველი ასო
62 შოკოლადის ხე

წინა სკანვორდის პასუხები: 1. შაბათობა; 2. ბანა; 3. კომაროვი; 4. აბა; 5. იმაკა; 6. კამიკაძე; 7. ნანა; 8. აკურა; 9. კაკაო; 10. ტოგა; 11. გეა; 12. დარიკო; 13. კიბე; 14. უი; 15. ეგიდა; 16. ფა; 17. ტყე; 18. პუშტუ; 19. ვერე; 20. სინდი; 21. ნო; 22. კაკა; 23. ლარი; 24. ინდი; 25. მაიამი; 26. ნირი; 27. კაა; 28. რალი; 29. დოლინა; 30. დია; 31. ფრე; 32. მოკა; 33. დრო; 34. ენძელა; 35. იდო; 36. სი; 37. ყუა; 38. უბე; 39. დოდო; 40. იამბო; 41. ძუ; 42. დუ; 43. ბიო; 44. გოია; 45. ბრა; 46. ბრანდო; 47. რადარი; 48. ბედი; 49. ევრო; 50. აცმა; 51. დო; 52. ბაზა; 53. დალი; 54. ირმა; 55. ორბი; 56. ასა; 57. არტემიდა; 58. ოდესა; 59. პანი; 60. მეგ; 61. გემო; 62. ალვა.

1. შენთვის ადრეა ამის ყურება; 2. საპროცედურო; 3. გემოვნებაზე არ დავობენ; 4. ტოპმოდელები; 5. აკი არ გავფრინდებიო.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

CMYK

ვაშინგტონში მუშაობისას, ჩემი უშუალო მასპინძელი, არაჩვეულებრივი მანდილოსანი, ირანის ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი, ქალბატონი მერი გუგუშვილი-ბლისი გახლდათ. მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც მის სახლში გავატარე, სითბო და ყურადღება არ მომკლებია. მანვე გამინია მეგზურობა ვაშინგტონში. მართალია, ქალბატონი მიმი (ასე ეძახიან ახლობლები) სულ სამჯერ ყოფილა მამისეულ სამშობლოში, მაგრამ მისი შეყვარება მაინც მოუსწრია. საოცრად განიცდიდა ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. დღე ისე არ გავიდოდა, ნაცნობ-მეგობრებისათვის არ დაერეკა და თბილისის ამბები არ ეკითხა...

...დღე დღეს მისდევდა და საინტერესო საუბრებში ილეოდა ზამთრის გრძელი საღამოები და ეს ინტერვიუც ქალბატონ მერი გუგუშვილ-ბლისთან ერთ-ერთი იმ საინტერესო საუბრების გაგრძელებაა...

ჩემს შვილებს დღემდე ქართული სახელებით მივმართავ...



მერი გუგუშვილი-ბლისი ვაჟიშვილებთან. მარცხნიდან: ირაკლი (დერეული), ტარიელი (ბილი), ავთანდილი (თეოდორი).

— ქალბატონო მიმი, თქვენ თეირანში დაიბადეთ, იქვე გაატარეთ ცხოვრების ერთი ნაწილი, თქვენი ოჯახი 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის ცენტრში ტრიალებდა და ალბათ, საინტერესო მოგონებებიც გექნებათ...

— თეირანში ბედნიერი ბავშვობა მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანურ ქვეყანაში ვცხოვრობდით, არავინ გვავიწროვებდა. გვქონდა ჩვენი ეკლესია, სადაც ხშირად დავდიოდით. თეირანში ქართველებს პატარა დასახლება ჰქონდათ. დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს, ეკლესიაში წასვლა ნამდვილ ზეიმად იქცეოდა ხოლმე. იქიდან მობრუნებულები ჩვენს ოჯახში იყრიდნენ თავს. ჯერ ერთი, კარგი სახლი გვქონდა და მეორეც, დედაჩემი იყო ძალზე კეთილშობილი ადამიანი, ქართველები „ჩვენ საყვარელ რძალს“ ეძახდნენ. ჩვენს ოჯახში — ქართულ გარემოში ყოფნის, საქართველოზე დაუსრულებლად საუბრის საშუალება ეძლეოდათ და ამით რამდენადმე იქარვებდნენ სამშობლოს მონატრებას. ბავშვებს მაშინ არაფერი გვესმოდა. ვცხოვრობდით უდარდელად. მე ფრანგულ სკოლაში ვსწავლობდი, მოგვიანებით ინგლისური და სპარსული ენებიც შევისწავლე...

— პირველად როდის გაიცნობიერეთ, რომ თქვენც ქართველი იყავით და როგორი წარმოდგენა გქონდათ საქართველოზე?

— როცა ჩვენს ოჯახში მამაჩემის ქართველი მეგობრების საუბარს ვისმენდი, საქართველო შორეულ მირაჟად მიმაჩნდა, ვერ ვხვდებოდი, ასე რატომ ენატრებოდათ ქართველებს თავიანთი სამშობლო... ოჯახში ქართულ ენასაც გვასწავლიდნენ ბავშვებს. ჩვენი მასწავლებელი ქართველი ქალი ქსენია სასანია იყო. მახსოვს, როგორ გვადგმევინებდა ქართულ სპექტაკლებს. გატაცებით ვემზადებოდით და წარმოდგენაზე მთელ ქართულ კოლონიას ვეპატიჟებოდით. ჩვენი სპექტაკლები ქართველებში დიდი მოწონებით სარგებლობდა. მე ქართველის დედის როლს ვასრულებდი, მერე მაქებდნენ, კარგი მსახიობი ხარო... მამა ყოველთვის გვიამბობდა, სად დაიბადა, სად გაიზარდა და ხშირად იხსენებდა თავის მშობლებს.

— ამბობენ, ირანის ქართველობას სამშობლოს მონატრება ტკივილად ჰქონდათ გადაქცეული, არასოდეს უთქვამთ საქართველოში დაბრუნების გზები? თუ ეს იმ დროს უბრალოდ შეუძლებელი იყო?

— კომუნისტების დროს ეს მართლაც შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი (მთელი თავისი ქონებით) მაინც წავიდა საქართველოში, მაგრამ საზღვარზევე ყველაფერი ჩამოართვეს... ერთხანს მამასაც ძალიან უნდოდა დაბრუნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ირანელებთან დიდი პრობლემები შეექმნა, ნამუშევარი არ აუნაზღაურეს და როცა პროტესტი გამოთქვა, უთხრეს — შენ გურჯი ხარ და მადლობა უნდა თქვა, რომ ჩვენთან მუშაობო. იმ დროს ძალიან გაგვიჭირდა და მამა ისეთ დღეში ჩავარდა, რომ არა დედაჩემის მეუღლისადმი თანაგრძნობა, არ ვიცი, რა გვეშველებოდა. დედა დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ერთხელ მამას უთხრა კიდეც — მე შვილებს ვერ გავწირავო, რადგან კარგად იცოდა, რომ არც საქართველოში და არც მის მშობლიურ რუსეთში კარგი არაფერი გველოდა, უბრალოდ, იქ მოსავალი არ გვექნებოდა...

მე ოპტიმისტი ვარ, იმედი მაქვს, რომ საქართველო ძველ დიდებას დაიბრუნებს.

— ქალბატონო მიმი, აქ, ვაშინგტონში, მცხოვრებ ქართველებს ძალიან უყვარხართ და პატივს გცემენ, ამის მოწმე არაერთხელ ვიყავი, რამდენადაც ვიცი, აქაურ ქართულ ეკლესიასაც ეხმარებით...

— მე ისეთს არაფერს ვაკეთებ, უბრალოდ, ვიცი, სიკეთე არ დაიკარგება...

— ძველ ემიგრანტებთან თუ მეგობრობთ?

— ბევრთან ვმეგობრობთ. მაგრამ მათ შორის გამორჩეულია ბატონი პეტრე ხვედელიძე, „ამერიკის ხმაში“ მუშაობდა დიდხანს. იგი ჯერ კიდევ მამაჩემის — ძუკუ გუგუშვილის დიდი მეგობარი იყო და ჩვენც დღემდე ოჯახის წევრად მიგვაჩნია. ჩემი შვილები მის ხელში გაიზარდნენ. როცა ჩემმა უმცროსმა ვაჟმა სამხედრო აკადემია დაამთავრა, დიპლომის გადაცემის ცერემონიალზე პეტრე წაიყვანა. ჩემი უფროსი ვაჟიც, სანამ ცოცხალი იყო, ყველა სამხედრო აღლუმზე პეტრეს ეპატიჟებოდა...

— საქართველოში თქვენი ერთ-ერთი ყოფნის დროს გუგუშვილების საგვარეულო გერბიც „აღმოაჩინეთ“...

— ეს უფლის საჩუქარი იყო. თბილისში ყოფნის დროს, ერთ საღამოს ჩვენი გვარის ჩამომავლობაზე დავიწყეთ საუბარი. ჩემმა ნათესავმა მაია გუგუშვილმა სხვათა შორის თქვა, რომ თურმე თბილისში ცხოვრობდა მოხუცი ქალბატონი, რომელთანაც ჩვენი საგვარეულო გერბი ინახებოდა. დავინტერესდი და ვთხოვე, ეს ქალბატონი მოეძებნა. იგი აღმოჩნდა 94 წლის მერი გუგუშვილი, რომელმაც უფლება მოგვცა ამ გერბის ასლები გადაგვეღო. მე იმ ქალბატონის მონახულება ვერ მოვახერხე (ვეღარ ვასწრებდი), მაგრამ მაიას ხელით ყვავილები და მადლობის წერილი გავუგზავნე... თბილისიდან ბაქოში გავემგზავრე, სადაც ჩემი ვაჟი კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმში“ მუშაობს. ამ გერბის დანახვაზე ჩემი შვილის რეაქცია უნდა გენახათ... მითხრა — ამას ჩარჩოში ჩავსვამ, კედელზე ჩამოვკიდებ, ჩემმა შვილებმა თავისი წარმომავლობის შესახებ უნდა იცოდნენო. ჩემს უფროს ძმას — დიმიტრის 70 წელი რომ შეუსრულდა, სწორედ ამ გერბის ასლი ვაჩუქე. რეაქცია იქაც საოცარი იყო. მერე ერთი ასლი ჩემს უმცროს ძმას, კოკისაც მივუტანე. ყველანი უსაზღვროდ იყვნენ გახარებულები, მე კი ბედნიერი, რომ სწორედ მე მერგო დიდი პატივი — საზღვარგარეთ მცხოვრები გუგუშვილებისთვის საგვარეულო გერბი ჩამომეტანა.

— კიდევ რას გვეტყვით თქვენი დიდი ოჯახის შესახებ?

— მამა, ევსეი (ძუკუ) გუგუშვილი ინჟინერი იყო. დედა — ვალენტინა მიხაილენკო — დიასახლისი. ჩემი ძმა დიმიტრი ამერიკაში ცხოვრობს, ქიმიკოსია. უმცროსი ძმა ნიკოლა (კოკი) ვაშინგტონში ცხოვრობს და მსოფლიო ბანკში მუშაობს.

— თქვენი მეუღლე ამერიკული იყო, გვარად ბლისი. თქვენს ვაჟიშვილებს ამერიკულთან ერთად, ქართული სახელებიც ჰქვია. თქვენი უფროსი ვაჟის საფლავის ქვაზეც ორივე სახელი — თეოდორ-ავთანდილია ამოკვეთილი. ეს თქვენი სურვილი იყო, თუ უბრალოდ მამის პატივსაცემად მოიქეცით ასე?

— ეს ჩემი სურვილი იყო და ქართული სახელებიც ჩემი შერჩეულია, ძალიან მიყვარდა „ვეფხისტყაოსანის“ გმირები, ტარიელი და ავთანდილი. ამიტომ უფროს ვაჟს ავთანდილი (თეოდორი) დავარქვი, უმცროსს — ტარიელი (ბილი), შუათანას კი ირაკლი (დენიელი) ჰქვია. სახელი ირაკლიც ყოველთვის ძალიან მომწონდა. უფროსი ვაჟი — სამხედრო პილოტი იყო, შუათანა ბაქოში კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმში“ მუშაობს, უმცროსი კი კალიფორნიაში ცხოვრობს და ერთ-ერთ დიდ ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში მოღვაწეობს.

— შვილებს თუ მოსწონთ თავიანთი ქართული სხელები?

— ძალიან, მე დღემდე მათ ქართული სახელებით მივმართავ.


— ვინ არიან საქართველოში თქვენი ნათესავები?

— ჩემი ბიძაშვილი — ისიც მერი გუგუშვილი, მისი მეუღლე თემო ტაბიძე და მათი შთამომავლები. მერი ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანია, ჩემსავით მანაც ვაჟიშვილი დაკარგა და ეს ტკივილი კიდევ უფრო გვაახლოებს, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო...

თეირანში ბედნიერი ბავშვობა მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანურ ქვეყანაში ვცხოვრობდით, არავინ გვავიწროვებდა. გვქონდა ჩვენი ეკლესია, სადაც ხშირად დავდიოდით. თეირანში ქართველებს პატარა დასახლება ჰქონდათ. დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს, ეკლესიაში წასვლა ნამდვილ ზეიმად იქცეოდა ხოლმე. იქიდან მობრუნებულები ჩვენს ოჯახში იყრიდნენ თავს, სადაც ქართულ გარემოში ყოფნის, საქართველოზე დაუსრულებლად საუბრის საშუალება ეძლეოდათ და ამით რამდენადმე იქარვებდნენ სამშობლოს მონატრებას. ბავშვებს მაშინ არაფერი გვესმოდა. ვცხოვრობდით უდარდელად...

ციცინო ჯერვალიძე,
ვაშინგტონი

„თბილისი“ – საარბრიუკენში



21 წლის რატი ბრეგაძეს საარლანდის უნივერსიტეტში კარგად იცნობენ. ის, გერმანელ სტუდენტებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური რეფორმების პროექტს ამუშავებს. თუმცა მე ამ სერიოზულ საქმეზე მეტად მისი სამშობლოსადმი დამოკიდებულება მხიბლავს — როცა თბილისი მოენატრება, საარბრუკენში, თბილისის სახელობის მოედნისკენ გარბის და ქართულ ასოებს სიყვარულით შესცქერის.

— ისე მივჩერებივარ აბრას, თითქოს მე შემექმნას ქართული დამწერლობა. რატომღაც მგონია, როცა ქართულ ასოებს ვუყურებ, ჩემს სამშობლოში ყველა კარგად არის — მეგობრებიც, ოჯახიც და ნაცნობებიც. მიხარია რაღაც...

— იცი, რომ თბილისშიც არის საარბრუკენის მოედანი?

— კი, ყოფილი ვორონცოვი... მაგრამ გერმანიაში ისეთი მოვლილია თბილისის სახელობის მოედანი, ჩვენთან კი...

— მართლა ასეთი მომხიბლავია იქაურობა, თუ ევროპამ დაგახვია თავბრუ?

— არა! საქართველო ყველაფერს მირჩევნია! არ მესმის მათი, ვინც უცხოეთში რჩება... იქ ჩვენნაირი მეგობრობა არ იციან, თუმცა საქმეს მშვენივრად აკეთებენ. უნივერსიტეტებს გერმანიაში ისეთი ვრცელი საკურსო პროგრამა აქვთ, რომ ხშირად მის ათვისებას რამდენიმე სემესტრს ანდომებენ. სწავლა უფასოა. სტუდენტებს უზარმაზარი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა აქვთ. აი, თუნდაც ჩემი კოლეგები — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები უმდიდრეს ბიბლიოთეკებში მუშაობენ. არადა, ქართველებმა გერმანელებზე ბევრად ადრე შევქმენით კანონები.

— მაგრამ ახლა უკვე გერმანელები ქართული სახელმწიფოს კანონების შემუშავებაში მონაწილეობენ.

— საარლანდის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმაც შემოგვთავაზეს — სტუდენტურ რეფორმებში დაგეხმარებითო. საუნივერსიტეტო რეფორმებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. იმიტომ, რომ იციან: როგორ სპეციალისტსაც აღზრდის უმაღლესი სკოლა, ისე განვითარდება სახელმწიფო. ამ ზაფხულს საარლანდში მსოფლიო საუნივერსიტეტო კონგრესი ჩატარდა: „მომავლის უნივერსიტეტი — 2020“. იცით, რომელი დარგები აღიარეს პრიორიტეტულად? ბიონანოტექნოლოგიები, ინფორმატიკა და ევროპული ურთიერთობები. თუ გვინდა, გავძლიერდეთ, ეს დარგები ჩვენც უნდა განვავითაროთ. ევროპა ადამიანურ ურთიერთობებსაც პრიორიტეტულ დარგად თვლის... ამერიკაში კი იცით, როგორ უყურებენ სტუდენტს? — როგორც კლიენტს. უნივერსიტეტი კი ცდილობს, ის სწავლების ხარისხით დააინტერესოს. ამ მოხსენების შემდეგ ევროპელებმა ცინიკურად იკითხეს — ვისწავლოთ ამერიკისაგან?! და ევროპის სახელითვე „არა“ უპასუხეს: — ჩვენ ვერ ვისწავლით ამერიკისგან, რადგან ჩვენთან სტუდენტი ოჯახის წევრია და არა კლიენტი; ხოლო ოჯახმა თავის წევრზე უნდა იზრუნოსო. ამით ერთხელ კიდევ გამოჩნდა, რომ ევროპისთვის უცხოა ამერიკული ცხოვრების წესი. ეს ურთიერთობებსაც ეტყობა...

— მაინც როგორ?


— როგორ და, მაგალითად, საარლანდში ამ ბოლო ჩასვლისას თვითმფრინავმა დაიგვიანა და აეროპორტში ღამის სამ საათამდე მელოდა საქართველოსთან ურთიერთობის კურატორი იოჰან შნაიდერი. მითხრა, — შუაღამისას ამხელა ქალაქში მარტო ვერ დაგტოვებდიო. ქართულ-გერმანული ურთიერთობების საზოგადოების თავმჯდომარემ გიზელა ჰაიდიმ ბასტილიის ალების დღისადმი მიძღვნილ ბანკეტზე წამიყვანა საფრანგეთის საკონსულოში. საარბრუკენის მერმა მკითხა, — ბატონო ბრეგაძე, ლუდი ხომ არ გნებავთო. საუკეთესო ბავარიულ ლუდს სვამდა და როგორ არ მნებავდა, მაგრამ ზრდილობიანი უარი ვუთხარი. გაეცინა — მე ვსვამ და შენ რატომღა გერიდებაო. დამისხა და მართალი გითხრათ, სიამოვნებით დავლიე.

— ჩვენსას სჯობს?

— რას მეკითხებით (იცინის)! ქართულიც ძალიან კარგია სიცხეში... მაგრამ ყველაზე კარგი იცით, რა არის? თბილისისკენ რომ მოფრინავ, თვითმფრინავი კავკასიონს გადაუფრენს და პატარა საქართველო გამოჩნდება... ხოლო თვითმფრინავის რადარზე — წარწერა „თბილისი“...

ეთერ ერაძე

იყავი ბედნიერი, თუკი შეძლებ!



„ისეთ დეპრესიაში ჩამაგდო საყვარელი ადამიანის უხეშობამ და გულქვაობამ, რომ რამდენიმე დღე შინიდან ვერ გავდიოდი, არავის დანახვა არ მინდოდა, — გვწერს რესპონდენტი, — ბოლოს, „მხსნელად“ თქვენ გამახსენდით...

ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. გვიყვარდა-მეთქი, რომ ვამბობ, გული მეკუმშება. არ მეგონა, სიყვარული ასე თუ დამთავრდებოდა... არც ის მეგონა, საერთოდ თუ დაიწყებოდა, მაგრამ დაიწყო.

მინდა მას მივმართო, რადგან ეს ჩემი გამოსამშვიდობებელი სიტყვებია. მასთან პირადად საუბრის თავი ნამდვილად არ მაქვს, შეიძლება ეს ჩემთვის სავალალოდ დამთავრდეს, ამიტომაც გთხოვთ თქვენ, დამიბეჭდოთ...

— გაზეთის იმ გვერდით გაგესაუბრები, რომელიც განსაკუთრებით გიყვარდა, მერე კი წავალ, გადავიკარგები და ნუღარ ეცდები ჩემს მოძებნას. აკი, მითხარი კიდეც, დავიღალე და რაც დასაკარგია (ალბათ უნდა გეთქვა „ვინც“), დაე, დაიკარგოსო. გამოდის, რომ არც გყვარებივარ, რადგან თუკი ადამიანს ადამიანის დაკარგვა არაფრად მიაჩნია, მას ის არ ჰყვარებია.

...დაახლოების დღიდან სულ ვჩხუბობდით, ვკამათობდით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვიცოდით — უერთმანეთობა არ შეგვეძლო. გავიდოდა რამდენიმე დღე და ან შენ მირეკავდი, ან — მე. ახლა კი გეფიცები, ეს აღარ მოხდება. ბოლო ჩხუბისას იმგვარად შემამკე, გავოცდი — ღმერთმანი, ამას ნამდვილად არ ვიმსახურებდი... შენს კაპრიზებს არც შევასრულებ და ნურც წამომიყენებ პრეტენზიებსო... ვერაფერი გიპასუხე, ვიჯექი და გაოგნებული საკუთარ თავს ვეკითხებოდი: ნუთუ ეს მიყვარს, ნუთუ შეიძლება ჩვენი ერთად ყოფნა-მეთქი. ნამდვილად არ მეგონა, თუ შეიძლებოდა კაცი ისეთი ზერელე ყოფილიყო, რომ საყვარელი ქალისთვის სითბოს და ალერსის სანაცვლოდ ყურით მოთრეულ ლიდერობის უფლებაზე ელაპარაკა... დიახაც, კაცი „პირველი“ და „ლიდერი“ უნდა იყოს, ოღონდ საქციელით, ცხოვრების წესით და არა მოთხოვნითა და ბრძანებებით.

არანაირი სურვილი აღარ მაქვს ერთ დროს ძვირფას და ახლობელს რაიმე გაგაგებინო, რადგანაც მივხვდი, მაინც ვერ შეგასმენ... პრეტენზიული ხარო!.. რა მოგთხოვე მიუღებელი? როცა ქალს სურს ძვირფასი ადამიანისგან თბილი სიტყვების მოსმენა, განა ეს „მოთხოვნა“ კაცს უნდა აღიზიანებდეს? იმიტომ გსაყვედურობდი, რომ უკეთესი მინდოდა ყოფილიყავი. განდიდების მანიით ხარ შეპყრობილიო, — მითხარი იმის საპასუხოდ, როცა გთხოვე, სიყვარულზე გელაპარაკა. შენმა ნათქვამმა გული მატკინა, გავჩუმდი და ვარჩიე, რაც შეიძლება მალე წამოვსულიყავი შენგან.

მერე გზაში კვლავ „მმოძღვრავდი“, „ჭკუის სასწავლებლად“ მანქანის კარი მომიჯახუნე, ნიშნის მოგებით გაიღიმე — აბა, ჰეო, ხელი დაუდევრად აიქნიე და უკანმოუხედავად წახვედი. არა, ეს უკვე გულის ტკენაზე მეტი იყო, სული დამებზარა. ღრუბლებში ნუ დაფრინავო, — მითხარი ერთხელ. განა, შეიძლება შეყვარებულს ოცნება დაუშალო? განა შენ არ ამაფრინე ღრუბლებში, შენ არ დამარწმუნე, რომ სიყვარული დიდი და შეუდარებელი გრძნობაა? მაშ, ახლა რა მოხდა? რატომ გამკაცრდი ამ ბოლო ხანს? საკუთრებად დამიგულე და შენი საქციელით ღრუბლებიდან ძირს, მიწაზე დამანარცხე. ალბათ მეც ვეღარ შევძლებ იმ ადამიანს მივუტევო, რომელიც ასეთნაირად დამმოძღვრავს: — მიღე ცხოვრება ისეთი, როგორიც არის!..

ცხოვრება სამშობლო არ არის, ჩემო კარგო, რომ ცუდიც და კარგიც, დამარცხებულიც და გამარჯვებულიც, ტკივილიანიც და გალაღებულიც გინდოდეს. თუკი ცხოვრების მიხვეულ-მოხვეულ გზებზე ბევრ სიბინძურეს დავინახავ, ვეცდები, იმ ბილიკს დავადგე, სადაც მშვენიერებას და სილამაზეს ვხედავ. რატომ მივიღო მდარე, თუკი უფრო ამაღლებულს და წმინდას ვამჩნევ? ჩვენ ამაზე სხვა დროსაც გვისაუბრია, მაგრამ ვერც მაშინ შევთანხმებულვართ. მინდოდა, შენი სული ოდნავ მაინც გამეფაქიზებინა, ვერ შევძელი... არც მე შემძლებია ბოლომდე ბრძოლა საყვარელი ადამიანისათვის. თუმცა, ფარ-ხმალს არ დავყრიდი, შენგან უწინდებური სიყვარული რომ მეგრძნო. აბა, გაიხსენე, რას მეუბნებოდი ხოლმე, როგორ მარწმუნებდი, რომ გიყვარდი! მატყუებდი? განა „პირველობისა“ და „ლიდერობის“ მსურველ ვაჟკაცს შეეფერება ლამაზი სიტყვებით ქალს თავბრუ დაახვიოს, მერე კი, უაზრო პრინციპებით გული ატკინოს?

მას მერე, მანქანის კარი რომ მომიჯახუნე, თავადვე გამიკვირდა, ცრემლები რომ არ გადმომცვივდა. და იცი, რატომ? იმდენად გამოფიტული ვიყავი, არც ფიქრი შემეძლო, არც სინანული. მხოლოდ ერთი სიტყვა მიბურღავდა ტვინს: დამთავრდა... დამთავრდა... დამთავრდა! ნუღარ იტყვი კვლავინდებურად: მე კი მგონია, პირიქით, ახლა იწყება ყველაფერიო!.. მიკვირს, როგორ შეგეძლო საყვარელი ადამიანისათვის მტირალისთვის გემზირა და დასამშვიდებელი სიტყვაც არ წამოგცდენოდა!

გახსოვს, ერთხელ გითხარი (ეს ალბათ ფრთხილად ნათქვამი საყვედური უფრო იყო): მოდი, გაუფრთხილდი და დააფასე ის, რაც ხელისგულზე გიდევს. ნუ იფიქრებ, რომ რაც უკვე გაგაჩნია, ის უსათუოდ უნდა მიგეღო და ჩვეულებრივზე ჩვეულებრივია-მეთქი. გეწყინა, აიმრიზე: ვერ გავიგე, რა გავაკეთო, დავლურაო დავუარო, რახან გიყვარვარ, ან თუნდაც რატომ უნდა ჩავთვალო ჩვენი სიყვარული უჩვეულოდ, რატომ ხარ ამბიციური, რა, ყოველდღე მადლობა გითხრა ამ გრძნობისთვისო? ღმერთო ჩემო... განა არ იცი, რომ ზოგიერთი ისე მიდის ამ ქვეყნიდან, რომ ამ დიდ გრძნობას ვერც ეღირსება? ჩვენ კი ვეღირსეთ!... მე სულაც არ მინდოდა ყოველდღე გამეგონა სამადლობელი სიტყვები შენგან, უბრალოდ მინდოდა, ამ სიყვარულით ამაღლებული კაცი დამენახა და არა ბოღმიანი, თავდაჯერებული პიროვნება, რომელსაც, რატომღაც სწამს, რომ რაც მან მოისურვა, ყველაფერი მიიღო...

არ მეგონა, ჩვენი ურთიერთობა თუ ასე დასრულდებოდა. ალბათ გიკვირს, ამდენი ხანი რომ არ შეგეხმიანე და კიდევ უფრო მეტად გაგიკვირდება, როცა „კვირის პალიტრის“ ამ გვერდში ჩემს ერთგვარ მონოლოგს და გამოსამშვიდობებელ წერილს წაიკითხავ. ნუ მომძებნი. როცა ეს წერილი დაიბეჭდება, მე ძალიან შორს ვიქნები, ხოლო როცა ჩამოვალ, შენთვის აღარ ვიარსებებ... ახლა მახსენდება ჩემი შეკითხვა: ნახვიდან ნახვამდე არ ფიქრობ ჩემზე, ან არ გენატრები-მეთქი? ცინიკურად მიპასუხე: შენ წარმოიდგინე, არაო!

რას ვიზამთ? ყველა როდია დაჯილდოებული სიყვარულის უნარით?! შენ არ ყოფილხარ იმ გრძნობის ღირსი, რომელიც გიძღვნეთ. მშვიდობით. იყავი ბედნიერი, თუკი შეძლებ!

ოდესღაც შენი ირმა“.

მარინა ბაბუნაშვილი

გამოხმაურება

მიუხედავად საყვედურისა, მაინც მიგულეთ თქვენს გულშემატკივრად

ვეხმაურები ქალბატონ თამარს.

ქალბატონო თამარ, როგორც მოგვითხრობთ, დაიბადეთ და გაიზარდეთ საკმაოდ განათლებულ და გამორჩეულ ოჯახში, გყავთ შეგნებული და განათლებული მეუღლე...

ბოდიში, იქნებ გულიც გატკინოთ, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რასაც ვფიქრობ: როგორ დატოვეთ უსუსური შვილი, რომლის გაჩენასაც ასე ნატრობდით, როგორ გაცვალეთ სხვაში, ნუთუ ასე ძლიერი იყო თქვენი სურვილი შეძლებული ოჯახის შენარჩუნებისა, რომ საკუთარ სისხლსა და ხორცზე უარი თქვით?

თქვენს საქციელს გამართლება არა აქვს, მით უმეტეს, რომ ბავშვის სამკურნალოდ ყველგან ხელი მიგიწვდებოდათ.

თქვენი ნაბიჯი მაშინ იქნებოდა ღირსეული და დასაფასებელი, რომ თქვენი შვილიც და ის მიტოვებული ბიჭუნაც წამოგეყვანათ და ორივე ერთად, ტყუპებივით გაგეზარდათ.

თავად მე ხუთი შვილის დედა ვარ, უმცროსი — ტყუპი და-ძმაა... შვილის სიყვარულზე ძლიერი გრძნობა არ არსებობს, ამაში ნურავინ შემედავება.

...ალბათ, გული გატკინეთ, მაგრამ ამ გაკიცხვით სხვა დედებსაც ვაფრთხილებ, რომ მსგავსი შეცდომა არ ჩაიდინონ. რადგან უდიდესი ცოდვაა, როცა დედა შეგნებულად ტოვებს (ან ყიდის) თავის შვილს.

ქალბატონო თამარ, მიუხედავად ამ საყვედურებისა, მაინც თქვენს გულშემატკივრად ჩამთვალეთ. ვისურვებ, რომ თორნიკემ შეძლოს თქვენი პატიება.

მარინა ბუაჩიძე, ხაშური

დიასახლისებისათვის



ერთჯერადი ქოლგები. ასეთი წვიმიანი ზაფხული დიდი ხანია არ ყოფილა. ამიტომ შინიდან გასვლისას ქოლგა ყოველთვის თან უნდა ვიქონიოთ — ვინ იცის, სად მოგვისწრებს შხაპუნა.

ახალი ქოლგის ყიდვა თუ დააპირეთ, ჯერ კარგად გასინჯეთ, რამდენჯერმე გახსენით და დახურეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ მექანიზმი კარგად მუშაობს. გახსნილ ქოლგას დაუკვირდით — არის თუ არა დაჭიმული ქსოვილი. ყურადღება მიაქციეთ ქოლგის ჩხირებს — ამობურცული არ იყოს. შეამოწმეთ ქოლგის სახელური და წვერი, მკვიდრად არის თუ არა დამაგრებული.

გაითვალისწინეთ, რომ დასავლეთში პოპულარულია ქოლგების ერთჯერადი მოდელები — ადამიანს თუ „ნამდვილი“ ქოლგა შინ დარჩა და გზაში წვიმა წამოეწია, იქვე იყიდის, თანაც ძალიან იაფად. ჩვენთან, ეტყობა, სწორედ ასეთი ქოლგებია შემოსული, ამიტომაც ფუჭდება წარამარა...

შემწვარი კარტოფილი რომ ხრაშუნა გამოვიდეს, არ ეწებებოდეს ერთმანეთს და შეწვისას ტაფას არ მიეკრას, ასე უნდა მოიქცეთ: წვრილად დაჭრილ კარტოფილს გადაავლეთ ცივი წყალი, გააშრეთ ჩაის ტილოთი, გახურებულ ტაფაზე დაასხით ზეთი ან მცენარეული კარაქი და დააყარეთ კარტოფილი. მარილი მხოლოდ მაშინ მოაყარეთ, როდესაც კარტოფილი კარგად დაიბრაწება.

პლასტმასის ელექტროჩაიდანი ძალიან გამოსადეგი რამაა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ კედლებსა და ტუჩზე ნალექი ედება. თუ ის დროზე არ მოაშორეთ, ჩაიდანი გაფუჭდება და მასში ადუღებული წყლის გემოც არ მოგეწონებათ.



ნალექის მოშორება კი ასე შეიძლება: ჩაასხით ჩაიდანში წყალი, აადუღეთ, შემდეგ დაამატეთ საჭმელი სოდა (2 ს/კ 1 ლ წყალზე) და კვლავ აადუღეთ. გადაღვარეთ წყალი, ჩაასხით ახალი და დაუმატეთ ძმრის ესენცია (1 ან 2 ს/კ 2ლ წყალზე). აადუღეთ, წყალი გადაასხით, ჩაიდანი და სპირალი ქაღალდის ხელსახოცით გაწმინდეთ — ნალექი მაშინვე მოშორდება.

არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია

ქალების უმრავლესობა ასე ფიქრობს: — ნებისმიერი რთული სიტუაციიდან შეიძლება გამოხვიდე და თავი მშვიდად იგრძნო. მამაკაცები კი სხვაგვარად უდგებიან ამ საკითხს და ზოგჯერ ისე აქცევენ ბუზს სპილოდ, იტყვი, — ნეტავ სად გაქრა ამათი გამჭრიახობაო. როცა ეს ერთ-ერთ მათგანს ვუთხარი, ჩაიცინა: — გამჭრიახები, ალღოიანები და ეშმაკზე ადრე დაბადებულები თქვენ ხართ, ჩვენ კი ალალი და პატიოსანი ხალხი ვართო. აი, ასეთი პრალდებებით ჯაბნიან ძლიერი სქესის წარმომადგენლები სუსტ ქალებს, რომლებსაც გამოუვალ სიტუაციებს უმეტესად თურმე სწორედ მამაკაცები უქმნიან.

მეგი (28 წლის): — შარშანწინ, ქობულეთში, ერთმა თავხედმა ბიჭმა შავ დღეში ჩამაგდო. პლაჟზე დადებული ჩანთა და ტანსაცმელი დამიმალა. ჩირადაც არ ვაგდებდი და ასე მოინდომა სამაგიეროს გადახდა. სანამ პლაჟზე გაჩერება შეიძლებოდა, ვითმინე, იქნებ მოვიდეს და მოპარული ნივთები დამიბრუნოს-მეთქი. ის კი ამ დროს ბარში იჯდა თურმე და თვალყურს მადევნებდა. სრულიად შემთხვევით მოვკარი თვალი. ბარში ნახევრად შიშველი ხომ ვერ ავიდოდი! უცებ გამინათდა გონება: ერთ ბიჭს მობილური გამოვართვი, პოლიციაში დავრეკე და დამნაშავის ადგილსამყოფელიც მივუთითე. ერთი გენახათ, რა ამბები დატრიალდა იმ საღამოს. ჩემი გამწარება უნდოდა და თვითონ გამწარდა. ახლა არ მითხრათ, ბოროტი ხარო.



ნატა (42 წლის): — ერთხელ, გაჩერებაზე, ვიღაც „ავსული“ ამეკიდა. ისე მიყურებდა, ტანში მამტვრევდა. ავედი სამარშრუტო ტაქსიში, ამომყვა, ჩავედი დინამოსთან — ბაზრობაზე მინდოდა შესვლა, გამომყვა. მოჩვენებასავით დამდევდა. ღმერთს ვეხვეწებოდი, ვინმე ნაცნობი შემახვედრე-მეთქი. ამაოდ. ვეცადე, მაღაზიაში დავსხლტომოდი ხელიდან. როგორც იქნა, მოვიშორე და გულმოცემული გაჩერებაზე გავიქეცი. სამარშრუტო ტაქსიში დავჯექი და რას ვხედავ, ისიც კუდში არ მომყოლია! ძალიან შემეშინდა. უცებ — ვაიმე, ცუდად ვარ-მეთქი, ვიკივლე და თავი მოვიმკვდარუნე, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია. იმდენი ვქენი, სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. როცა ჩემი არცთუ საგანგაშო პულსის, მაგრამ ისტერიკის გამო ექიმებმა მანქანაში მიკრეს თავი, დავმშვიდდი და ხარხარი ამიტყდა. ექიმებს ეგონათ, შოკური შეტევა დაეწყოო და შპრიცი მოიმარჯვეს დამამშვიდებლის გასაკეთებლად. როგორც იქნა, გავაგებინე, რომ არაფერი მჭირდა და მოვყევი, რაც გადამხდა. ერთად ვიცინოდით მეც და ექიმებიც. სასწრაფო დახმარებით მიმიყვანეს შინ, მაგრამ ასეთი „ტაქსი“ კაი 30 ლარი დამიჯდა.

ლილი (57 წლის): — სახლის კარი ჩამეკეტა. ან საკეტი უნდა გამეტეხა, ან შინ უნდა შემეღწია როგორმე. არადა, საკეტი გვარიანი ძვირი ღირდა. დარდით აღარ ვიყავი — შინ ანთებულ გაზზე ქვაბი მედგა. ვიდექი მეზობლის აივანზე და ვფიქრობდი, როგორ გადავმძვრალიყავი ჩემს ბინაში. ვერ გავბედე სუპერმენობა, მაგრამ არანაკლებ გაბედული აზრი მომივიდა თავში. ეზოში, მშენებარე კორპუსთან, ამწე იდგა. მე და ჩემმა მეზობელმა ქალმა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ამწე ავამუშავეთ, კაუჭზე ჩამოკიდებულ რკინის საზიდარში ჩავჯექი და მე-8 სართულისაკენ „გავემართე“. ლუბამ ისე „დაამხეცა“ ამწეს მართვა, რომ სიცილით ვიჭაჭებოდით ორივე. ის იყო, აივანზე უნდა გადავმძვრალიყავი, ამწე გამოირთო, გაფუჭდა. სხვა გზა აღარ მქონდა, დავეჭიდე თოკებს, საზიდარი გავაქანე და ორივე ხელით ჩავაფრინდი მოაჯირს. კასკადიორები გვარიან თანხას გააკეთებდნენ ტრიუკში, იმ დღეს რომ შევასრულე — აივანზე მაინც გადავძვერი.

მაკა (30 წლის): — ერთ ინგლისელს უნდა შევხვედროდი და ინტერვიუ ჩამეწერა. მითხრეს, რუსული იცისო და მეც თარჯიმანზე უარი ვთქვი. აღმოჩნდა, რომ მშობლიური ენის გარდა მხოლოდ ქართული „გამარჯობა, როგორა ხარ“ და რუსული „სუკინ სინ“ სცოდნია. შემოვირტყი თავში ხელი. ინგლისური კი ვიცოდი, მაგრამ ინტერვიუსთვის ნამდვილად არ გამომადგებოდა, დავურეკე თარჯიმანს, ტელეფონი გამორთული ჰქონდა. შავ დღეში ჩავვარდი. ისევ მეთიუმ მონახა გამოსავალი — მოდი, ნახატებით ვისაუბროთო. ავიღეთ თაბახის ფურცლები და რასაც სიტყვებით ვერ ვაგებინებდით ერთმანეთს, დიდი მონდომებით ვხატავდით. ინტერვიუ, რომელიც ნახევარ საათში უნდა დასრულებულიყო, 5 საათს გაგრძელდა. ხატვაშიც გავიწაფეთ, ერთმანეთს ქართულ-ინგლისურიც ვასწავლეთ და ძალიანაც დავმეგობრდით. დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს და მეთიუ დიდი ამბით ინახავს ჩვენი ინტერვიუს „ჩანაწერ“ ნახატებს. ჩემი აზრით, მან შესანიშნავი გამოსავალი მოძებნა.

ეკა ლომიძე

შემწვარი ხახვი ნიგვზით



ტაფაზე დავყაროთ 1 კგ შედარებით წვრილთავიანი ხახვი და ღუმელში შევწვათ.

გავაგრილოთ, დავჭრათ, ჩავყაროთ ჯამში.

დავნაყოთ 1 ჩ/ჭ ნიგოზი (ან თხილი), 1 კბილი ნიორი, მარილი, გავხსნათ ღვინის ძმარში, მოვასხათ ხახვს, მოვაყაროთ დაკეპილი კამა, ქინძი, პილპილი (გემოვნებით), ბროწეულის მარცვლები, ავურიოთ ფრთხილად, გავაჩეროთ 10 წუთი და მივიტანოთ სუფრაზე.

ამ კერძს ძალიან უხდება მჭადი და თეთრი ღვინო.

ჩვენს ბავშვებს ზეიმი უნდა მოვუწყოთ

„ეტალონი“ ფრანგული სიტყვაა და სამაგალითოს, ზუსტს, მისაბაძს ნიშნავს. მედიაპროექტი „ეტალონი“ (ტელეკომპანია „მზისა“ და ჟურნალ „რეიტინგის“ ერთობლივი მედიაპროექტია) კი ყველაზე ორიგინალური, უპრეცედენტო წამოწყებაა, რომელიც მოზარდების სწავლით დაინტერესებას შეუწყობს ხელს. საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით განხორციელდება.

როგორ შეიძლება პროექტში მონაწილეობა? შეზღუდულია თუ არა მონაწილეთა ასაკი? რა კითხვებზე მოუწევთ მოსწავლეებს პასუხის გაცემა? რა არის საჭირო იმისათვის, რომ „ეტალონის“ სტიპენდიანტი გახდე? ამ და სხვა კითხვებზე პროექტის სატელევიზიო ვერსიის ავტორი ***ირაკლი იმნაიშვილი*** *გვიპასუხებს:*

— პროექტი „ეტალონი“ (საჟურნალო ვარიანტი) უკვე განხორციელდა რამდენიმე სკოლაში.



რაკი ბევრი მოსწავლე, ასე ვთქვათ, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, იდეის ავტორმა, გოჩა ტყეშელაშვილმა და მე პროექტის სატელევიზიო ვერსიის შემუშავება გადავწყვიტეთ. როგორც იცით, განათლების სამინისტროში რეფორმები მიმდინარეობს (ისე, თუ ვინმეს რამის სწავლა უნდა, რეფორმების გარეშეც ისწავლის). პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იქნება, ამან კი შესაძლოა რამდენიმე თაობა დააზარალოს. ბავშვები ხედავენ, რომ უმაღლესი განათლებამიღებული მშობლების უმეტესობა დღეს უმუშევარია, ჰოდა, ეკარგებათ სწავლის სურვილი. იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ საქართველოში ცოდნის ფასი არ იციან. ვითარებაც, როცა შეიძლება გაუნათლებელი იყო და ყველა სიკეთით ისარგებლო, იქნება ეს კარიერა თუ მატერიალური მდგომარეობა, ძალიან მალე შეიცვლება და უმთავრეს სიმდიდრედ განათლება ჩაითვლება. მაგრამ, სანამ განათლების სისტემაში რეფორმა მიმდინარეობს, პროექტ „ეტალონის“ მიზანია, აუხსნას მოზარდებს, რისთვის არის საჭირო სწავლა, გავუღვივოთ ცოდნის შეძენის სურვილი და დავარწმუნოთ, რომ სკოლის სახელმძღვანელოებში ბევრი საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციის მიღება შეუძლიათ.

— ჩვენ ხშირად გვიკავშირდებიან რეგიონებიდან — აინტერესებთ, შეიძლება თუ არა პროექტში მონაწილეობა და რა უნდა გააკეთონ საამისოდ?

— პროექტში მონაწილეობის მსურველებისთვის ჟურნალ „რეიტინგში“ გამოქვეყნდება ე. წ. „ცოდნის კუპონი“ და კითხვების ჩამონათვალი. პასუხის გაცემა მოსწავლეს შეუძლია როგორც დამოუკიდებლად, ასევე ვინმეს დახმარებით (ჩვენ ვერც გავაკონტროლებთ ამ პროცესს, მთავარი ამ ეტაპზე მოსწავლის დაინტერესებაა). გამოგზავნილი კუპონები თავს მოიყრის „ეტალონის“ სათავო ოფისში. მათგან ავარჩევთ სწორპასუხებიან კუპონებს, მოვათავსებთ დოლურაში და შევარჩევთ სულ 10 კუპონს. სწორედ მათ ავტორ მოსწავლეებს მოვიწვევთ სტუდიაში. გადაცემა ეთერში გავა ყოველ კვირას და შემდეგი გადაცემის 10 მონაწილეც იქვე შეირჩევა.

ვიმედოვნებთ, პროექტში, რომელიც ჩვენი რწმენით მართლაც ეროვნულ საქმეს ემსახურება, მთელი საქართველოს მოსწავლეები ჩაერთვებიან. ჩვენ უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ქართველები გულით მოაზროვნე, მგრძნობიარე ხალხი ვართ და ხშირად ჩავდივართ ისეთ რამეს, რასაც შემდგომ ვნანობთ. ყველაფერი ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა განსწავლულობა. არ შეიძლება, არ დაეთანხმო უწმიდესის სიტყვებს და ჩვენც ამ პროცესში მოკრძალებული წვლილის შეტანა გვსურს... დავუბრუნდეთ სატელევიზიო ვერსიას. სტუდიაში მოწვეულ ბავშვებს თან უნდა ახლდეთ თავიანთი კლასის დამრიგებლები. გამარჯვებულ მოსწავლეს, ასევე, მის დამრიგებელს, წლიურად დაენიშნებათ სტიპენდია — 50-50 ლარი, რადგან გამარჯვება ორივეს შრომის ნაყოფი იქნება.

I ტურში — 10 მოსწავლეს დაუსვამენ რამდენიმე კითხვას. ვინც მეტ ქულას დააგროვებს, მეორე ტურში მიიღებს მონაწილეობას. II ტურის ბოლოს 4 მოთამაშე გამოეთიშება თამაშს. III ტურში გასულ 6 მოსწავლეს უფრო რთულ კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა. ნახევარფინალში კითხვები გაცილებით გართულდება და დასასრულ, ფინალში 3 მოსწავლე აღმოჩნდება.

— რომელი კლასების მოსწავლეებს შეეძლებათ პროექტში მონაწილეობა და სასკოლო პროგრამის მიხედვითაა შედგენილი თუ არა კითხვები?

— პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ VIII-XI კლასის მოსწავლეებს. კითხვები სასკოლო პროგრამის მიხედვითაა შედგენილი. თუ ბავშვი სწორად უპასუხებს კითხვას, 5 ქულას დავუწერთ, თუ თავს შეიკავებს, 2 ქულას, მცდარ პასუხზე — 0 ქულას. შეფასების ამ კრიტერიუმით მოსწავლეს კი არ ვტუქსავთ, რატომ არ იცის, პირიქით, შანსს ვაძლევთ, დააფიქსიროს, რომელ კითხვებს ვერ გასცა პასუხი, რათა სამომავლოდ მათზე ყურადღება გაამახვილოს.

თითო ტურში იქნება 3 კითხვა საქართველოს ისტორიიდან, 3 — მშობლიური ლიტერატურიდან, თითო-თითო კითხვა საბუნებისმეტყველო საგნებიდან და ორიც იმის დასადგენად, რამდენად საზრიანია მონაწილე.

— ვიცით, რომ პროექტში ჩართულები არიან პოლიტიკოსები, სპორტსმენები, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი პირები. რა ეკალება მათ?

— მათი ვალია პროექტის პროპაგანდა — პარლამენტის ტრიბუნიდან, სამინისტროებიდან და ა.შ. ჩვენ ყველა ცნობილ ადამიანს მოვიწვევთ სტუდიაში და ისინი იქნებიან პროექტში მონაწილე ბავშვების გულშემატკივრები.

— კონკრეტულად, ვის მოწვევას აპირებთ?

— მაგალითად, პროექტს მხარს უჭერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

— შესაძლოა ასეთი რანგის გულშემატკივრებმა მატკივრების დანახვაზე მონაწილეები დაიბნენ...

— ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ მაღალი რანგის თითო სტუმარი გვყოლება.

— ვინ შეასრულებს ჰიმნს, რომელიც საგანგებოდ პროექტისთვის ნიკა მემანიშვილმა დაწერა?

— შემსრულებლების ვინაობას საიდუმლოდ დავტოვებ, თუმცა იმას კი გეტყვით, რომ ტრიოდან ერთ-ერთი ლიზა ბაგრატიონი იქნება. მასთან ერთად იმღერებს კიდევ ორი მომღერალი (გაგიმხელთ, რომ „უცნობსა“ და ნატო მეტონიძეზეა ლაპარაკი. — ე. მ.). გერბის გარდა, გვაქვს დროშაც, რომლითაც ძალიან ვამაყობ.

— ე. ი. დროშა ჰიმნის თანხლებით აღიმართება იმ სკოლაში, სადაც სტიპენდიანტი მოსწავლე სწავლობს?

— გამარჯვებულს გადაეცემა დიპლომი (სიგელებით დაჯილდოვდება თითოეული მონაწილე), ეროვნული დროშა და იმავდროულად, პროექტ „ეტალონის“ დროშაც, რომელიც გამარჯვებული მოსწავლის სკოლის თავზე აღიმართება. პირველ თვეს პირველ ოთხ სტიპენდიას გასცემს ტელეკომპანია „მზე“, შემდეგ მას სხვებიც შეუერთდებიან. იმედი გვაქვს, მალე საქართველოს თითქმის ყველა სკოლის თავზე აფრიალდება „ეტალონის“ დროშები.

— რამდენ ხანს გაგრძელდება პროექტი?

— ალბათ, პირველი ეტაპი 6 თვეს გაგრძელდება. პროექტი არ არის კომერციული, იგი მოგებაზე არ ყოფილა გათვლილი. არ შეიძლება, მაყურებელი ფულის შოვნის წყაროდ მოიაზრებოდეს. მიუხედავად პროექტის სიძვირისა, ის მაინც განხორციელდება.

— როგორი რეაქცია ჰქონდა ხალხს, როცა შენ და ნიკა მემანიშვილი მეტროსადგურებში აკრავდით „ეტალონის“ პლაკატებს?

— ყველაზე მეტად ხალხის დამოკიდებულებამ გამახარა. დიდი ინტერესით გვეკითხებოდნენ, რა უნდა წაიკითხოს ჩემმა შვილმა, როგორ უნდა მიიღოს პროექტში მონაწილეობაო და ა.შ. დავრწმუნდით, რომ საზოგადოებას მოსწონს ჩვენი პროექტი, ელის მის რეალიზებას.

— როდის დაიწყება „ეტალონის“ სატელევიზიო პროექტი?

— პროექტი „ეტალონი“ ორშაბათიდან (16 აგვისტოდან) უკვე დაიწყო, ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალ „რეიტინგში“ გამოქვეყნდა ტესტი და მოსწავლეებს შეუძლიათ გამოაგზავნონ „ცოდნის კუპონები“... რაც შეეხება სატელევიზიო ვერსიას, ის ტელეკომპანია „მზის“ ეთერში გავა 19 სექტემბერს, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ სწავლა ჩვენი პროექტის გამო არ გადადებულა (იცინის).

— ვინ იქნება გადაცემის წამყვანი?

— ამას ვერ გაგიმხელთ. „ეტალონის“ სატელევიზიო პროექტის წამყვანი მე არ ვიქნები, თუმცა ეთერს მილმა ვიმუშავებ და ეს მეამაყება. ჩვენ ბავშვებს ზეიმი უნდა მოვუწყოთ!

— რას ურჩევ ირაკლი იმნაიშვილი ბავშვებს, რომლებსაც „ეტალონის“ სტიპენდიანტობა სურთ?

— ისწავლონ (იცინის).

ეველინა მენთეშაშვილი

შეარჩიეთ მეორე ნახევარი პირდაპირ ეთერში



ტელეკომპანია „იმედი“ სექტემბრიდან განახლებულ სატელევიზიო ბადეს წარმოადგენს. მრავალ სიახლესთან ერთად იხილავთ გადაცემას, რომელიც უცოლოებსა და გასათხოვრებს გაბედნიერების რეალურ შანსს მისცემს. გარდა ამისა, „იმედის“ ეთერში „რუსთავი-2“-დან „მოტაცებულ“ ცნობილ სახეებსაც იხილავთ. მათ შორისაა დათო კიკალიშვილიც, რომელიც ორიოდე თვის წინ გვიმტკიცებდა, უცხოეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივდივარ და „რუსთავი-2“-დან ჩემი წასვლის შესახებ ხმა მონაჭორიაო. „ტელეიმედის“ სიახლეების შესახებ „იმედის“ პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროგრამების დირექტორი ***გიორგი თარგამაძე*** *გვიამბობს. მიუხედავად დაძაბული სამუშაო რიტმისა, გიორგი წიგნებისთვის დროს პოულობს და ამჯერად კამიუს „ჭირს“ კითხულობს, რათა დათო დოიაშვილისა და ნიკა მემანიშვილის მიერ ამ ნაწარმოების მიხედვით დადგმული პიესა შეაფასოს. კვლავაც უზომოდ უყვარს ტელევიზორი და აღიარებს, რომ „ტრფობა“ ჯერ მანიაში არ გადაზრდია, თუმცა „საშიშ“ ზღვარზე დგას — კომპიუტერიდანაც ტელესიგნალებს იღებს და მანამ არ აპირებს მობილური ტელეფონის შეცვლას, სანამ ისეთ აპარატს არ იყიდის, რომლითაც სატელევიზიო სიხშირეებს დაიჭერს. გიორგი სატელევიზიო გადაცემებს „საღეჭ რეზინს“ და „მზესუმზირას“ უწოდებს და სურს, მისი გადაცემის ნახვის შემდეგ მაყურებელს არა ასეთი სატყუარათი, არამედ ნოყიერი გონებრივი და ემოციური საკვებით დანაყრების შთაბეჭდილება შეექმნას.*

— გიორგი, როგორც ამბობენ, „იმედში“ სხვა ცვლილებებთან ერთად, საღამოს საინფორმაციო პროგრამის წამყვანად დავით კიკალიშვილს ვიხილავთ.

— სატელევიზიო ბადე რადიკალურად არ შეიცვლება, თუმცა, მაყურებელს ბევრი სიახლე ელის. „დროებაშიც“ გამოჩნდება ახალი სახე — ქართული ეკონომიკური ჟურნალისტიკის ლიდერი, რეზო საყვარაიშვილი („რუსთავი-2“-დან „მოტაცებული“. — ე. ღ.). იგი „დროებაში“ ეკონომიკურ რუბრიკას გაუძღვება.

საღამოს ეთერში ერთმანეთს შეენაცვლებიან წამყვანები — გიორგი ახვლედიანი და კიდევ ერთი ტელემაყურებლებისათვის ცნობილი ადამიანი — ჩვენი შეთანხმებისამებრ მის ვინაობას ჯერჯერობით არ გავამხელ; ანუ თქვენს ინფორმაციას კიკალიშვილთან დაკავშირებით ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ. მაყურებელი ინგა გრიგოლიას კიდევ ერთ ახალ გადაცემასაც იხილავს, ეს იქნება ყოველკვირეული ტოქშოუ, ინტერაქტიული გამოკითხვის ახალი ტექნოლოგიით.

— რამდენადაც ვიცი, „იმედს“ არაკომერციული პროექტების განხორციელებაც აქვს დაგეგმილი...

— ვფიქრობ, სწორედ ეს განსაზღვრავს ტელეარხის პრესტიჟს, კომპეტენტურობასა და რეპუტაციას. შემოდგომიდან „ტელეიმედის“ ეთერში გავა საინტერესო გადაცემა, რომლის ავტორი და წამყვანი იქნება მწერალი და ჟურნალისტი გიორგი ახვლედიანი (აკა მორჩილაძე). იგი მაყურებელს მოუთხრობს ისტორიული, ცნობილი პირების ბიოგრაფიების უცნობ დეტალებს. გარდა ამისა, ეთერში გავა სამეცნიერო გადაცემა, რომელიც მაღალინტელექტუალურ აუდიტორიას პოლიტიკური ინტრიგებით გაჯერებულ ტელესივრცეში შექმნილ ინტელექტუალურ ვაკუუმს შეუვსებს. ამ გადაცემას ალბათ ჯანრი კაშია ხელმძღვანელობს. „იმედის“ ეთერში მაყურებელი ნახავს გადაცემას, სახელწოდებით „შანსი ათასიდან“. ამ გადაცემით დაუქორწინებლებს დაწყვილების შანსი ეძლევათ და ჩვენც ალბათ ერთგვარ წვლილს შევიტანთ ერის დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაში. საინტერესო იქნება „პოლიციის აკადემიაც“ (ამ გადაცემაზე „კვირის პალიტრა“ უკვე წერდა., მას თემურ მღებრიშვილი გაუძღვება. — ე.ღ.).

— გიორგი, სატელევიზიო თემას გადავუხვევ- მას შემდეგ, რაც საქართველოში რევოლუციები დაიწყო და აჭარის ყოფილ ლიდერსაც წყალი შეუდგა, თქვენს გამჭრიახობაზე ხშირად ლაპარაკობენ. ამბობენ, რომ თქვენ საღამოს ეთერში ერთმანეთს შეენაცვლებიან წამყვანები – გიორგი ახვლედიანი და კიდევ ერთი ტელემაყურებლებისათვის ცნობილი ადამიანი – ჩვენი შეთანხმებისამებრ მის ვინაობას ჯერჯერობით არ გავამხელ; ანუ თქვენს ინფორმაციას კიკალიშვილთან დაკავშირებით ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ.

თავის დროზე მიხვდით, „საცა არ სჯობდა“ და დროზე გაეცალეთ აბაშიძის გარემოცვას.

— ბევრი რამ ჩემი ვარაუდით განვითარდა, მაგრამ ბევრი რამე ისეთიც მოხდა, რასაც ვერ წარმოვიდგენდი. მადლობელი ვარ ღმერთის, რომ არც საკუთარი ღირსება შემალახვინა და არც სხვისი. თუმცა, ძალიან განვიცდი იმას, თუკი რამ ჩემთვის მიუღებელი ხდება. განსაკუთრებით მათთან დაკავშირებით, ვისთან ერთადაც დიდხანს ვმუშაობდი და ვმეგობრობდი კიდეც. ვფიქრობ, აჯობებს, თუ მალე დამთავრდება რევოლუცია ქვეყანაში. ის ხელისუფლება მართლაც უნდა წასულიყო, ამას პოლიტიკაში ყოფნის დროსაც აქტიურად გამოვხატავდი და მერეც, მაგრამ დღეს წარსულის გაკვეთილების გათვალისწინება მართებს ყველას და რაც მეტად შეძლებს ამას ახალი ხელისუფლება, მით ნაკლებ შეცდომას დაუშვებს. ძალიან მინდა მყავდეს მოქმედი, კარგი (არა მხოლოდ პიარის მხრივ) ხელისუფლება, რადგან მის წარმატებაზეა დამოკიდებული ჩვენი ოჯახების მომავალი და ქვეყნის ღირსებაც.

— გიორგი, თქვენმა „დროებამ“ საქართველოში ე. წ. ფერეიდნული ტალღა ააგორა, ესეც ჟურნალისტური მანერი იყო?

— ბავშვობიდანვე მაინტერესებდა ყველაფერი ის, რაც ჩემი ქვეყნის წარსულთან არის დაკავშირებული. ამიტომ ვცდილობ, მოვიძიო და საზოგადოებისთვისაც საცნაური გავხადო დროთა განმავლობაში მიჩქმალული ან დაკარგული ქართული ფასეულობები. ამ მხრივ ყურადსაღებია ფერეიდნელი და თურქეთში გადახვეწილი ქართველების ყოფა — მათ ხომ ეროვნული იდენტიფიკაციის თითქმის ყველა ნიშანი შეინარჩუნეს. შეინარჩუნეს ის ღირსებები, რაც სამწუხაროდ, ჩვენ ნაწილობრივ დავკარგეთ.

„დროებაში“ ფერეიდნელებზე გასული მინიფილმის შემდეგ მიმოწერა მაქვს ფერეიდნელ საიდთან, რომელიც ქართულს ასწავლის იქაურ ქართველებს. მისი წერილი ყოველთვის ასე იწყება: „მოკითხვა დიდ საქართველოს პატარა საქართველოდან“. მე კი ვპასუხობ, ეგ კიდევ საკითხავია, სად დიდია საქართველო და სად პატარა-მეთქი. სამწუხაროდ, მავანთათვის მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს იმ მთავარს, რასაც ქართველობა, ქართული ღირსებები და ფასეულობები ჰქვია. ფერეიდნელებს და თურქ ქართველებს უდიდესი პატრიოტული მუხტის შემოტანა შეუძლიათ ჩვენში. ხშირად ვფიქრობ, აქაურები უფრო ვჭირდებით ფერეიდნელებს თუ ფერეიდნელები გვჭირდებიან ჩვენ? ბოლო წერილში საიდი ასე დამემშვიდობა: „გწერს შენი თანაფესვი, თანაერი, თანაენა, თანაგრძნობით და თანანატვრით“. წაგიკითხავთ სადმე თუნდაც მწერლის ასეთი გრძნობით სავსე სიტყვები? შემრცხვა კიდეც ჩემი ქართულის გამო. ფერეიდნელებთან საუბრისას წამომცდა სიტყვა „აჟიოტაჟი“. ერთმა ვერ გაიგო, მეორემ კი შემისწორა — აჟიოტაჟის ნაცვლად, ხმაური გეთქვაო. კარგი იქნებოდა, ახალგაზრდა ქართველი მწერლები ქართულ სიტყვათა სიმრავლეში გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს და იქნებ მოძალებულ ახალ-ახალ ტერმინოლოგიათა გაქართულებაშიც დაგვხმარებოდნენ — მათი ფუნქცია ხომ მარტო წერა არ არის.

ეკა ლომიძე

ორშაბათი 16 აგვისტო

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 08.10 „ღამის მოამბე“ გამოირება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი „სიმბა-ფიბბურთელი“ 09.40 „იმღერე რამე“ 10.10 სერიალი „მორიგი მსხვერპლი“ 11.00 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში -ბენ აფლეკი 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 სერიალი „ფორსაიტების საგა“ 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკუსერიალი „მსოფლიოს ქალაქები“-ტოკიო 15.20 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო“ 1-ლი ს. 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი „ექსცენტრიკოსები“ 17.05 მულტსერიალი „სიმბა-ფიბბურთელი“ 17.30 სერიალი „ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „სპ6 – ტროპი“ 19.00 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი“ 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მზ.“ ფილმი „დრონინე“ (18)

19.00 მულტფილმი „პაპირუსის თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ (U) 21.00 დოკ. სერიალი „მოგზაურობა“ 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მზ. ფილმი„ქვემეხის ბირთვი“ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიაუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.10 კურიერი 12.20 დისკავერი 13.20 მზ. ფილმი „ის იწყება გაბრაზებას“ 15.25 სერიალი „სასწრაფო“ 16.30 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიაუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „უკვდავი“ 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“. 00.00 მზ. ფილმი „ბიცაანით ჯიე ვლეძი“. მთ. რ-ში: ბრედ პიტი, ენტონი ჰოპკინსი (18).

18.00 მზ. ფილმი „შიშისმოგვრელი ბადეები“ (U) 21.10 დოკ. ფილმი 22.30 მზ. ფილმი „ლუსი ობრაკი“ (15)

07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 07.45 „ათენის ოლიმპიური თამაშები — მიმოხილვა 09.15, 01.35 ტვ-მარკეტი 09.45 ოლიმპიური თამაშები: პლაჟის ფეხბურთი, ძიუდო, ხელბურთი (კაცები) სლოვენია-ხორვატია 13.10 ძიუდო (გაგრძელება), ხელბურთი (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი. 15.10 ძიუდო (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი (გაგრძელება), ფრენბურთი (ქალები) იტალია-იაპონია, კალათბურთი (ქალები) ჩეხეთი-აშშ. 17.10 კალათბურთი (გაგრძელება), ძიუდო (ფინალები). 19.20 სერიალი „კლინი“. 20.05 ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა, კრივი, ძალოსნობა 22.20 ფრენბურთი (ქალები) რუსეთი-კუბა. 00.05 ოლიმპიური თამაშები — დღის მიმოხილვა 02.20 იმედის მელოდიები

09.00 „ფარული კამერა“ 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი“ 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.10, 20.50 მინისერიალი „შტორაუსების დინასტია“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „ქვეშინის კიდეზე“ 13.10 მზ. ფილმი „მომაკვდინებელი იარალი 2“ (U) (მ. გიბსონი) 15.10 სერიალი „მარია ეფილია“ 16.10 სერიალი „დინოტოპია“ 17.10 მულტსერიალი „რედფოლი“ 17.35 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები“ 18.10 დოკ. სერიალი „ექსტრემალური ამბები“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 „ტელეპროცესი. ნოე ფორდანია„ 00.00 მზ. ფილმი „ძველი სკოლა„ (18) (ლიუ უილსონი)

12.00 ინდ. მზ. ფილმი 15.00 მზ. ფილმი17.00, 19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 18.00 სერიალი „მილედი“ 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 „საქმე და ეკონომიკა“

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "RTR Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი“ "RTR Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 მუს. პაუზა 21.00 „ვესტი“ 21.30 ინდ. მზ. ფილმი „სანელი ჩემი მეგობარია“ 00.00 "RTR Планета-ს„ პროგრამა

202 10.00 დებატები 202-ზე

(გაგრ). 11.30 მულტფილმი 12.00 მზ. ფილმი „ორმო შანსი ორზე“ (12) 14.00 მუსიკა 15.00 მზ. ფილმი „ეშოლუცია„ (ჯულიანა მური) (12) 17.00 სან. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 20.00 მზ. ფილმი „საიავადყოფო, ახალგაზრდობა და სიყვარული“ (შონ იანგი) (15) 22.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 23.00 დებატები 00.00 მზ. ფილმი „პარსკლავური დესანტი-2„ (18)

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მზ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 ა ოლივუდის ისტორიები 21.40 სერიალი „ბედის ჰპიბრზე„ 22.30 ქრონიკა 23.00 მზ. ფილმი „ჰელიბორი“ 01.00 მუსიკა

09.05 მელოდია 09.15 „აჩიკუდა“

09.30 „ბედნიერი ერი“ (გამშეორებით) 09.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.05 მელოდია 10.15 მობილურები 10.35 მელოდია 10.45 ვიდეოკამერები 11.05 დისნი და მისი მეგობრები 11.25 კომპიუტერული ტექნიკა 11.45 მელოდია 12.00 პრინტერები 12.15 მელოდია 12.30 ტელევიზორები 12.40 მელოდია 18.05 მელოდია 18.20 ვიდეოკამერები 19.00 „აჩიკუდა“ 19.20 პრინტერები 19.50 დოკ.ფ.„რეკაუთხედი“ 20.05 საყოფაცხოვრებო - ტექნიკა 20.25 მელოდია 20.45 მობილურები 21.05 მელოდია 21.30 ტელევიზორები 21.40 მელოდია 22.10 „ინოკულები“ „წინასწარმეტყველება“. ა.შ.შ. მოსკოვა. რეჟ: გრეგორი უილდენ. როლებში: კრისტოფერ უოკენი, ელაის კოტასი. (18) 23.45 მელოდია 00.10 კომპიუტერული ტექნიკა

06.00 Телеканал "Доброе утро".

09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 Дневник XXVIII летних Олимпийских игр. 12.10 Юрий Шлыков в лирической комедии "МИЛЕНЬКИЙ ТЫ МОЙ...". 13.40 Док. фильм "Василий Лановой. Воспоминание о настоящем". 14.10 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 Детективный сериал "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ: ПУД ЗОЛОТА". 16.30 Криминальная Россия. "Палачи". 1-я серия. 17.00 "Слабое звено" с Марией Киселевой. 18.20 "Властелины колец". Дневник Олимпиады. 19.00 Сериал "КЛОН". 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00 Время. 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 22.40 На XXVIII летних Олимпийских играх. 00.00 Спецрасследование. "Цветочная мафия". 00.50 На XXVIII летних Олимпийских играх. 02.00 Энтони Хопкинс в фильме "НА ИСХОДЕ ДНЯ". 04.10 Приключенческий фильм "ОТРЯД "СТИЛЯГИ".

სამშაბათი 17 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 „ღამის მოამბე“ გამოირება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი „სიმბა-ფიბბურთელი“ 09.40 „იმღერე რამე“ 10.10 სერიალი „მორიგი მსხვერპლი“ 11.00 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში -ბენ აფლეკი 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 სერიალი „ფორსაიტების საგა“ 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო“ 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი „ექსცენტრიკოსები“ 17.05 მულტსერიალი „სიმბა-ფიბბურთელი“ 17.30 სერიალი „ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „სპ6 – ტროპი“ 19.00 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი“ 22.00 „ქიმერიონი“ - რ. უსაძე 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მზ. ფილმი „ორმოდერთი გამოსავალი“ (15)

19.00 მულტფილმი „პაპირუსის თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 დოკ. ფილმი „ჩემი სახლი“ 21.15 მიამბეთ თქვენზე 22.00 მზ. ფილმი „უსაფრთხოების სიყვარული„ (18)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიაუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „უკვდავი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.20 მზ. ფილმი „დედინოს პრინცესა“ 15.25 სერიალი „სასწრაფო“ 16.30 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიაუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“. 00.00 მზ. ფილმი „მზიანები“. მთ. რ-ში: ტერეზა რასელი, ჯეიმს ვუდსი (18).

18.00 მზ. ფილმი „თეთრი ზღვა“ (U) 20.20 დოკ. ფილმი 21.10 კონცერტი 22.20 მზ. ფილმი „სამშრალი„ (18)

07.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 07.15 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 08.45, 02.30 ტვ-მარკეტი 09.45 ოლიმპიური თამაშები: მშვილდოსნობა 11.16 (ქალები), ნიჩბოსნობა, ძიუდო (ფინალები) 13.10 მშვილდოსნობა (გაგრძელება), ძიუდო (გაგრძელება) 15.10 ძიუდო (გაგრძელება), კალათბურთი (კაცები) ლიტვა — პუერტო რიკო. 17.10 კალათბურთი (გაგრძელება), ძიუდო (ფინალები). 19.20 სერიალი „კლინი„ 20.05 ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა (ფინალები), ჰოკეი (კაცები), ფეხბურთი (კაცები) 22.20 ფეხბურთი (გაგრძელება), კალათბურთი (კაცები) აშშ - საბერძნეთი. 01.00 ოლიმპიური თამაშები — დღის მიმოხილვა 03.45 იმედის მელოდიები

09.00 „ფარული კამერა“ 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 მინისერიალი „შტორაუსების დინასტია“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „ქვეშინის კიდეზე“ 13.10 მზ. ფილმი „მომაკვდინებელი იარალი 2“ (U) (მ. გიბსონი) 15.10 სერიალი „მარია ეფილია“ 16.10 სერიალი „დინოტოპია“ 17.10 მულტსერიალი „რედფოლი“ 17.35 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები“ 18.10 დოკ. სერიალი „ექსტრემალური ამბები“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 „ტელეპროცესი. ნოე ფორდანია„ 00.00 მზ. ფილმი „ცნობისმოყვარე ზარდები„ (18) (ჩაკ ნორისი)

13.00 მუსიკა 16.00 „საქმე და ეკონომიკა“ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 სერიალი „მილედი“ 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "RTR Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი“ "RTR Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 „თინეიჯერი“ 21.00 „ვესტი“ 21.30 მუსიკა 22.00 ინდ. მზ. ფილმი „ბედის ვარსკვლავი“ 23.30 მუსიკა 00.00 "RTR Планета-ს„ პროგრამა

202 10.00 დებატები 202-ზე

11.30 მულტფილმი 12.00 მზ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი-3“ (12) 14.00 მუსიკა 15.00 მზ. ფილმი „შანსასწორი გმირი“ (ა. შვარცენეგერი) (12) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 20.00 მზ. ფილმი „დიდი გასეირნება“ (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 23.00 დებატები 00.00 მზ. ფილმი „ნიუ – იორკის ბანდები“ (18)

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მზ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 „ა ოლივუდის ისტორია„ (შერონ სტოუნი) 21.40 სერიალი „ბედის ჰპიბრზე„ 22.30 ქრონიკა 23.00 ბედის ჰპიბრზე„ 01.00 მუსიკა

09.05 მელოდია 09.15 „აჩიკუდა“

09.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.00 მელოდია 10.20 მობილურები 10.40 დისნი და მისი მეგობრები 11.00 ტელევიზორები 11.20 მელოდია 11.40 პრინტერები 11.55 მელოდია 12.05 ვიდეოკამერები 12.25 მელოდია 12.30 კომპიუტერული ტექნიკა 18.05 მელოდია 18.30 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა“ 19.20 მობილურები 19.50 დოკ.ფ.„რეკაუთხედი“ 20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.00 მელოდია 21.20 პრინტერები 21.35 მელოდია 22.10 ტელევიზორები 22.45 „კინოკულები“ „ბებიაწადღვიძელი“. კომედია. რეჟისორი: დეიზი ფონ შერლერი. როლებში: მარისა ტომეი, კრისტინ ბარანსკი. (18) 00.10 მელოდია 00.20 მელოდია 00.30 ვიდეოკამერები

06.00 Телеканал "Доброе утро".

09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.30, 18.10 Сериал "КЛОН". 11.30 Дневник XXVIII летних Олимпийских игр. 12.10 Лариса Голубкина в комедии "ДАЙТЕ ЖАЛОБНУЮ КНИГУ". 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 Тамара Акулова в комедийном сериале "АНГЕЛ НА ДОРОГАХ". 16.30 Криминальная Россия. "Сметоносное трио". 17.00 "Слабое звено" с Марией Киселевой. 19.10 Футбол. Сборная России - Сборная Литвы. Прямой эфир. 21.00 Время. 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 22.40 На XXVIII летних Олимпийских играх. 00.00 Спецрасследование. "Старатели мертвого города". 00.50 На XXVIII летних Олимпийских играх. 02.00 Детективный сериал "24 ЧАСА". 02.50 Барбра Стрейзанд в фильме "ПРИНЦ ПРИЛИВОВ". 05.05 Сериал "Все путешествия команды Кусто". "За голубой завесой".

ოთხშაბათი 18 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 „ღამის მოამბე“ გამოირება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი „სიმბა-ფიბბურთელი“ 09.40 იმღერე რამე 10.10 სერიალი „მორიგი მსხვერპლი“ 11.00 „ქიმერიონი“ 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 სერიალი „ფორსაიტების საგა“ 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „დიდი ნახტომი“ მე-26ან. 15.20 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო“ 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი „ექსცენტრიკოსები“ 17.00 მულტსერიალი „სიმბა-ფიბბურთელი“ 17.25 „ფუსიკალური არწივები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „სპ6 – ტროპი“ 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი“ 22.00 „მიამბეთ თქვენზე“-თამაზ ჩხენკელი 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მზ. ფილმი „ირთხდერთი გამოსავალი“ (15)

19.00 მულტფილმი „პაპირუსის თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 დოკ. სერიალი „მშობლიოს ქალაქები“ 22.00 მზ. ფილმი „მელოდია სარდაფიდან„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიაუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.20 მზ. ფილმი „მაგა სერგი“ 15.25 სერიალი „სასწრაფო“ 16.30 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიაუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „უკვდავი“ 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“. 00.00 მზ. ფილმი „ჯინი რომანი“. მთ. რ-ში: მაიკლ დუგლასი, კეტლინ ტერნერი (15).

18.00 მზ. ფილმი „პილი ელიოტი“ (U) 20.10 დოკ. ფილმი 21.10 კონცერტი 20.20 მზ. ფილმი „მარტოსული პარასკევის შბატი„ (18)

07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 07.45 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 09.15, 01.35 ტვ-მარკეტი 09.45 ოლიმპიური თამაშები: მშვილდოსნობა (ქალები), პლაჟის ფრენბურთი, ძიუდო, ჭაკათბურთი (ქალები) იაპონია-ავსტრალია 13.10 ძიუდო (გაგრძელება), კალათბურთი (გაგრძელება) 15.10 ძიუდო (გაგრძელება), ხელბურთი (კაცები) საფრანგეთი-უნგრეთი. 17.10 მშვილდოსნობა (ქალები), ძიუდო (ფინალები) 19.20 სერიალი „კლინი„ 20.05 ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა (ფინალები), ძალოსნობა 22.20 ხელბურთი (კაცები) გერმანია-ბრაზილია, ფრენბურთი (ქალები) ბრაზილია-იტალია 00.05 ოლიმპიური თამაშები — დღის მიმოხილვა 02.20 იმედის მელოდიები

09.00 „ფარული კამერა“ 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 მინისერიალი „შტორაუსების დინასტია“ 12.10, 21.45 სერიალი „ქვეშინის კიდეზე“ 13.10 მზ. ფილმი „მომაკვდინებელი იარალი 3“ (U) (მ. გიბსონი)15.10 სერიალი „მარია ეფილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „დინოტოპია“ 17.10 მულტსერიალი „რედფოლი“ 17.35 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები“ 18.10 დოკ. სერიალი „ექსტრემალური ამბები“ 20.50 მინისერიალი „შანსასწორის კუნძული“ 22.45 „ტელეპროცესი. ნოე ფორდანია„ 00.00 მზ. ფილმი „შურისძიება„ (18) (სტივენ სიგალი)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 სერიალი „მილედი“ 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "RTR Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი“ "RTR Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 „თინეიჯერი“ 21.00 „ვესტი“ 21.30 მუსიკა 22.00 ინდ. მზ. ფილმი „მზარი თოფლრნი თვე“ 00.00 "RTR Планета-ს„ პროგრამა

202 10.00 დებატები 202-ზე

ფილმი „საავადყოფო, ახალგაზრდობა და სიყვარული“ (შონ იანგი) (15) 14.00 მუსიკა 15.00 მზ. ფილმი „მეტრო“ (ედი მერფი) (12) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 20.00 მზ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი-3“ (12) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მზ. ფილმი „შაპი ნვიმა“ (მაიკლ დუგლასი) (18)

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მზ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 „ა ოლივუდის ისტორია„ (შერონ სტოუნი) 21.40 სერიალი „ბედის ჰპიბრზე„ 22.30 ქრონიკა 23.00 ბედის ჰპიბრზე„ 01.00 მუსიკა

09.05 მელოდია 09.15 „აჩიკუდა“

09.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.05 მელოდია 10.20 მობილურები 10.40 დისნი და მისი მეგობრები 11.05 ტელევიზორები 11.20 მელოდია 11.40 პრინტერები 11.55 მელოდია 12.05 ვიდეოკამერები 12.25 მელოდია 12.30 კომპიუტერული ტექნიკა 18.05 მელოდია 18.30 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა“ 19.20 მობილურები 19.50 დოკ.ფ.„რეკაუთხედი“ 20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.00 მელოდია 21.20 პრინტერები 21.35 მელოდია 22.10 ტელევიზორები 22.45 „კინოკულები“ „ბებიაწადღვიძელი“. კომედია. რეჟისორი: დეიზი ფონ შერლერი. როლებში: მარისა ტომეი, კრისტინ ბარანსკი. (18) 00.10 მელოდია 00.20 მელოდია 00.30 ვიდეოკამერები

06.00 Телеканал "Доброе утро".

09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.30, 18.10 Сериал "КЛОН". 11.30 Дневник XXVIII летних Олимпийских игр. 12.10 Лариса Голубкина в комедии "ДАЙТЕ ЖАЛОБНУЮ КНИГУ". 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 Тамара Акулова в комедийном сериале "АНГЕЛ НА ДОРОГАХ". 16.30 Криминальная Россия. "Сметоносное трио". 17.00 "Слабое звено" с Марией Киселевой. 19.10 Футбол. Сборная России - Сборная Литвы. Прямой эфир. 21.00 Время. 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 22.40 На XXVIII летних Олимпийских играх. 00.00 Спецрасследование. "Старатели мертвого города". 00.50 На XXVIII летних Олимпийских играх. 02.00 Детективный сериал "24 ЧАСА". 02.50 Барбра Стрейзанд в фильме "ПРИНЦ ПРИЛИВОВ". 05.05 Сериал "Все путешествия команды Кусто". "За голубой завесой".

ხუთშაბათი 19 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 „ღამის მოამბე“ გამოირება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი „სიმბა-ფიბბურთელი“ 09.40 იმღერე რამე 10.10 სერიალი „მორიგი მსხვერპლი“ 11.00 „მიამბეთ თქვენზე“ 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 სერიალი „ფორსაიტების საგა“ 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „დიდი მარია უუტელი“ 15.20 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო“ 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი „ექსცენტრიკოსები“ 17.00 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო“ 17.35 სერიალი „ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „სპ6-ტროპი“ 19.00 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი“ 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მზ. ფილმი „ვნებათა ორმეტრიალი„ (12)

19.00 მულტფილმი „პაპირუსის თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 დოკ. ფილმი „დიდი ნახტომი“ 22.00 მზ. ფილმი „ლამაზი ჯილი„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიაუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „უკვდავი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.20 მზ. ფილმი „ბაბლაპერის მემკვიდრე“ 15.25 სერიალი „სასწრაფო“ 16.30 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიაუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „უკვდავი“ 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“. 00.00 მზ. ფილმი „მონსტრი“. მთ. რ-ში: შარლიზ ტერონი, კრისტინა რიჩი (18).

18.00 მზ. ფილმი „იესო„ (U) 20.10 დოკ. ფილმი 21.10 კონცერტი 22.00 მზ. ფილმი „ჰარი – ანგელის გული„ (18)

07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 07.45 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 09.15, 01.35 ტვ-მარკეტი 09.45 ოლიმპიური თამაშები: პლაჟის ფრენბურთი, ძიუდო, ნიჩბოსნობა, კალათბურთი (ქალები) იტალია-ესპანეთი. 13.10 ძიუდო (გაგრძელება), კალათბურთი (გაგრძელება), კრივი. 15.10 ძიუდო (გაგრძელება), ხელბურთი (კაცები) საფრანგეთი-უნგრეთი. 17.10 მშვილდოსნობა (ქალები), ძიუდო (ფინალები) 19.20 სერიალი „კლინი„ 20.05 ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა (ფინალები), ძალოსნობა 22.20 ჩოგბურთი (გაგრძელება), კრივი, ცურვა, ფარიკაობა, ძალოსნობა. 00.05 ოლიმპიური თამაშები — დღის მიმოხილვა 02.20 იმედის მელოდიები

09.00 „ფარული კამერა“ 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 მინისერიალი „შტორაუსების დინასტია“ 12.10, 21.45 სერიალი „ქვეშინის კიდეზე“ 13.10 მზ. ფილმი „მომაკვდინებელი იარალი 4“ (U) (მ. გიბსონი)15.10 სერიალი „მარია ეფილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „დინოტოპია“ 17.10 მულტსერიალი „რედფოლი“ 17.35 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები“ 18.10 დოკ. სერიალი „ექსტრემალური ამბები“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 „ტელეპროცესი. ნოე ფორდანია„ 00.00 მზ. ფილმი „ფრონტის ხაზის ჯაშუშები“ (18) (ჯულია ორმონდი)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 სერიალი „მილედი“ 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "RTR Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი“ "RTR Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 „ვესტი“ 21.30 სალონი 23.00 მუს. პაუზა 00.00 "RTR Планета-ს„ პროგრამა

202 10.00 დებატები 202-ზე

11.30 მულტფილმი 12.00 მზ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი-3“ (12) 14.00 მუსიკა 15.00 მზ. ფილმი „შანსასწორი გმირი“ (ა. შვარცენეგერი) (12) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 20.00 მზ. ფილმი „დიდი გასეირნება“ (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 23.00 დებატები 00.00 მზ. ფილმი „ნიუ – იორკის ბანდები“ (18)

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მზ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 „ა ოლივუდის ისტორია„ (შერონ სტოუნი) 21.40 სერიალი „ბედის ჰპიბრზე„ 22.30 ქრონიკა 23.00 „სტუმარად“ 23.20 მზ. ფილმი „ბალპოლანდის კლდე“ 01.00 მუსიკა

09.05 მელოდია 09.15 „აჩიკუდა“

09.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.05 მელოდია 10.20 მობილურები 10.40 დისნი და მისი მეგობრები 11.10 ტელევიზორები 11.20 მელოდია 11.40 პრინტერები 11.55 მელოდია 12.05 ვიდეოკამერები 12.25 მელოდია 12.30 კომპიუტერული ტექნიკა 18.05 მელოდია 18.30 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა“ 19.20 მობილურები 19.50 დოკ.ფ.„რეკაუთხედი“ 20.20 კომპიუტერული ტექნიკა 20.35 მელოდია 20.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.25 მელოდია 21.45 ტელევიზორები 21.55 მელოდია 22.15 პრინტერები 22.30 „ინოკულები“-ოგროების შეტევა“. ფანტასტიკა. რეჟ: ელორი ელკაიმი. როლებში: დევიდ არკეტი, კერი ვუხერარი. (18) 00.10 ვიდეოკამერები

06.00 Телеканал "Доброе утро".

09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.30, 18.50 Сериал "КЛОН". 11.30 Дневник XXVIII летних Олимпийских игр. 12.10 Валентин Смирнитский в комедии "Королевская регата". 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 Сериал "АНГЕЛ НА ДОРОГАХ". 16.30 Документальный детектив. "Алмазная цепь". Дело 2001 года. 17.00 "Личная жизнь Валентины Терешковой". 1-я серия. 18.20 "Властелины колец". Дневник Олимпиады. 19.50 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00 Время. 22.40 На XXVIII летних Олимпийских играх. 00.00 Спецрасследование. "Острова из безмолвия". "Исповедь палача". 00.50 На

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.

ჩემი შვილი 17 წლისაა, უკვე რამდენიმე წელია, ძილში კბილებს აკრაჭუნებს, თან აქვს ყაბზობა და სახეზე გამონაყარი. ვის ალარ მივმართეთ, ჭიებზეც ვუმკურნალეთ, მაგრამ უშედეგოდ. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე, რით ვუშველო?

წინასწარ გიხდით მადლობას

კბილების კრაჭუნი ხშირად ახლავს თან ჭიებით ინვაზიას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინც ძილში კბილებს აკრაჭუნებს, აუცილებლად ჰყავს ჭიები. საღეჭი კუნთების სპაზმი ძილში ზოგჯერ აგზნებული ნერვული სისტემის განმუხტვის შედეგად ვითარდება და დღის განმავლობაში მიღებულ ემოციებთანაა დაკავშირებული.

სპაზმური კოლიტი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები სახის კანზე გამონაყარის განვითარებას უწყობს ხელს. არ არის გამორიცხული, რომ ეს გამონაყარი ასაკობრივი (ჰორმონული ცვლილებებით გამოწვეული) იყოს. შესაძლოა ისიც, რომ თქვენს შვილს სანაღვლე გზების პათოლოგია (დისკინეზია, ქოლეცისტიტი) ჰქონდეს და ამის შედეგი იყოს ყაბზობა.

გირჩევთ, გამოცდილ თერაპევტს გაესაუბროთ. ნევროლოგისა და გასტროენტეროლოგის კონსულტაციაც დაგჭირდებათ. მანამდე კი, თუ ბავშვს დღის განმავლობაშიც ატყობთ ჭარბ ემოციურობას, შეგიძლიათ ძილის წინ მსუბუქი მცენარეული დამამშვიდებელი საშუალება მისცეთ.

უმორჩილესად გთხოვთ, მოგვაწოდოთ რაიმე რეცეპტი ჭინჭრის ციების თავიდან ასაცილებლად.

ერთგული მკითხველი

ჭინჭრის ციება ალერგიული დაავადებაა. ალერგიამ დღეს ბევრ ადამიანს დაუკარგა მოსვენება. თუმცა, მისი საწინააღმდეგო უამრავი პრეპარატია შექმნილი, მათი რეგულარული მიღება გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ამიტომ მკითხველები ხშირად ითხოვენ, მივაწოდოთ ბუნებრივი, ანტიალერგიული ეფექტის მქონე საშუალებათა რეცეპტები.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

ბუნებრივი ანტიჰისტამინური ნივთიერებაა კვერცეტინი, რომელიც შედის ყველა სახეობის ხახვის შემადგენლობაში. თუ ყოველდღიურად შეიტანთ რაციონში ხახვს, ამით თავიდან აიცილებთ ან შეამცირებთ მაინც ალერგიულ რეაქციებს. განსაკუთრებით ეფექტიანია თეთრი ხახვი. ერთი საშუალო ზომის თავი გაუფცქვნელად შეწვით ჰაერღუმელში და მიირთვით. ამ მარტივი საშუალებით ასთმისგანაც კი შეიძლება თავის დაცვა.

კვერცეტინს შეიცავს აგრეთვე მწვანე ჩაი და წითელი ღვინო. სვით რეგულარულად მწვანე ჩაი და სადილზე დააყოლეთ ხოლმე 1 ჭიქა ნატურალური წითელი ღვინო.

ანტიალერგიული პრეპარატების მარტივი და უვნებელი ალტერნატივაა ჭინჭრის მაგარი ნაყენი, რომელიც უნდა სვათ დღის განმავლობაში ყოველ ორ საათში ერთხელ, ვიდრე სასურველ შედეგს არ მიიღებთ.

C ვიტამინი თავად ანტიჰისტამინური საშუალებაა, თუ მას დღეში 1 გრამამდე მიიღებთ. თუმცა შედეგის მიღებამდე რამდენიმე კვირაა საჭირო. C ვიტამინის მიღებას აქვს გარკვეული უკუჩვენებები, (აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, იწვევს წნევის მატებას და სხვა) ამიტომ გირჩევთ, ექიმს დაეკითხოთ.

პანთოთენის მჟავა (B ჯგუფის ერთ-ერთი ვიტამინი) ასევე ეფექტიანია ალერგიის დროს, რადგან ააქტიურებს თირკმელზედა ჯირკვლების მიერ ჰორმონ კორტიზონის გამომუშავებას.

მაქვს ჭორფლი მთელ სხეულზე. გაზაფხულსა და განსაკუთრებით ზაფხულში კიდევ უფრო მიმწვავდება ეს პრობლემა. ძალიან მიყვარს ზღვაზე დასვენება, მაგრამ მზეზე ჭორფლი კიდევ უფრო მემატება. გთხოვთ მირჩიოთ რამე.

პატივისცემით, ნინო ბ.

სამწუხაროდ, ჭორფლისგან სრული განკურნება შეუძლებელია. პროფილაქტიკის მიზნით მზეზე გასვლის წინ მზისგან დამცავი კრემი უნდა წაისვათ — ეს შეაფერხებს ახალი წინწკლების წარმოქმნას. უკვე არსებულ ჭორფლთან საბრძოლველად კი, გირჩევთ დღის განმავლობაში სხვადასხვა ნატურალური საშუალებები შეიზილოთ სახის კანში. გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

1 ჩ/კ ხახვის წვენს შეურიეთ 0,5 ჭიქა მჟავე რძე;

1 ჩ/კ ხახვის წვენს შეურიეთ 0,5 ჩ/კ ნებისმიერი ოდეკოლონი და 0,5 ჭიქა ცივი ანადუღარი წყალი;

აიღეთ თითო ჩ/კ ხახვისა და კიტრის წვენი და შეურიეთ 1 ჭიქა ცივ ანადუღარ წყალს;

შეურიეთ თანაბარი რაოდენობით ლიმნის წვენი, შავი მოცხარის წვენი, კალენდულის ფოთლების წვენი და ნუშის რძე;

1 ჩ/კ სტაფილოს წვენს დაუმატეთ 3-4 წვეთი ლიმონის წვენი.

კარაბადინი

ეს რეცეპტი საკუთარ თავზე და ახლობლებზე არაერთხელ გამოვცადე. მისი მეშვეობით შეიძლება კანის სხვადასხვა ადგილზე გამოსული ჩირქგროვების მკურნალობა. საშუალო ზომის ხახვი გაჭერით შუაზე და მოხარშეთ რძეში ისე, რომ ოდნავ შერბილდეს. ამის შემდეგ ხახვი გადაჭრილი ზედაპირით დაიდეთ ჩირქგროვაზე (ხახვი მაქსიმალურად ცხელი უნდა იყოს), შეიხვიეთ და რამდენიმე საათი გაიჩერეთ. ნახვევის მოხსნის შემდეგ რამდენიმე საათში ჩირქგროვა გაიხსნება, ქრილობა ჩირქისგან მალე გაიწმინდება და შეხორცდება. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება პროცედურის გამეორება. ამ მარტივმა საშუალებამ ბევრი ადამიანი გადაარჩინა ქირურგიულ ჩარევას.

პაატა გაბოძე

ექიმის კომენტარი: ხახვი მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური ეფექტის მქონე მცენარეა. იგი სხვადასხვა ორგანოებისა და სისტემების არა ერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ხახვის ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული მოქმედება. რძეში მოხარშვის შემდეგ ცხელი ხახვის დადებისას კი ხდება ქსოვილებზე დიფუზური ზემოქმედება.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

მკითხველი — მკითხველს

იქნებ ვინმე ღვთისნიერი ადამიანი გამომეხმაუროს. უკვე მრავალი წელია ვიტანჯები საშინელი თავის ტკივილის შეტევებით. დამიდგინეს შაკიკი. ათასნაირი წამალი გამომიწერეს, ზოგი ისეთი ძვირიანიც, რომელთა ყიდვას ვერასოდეს შევძლებ. რისი შეძენაც შევძელი, დავლიე, მაგრამ შედეგი თითქმის არ აქვს.

რა გავაკეთო ალარ ვიცი, ზოგჯერ სიცოცხლეც ალარ მინდა. ნუთუ არაფერი საშველი არ არსებობს ამ დაავადებისგან თავის დასაღწევად? შეუძლებელია, ხალხურ მედიცინაში არ იყოს შაკიკის სამკურნალო ან პროფილაქტიკური რეცეპტები.

წინასწარ გიხდით მადლობას.

ლეილა ვ., თბილისი

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.

ფიზიოთერაპია



ათეროსკლეროზის დროს: **1.** შეურიეთ ერთმანეთს 4-4 წილი კუნელისა და ასკილის ნაყოფი, 2-2 წილი სტაფილოს თესლი, ნიუკას ნაყოფი. 3 ს/კ ნარევს დაასხით 1ლ მდუღარე წყალი, ადუღეთ 3 წუთი, გაჩერეთ 3 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი 6-ჯერ დღეში.

2. შეურიეთ ერთმანეთს 2-2 წილი ჭინჭარი და ნეგოს ყვავილი, 1 წილი არყის ფოთოლი, 2 წილი კრაზანა, 3 წილი გულსოსანა, 2 ს/კ ნარევს დაასხით 1ლ მდუღარე წყალი, ადუღეთ 2 წუთი: გააჩერეთ 1 საათი და გაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ 6-ჯერ დღეში.

3. 10 გ შროშანის ყვავილის, 20გ ბარამბოს, 30-30გ ბატის მარწყვა-ბალახის და ტეგანის 1ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და გააცივეთ. სვით მთელი დღე ყლუპ-ყლუპად.

4. 200გ ასფურცელას ქერქს დაასხით 1/2ლ წყალი და ადუღეთ 2 საათი. მიიღეთ 1-2 ს/კ ნახარში 3-ჯერ დღეში.

5. თავიანი ხახვის წვენს დაამატეთ თაფლი (1:1) და მიიღეთ 1ს/კ 3-ჯერ დღეში.

დისმენორეის დროს: 1. შეურიეთ ერთმანეთს 15-15გ პიტნის ფოთოლი და კატალაბახას ფესვები, 20გ გვირილა. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ცივი წყალი და გააჩერეთ 5 წუთი. შემდეგ ადუღეთ 5 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ 1 ჩ/ჭ ცხელი ნაყენი დილას და საღამოს.

7. შეურიეთ ერთმანეთს 25-25გ ძახველისა და ხეჭრელის ქერქი, ჭანგას ფესვურა. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 1 საათი და გაწურეთ. მიიღეთ დღის განმავლობაში, 5-6 მიღებაზე.


პროსტატიტის დროს: შეურიეთ ერთმანეთს კარგად დაქუცმაცებული 2-2 ს/კ საპონას ფესვები და დედოფლისთითას ბალახი, დაასხით 1/2 ლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ მთელი ღამე და გაწურეთ. მიიღეთ 3-4 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

მკურნალობის კურსია 20 დღე.

ჰიპერტონიის დროს: 10გ ძახველს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დახურეთ და 15 წუთი ადუღეთ წყლის ორთქლზე. გააცივეთ 40 წუთი. გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში. ნაყენი შეინახეთ არა უმეტეს ორი დღისა.

მკურნალობის კურსი განუსაზღვრელია.

სიცხეს შეგანუხათ? გახდით!



ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ჟერარ დეპარდიემ 2 თვის მანძილზე 14 კგ დაიკლო. სიმსუქნისგან ისე სცხელოდა, რომ მოძრაობაც უჭირდა და, ცხადია, აღარც მუშაობის ხალისი ჰქონდა. მსახიობმა გადაწყვიტა, მიემართა თავისი კოლეგის, კატრინ დენევის დიეტოლოგის, მადლენ ჟესტანისთვის.

ქალბატონ ჟესტანის რჩევების გათვალისწინება ყველას შეგვიძლია. შედეგი უკვე მესამე დღესვე იგრძნობა. ამ დიეტის დაცვა შეიძლება თვეში ერთხელ, 10 დღის განმავლობაში. პროფილაქტიკისათვის აუცილებელია თვეში ერთხელ (2 დღე) ორგანიზმის განწმენდა.

მადლენ ჟესტანი თვლის, რომ შიმშილის შეგრძნება ძალიან მავნებელია. დროდადრო ის უფლებას აძლევს პაციენტს, მიირთვას შოკოლადი, თაფლი, მურაბა, თხილეული. სასარგებლოა შავი ქლიავი და გარგარის ჩირი, ოღონდ, საკვები რაც შეიძლება ნელა ღეჭეთ, — გვირჩევს დიეტოლოგი.

გამწმენდი დიეტის დროს საჭიროა წოლა. ასეთი პოზიცია ხელს უწყობს ტოქსინებისგან გათავისუფლებას, ქსოვილის დრენაჟს, აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას.

გთავაზობთ ქალბატონ ჟესტანის დიეტას:

უზმოზე დალიეთ 0,5 ლ წყალი.

საუზმე: ერთ ჭიქა რძეში გახსენით 1ჩ/კ თაფლი და კაკაოს ფხვნილი. ამ კოქტეილის მიღებამდე ან მიღების შემდეგ (15 წუთი) შეჭამეთ ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

შუადღისას: დალიეთ 1ლ უგაზო მინერალური წყალი.

სადილი: მიირთვით 200 გ უცხიმო თევზი ან ქათმის ხორცი. გარნირად იხმარეთ მხოლოდ ბოსტნეული.

სადილიდან 2 საათის შემდეგ დალიეთ 1ჩ/კ თაფლით დამტკბარი 1ჩ/ჭ „ბიოკეფირი“.

16 საათზე პატარ-პატარა ყლუპებით დალიეთ მადის დამკარგავი კოქტეილი: 1 ლიმონის წვენის, 0,25 ლ წყლის და 1 ჩ/კ თაფლის ნარევი.

ვახშამი: კვლავ პატარ-პატარა ყლუპებით მირთვით ბულიონი, რომელიც ასე მოამზადეთ: 1,5 ლ წყალში 20 წუთი ხარშეთ 500 გ სტაფილო (A ვიტამინი), 500 გ პომიდორი (კალიუმი). თავდაპირველად 10 წუთის ინტერვალით დალიეთ 3 ჭიქა ბულიონი, შემდეგ მიირთვით ზეითუნის ზეთმოსხმული დარჩენილი ბოსტნეული.

ძილის წინ: — 1 ჭიქა იოგურტში გახსნილი 1 კოვზი თაფლი.

თუ ამ დიეტას დაიცავთ 10 დღე, თქვენი საერთო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და დაიკლებთ 5-7 კგ.

ოჯი

ამულეტს გვჩუქნის ზაფხული



მცენარეებს ერთი საოცარი თვისებაც აქვთ — მავნე ენერგიის შთანთქმა ძალუძთ. უძველეს დროშივე იცოდნენ მცენარეთა ეს თვისება და ჯადოქრები ურჩევდნენ ადამიანებს ეტარებინათ მცენარე-ამულეტები.

თითქმის ყველა ხეს, ბუჩქს, ბალახს, ყვავილსა და ფესვს შეუძლია გასწიოს ამულეტის მაგივრობა: დაგიცვათ ავი თვალისა და მტრისგან, მოგიტანოთ წარმატება, გაგიხანგრძლივოთ სიცოცხლე და ა.შ. მაგალითად:

ვაშლა — ძლიერებისა და წარმატების საწინდარია. მისი ფოთლებისა და ქერქის ტარება მოგიტანთ წარმატებასა და შეგმატებთ ძალ-ღონეს.

რკო — დღეგრძელობისა და ენერგიის სიმბოლოა.

სამყურა — ყველაზე ძლიერი მცენარე-ამულეტია. მოაქვს წარმატება, ჯანმრთელობა, სიყვარული, სიმდიდრე და დიდება. ამულეტისთვის გამოიყენება როგორც ახალი, ისე ხმელი ფოთოლი. განსაკუთრებით ძლიერ ზეგავლენას ახდენს თევზებისა და კირჩხიბის ნიშნის ქვეშ დაბადებულებზე.

სიმინდის ტარო და **ხმელი იონჯა** ბარაქისა და ფულის სიმბოლოა.

ვაზავზს მოაქვს წარმატება, განსაკუთრებით აზარტული თამაშების დროს. უნდა ატაროთ წითელ ბამბაზიის ქისით.

ქინძის თესლი ბევრი სენის პროფილაქტიკისთვის გამოიყენება (განსაკუთრებით გაცივებისა და შინაგანი ორგანოების დაავადებისას), ისიც წითელი ბამბაზიის ქისით უნდა ატაროთ.

იას იგივე თვისებები გააჩნია, რაც ქინძის თესლს, თუმცა ემატება კიდევ ერთი — ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა, რისთვისაც საჭიროა ოთახში მოაბნიოთ მისი ყვავილები.

ბეგძონდარა ხელს უწყობს ოჯახის წევრების ჯანმრთელობას. ამისთვის ბეგძონდარა დაახრჩოლეთ მთელ სახლში.

ზამბახი ეგვიპტეში ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა.

ნიორი ბოროტი თვალისა და ავი სულებისგან დაგვიცავს. ამისთვის საჭიროა ნივრის გალა ჩამოვკიდოთ ფანჯრის ჩარჩოსა და კარზე.

აყვავებული ჰიტნა დაწვით და დაახრჩოლეთ ოთახებში, თუ გსურთ ბიზნესში წარმატების მიღწევა.

ტაინაია ვლასტი №14



ოხრახუშის ნიღაბი

მგრძნობიარე, ადვილად გაღიზიანებად კანს სინორჩეს და ელასტიკურობას დაუბრუნებს ოხრახუშის ნიღაბი.

ნიღბის მომზადება კი ძალიან იოლია: 2 სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ ახალდაკრეფილ ოხრახუშს დაასხით 150გ წყალი და ადუღეთ 15 წთ. დააყენეთ 30 წთ და გაწურეთ. დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი თაფლი, შეათქვიფეთ კვერცხის გული და 15 წუთით ეს ნაზავი დაიდეთ სახეზე. გაიჩერეთ და შემდეგ ჩამოიბანეთ ნელთბილი წყლით.

პრიროდა

ზოგზე არ მოქმედებს მაგნიტური ქარიშხალი

მაგნიტური ქარიშხალი არის დედამიწის მაგნიტური ველის ძალოვანი ხაზების მიმართულების მკვეთრი შეცვლა. ისინი განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ელექტრომაგნიტურ ველზე. ჯანმრთელი ადამიანი ასეთ ცვლილებებს ადვილად ეგუება, ხშირად ვერც კი გრძნობს ამ ცვლილებებს. ხოლო ზოგ ადამიანს დარღვეული აქვს რეგულირების მექანიზმი და მისი ელექტრომაგნიტური ველი ვერ ასწრებს მაგნიტური ქარიშხლის დროს დედამიწის მაგნიტურ ველთან შეგუებას. ასეთ შემთხვევაში ხშირად იცის თავის ტკივილი, სისუსტე, მალე დაღლა, ადვილად გაღიზიანება, უენერგიობა.

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

- ქსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ქოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული უკეთესი თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, ჰროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

ოპერაციის გარეშე!!!
„პლანტა“
საგვარეულო მც. ნაკრები

* ჩიყვი, ჩირქოვანი გლანდები
* მასტოპათია (ფიბრომატოზი)
* კენჭოვანი დაავადებები
* კისტა, ფიბრომა
* პროსტატიტი, აპენდიციტი, კოლიტი.

მის: ქავთარაძის 16
„ლეჩკომბინატი“, ოთახი 423
ენვერ რამიშვილი
☎30-09-10; 877-49-61-48

გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად



შეიძინეთ კომპლექტი 75 ლარად

ფასი ძალაშია 30 აგვისტომდე
შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



პირველად საქართველოში! მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!

კ. ჩაჩავას სახ. ჰერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, ძ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

ანონიმურობა დაცულია!

ჟურნალი მკურნალი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

გთხოვთ გვითხრათ, რა არის წურბლით მკურნალობა.
კ- ჩანტლაძე



ცოტა რამ ჰირუდოთერაპიაზე

ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებდა წურბელას სამკურნალოდ. ამაზე ერთ-ერთი ეგვიპტური პირამიდის კედელზე შემორჩენილი ფრესკაც მეტყველებს.

ბუნებაში ცნობილი მრავალგვარი წურბლიდან ადამიანი სამკურნალოდ მხოლოდ სააფთიაქოსა და სამედიცინოს იყენებს.

სამედიცინო წურბელა მოიპოვება მდინარეებსა და წყალსატევებში ან ამრავლებენ სპეციალურ საშენებში.

წურბელა სიგრძით მცირე, საშუალო და დიდი ზომისაა. მისი სხეული შედგება თავის, ტანისა და კუდისაგან. აქვს სამი ყბა, რომლებშიც 90-მდე ბუსუსისმაგვარი კბილია განლაგებული. გააჩნია 5 წყვილი თვალი, გემოვნების, ყნოსვისა და შეხების ორგანოები, უყვარს სითბო და რეაგირებს ხმაურზე. წურბელა სუნთქავს კანით, რის გამოც კანზე გადაკრულ ლორწოვან გარსს ორ-სამ დღეში ერთხელ იცვლის. იგი იკვებება მხოლოდ სისხლით. მცირე ზომის წურბელას გამოაქვს 2-3 გ, საშუალოს 3-5 გ, ხოლო დიდი ზომისას — 7-10 გ სისხლი. ერთხელ მიღებული საკვებით იგი წელიწად ნახევარს ძლებს. სამედიცინო წურბლებისთვის დამახასიათებელია თავიდან კუდამდე ორმხრივად, ზურგზე გაყოლებული წყვილი, ყავისფერი ხაზოვანი ლაქები, ეს ლაქები აქვს მუცელზე. საშუალოდ ცოცხლობს 6 წელს, მრავლდება კვერცხით და ოთხ თაობას იძლევა.

საქართველოში მოიპოვება ჭაობისფერი მწვანე სამედიცინო წურბელა. ის მაღალი სამკურნალო ღირებულების გამო შუა საუკუნეებში დიდი რაოდენობით გაჰყავდათ ევროპაში, სადაც „კავკასიურ“, ანუ „ქართულ“ წურბლად მოიხსენიებოდა.

ჰირუდოთერაპიის ძირითადი პრინციპები: პაციენტთან მიყვანამდე წურბელას აშიმშილებენ. მის „დანაყრებას“ 20 წუთი სჭირდება. იგი თავად არჩევს ადგილს, სადაც დახშული სისხლძარღვების გამო სისხლი შედედებული ან შეგუბებულია — ამ ადგილებს განსხვავებული სუნი და ტემპერატურა აქვს, გაუარესებულია ქსოვილთა ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრი, დაქვეითებულია ბიოლოგიურად აქტიური წერტილების ფუნქციონირება, რომლებსაც წურბელა ბუნებრივად პოულობს. არჩეულ ადგილს კუდით ემაგრება, თავით ეძებს სამკურნალო ადგილებს. ყბებით ჭრის კანს, ბუსუსების მსგავს კბილებს შორის გამავალი ჯირკვლების სადინარებიდან გამოჟონილი ნერწყვით ათხელებს შეგუბებულ სისხლს, უჯრედშორისებზე ზემოქმედებით აღადგენს უჯრედის მოქმედებას. შევიწროებული სისხლძარღვები ფართოვდება, ძლიერდება სისხლის მიმოქცევა და ორგანიზმიდან გამოიდევნება ნებისმიერი სახის დანალექი თუ შეგუბება, გაიწოვება ოპერაციის და ტრავმის შემდგომი ნაწიბურები, კანქვეშა გამაგრებები.

ერთი წურბელა ამუშავებს 90-მდე ბიოლოგიურად აქტიურ წერტილს. მისი ნერწყვი, რომელსაც ანტიკოაგულაციური (სისხლის შედედების საწინააღმდეგო) უნარი ახასიათებს, გამოიყოფა მთელი წოვის განმავლობაში — მიმაგრებიდან მოცილებამდე. ნერწყვი შეიცავს მრავალ ორგანულ ნივთიერებას, რომელიც უშუალოდ სისხლში გადადის.

წურბლების მოკიდება დაშავებია მთელ სხეულზე, უშუალოდ ანთების კერის არეში ან მის ირგვლივ; წურბელა, როგორც კი დაზიანებული ადგილიდან ამოწოვს სისხლს, თავისით სცილდება სხეულს. ნერწყვით გათხელებული სისხლის ჟონვა მოსალოდნელია 6-24 საათის განმავლობაში.

ჭრილობა ხორცდება შიგნიდან გარეთ. მას ეფარება გამოჟონილი შედედებული სისხლი, რითაც იქმნება სტერილური გარემო და ორგანიზმი ინფექციის შეჭრისგან დაცულია. რამდენიმე დღის შემდეგ ჭრილობა უკვალოდ ქრება.

გამოყენებული წურბლების რაოდენობა დამოკიდებულია ორგანიზმის რეაქციასა და ავადმყოფობის მიზეზებზე, რაც პირველივე პროცედურის შედეგად ირკვევა.

ჰირუდოთერაპია დასაშვებია წლის ნებისმიერ დროს. პროფილაქტიკისთვის კი, გამოიყენება გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ორგანიზმის ზოგადი და სისხლძარღვოვანი გამძლეობის ასამაღლებლად, ამინდის ცვალებადობასთან შესაგუებლად.

ჰირუდოთერაპიით მკურნალობენ: გაურკვეველი წარმოშობის თავის ტკივილს, თავბრუსხვევას, ჰიპერტონიულ დაავადებას, გულის ტკივილს, სტენოკარდიას, ვენების გაგანიერებას, ვარიკოზულ დაავადებას, შეშუპებას, მწვავე და ქრონიკულ თრომბოფლებიტს, ბუასილს, მწვავე და ქრონიკულ გაუვალობას, სახსრების ანთებას, ოსტეოქონდროზს, პოსტოპერაციულ თრომბოზს, ღრძილების ქრონიკულ ანთებას, ბლოსიტსენის ლორწოვანის ანთებას, პროსტატიტს (წინამდებარე ჯირკვლის ანთებას), სარძევე ჯირკვლის დაავადებებს — მწვავე მასტიტსა და ლაქტოსტაზს, აჩქარებს ტრავმებისა და მოტეხილობების რეაბილიტაციას და სხვა.

ჩვენში წურბლებით თვითმკურნალობას ხშირად ეწევიან. მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სპეციალისტის რჩევა-დარიგება, შესაბამისი კონტროლი და მოვლის პირობები.

ჰირუდოთერაპია დაუშვებელია ორსულობის პერიოდში, ფსიქიურად დაავადებულთათვის და იმ პირთათვის, რომლებსაც დაქვეითებული აქვთ სისხლის შედედების უნარი. სასტიკად აკრძალულია ჩირქოვანი თრომბოფლებიტის დროს.

ღუდი და ჯანმრთელობა

სამედიცინო თვალსაზრისით, გარკვეული რაოდენობით ღუდის მიღება ანადგურებს პათოგენურ მიკრობებს. ღუდი ორგანიზმიდან გამოდევნის ალუმინის მარილებს. ეს არც ერთ სხვა სითხეს არ შეუძლია, კლავს წყურვილის შეგრძნებას, რაც მასში მინერალური მარილებისა და ნახშირმჟავას სიუხვით აიხსნება. ღუდი ხელს უწყობს საკვებიდან სპილენძის შეთვისებას, რაც აუცილებელია გულის მუშაობისთვის.

არსებობს ღუდის აბანოებიც. თუ ოფლის სიჭარბე გაწუხებთ, გირჩევთ, თბილ წყალს დაუმატოთ ერთი ბოთლი ღუდი და აბაზანაში ცოტა ხნით ჩაწვეთ. სასარგებლოა ღუდის ორთქლიც, როგორც კანისთვის, ასევე მთელი ორგანიზმისთვის.

ვირუსული დაავადებების საწინააღმდეგოდ კი მრავალი ხალხური რეცეპტი არსებობს. მაგალითად: 1ჩ/ჭ თბილ ღუდში გახსნილი 1ჩ/კ თაფლი, მიხაკი და დარიჩინი დაგეხმარებათ იოლად გაუმკლავდეთ გაცივებას.

ჩეხებს იშვიათად აწუხებთ ნაღველკენჭოვანი დაავადებები. ექიმები ირწმუნებიან, რომ სწორედ ღუდს ძალუძს ორგანიზმში კენჭების დაშლა.

ღუდში არის თუთია, რომელიც აუცილებელია მამაკაცის სასქესო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, აგრეთვე B_1, B_2, PP ვიტამინები. მაღალი ალკოჰოლური შემცველობის (12°-მდე) ღუდი სამკურნალოდ არ გამოდგება.

მაია მუხიგული

როგორ შევინარჩუნოთ ნერვები და ნათელი გონება

წესი I — დაივიწყეთ მავნე ჩვევები. ალკოჰოლი და სიგარეტის მოწევა შეუთავსებელია, რადგან სპირტის ზემოქმედებით ტოქსიკური ნივთიერებანი, რომელსაც შეიცავს თამბაქო, ყოვნდება ტვინის უჯრედებში, ირღვევა ბიოქიმიური პროცესები, რაც აისახება აზროვნებაზე.

წესი II — ნუ გაგიტაცებთ ვეგეტარიანელობა. ცნობილია, რომ ტვინის მუშაობას აქტიურებს ცილები. ხორცში, რძესა და კვერცხში შედის ნერვული სისტემისთვის აუცილებელი ამინომჟავები. მათი მეშვეობით ყალიბდება ჰორმონი დოფამინი და სეროტონინი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ნერვული იმპულსების გადაცემის პროცესში.

წესი III — დაისვენეთ აქტიურად. ბუნებაში გასეირნება ბევრად სასარგებლოა, ვიდრე მრავალსაათიანი ტელეგადაცემების ყურება. ტელევიზორის ციმციმი, კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა, ანელებს აზროვნების პროცესს.

წესი IV — დაამატეთ საჭმელს პირშუშხა, რათა გავააქტიუროთ და განვავითაროთ გონებრივი შესაძლებლობანი.

გთავაზობთ რეცეპტს: პირშუშხას ფესვები გახეხეთ, დაამატეთ 3 ს/კ მდუღარე წყალი, 1 ს/კ სუფრის ძმარი, 2 ჩ/კ მარილი და 1,5 ჩ/კ შაქარი, კარგად აურიეთ, მოუკარით თავი ქილას და 30 წუთის შემდეგ სამკურნალო სანელებელი მზად იქნება.

წესი V — სვით სამკურნალო ნახარშები. საუკეთესოა ჩაი, წითელი სამყურას ყვავილების ნახარში. ისინი ბრწყინვალედ ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებს აზროვნებას.

წესი VI — მოამზადეთ და შეინახეთ საჭმელი მომინანქრებულ, ტეფლისა და მინის ჭურჭელში. ეცადეთ, არ გამოიყენოთ ალუმინის ქვაბები ან ფოლგა, რადგან ასეთ ჭურჭელში მომზადებული კერძი იწვევს ქრონიკულ ინტოქსიკაციას, რაც მეხსიერების გაუარესებაში ვლინდება.

წესი VII — თავი „გრილად შეინახეთ“. თავის ტვინის უჯრედები საუკეთესოდ მუშაობს 19°C-ზე. ამიტომ, საჭიროა სამუშაო ოთახშიც შეინარჩუნოთ ეს ტემპერატურა, თუმცა ამ დროს ფეხები თბილად უნდა გქონდეთ.

წესი VIII — იმეგობრეთ ცხოველებთან. ისინი ამშვიდებენ ნერვულ სისტემას, სიბრაზისა და დაძაბულობის მოსახსნელად უებარია ცხენით ან ძაღლთან ერთად სეირნობა, თევზების ცქერა აკვარიუმში.

წესი IX — არ იავადმყოფოთ! ნებისმიერი დაავადება, მათ შორის გაცივება, საკვებით მოწამვლა — აუძლურებს ადამიანს, აქვეითებს მეხსიერებას და ყურადღებას. გრიპისა და რესპირატორული ინფექციების სეზონში, ჭამამდე 30 წუთით ადრე, მიიღეთ 5 ცალი ჰომეოპათიური ანტიგრიპინი ან 1 ჩ/კ თაფლი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ, 2-3 კვირის განმავლობაში. ხშირად იბანეთ ხელები და კარგად გარეცხეთ ხილ-ბოსტნეული.

წესი X — გაამრთევთ ტელევიზორი. როდესაც დაკავებული ხართ, ან ისვენებთ ან განწყობილი არა ხართ სასაუბროდ — მოულოდნელი ზარი არა მარტო აღიზიანებს ნერვულ სისტემას, არამედ ფანტავს ყურადღებას. გახსოვდეთ, „სატელეფონო სტრესები“ სიცოცხლეს 3-4 წუთით ამცირებს.

წესი XI — ეცადეთ, თავი არაფერს მიარტყათ. არა მარტო მექანიკური ტრავმები, არამედ მცხუნვარე მზე, გამაყრუებელი მუსიკა, კომპიუტერთან დიდხანს ჯდომაც კი, მომაკვდინებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

ლიზა №30

ჰუსეინის საბრძოლო ტექნიკას ჯართად ყიდიან

ერაყელები სადამის ჯავშანტექნიკას ჯართად ყიდიან. ქალაქების — კირუკისა და მოსულის სამხედრო ბაზები ბაზროობებად იქცა. მყიდველთა შორის ჭარბობენ ქურთები, რომლებიც შემდეგ თურქეთსა და ირანში ასაღებენ იაფად ნაყიდ საბრძოლო ტექნიკას. ტანკი დაახლოებით 800 დოლარი ღირს, გამანადგურებელი — 12.000 დოლარი. ირანელი და თურქი გადამყიდველები კმაყოფილნი არიან. ზოგიერთი მათგანის ლიტონსადნობი საწარმო გაკოტრების პირზე იყო, ახლა კი წელშიც გაიმართა, ბევრმა მათგანმა წელიწადში 100 ათას დოლარზე მეტი მოგება ნახა.

ირანელი მესაზღვრეები ირწმუნებიან, წელიწადია, რაც ერაყიდან დღეში საბრძოლო ტექნიკით დატვირთული ოცდაათამდე სატვირთო მანქანა მაინც გადმოდისო.

ზოგიერთი ქურთი შიშობს, — ვაითუ, ირანმა ტანკები ჯართად კი არ გამოიყენოს, არამედ არმიის გასაძლიერებლადო. ქურთ მესაზღვრეებს კი სულაც არ აღელვებთ ამ სამხედრო ტექნიკის ბედი. ამბობენ, — ამ იარაღს უკვე 30 წელია ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ. ასე რომ, რაც უფრო შორს წაიღებენ, ჩვენთვის უკეთესიაო.

ვაშინგტონ ტაიმსი

დუბაი „დახმარების“ ხელს უწვდის „იუკოსს“

არაბთა გაერთიანებული საამიროების მმართველი ოჯახის წევრებმა განაცხადეს, რომ მზად არიან „იუკოსის“ გადასარჩენად. ალ-მაქთუმის ოჯახი შედის კონსორციუმში, რომელიც კისრულობს „იუკოსის“ მიმართ წაყენებული ყველა საგადასახადო მოთხოვნის შესრულებას მისი აქციების საკონტროლო პაკეტის სანაცვლოდ. ამას 10 მლრდ დოლარი დასჭირდება.

ალ-მაქთუმის ოჯახი მიხაილ ხოდორკოვსკის არშემდგარი პარტნიორის, „სიბნეფტის“ მფლობელის, რომან აბრამოვიჩის საქმიანი პარტნიორია. ამ ოჯახს ეკუთვნის ავიაკომპანია EMIRATES-ი, რომელიც ბოლო წლებში სპონსორობას უწევდა ინგლისის ფეხბურთის გუნდს CHELSEA-ს და არც მას შემდეგ შეუწყვეტია სპონსორობა, რაც აბრამოვიჩი გახდა მისი პატრონი.



კომერსანტი №144

დაჭრილია შიიზმის სულიერი ლიდერი


ერაყელ შიიტთა მეთაური, მუქთადა ალ-სადრი ქალაქ ნაჯაფთან ამერიკელი სამხედროებისა და ამბოხებული ერაყელების შეჯახებისას დაიჭრა. ეს ინფორმაცია დაადასტურა ალ-სადრის წარმომადგენელმა აჰმედ ალ-შაიბანიმ.

მოგვიანებით, შიიტთა „მაჰდის არმიის“ მეთაურმა ყაის ალ ჰაზალიმ განაცხადა, რომ ეს მოხდა ქალაქის დაბომბვის დროს, მაგრამ არ დაუზუსტებია, რამდენად სერიოზულად დაშავდა მათი სულიერი ლიდერი. ზოგიერთი მონაცემით, მუქთადა ალ-სადრი მძიმედ არ უნდა იყოს დაჭრილი. შიიტთა შორის გავრცელდა ალ-სადრის მოწოდება ამერიკელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების თაობაზე. ამერიკელებმა ვერ გაბედეს იერიშით აეღოთ მუსლიმანთა წმიდათაწმიდა ადგილი. ამბოხებული შიიტები იმამ იმას-ალის მავზოლეუმის გარშემო არიან განლაგებულნი და სროლას განაგრძობენ. ამბობენ, დაჭრილი მუქთადა ალ-სადრი მეჩეთშიაო. ამერიკელი გენერლები ვერ ბედავენ მეჩეთის დაბომბვას, რომელსაც მთელი მსოფლიოს მუსლიმანები პატივს სცემენ.

ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი აცხადებს, მუქთადა ალ-სადრი საღ-სალამათია და კოალიციის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს მეჩეთის მიდამოების დატოვებასთან დაკავშირებით.

ნიუს რუ

ცსს-ს პორტერ გოსი უხელმძღვანელებს



ჯორჯ ბუშმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის პოსტზე დაასახელა 65 წლის კონგრესმენი — რესპუბლიკელი, წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარე პორტერ გოსი. მისი კანდიდატურა სენატმა უნდა დაამტკიცოს.

ცსს-ს წინა დირექტორი ჯორჯ ტენეტი ამ პოსტზე პრეზიდენტ ბილ კლინტონის დროს დაინიშნა. იგი ივლისში გადადგა პირადი მოტივით, მაგრამ ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ნამდვილი მიზეზი იყო ავღანეთსა და ერაყში დაზვერვის არაერთგზის ჩავარდნა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის განზრახვა — ყველაფერი სპეცსამსახურებს დაებრალებოდა.

ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განიხილავდნენ შესაძლო კანდიდატურებს, მათ შორის პორტერ გოსისაც. სავსებით ცხადი იყო, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჯონ მაკლაფლინი ამ თანამდებობაზე ვერ დარჩებოდა.

ცსს-ს დირექტორად პორტერ გოსის კანდიდატურის დასახელებისას პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, — ის სათავეში უნდა ჩაუდგეს ამ მნიშვნელოვან უწყებას ჩვენი ქვეყნის ისტორიის კრიტიკულ მომენტშიო.

პორტერ გოსი ბრუნდება უწყებაში, სადაც 60-იან წლებში მუშაობდა, თანაც იმდენად გასაიდუმლოებული სამუშაო ჰქონდა, რომ ამდენი წლის შემდეგაც კი მასზე არაფერს ამბობს. გოსი 1988 წელს პირველად აირჩიეს კონგრესში. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იგი ჯორჯ ბუშის ერთგულია. პორტერ გოსს ჰყავს მეუღლე, 4 შვილი და 11 შვილიშვილი.

ნიუს რუ

ვაითუ რაკეტები ავსტრალიას დაუმიზნონ



მოგვწვდება თუ არა ჩრდილოკორეელთა რაკეტა? — კითხულობს ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრ დოუნერი და თვითონვე ასკვნის: — შორეული მოქმედების რადიუსის რაკეტას მართლაც შეუძლია მწვანე კონტინენტამდე მიღწევა. ავსტრალიის ამ რეგიონს გაუჭირდება წინ აღუდგეს პატარა, მშიერი და ძალიან აგრესიული კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან მომავალ საფრთხესო. ალექსანდრ დოუნერი აპირებს ეწვიოს ჩრდილოეთ კორეას და ქვეყნის ხელმძღვანელობა დაარწმუნოს, — ვიდრე არ განიარაღდებით, ჩვენგან ეკონომიკურ დახმარებას ვერ მიიღებთო.

ავსტრალიას კარგი ურთიერთობა აქვს ჩრდილოეთ კორეის დიქტატორულ რეჟიმთან, ზოგჯერ შუაკაცობასაც კი უწევს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მაგრამ მისი რაკეტებისა მაინც ეშინია და ითხოვს, მსოფლიო საზოგადოებრიობა ჩაერიოს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის მოგვარებაში.

იზვესტია №141

აშშ იაპონიას კონსტიტუციის გადახედვას ურჩევს

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, — თუ იაპონიას გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობა სურს, თავის კონსტიტუციაში ცვლილებები უნდა შეიტანოსო. აშშ-ის აზრით, იაპონიამ უფრო ინტენსიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში, რადგან ამის საშუალებას მას აძლევს სამხედრო ბიუჯეტის აქტიური ზრდა. გარდა ამისა, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის მოსურნე იაპონია ვალდებულია, შეასრულოს საბჭოს ყველა მოთხოვნა.

კოლინ პაუელის თქმით, იაპონიას ამაში ხელს უშლის მთავარი კანონი, ამიტომაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღებული კონსტიტუციის მთავარი მუხლი, რომლის თანახმად, იაპონია უარს ამბობს ომებზე და ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს მხოლოდ თავდაცვის მიზნით გამოიყენებს. მაგალითად, მან ერაყში ჯარი ქვეყნის აღდგენაში დასახმარებლად გაგზავნა და არა საბრძოლო მოქმედებებში ჩასართავად.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ იაპონელი ხალხის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, — დასძინა კოლინ პაუელმა.

იაპონური გაზეთის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ იაპონელ კანონმდებელთა 78% კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მომხრეა.

იზვესტია №143

ალ-ქაიდამ ახალი მეგატერაქტის სცენარი დაამუშავა

იტალია მეორე თვეა ტერაქტების მოლოდინშია. დაუსჯელობით გათამამებული უსამა ბინ ლადენის თანამზრახველები იმუქრებიან, რომ თავს დაესხმებიან ჯორჯ ბუშის მომხრე წამყვან ბრიტანელ პოლიტიკოსებსა და საერთაშორისო ლიდერებს. ტერორისტების თქმით, დარტყმას კომპლექსურად, რამდენიმე ქვეყანაში განახორციელებენ. ტერაქტები გამორიცხული არ არის ამერიკისა და ბრიტანეთის აეროპორტებში, სხვა სტრატეგიულ ობიექტებზე. სცენარის თანახმად, შეტევა უნდა დაიწყოს ამერიკელი პოლიტიკოსის მკვლელობით და შემდეგ მთელ ქვეყანას მოედოს. აღსანიშნავია, რომ ისლამისტებს სამიზნე პოლიტიკოსი ჯერ არ შეურჩევიათ. აქციის დაგეგმვაში „ალ-ქაიდას“ ლიდერი უსამა ბინ ლადენიც მონაწილეობს, იგი ავღანეთ-პაკისტანის სასაზღვრო მთებში იმალება.



გათავხედებული ტერორისტები მოულოდნელად იტალიელ მემარცხენეებს „შეეკვრნენ“ და ითხოვენ იტალიის მთავრობისა და მისი მეთაურის — სილვიო ბერლუსკონის გადადგომას. „ან ეს ბერლუსკონი მოიშორეთ თავიდან, ან მთელ იტალიას გადავწვავთ“, — იმუქრება ტერორისტთა საიტი. უპირველესად, ისინი ითხოვენ, იტალიის მთავრობამ ერაყიდან გამოიყვანოს თავისი კონტინგენტი.

იტალიის ხელისუფლება ცდილობს მოსახლეობის დაწყნარებას — ვერც ერთი ტერორისტი ვერ შემოაღწევს ჩვენს ქვეყანაშიო, მაგრამ ხალხს მაინცდამაინც არ სჯერა ამ რიხიანი განცხადებისა. ყველასთვის ნათელია, რომ სამწუხაროდ, მსოფლიოში არ არსებობს აბსოლუტურად საიმედო დაცვის სისტემა.

ტაიმსი

მოკლედ

აშშ-მა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ჩეჩენ სეპარატისტთა წარმომადგენელს ი. აჰმადოვს. რუსეთი მას 1999 წელს დაღესტანზე შეიარაღებული თავდასხმის ორგანიზებაში სდებს ბრალს. თავშესაფრის გარდა, ამერიკელებმა ი. აჰმადოვს გრანტიც მისცეს სამეცნიერო საქმიანობისთვის.

როკფელერებმის კლანს უხუცესი წევრი გამოაკლდა. კონექტიკუტის შტატში, თავის მამულში, გარდაიცვალა 102 წლის ჯეიმს როკფელერი. იგი მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა უდიდეს CITY BANK-ს, რამდენიმე კომპანიასა და ფონდს.

ჯეიმს როკფელერმა პირველი „ოქრო“ სტუდენტობისას მოიპოვა. 1924 წელს იელის უნივერსიტეტის ნიჩბოსანთა გუნდმა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, პარიზში, ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა. ამავე გუნდის წევრი იყო ცნობილი ექიმი ბენჯამინ სპოკი. ამერიკის ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის ჯეიმს როკფელერი უხუცესად ითვლებოდა.

მის მემკვიდრეობას გაიყოფს 4 შვილი, 14 შვილიშვილი და 37 შვილთაშვილი.

ვილნიუსის კრიმინალურმა პოლიციამ დააკავა ბანდიტები, რომლებიც თავს დაესხნენ გერმანული ბანკის ფილიალს და დაახლოებით 1 მლნ დოლარი გაიტაცეს. ასეთი დიდი თანხა ვილნიუსის ბანკებიდან არასოდეს გაუტაციათ. ადგილობრივმა პრესამ მომხდარს „საუკუნის ძარცვა“ უწოდა. ერთ-ერთ მძარცველს, რომელიც საკუთარ ბინაში აიყვანეს (იგი ბანკის დაცვის თანამშრომელი იყო), ნახევარი მილიონი დოლარი უპოვეს, დანარჩენი მეორე მძარცველს აღმოაჩნდა. იგი ვილნიუსის აეროპორტიდან ამსტერდამში გაფრენის მცდელობისას დააკავეს.

დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ციხის პატიმარმა, სერიულმა მოძალადემ, რომელსაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, ლატარიაში 7 მლნ გირვანქა სტერლინგი მოიგო. ბრიტანეთის კანონმდებლობის თანახმად, პატიმრებს, რომლებიც სასჯელს იხდიან „შემსუბუქებული“ რეჟიმის ციხეში, ლატარიის ბილეთების შეძენა არ ეკრძალებათ. დიდმა მოგებამ 52 წლის იორვორტ ჰოპს მდგომარეობა გაურთულა — უფრო მკაცრი რეჟიმის ციხეში უპირებენ გადაყვანას. მის ბრალდებათა ნუსხაშია გაუპატიურება, თავდასხმები, ძარცვა. ბოლო დანაშაული, რისთვისაც იორვორტ ჰოპს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, 1989 წლის ჩაიდინა.

ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მიწისძვრას 4 კაცი ემსხვერპლა, ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. რიხტერის სკალით 5,6-ბალიანმა მიწისძვრამ, რომლის ეპიცენტრი იუნანში, ქალაქ კუნმინის მახლობლად იყო, ადგილობრივ წყალსაცავზე დამბის კედლები დაბზარა, ბზარების სიგანე ზოგან 2 მეტრსაც აღწევს, ამიტომ გამოაცხადა ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს წყალდიდობასა და გვალვასთან ბრძოლის შტაბმა, — წყალმა შესაძლოა ბევრი დასახლებული ადგილი დატბოროსო. ბუნებრივი კატასტროფის შედეგად ამ დროისთვის უკვე 18 ათასი სახლია დანგრეული. მაშველი რაზმები დღედაღამ მუშაობენ, გადაუდებელ დახმარებას უწევენ გაჭირვებაში ჩავარდნილებს.

მიწისძვრას ტაიფუნი მოჰყვა. ბოლო მონაცემებით, 115 კაცი დაიღუპა, ბევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 1800 დაშავდა, დაინგრა 2200-ზე მეტი სახლი. მეტეოროლოგების მონაცემებით — ქარის სიჩქარე ზოგიერთ რაიონში საათში 160 კმ-ზე მეტი იყო. ტაიფუნის ამოჭრამდე სპეციალისტებმა ინონასწარმეტყველეს, რომ იგი 1997 წლის ქარიშხალზე ძლიერი იქნებოდა. მაშინ სტიქიამ 236 ადამიანი იმსხვერპლა და საერთო ეკონომიკურმა ზარალმა 2,38 მლრდ შეადგინა.

ქარიშხალი „ჩარლი“, რომელიც კარიბის ზღვის მხრიდან ჩრდილოეთისკენ მიიწევს, თავს დაატყდა კუბის დასავლეთ სანაპიროს. ევაკუირებულია 215 ათასი მცხოვრები და 2 ათასი ტურისტი. ევაკუაცია გამოცხადდა ფლორიდაშიც. ქარიშხალს თან სდევს



ნგრევა, ათასობით სახლს აეხადა ჭერი. სინოპტიკოსები „ჩარლის“ ძლიერებით ადარებენ ქარიშხალ „ენდრიუს“, რომელმაც 12 წლის წინ დაანგრია მაიამი და 15 ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა.

ზარალი 15 მლრდ-ს აჭარბებს. ფლორიდა უბედურების ზონად გამოცხადდა.

გვერდი მოამზადა
ნანა ანტონოვა-ილურიძემ

დღეს ბაზრისა და ყოფილი მონების დაპირისპირებაა

რუსეთი გვეუბნება – დსთ რუსეთის იმპერიის გავრძელებაა და საქართველოდან ფეხს არ მოვიცვლიო...

„რა ჟირინოვსკი და რა პუტინი...“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

— რაკი ძალის გამოყენებაზეა ლაპარაკი, გამოდის, საქართველოს მხოლოდ კოკოითთან კი არა, რუსეთის წინააღმდეგაც მოუწევს ბრძოლა, თუმცა გასულ კვირას პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესრულების შემთხვევაში, სამაჩაბლოში რუსის ჯარი აღარ იქნება.

— საქართველოს ხელისუფლებას აქვს იმის უნარი და უფლება, რუსების სამაჩაბლოდან გასვლა მოითხოვოს. შევარდნაძემ დაგომისის ხელშეკრულებას ხელი რომ მოაწერა, ფიქრობდა, რუსი მშვიდობისმყოფელი კარგიაო. დღეს ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთი კონფლიქტის მხარეა და ამიტომ უნდა გაბრძანდეს ჩვენი ტერიტორიიდან. რუსების გასვლის შემდეგ, გნებავთ, გაერომ მოაგვაროს ეს პრობლემა, გნებავთ, ეუთომ და გნებავთ, ჩვენ, ქართველებმა. ოღონდ ისე, რომ არ მივაყენოთ შეურაცხყოფა საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, ოსებსაც.

— ისე ჩანს, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ პირისპირ, მარტო დარჩა. დასავლეთი დღეს რაღაც აღარ აქტიუროობს.

— არც საქართველოს ხელისუფლებას და არც ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ პრობლემებს ამერიკელები, რუსები ან ჩინელები მოგვიგვარებენ. ეს ჩვენი გასაკეთებელი საქმეა. მჯერა, რომ გონივრულად გადავწყვეტთ ამ საკითხს. მაგრამ თუ პრობლემა სწრაფად არ გადაიჭრა, მერე ყოველგვარი ისტერიკის გარეშე უნდა დავადგეთ გრძელ გზას.

საოცარ სიმამაცეს იჩენს სამაჩაბლოს მოსახლეობა, გამორჩეულად ვაჟკაცი ხალხია. მას არავის გამხნევება არ სჭირდება და მეჩვენება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც იქ ვითომ მათ გასამხნევებლად ჩადიან, თავად იმხნევებენ თავს. სამაჩაბლოს მოსახლეობას დახმარება და უსაფრთხოების გარანტია სჭირდება, რათა გამოსაქცევად არ გაუხდეს საქმე.

— ექსპერტთა პროგნოზით, სამაჩაბლოში ხანგრძლივი ომი დაიწყება. თქვენ თუ ხედავთ ამის საშიშროებას?

— საშიშროება ყველაფრის შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ხანგრძლივი ომის უნარი საქართველოს არ აქვს. თუ დაგომისის ხელშეკრულებიდან გავედით და რუსეთმა გვითხრა, ფხებზე მკიდია თქვენი ხელშეკრულება, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო, საქმე მსოფლიო კრიზისად იქცევა და მაშინ ნამდვილად აღარ დავრჩებით დაუცველი და მარტონი.

— სამაჩაბლოს დაძაბული მოვლენების პარალელურად, აფხაზეთში რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი, ჟირინოვსკი გვიწყობს სიურპრიზებს (დაგვცინის).

— ის, რომ ჟირინოვსკი რეიტინგით მეორე კაცია, პუტინი კი პირველი, კარგად ახასიათებს რუსეთს. რა ჟირინოვსკი და რა პუტინი... რაიმე განსხვავებას ამ ორ ტაკიმასხარას შორის ვერ ვხედავ. რას ვიზამთ, ჩვენმა მეზობლებმა თავად იციან, ვინ უნდა იყოს მათთან პოპულარული. როდესაც საქართველოში რუსეთთან მოგობრობაზე ლაპარაკობენ, უნდა გავითვალისწინოთ, ვინ არის დღეს რუსეთი — ეს არის ჟირინოვსკი და კა-გე-ბე-ს პოლკოვნიკი პუტინი. კაცი, რომელსაც სიგარეტის მოსატანად აგზავნიდა სობჩაკი, ანუ ის არავინ არ არის. რუსები თავიანთი ქმედებებით (ჟირინოვსკის სოხუმში შემოვარდნით და სამაჩაბლოში ვითარების დაძაბვით) მიგვანიშნებენ, ვინ ვინ არის ამ მიწაზე. რუსეთი გვეუბნება, დსთ რუსეთის იმპერიის გაგრძელებაა და საქართველოდან ფეხს არ მოვიცვლიო. ამიტომ, ვფიქრობ, დღეს რაღაც ხელშეკრულებებს კი არ უნდა ვდებდეთ, პირიქით, უნდა გამოვდიოდეთ იქიდან. დღეს აფხაზეთისთვის არ გვცალია და ნუ მოვთხოვთ საქართველოს ხელისუფლებას, ჟირინოვსკის მიხედეო. ზოგიერთ პროვოკაციას გამოვეკიდეთ კიდეც, მაგრამ ჟირინოვსკის დრო ახლა ნამდვილად არ არის.

— ითქვა, რუსეთი გაბშილებულ მიჯნურს ჰგავს, რომელიც ბრაზობს, მისმა სატრფომ უკეთესი რომ იპოვაო.

— საქართველოს შედარება ასეთი ქცევის ქალთან მაღიზიანებს. სინამდვილეში, საქართველო კაცის ტიპის ქვეყანაა. დღეს რუსეთი უფრო გაბრაზებულ მეფეს მაგონებს, რომელსაც მონა აუჯანყდა. აქ ქალებისა და კაცების კი არა, ბატონებისა და ყოფილი მონების დაპირისპირებაა *(სპრტაკი ხომ არ გაგახსენდათ. — ი.რ.)*. საქართველო არ უნდა ყოფილიყო 200 წელიწადს მონა, მაგრამ რადგან ვიყავით, ამის გამო თავებს ვერ დავიხოცავთ. ახლა უნდა ვიბრძოლოთ, რომ საბოლოოდ გავთავისუფლდეთ. რუსეთი უნდა შეეგუოს, რომ ჩვენ გარეშე მოუწევს ცხოვრება. ახლახან რუსეთი ლიტვასაც დაუპირისპირდა (ამიტომ ჩვენი ლიდერის ტემპერამენტსაც ნუ დავაბრალებთ კონფლიქტის გამწვავებას), იმიტომ, რომ თავად არის გაუწონასწორებელი ქვეყანა. მერე რა, რომ მათი პრეზიდენტი ცივსისხლიანად და დინჯად ლაპარაკობს, შიგნით ხომ ისევ ის აზიური ვნებები დუღს და გადადუღს. რუსეთს ისეთი პრეზიდენტი ჰყავს, როგორიც ქვეყანაა და როგორი რაკეტებიც აქვს — წარამარა რომ ცვივა ციდან. რუსეთი ერთი უიღბლო სახელმწიფო და დაშლის პირას მყოფი იმპერიაა, რომლისთვისაც დემოკრატია დამღუპველი აღმოჩნდა. საქართველო კი ოპტიმისტი ქვეყანაა, პატარაა და კიდევ დიდ გულზეა. კიდევ ყოჩაღ, რას უძლებს?! რუსეთს ის აცოცებს, რომ მის მტერს, დემოკრატიას, საქართველოც დაემატა, რომელიც მალე ნატოს წევრი გახდება. უნდა მოვითმინოთ, გავუძლოთ ყველაფერს და მერწმუნეთ, ძალიან კარგ ქვეყანას ავაშენებთ.

მარი ზანდუკელი

„ამ გამოთაყვანებულებს მეძავები მზეთუნახავებად ეჩვენებათ“



„მოდი, დავნაძლევდეთ, რომ ჩემს ბიჭებს მომიტინგეები არ უცემიათ“

2004 წელს, პროფესიული სიჭარმაგის ჟამს, აქ დავბრუნდი. ამასთან, დავით აღმაშენებლის გამზირზეა ჩვენი შენობა. აი, ხედავთ, აღმშენებლობაც დავიწყე, პოლიციას ვარემონტებ, ვნახოთ, რა იქნება 3004 წელს (ეცინება).

— ე. ი. ჩვენი პრეზიდენტივით სიმბოლოებს თქვენც აქცევთ ყურადღებას?

— მაშ? აბა, ჩუქურთმებად ვარდები რომ გასდევს ამ ოფისს, ეგ ჩემი ნახელავი ხომ არ გგონიათ — ე. ი. სიმბოლოა, რაღაცას ნიშნავს. მე მხოლოდ წითლად შევღებე. როგორც მღებრი-შვილს, ეს საქმე კარგად გამომდის. „ჟუჟუნა-2004“ რომ ჩავატარე, მას შემდეგ სხვა უბნებიდან მირეკავენ და მთხოვენ, ყველგან ჩავატარო მსგავსი რეიდები. ჩემს „სამფლობელოში“ რომ ვერ გაიჭაჭანებენ, კარგად ვიცი და სხვა უბნებისა, აბა, რა გითხრათ. იქაურმა პოლიციის განყოფილებებმაც გამოიღონ ხელი. ისე, როგორც ამ საქმის სპეციალისტს, თუ ნებას დამრთავენ, თბილისს მეძავებისგან სულ გავათავისუფლებ.

— თქვენი „სამფლობელოს“ ადმინისტრაციული საზღვრები საიდან სადამდეა?

— თამარ მეფის გამზირიდან ბარათაშვილის ხიდამდე, სანაპიროს ჩათვლით, მე და ჩემი განყოფილება ვაგებთ პასუხს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. „გაშლილთა არის ჩემი სახლ-კარი და ვერას მაკლებს აქამდინ მტროობა“ (იცინის). აქ გადმოვედი თუ არა, მეძავებზე იმდენი საქმე და საჩივარი შემოვიდა, კინაღამ გავგიჟდი. ამას წინათ, კინოსტუდიასთან ბიჭი მდგარა ცოლთან ერთად. ვიღაცას გაუჩერებია მანქანა და ამ გოგოსთვის უთქვამს — წამოდიო. ბიჭო, არაფერი შეგეშალოს, ჩემი ცოლიაო, — გადარეულა ქმარი. რა ცოლი, ბოზიაო, გაუცინია იმ ვიღაცას. ამ მეძავების გადამკიდე, „სტატიანკებთან“ ვინც გაჩერდება, უტვინო კაცებს ყველა ბოზი ჰგონიათ. მანქანა რომ შევაჩერე მათთან, გადმოსვლა არც მაცალეს, ვერ მიცნეს და ჩალიჩი დამიწყეს, ფული გადაგვიხადე და მაგარ „ასორტიმენტს“ შემოგთავაზებთო. ოპერაცია ჯერ მშვიდად, გაფრთხილებით დავიწყეთ, მაგრამ მეძავებმა ყური არ გვათხოვეს — აკრძალული არ არის და ჩემს სხეულს როგორც მინდა, ისე გამოვიყენებო. მერე სხვებთან რას ეწევი შენი გარყვნილების დემონსტრაციას-მეთქი. აბა, რა ვქნაო. ქუჩებში ნუ გამოდიხართ-მეთქი. ისე ფულს ვერ ვიშოვითო. ერთი სიტყვით, მაგათთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც წავასხით ყველა ვენდისპანსერში. თუ ჩემს უბანში ისევ წავაწყდი რომელიმეს, იძულებული გავხდები, ან ხიდქვეშ, ან კიდევ სადმე ჯანდაბაში დავუდგა ჯიხური; ან კიდევ მამაპაპისეულ აგარაკზე ავიყვან ხოშიგორაზე. ყველაფერს რომ თავი დაანებო, ბავშვები იხრწნებიან მათი შემხედვარე. ჰომოსექსუალისტებიც რომ გამოჩნდნენ ქუჩებში, ეგ სულ გულზე მხეთქავს. ორივე „ყაიდის“ მეძავები ტაქსებთან ერთად დგანან ბირჟაზე. ტაქსისტები მაგათი სუტენიორები არიან. ყველანი წილში უსხედან ერთმანეთს და მეძაობით ჭამენ პურს.

— ფიქრობთ, რომ პროსტიტუციის ლეგალიზაცია ამ პრობლემას ნაწილობრივ მაინც დაარეგულირებს?

— დაარეგულირებს. ეყრებიან იმ ბორდელებში და ქუჩაში ვეღარ გამოყოფენ ცხვირს. იქ ექიმიც ეყოლებათ და აღარ გაუბედურდება ოჯახები. მიდიან მთვრალი ბიჭები, დაინახავენ შუა ქუჩაზე მაგათ და გამოთაყვანებულებს მზეთუნახავებად ეჩვენებათ, უსაფრთხოების ზომებსაც არ იცავენ.

— ბატონო თემურ, თქვენი სატელევიზიო კარიერის საქმე როგორ არის, „პოლიციელთა აკადემია“ როდის გავა ეთერში?

— ალბათ შემოდგომაზე. უკვე მიმდინარეობს ჩაწერები, გადაღებები. ხალხის გასახალისებლად და გასამხიარულებლად ყველაფერს გავაკეთებ. სხვათა შორის, წინასწარი დაკავების საკანსაც კი საგანგებოდ ვარემონტებ, რომ დამნაშავემ თავი ადამიანად იგრძნოს და მიხვდეს, რას სჩადის.

— გლდანში მკალავიშვილის მრევლი ახალი დარბეული იყო, როცა თქვენთან ინტერვიუ ჩავწერე. მაშინ მითხარით, მე და ჩემი ბიჭები იქ რომ ვყოფილიყავით, ეს არ მოხდებოდაო. ამის შემდეგ კი თქვენმა სპეცრაზმმა მერიის წინ უდანაშაულო ხალხს გადაუარა.

— მოდი, დავნაძლევდეთ, რომ ჩემს ბიჭებს იქ მომიტინგეები არ უცემიათ. თუ წააგე, ნაყინი მიყიდე, არა და „დუბინკით“ მცემე. ხელმძღვანელობამ მითხრა, მერიასთან საზოგადოებრივი წესრიგი ირღვევა და საქმეს მიხედეო. ჟურნალისტების არმია იქ იდგა და მიტინგი დასარბევიც რომ ყოფილიყო, ბიჭებს ამის ნებას მივცემდი კამერების წინ? რა, სულელი მნახეთ? ბიჭები კატეგორიულად გავაფრთხილე, ხელი არავის ახლოთმეთქი. პატიოსანმა ხალხმა გაფრთხილება ყურად იყო და წავიდა. დარჩნენ პროვოკატორი ქალები. ასეთებს ყველა მიტინგზე ნახავთ. ეს ის ხალხია, ფულს რომ იღებს ამ საქმეში. ჩემს ბიჭებს ვერ ვაგროვებდი ისე სწრაფად, როგორც მაგათ უყრიან თავს დაინტერესებული ძალები. ერთმა თვითონ მითხრა, დაგაყარე მიწა, 15 ლარი დამაკარგვინეო. იძიებს მაგ საქმეს პროკურატურა და ნახავ, ნაყინს რომ წააგებ. თუ ვტყუოდე, არაკაცი ვიყო.

ეკა ლომიძე

> ოპერაცია ჯერ მშვიდად, გაფრთხილებით დავიწყეთ, მაგრამ მეძავებმა ყური არ გვათხოვეს – აკრძალული არ არის და ჩემს სხეულს როგორც მინდა, ისე გამოვიყენებო. მერე სხვებთან რას ეწევი შენი გარყვნილების დემონსტრაციას-მეთქი. აბა, რა ვქნაო. ქუჩებში ნუ გამოდიხართ-მეთქი. ისე ფულს ვერ ვიშოვითო. ერთი სიტყვით, მაგათთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც წავასხით ყველა ვენდისპანსერში.

> ხალხის გასახალისებლად და გასამხიარულებლად ყველაფერს გავაკეთებ. სხვათა შორის, წინასწარი დაკავების საკანსაც კი საგანგებოდ ვარემონტებ, რომ დამნაშავემ თავი ადამიანად იგრძნოს და მიხვდეს, რას სჩადის.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 14 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	1,8325
ევრო	2,2313
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,4346
რუსული რუბლი	0,0650
თურქული ლირა (1.000.000)	1,2691

„ვეფხვტყაოსნის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ქალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაჰაგონი, ვითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი – ვ-კამერიანია
მის: ვერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

ააიპ „გეოკორი“ აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს
სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკაკის ქ. №8 (საპრეზის სასახლის უკან), ოფ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები სხვადასხვა
უმაღლესი ფერები და
ხარისხის საკეტები
პროფილით
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

ცხოვრებისეული კურიოზები

1. „მადლობ, დჟიგარო!..“



ერთ ზაფხულს გაგრაში გახლდით მივლინებით, ქალაქკომში. კურორტის მთელი სანაპირო სხვადასხვა ეროვნების დამსვენებლებით იყო სავსე. მზის ჩასვლის წინ, პლაჟზე ის პიატიგორსკელი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი წამომადგა თავს, რომელიც ქალაქკომში გამაცნო მეგობარმა.

— რა კარგია, რომ შეგხვდით. ხვალ დილით მივემგზავრები და ერთი მცირე სამსახური მინდა გამიწიოთ, — მითხრა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა, — მასწავლეთ ქართულად როგორ გამოვთქვა უღრმესი მადლობა თქვენი მეგობრისადმი, რომელმაც გაგრის ამ შესანიშნავი სანატორიუმის საგზური მიშოვაო.

— „გმადლობთ, ჯიგარო“-მეთქი, ვთქვი და რადგან წამომცდა, აღარ შევეცადე ქალისთვის ამ ორი სიტყვის სახუმარო ელფერიც ამეხსნა, თანაც უკვე ვიცოდი, რომ ჩვენი გაგრელი მასპინძელი იმ დილით რამდენიმე თვით მოსკოვს გაემგზავრა. ეწყინა ჩრდილოელ სტუმარს, როცა შეიტყო, რომ ტარიელ გიორგიევიჩი გაგრაში აღარ იყო. სულ „მადლობ, დჯიგაროს“ ძახილით გამომემშვიდობა და წავიდა.

მას აქეთ ორი წელი გავიდა. გვიანი შემოდგომა იყო თბილისში. სამსახურის შემდეგ, მე და ერთი ჩემი თანამშრომელი რუსთაველის პროსპექტს მივუყვებოდით. მოულოდნელად ლაღიძის წყლებთან მოხდენილი ქალი მომვარდა და გადამეხვია.

— კაკაია ტესნოტა ნა ნაშეი პლანეტე, რაზვე ეტო ნე ვი... — გახარებული იყო მშვენიერი ჩრდილოელი მეზობელი.

მაშინვე მივხვდი, ვინც იყო და გონებაში მისი სახელიც ამოტივტივდა — ზინაიდა მიხაილოვნა...

იქვე, რესტორან „ნიკალაში“ მივიწვიეთ და მაშინ გვითხრა, რომ პიატიგორსკიდან თბილისში გადმოსახლებულა. ერთ-ერთი სამინისტროს მოწვევით, საბუჟეტო შემოსავლების ჯგუფს უძღვებოდა. ზინაიდას თბილისელობა მივულოცეთ და მეგობრობის ნიშნად სულ „მადლობ დჟიგარო“ გვეძახა გამომშვიდობებამდე.

სამიოდე დღის შემდეგ ზინაიდა მიხაილოვნამ გაჯავრებულმა დამირეკა.

— რა მოხდა-მეთქი, — ვკითხე გაკვირვებულმა.

— მეგობარი მეგონე და თურმე მტერი ყოფილხარო... — ლამის ტიროდა ქალი. გაოცებისგან ყურმილი ლამის ხელიდან გამივარდა, ის კი თანდათან უმატებდა.

— შენთვის ზინაიდა მიხაილოვნა აღარ არსებობს, მორჩა, თბილისიდან მივდივარ, განცხადებაც დავწერე წასვლაზე... — და ყურმილი დამიკიდა.

ახლა მე დავურეკე.

— „მადლობ დჟიგარო!“ — მომაძახა და ყურმილი ისევ დამიკიდა.

სასწრაფოდ ჩემი ძველი მეგობრის ტელეფონის ნომერი მოვძებნე, რომელიც იმ სამინისტროში მუშაობდა, სადაც ზინაიდა და დავურეკე.

— გამაგებინე, რა მოხდა-მეთქი.

— არაფერი ძმაო. ახლა დაძაბული სამუშაო გვაქვს და იმ შენმა ზინაიდა მიხაილოვნამ ცოტათი გაგვამხიარულა... — მითხრა და მომიყვა:

რამდენიმე დღის წინ ზინაიდას ჯგუფმა დილის ოთხ საათზე დაამთავრა მუშაობა და ჩვენმა მინისტრმა ქალები თავისი მანქანით სახლებში ჩამოარიგა. პირველად ზიანაიდა მიხაილოვნა მიუყვანიათ. გადმოსულა თუ არა მანქანიდან, მადლობის ნიშნად, ავლაბრული „მადლობ დჟიგაროთი“ დაუჯილდოებია მინისტრი. იმ დილის სიწყანრეში სიცილ-კისკისით იფხრიწებოდნენ თურმე ქალები. მთელი უბანი გაუღვიძებიათ. ეს იყო და ეს. ახლა მთელ სამინისტროში კანცელარიიდან დაწყებული, სამორიგეოთი დამთავრებული ერთმანეთს „მადლობ დჟიგაროთი“ უმასპინძლდებიან.

მინისტრმა ჯგუფს მადლობა გამოუცხადა სამუშაოს ვადამდე დამთავრებისთვის და ზინაიდა მიხაილოვნას განცხადება სამსახურიდან წასვლაზე თავისივე ხელით დახიაო...

ვახტანგ ამბროლაძე, თბილისი

2. რაქის ჩვეულებრივი მოვლენა



რაჭა განთქმულია უშიშარი, ძლიერი და დინჯი ხალხით. ეს ამბავი ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში მოხდა.

მოხუც მართას ერთადერთი მეწველი თხა ჰყავდა. სახლიდან არცთუ ისე შორს, ტყის პირას მობალახე თხა, დათვის შიშით, ჭიშკართან მიაბა. თვითონ შინ შევიდა, ცოტა ხანში ესმის, თხა განწირული ხმით პეტელებს. გამოიხედა და რას ხედავს — მის მარჩენალს დათვი მისდგომია. ატყდა ერთი წივილ-კივილი. როგორც იქნა, შეიყარნენ მეზობლები — ნახეს დათვი და... ყველამ გაიხსენა თუ ვისი პირუტყვი როდის შეჭამა და დაგლეჯა, თან წყევლას უთვლიდნენ. მერე ვიღაცამ დაასკვნა, რომ დათვი ქვე არ წავიდოდა თავისით, მონადირე იყო საჭირო. ვიღაცამ თოფი გამოიტანა, გაღმა ძახილი დაუწყეს უშიშარი სოფლის მონადირეს, დათიკოს — დათვია აგერ და იქნება მოკლაო. ისიც რაჭული სიდარბაისლით გამოვიდა, შეათვალიერა დათვი ნამდვილად ჭამდა თხას თუ არა... მოიკითხა, თოფუკა ჰქონდათ თუ თვითონ გამოეტანა. მოუტანეს თოფი, დიდხანს ატრიალა, ბოლოს დაასკვნა, ტყვიები კლებიაო და სასწრაფოდ წავიდა. მალე დაბრუნდა, გადატენა თოფი თავისი ტყვიებით დინჯად, დაუმიზნა აუღელვებლად. გავარდა თოფი და... დათვმა გაკვირვებულმა გამოხედა ხალხს. ერთი შეიფერთხა ზურგი და უკმაყოფილო ბურდღუნით წავიდა. რა ვქნა, ბოშო, თოფუკაში ტყვიები შემშლია სიჩქარისგან, საფანტი ყოფილა... ქვე წავალ ახლა, ჟანკებს გამოვიტან, ეგ კიდევ მოვაო...

იოსებ მაგრაქველიძე, ამბროლაური

ყურადღება!

კურიოზების კონკურსი

„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 18 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 19 აგვისტოს 13 საათამდე.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ——

——

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №33

ხუმრობენ ცნობილი ადამიანები

3. იმდენ ქაჯებს თამაში არ უნდა?..



საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საზოგადოებაში რევაზ ჩხეიძემ ქართველ მწერლებსა და კინომოღვაწეებს აუწყა, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმი“ აპირებდა სერვანტესის „დონ კიხოტის“ ეკრანიზებას ესპანელ კოლეგებთან ერთად.

ნოდარ დუმბაძე გრძელი მაგიდის კუთხესთან იჯდა და საუბარში არ ერეოდა. გულდაგულ ხაზავდა ფურცელზე ფანტასტიკურ ფიგურებს.

შეკრებას ინგლისელი კინორეჟისორიც ესწრებოდა.

სტუმარმა რომ გაიგო შეკრების მიზანი, გაიოცა, თუ კლასიკოსის გადაღება გინდათ, შორს რატომ მიდიხართ, თქვენი ბრწყინვალე „ვეფხისტყაოსანი“ გადაიღეთო.

ბატონმა რეზომ დიპლომატიური ღიმილით მიუგო, რომ „ქართული ფილმი“ ჯერ თავს ვერ გრძნობდა მომზადებულად ასეთი დონის ნაწარმოების ეკრანიზაციისათვის.

— ჩვენ კი ისე „გავთავხედდით“, — განაგრძო ინგლისელმა რეჟისორმა, — რომ „ქართულ ფილმთან“ ერთად გვინდა ამ ნაწარმოების გადაღება. მსახიობებიც კი შევარჩიეთ...

— ვინ არიან ეგ მსახიობები? — იკითხა ბატონმა რეზომ.

— თინათინი — ოდრი ჰეპბერნი, ნესტან-დარეჯანი — სოფი ლორენი, ტარიელი — პიტერ ო'ტული, ავთანდილი — ალენ დელონი, ფატმანი — ბრიჯიტ ბარდო, ფრიდონი — ენტონი ქუინი...

— რაღა ერთობლივი ფილმია, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ, — ჩვენ ვინღა ვითამაშოთ?

— როგორ თუ ვინ?! — უცებ საუბარში ჩაერია ნოდარი, — იმდენ ქაჯებს თამაში არ უნდა? ვითამაშოთ ის ქაჯები და ვიყოთ ასე!..

ჰომერულ ხარხარში ინგლისელ სტუმარს უთარგმნეს, რაც თქვა ნოდარ დუმბაძემ. თავშეკავებულმა ინგლისელმა სულ ცრემლებით იცინა...

4. პროტესტი

ახალდაარსებული „ცისკრის“ რედაქტორის, ვახტანგ ჭელიძის კაბინეტში ჟურნალის მორიგი ნომრის მაკეტზე მუშაობდნენ.

საქმით გართულ რედაქტორს დაავიწყდა, — დასხედითო ეთქვა თანამშრომლებისთვის.

ითმინა, ითმინა ნოდარ დუმბაძემ და ვეღარ მოითმინა:

— ბატონო ვახტანგ, სანამ არ შემესობა აი ფეხები საჯდომში, არ დამსვამ?

5. დამაჯერებელი განმარტება



ერთ-ერთ შეხვედრაზე რევაზ მიშველაძეს ერთი ქალბატონი გადაეკიდა.

— იქნებ მითხრათ, რამდენჯერ შეიძლება ქალს შეუყვარდეს მამაკაცი.

ბატონმა რეზომ რამდენჯერმე ზრდილობიანად დააპირა სულელური კითხვისთვის გვერდის ავლა, მაგრამ როდესაც ქალმა საშველი აღარ მისცა — თხუთმეტჯერ! — უპასუხა.

ამ დროს გვერდით მჯდომმა ოტია იოსელიანმა თავი მაღლა ასწია და ღიმილით მიმართა ახირებული შეკითხვის ავტორს:

— მეთექვსმეტე ბოზობაა, ქალბატონო...

შეკრიბა ზაზა სეფაშვილმა

მკითხველის სასყვედურო ანეკდოტები



6. ნარკომანს სიცხემ აუწია. პირველ დღეს 38 ჰქონდა, მეორე დღეს — 39, მესამე დღეს — 40. შეეშინდა და საავადმყოფოში წავიდა.

— აუ, ბრატ, სიცხე მიმატებს და მიმატებს!.. — ეუბნება ექიმს. ექიმმა ყურადღებით გასინჯა.

— სიფილისი გაქვთ!.. — თქვა მძიმედ.

— აუ, კიდე კარგი! მე გრიპი მეგონა, ტო!

ქეთევან მაღლაკელიძე, კასპი



7. სვანი თავისი მანქანით ხეს დაეჯახა. შემთხვევის ადგილზე მოვარდა საგზაო პოლიციელი, ისიც სვანი და ეუბნება:

— არც პრავას ჩამოგართმევ, არც ტალონს გაგიხვრეტ, არც დაგაჯარიმებ, ოღონდ ვაჟკაცურად აღიარე, რომელმა დაარღვიეთ მოძრაობის წესი?

— რადგან ზემლიაკი ხარ, ვაჟკაცურად ვაღიარებ, მე დავეჯახე! — იყო პასუხი.

ვანო ცინცაძე, თბილისი

ბინები

გირავდება 3-ოთახიანი ბინა ვაკეში, მრგვალ ბაღთან. შესაძლებელია ყიდვაც. ტელ: 893 90-49-21

გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

მუდმივი სამუშაო ფირმაში. მიღება კონკურსის საფუძველზე. მოთხოვნები: უ/გ, ასაკი 25-40 წ. ჩაწერა გასაუბრებაზე ტელ: 34-20-28; 899 94-61-15

კომპანიას ესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე თანამშრომლები. ტელ: 64-03-04 (18 სთის შემდეგ)

მომსახურება

შპს „აკაცია“! პროექტირება, დიზაინი, მშენებლობა-რემონტი, ზამთრის ბაღები, მეტალო-პლასტიკის კარ-ფანჯარა, მეტალისა და ხის ნაკეთობები, ეზოების მოწყობა-გამწვანება. ტელ: 30-20-24; 899 70-37-70; 877 42-52-52

რბილი ავეჯის რესტავრაცია! სამეულები, ტახტები, სკამები, მატრასები; ქსოვილის შეცვლა, დარბილება; ტელ: 76-01-33. გია

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულებზე შალითების გადაკვრა-განახლება; სკამების, მატრასების განახლება. ვღებავთ ტყავის სამეულებს. ტელ: 95-97-12. ვალერი

სტუდენტური, ოჯახური, ინდივიდუალური და ჯგუფური დასვენება ქობულეთში (ფიჭვნარი) სხვადასხვა კომფორტის და პირობების კერძო ბინებში, სამჯერადი კვებით ჩვენს კაფე-სასადილოში. ყველაფერი ეს შედის საგზურის ღირებულებაში: 10 დღე – 120-130-140-150-170-220 ლ. შეღავათები – ბავშვებსა და ჯგუფებზე. მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში). კაბ. №31. „მკურნალი სუმბაძე“. ტელ: 91-18-38 (სამს.); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და გაყუჩებით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. ბინა 46. ტელ: 37-74-22; 877 72-62-08. მანანა

ვისაც გსურთ წონაში დაკლება, უვნებლად და დიეტის გარეშე, თვეში 7-20 კგ-მდე, ასევე გასუქება თვეში 5-7კგ მომატებით და სიმაღლეში ზრდის ვიტამინები ერთთვიანი კურსით, მოიმატებთ 3-5 სმ. კონსულტანტი ინგა. მის. ჭოველიძის №2. IV სართ. ოთ. №415. ტელ: 93-38-46

მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

სმენის აღდგენა, ხმაურის, ქავილის, ყურის ანთების, ტკივილების მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტთათვის. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. პაციენტების მიღება – 9-13 სთ. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, სამების ეკლესიის უკან, თენგიზ აბულაძის ქ. №8. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 91-31-19; 91-32-42; 899 97-85-46. ლევან სეხნიაშვილი

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის დაბინძურებისგან ორგანიზმის გაწმენდა, მკურნალობა: ალკოჰოლიზმისგან გამოწვეული გართულებები: 1) ნევროზები; 2) ჰეპატიტები; 3) ჰალუცინაციები; 4) არითმიები. მოსკოვის კრემლის ყოფილი ლაბორატორიის სერტიფიცირებული, მცენარეული, რუსეთის პატრიარქის მიერ ნაკურთხი პრეპარატები. (მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისაგან ფარულადაც). ტელ: 899 22-63-90. ნინო ექიმი

ალკოჰოლიზმი და ძისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის სინდრომის („პახმელიის“) მოხსნა, ჰეპატიტები, ჰალუცინაციები, შიშები, აგრესიულობა, ნევროზები. მკურნალობა ხდება პაციენტისაგან უჩუმრად. პრეპარატები მცენარეულია, უსაფრთხო და მაღალეფექტური. დამზადებულია მოსკოვში. ტელ: 53-08-02. თამრიკო

ოპერაციის გარეშე ვმკურნალობთ საოპერაციო დისკოზებს, ნერვის ანთებას, რადიკულიტს, სახსრების დაავადებებს, მარილების დაგროვებას. მწვავე ტკივილები იხსნება 1-2 დღეში. შედეგი მაქსიმალურად გარანტირებულია! სამედიცინო ფირმა „მონატა“. ექიმი მ. ალექსიშვილი. რკინიგზის პოლიკლინიკა. ტელ: 39-39-97; 899 57-16-99

სწავლა

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №115, კაბ. №20(ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გიწვევთ დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური, უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან II, III კურსებზე. ფასი 200 ლარი. ტელ: 32-06-97; 30-51-30; 893 93-38-15. მის: თოფურიას №12. 128-ე საშ. სკოლა (ვაჟა-ფშაველას III-IV კვარტალებს შორის).

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მოდი, ისწავლე, აიღე მართვის მოწმობა! ჩვენი მისამართებია: ლადო ასათიანის №28; მუხიანის დასახლება, I მ-რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

სიახლე! ერუდირებული და მონდომებული მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დამწყებიდან პროფესიონალამდე“. სწავლა 1-ელ სექტემბრიდან იწყება. ჩაწერა ყოველდღე, 12.00–15.00 სთ. მის: მეტრო „რუსთაველი, „კინოს სახლის“ შენობის უკან, გაბაშვილის ქ. №7. ტელ: 98-80-23; 877 41-87-33. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოყენებით.

შეევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-dizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან“, რესტორან „სამოთხის“ უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

იყიდება

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 380; კომპლექტის ფასი – $140; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი – ფასი $200-მდე, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

სხვადასხვა

ეკოლოგიისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი „ამიანტი“ და შვეიცარიული ფირმა „NEWFO SA“ აცხადებს კონკურსს დევიზით: **„ინოვაციური პროექტები საქართველოს ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები გლობალიზაციის ეპოქაში“.**

კონკურსი ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის 50 წლის იუბილეს.

საკონკურსო თემატიკა:

– წიაღისეულის საბადოების მარკეტინგი;

– ბუნებრივი და ტექნოგენური საცავების მარკეტინგი;

– სარეკრიაციო ზონების მარკეტინგი.

მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამი საუკეთესო პროექტისთვის დაწესებულია პრიზები – 600, 400 და 200 ლარის ოდენობით.

ფონდი „ამიანტი“ იზრუნებს ჟიურის მიერ რეკომენდებული პროექტებისთვის ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობებზე. ანოტაციის (არაუმეტეს ორი გვერდისა) წარმოდგენის ვადაა 1.09-17.09.2004; სრული პროექტის წარმოდგენის ვადაა 01.10.2004. კონფერენცია ჩატარდება 2004 წლის 16 და 17 ოქტომბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, პროფესორ გიორგი ჯაფარიძის სახელობის №432 აუდიტორიაში. დასაწყისი 11 სთ. საორგანიზაციო კომიტეტი: კოსტავას ქ. №77. 0175 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი; III კორპ. III სართ. ოთ. №410. ტელ: 37-73-19; 36-41-67; ფაქსი: 22-53-08; მობ: 899 401-503; ელფოსტა: amianti@posta.ge

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართველი ადვოკატები სამართლიანობისათვის“, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, აბაშელის ქ. №15, შეიქმნა 2002 წლის 20 ივნისს ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს დადგენილებით.

2004 წლის 9 ააგვისტოს საერთო კრების №4 ოქმის საფუძველზე დაწყებულია შპს „ქართველი ადვოკატები სამართლიანობისათვის“ ლიკვიდაცია, რომლის ლიკვიდატორად დანიშნულია შპს „ქართველი ადვოკატები სამართლიანობისათვის“ დირექტორი ქ-ნი მაკა ჯაფარიძე.

კრედიტორებსა და დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, მობრძანდეთ მისამართზე:

ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №62. ტელ: 91-26-07





დიდი გულისტკივილით თანავუგრძნობ გაზეთ „ქვირის პალიტრის“ მთელ კოლექტივს, გაზეთის რედაქტორის, ქალბატონი **ლალი გუნთაიშვილის** გარდაცვალების გამო.

დიდი ხანია, პრესის გავრცელების სამსახურის წარმომადგენელი ვარ დაბა სურამში. ჩემ თვალწინ გაიარა გაზეთის თითოეულმა ნომერმა, რომელშიც ქალბატონ ლალის საქმისადმი დიდი სიყვარული, დიდი შრომა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა იყო ჩაქსოვილი. სწორედ მისი დამსახურებაა, გაზეთმა მკითხველი საზოგადოების ესთდენ დიდი სიყვარული რომ დაიმსახურა, ასე ახლოს რომ მივიდა უამრავი მკითხველის გულამდე.

დაბა სურამის მკითხველები, თქვენი გაზეთის დიდი მოყვარულები უდიდეს გულისტკივილს გამოხატავენ ქალბატონ ლალის გარდაცვალების გამო და იზიარებენ რედაქციის მთელი კოლექტივის ამ დიდ მწუხარებას.


ქალბატონ ლალის გარდაცვალება არა მარტო თქვენი რედაქციის, არამედ მკითხველი საზოგადოების, მთელი ქართველი ერის უდიდესი დანაკლისია.

ელიკო კვერნაძე, სურამი

ჟურნალ „ცისკრულის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ბატონ რამაზ ალანიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.



მეუღლე ლამარა ლექვინაძე; შვილი გიორგი გუბაური; რძალი ანა ჩიქოვანი; ძმისკოლი მარინა გუბაური; ძმისშვილები: ინა, ზაური; დისშვილები: ლეილა, მალხაზი, ზურა ბერეჟიანები, რაჟდენ ვაშაკიძე; ცოლისძმები: კოტე, დავითი; მამიდაშვილ-ბიძაშვილები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით ატყობინებენ, რომ გარდაიცვალა

ედუარდ (ედიკა) გუბაური

პანაშვიდი: 16 აგვისტოს, 17 საათზე;
გამოსვენება: 17 აგვისტოს, 15 საათზე.
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. №6, I სადარბაზო, მე-13 სართული.

კახა ნადიბაიძის გახსენება

შენი მფარველი ანგელოზი წმინდა გიორგია. ზუსტად გიორგობას მოხდა ის ტრაგედია, რამაც წერტილი დაუსვა ყველაფერს და სამუდამო სამყოფელში დაიდე ბინა. ირგვლივ გახუნდა ყველაფერი. ახლა მხოლოდ კედლებიდან შენი ულამაზესი სახე მიყურებს და მეუბნება: „დედა, მე ისევ აქა ვარ, ჩვენ ისევ ერთად ვართ!“



ჩემო ერთადერთო, ორი წლის უნახავო კახა! უსაქტაკესი სულის პატრონს ვერ გაგიფრთხილდი. ალბათ რჩეულთაგან შენც ერთი მათგანი იყავი, რომელიც ღმერთმა წაიყვანა. მე კი დავრჩი უნუგეშოდ, მხოლოდ შენი საფლავის ამარა. რატომ წამართვეს შენი თავი, ვის მოვკითხო, ვინ მპასუხებს? რა მაძლევს ძალას უშენოდ, რითი ვსულდგმულობ? ალბათ ისევ შენი პატარა გიგითი, რომელიც ასე გგავს.

ფერიცვალება დღეს 28 წლის გახდები, ჩემო კახა. ამ მოკლე წუთისოფელში ფერი იცვალა ჩემთვის ყველაფერმა. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი სული. მე კი პატიებას ვთხოვ, კახა – ჩემი სიცოცხლეც, იმიტომ, რომ ცოცხალი ვარ...

მაგრამ მწამს, რომ იმ ქვეყნად მაინც ვერაფერი დაგაშორებს ერთმანეთს. წუთისოფელი ჩემთვისაც სწრაფად გაირბენს და სულ მალე შენი პირშმა – პატარა გიგი ორივეს ერთად დაგვინთებს სანთლებს.

დედა



ინდირა ასაკაშვილი-კინწურაშვილის მონატრება

18 აგვისტოს შენი დაბადების დღეა... არ გვინდა ვიფიქროთ, რომ უშენოდ მოვიდა ზაფხული. ზაფხულში მოვკლინე ამ ქვეყანას... და გაზაფხულზე კი გაგეფრინდი. ამბობენ, დრო ყველა ჭრილობას კურნავსო; იმასაც ამბობენ, ადამიანი ყველაფერს უძლებს, გულს კი მონატრების ატანა შეუძლიაო. არ ყოფილა მართალი. მაშინ რატომ გახდა გაუსაძლისი ყოფნა შენ გარეშე, ინდირი და თუ არ ვტირიან, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დარდი გაგვინელდა. უბრალოდ, ისეთი სუსტები ვართ, მაინც დაგეძებთ, დაგეხებთ მაგრამ ვერ გპოულობთ.

წახვედი და თან წაიყოლე 5 შვილის დარდი. უმწეოდ დატოვე შენი მუხლეჩ. შეუძლებელი შეგძებნება. გვენატრები ყველას – შენს ძმებს, ძმისშვილებს, დედას და მამას. გაუსაძლისად გვტკივა შენგან დარჩენილი სიცოცხლე, რომელსაც ვერ ვერევით.

ნათელში იყოს შენი წმინდა სული.

შენი ოჯახი

ინდირი (ნაირა) ასაკაშვილის მონატრება

ინდირი, წელს პირველად მოვდა უშენოდ შენი დაბადების დღე, 18 აგვისტო, მაგრამ შენ ჯერ კიდევ ჩვენთან ხარ და ბოლომდე ვერც ვაცნობიერებთ შენთან განშორების სიმძიმეს. რაც დრო გადის, მით მეტად მძაფრდება ტკივილი – უფრო კი მაშინ, როცა შენი ხუთი შვილის თვალებში უძირო სევდასა და დედის მონატრებას ვხედავთ.


46 წელი იყო შენი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრული. ფრთამტეხილი დატოვე შენი მეუღლე შოთა, ხუთი შვილი და გაუბედურებული დედა, სიცოცხლე ტანჯვად რომ ექცა.

ქედს ვიხრით შენი ამაჟ სულის წინაშე და თვალცრემლიანი გილოცავთ დაბადების დღეს, საფლავში, ცივ სამარეში, ყვავილებით და სანთლებით.

ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ინდირი, გეყვარებით ღმით მაინც დაგესიზმრე, რომ მოგეფეროთ.

ქვესერი, ნაილი, მედიკო



ლევან ლაგაზიძის გახსენება

წელს პირველად მოვდა შენი დაბადების დღე უშენოდ. ლევან, რომელსაც გულისტკივილით, სევდით და ცრემლებით შეხვდით. 21 აგვისტოს 22 წლისა გახდებოდი, მაგრამ 26 აპრილი საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის და უეცრად ტრაგიკულად ჩაგიტყდა 22-ე გაზაფხული. ადრე დამთავრდა შენი „წუთისოფლის სტუმრობის“ ჟამი და სულეთის მარადიულ სამყაროს შეუერთდი.

ღმერთმა და ბუნებამ ყველაფერით დაგაჯილდოვა: ოჯახიშვილობით, გარეგნობით, აღზრდით, ნიჭით, ვაჟკაცობით. ამქვეყნიური ცხოვრების 21 წელიწადში ბევრი რამის გაკეთება მოასწარი, საითაც წახვედი ყველგან გამარჯვებული და გამორჩეული იყავი – კოლეჯში, რომელიც წარმატებით დამთავრე, თეატრალურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრებაც ვერ მოასწარი. შენმა გადაღებულმა ფილმებმა, ყველგან წარმატება მოიპოვა.

პირველ მოკლემეტრაჟიან ფილმში „გარდასახვა“, მოგვითხრობ საკუთარ ცხოვრებაზე, ბედზე, მომავალზე და ბიჭზე, რომელიც ხელახლა დაიბადა. 2001 წელს ეს ფილმი თბილისის მოყვარულთა კინოფესტივალზე საუკეთესო ექსპერიმენტულ ფილმად დასახელეს. იმავე წელს ახალი დოკუმენტური ფილმი „წყურვილი“ ვერ მოუხერხე, შემდეგ კი მოსკოვის სტუდენტურ ფესტივალებზე ჰპრქვე. 2004 წლის თებერვალში, ბერლინის კინოფესტივალზე, სტაჟირებაზე ყოფნის დროს, 1-წუთიანი ექსპერიმენტარული ფილმი წარადგინე. გამდიდებელი ლიბრების მეშვეობით შეიქმნილ ილუზორულ სიბრტყეში ბიჭის მონილოგია მოთხრობილი. 26 აპრილს, ზუსტად იმ ტრაგიკული ღამის წინ, შენმა სცენარმა მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის „პირველი სიტყვა დაკარგულია“ პროგრამა „ავანზის“ დაფინანსება მიიღო.

არაერთი ფოტოკონკურსის მონაწილე და გამარჯვებული იყავი. 2002 წელს კონკურსზე „ეუზა“,2003 წელს – „ქოლგა“, სპეციალური პრიზები დამსახურებ დაგრჩა ბევრი განუხორციელებელი ჩანაფიქრი, აუხდენელი ოცნება...

გვიჭირს შენი მშობლების ნუგეშისცემა, მათთვის მთელი სამყარო ხომ შენ იყავი...

როგორ ოცნებობდი, რამდენ გეგმას აწყობდი სამომავლოდ, მაგრამ ერთმა უბედურმა შემთხვევამ ყველაფერი უკუღმა დატრიალა. რა სასტიკია რეალობა. სულ გეგონა, რომ მოხვალ და მწუხარებისაგან შეუბებულ ჰაერს მხიარული ხმით გაახმ, უშენოდ გაცივებული სახლის კედლებს გაათბობ, მაგრამ ამაოდ. ერთი რამ გვაიმედებს – რომ ასეთი ამაღლებული სულით, ალბათ წამებში დაიმკვიდრე ცათა სასუფეველი.

ნათელში იყოს მარადიულობაში გადასული შენი ლამაზი სული, ჩვენო ლევან, ჩვენო სიამყვე და უკურნებელო ტკივილო.

ნევა, სოფო, ირაკლი, ლეილა, გოჩა, მაია, სოსო

კალისტრატე (კალეშა) მარკოიშვილის ხსოვნას!



პირველ დაბადების დღეს გილოცავ მარადისობაში, ჩემო ჭკვიანო, ალალო და ყველასათვის საყვარელო ადამიანო.

15 აგვისტოს 55 წლის გახდებოდი...

ტკივილიანია ეს დღე უშენოდ...

მტანჯავს სინანული...

მწამს, ნათელში ხარ და ყველაფერს ხედები, რასაც განვიცდი...

„ბედისწერამ რაზან ასე ირქვა,
ჩვენს შესაშურ ერთგულებას ვიფიცავ,
სანამ ქვეყნად მზის სინათლეს შეფერებ
გპირდები, რომ შენს გაზს არ დავივიწყებ“.

მხურვალე ცრემლებით, შენი საყვარელი პაციენტი

ვახო გოჯიაშვილის მონატრება



ჩემო საყვარელო შვილო ვახო! ოხ... რა ძნელია შენი უბედური დედისთვის, ამ სტრიქონებში ჩავტიო ის უდიდესი მწუხარება, რომელიც შენ დაგვიტოვე გაფრინდა მწარე დარდით ექსი წელი. 19 აგვისტოს, ფერიცვალების დღეს როგორ ნაადრევად გაჭრა შენი ლამაზი სიცოცხლე, 29 წლის ასაკში.

შვილო, ამბობენ, დრო მკურნალიაო. არ დიფერო – რაც დრო გადის, გული მძიმდება და ფიქა გაუსაძლისი ხდება, ვერანაირი ტკივილი ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რასაც შენზედ დედის ტანჯვად ქცეული სიცოცხლე განიცდის, რასაც უშენობა ჰქვია.

შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

იმინე მშვიდად, ნათელი გედგას მარადის, ჩემო ჭკვიანო შვილო. ყველას ძალიან გვენატრები. გვაკლიხარ, გვიყვარხარ.

შენი თვალცრემლიანი დედა

დავით ლოლუას მონატრება



21 აგვისტოს შენი დაბადების დღეა. სრულიად ახალგაზრდა, ჩვენო ერთადერთო შვილო, ოჯახის იმედო, მეგობრების დასაყრდენო, უცაბედად გამოგეცალე ხელიდან. 1997 წლის სექტემბერში, სვანეთში სპეკოპერაციის ჩატარების დროს დატრიალებულ ტრაგედიას – რამაც მთელი საქართველო შეძრა – ოთხი ვაჟკაცი შეეწირეთ.

მაშინ 28 წლის იყავი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ინსპექტორად მუშაობდი. გიყვარდა სამშობლო, სამსახური, ოჯახი, მეგობრები. ამაოდ არ ჩაუვლია შენს პროფესიონალიზმს – გორგასლის ორდენი მოგანიჭეს. ვალმოხდილი წახვედი ამ ქვეყნიდან, მაგრამ დედ-მამას დაგვეტოვე მოკლული გული, რომელსაც ვერაფერი შეკვლის.

შენი შვილი, პატარა ანრი უკვე მეოთხე კლასშია, მამას სურათით იცნობს.

21 აგვისტოს 35 წლის გახდებოდი. შენს საფლავზე მოვლენ, მიგაგონებენ მეგობრები, თანამშრომლები, თანამებრძოლები, თანაკურსელები, თანაკლასელები, მეზობლები, ნათესავები; დაგინთებენ წმინდა სანთელს. ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

მშობლები

ლია ჩუთლაშვილი-ხუნაშვილის მონატრება



დედა, ძალიან გვენატრები, ძალიან გვიყვარხარ. შენ ხომ ჩვენთვის თავგადაკლული დედა იყავი. შენი წასვლიდან ორმოცი სევდიანი დღე გავიდა. შენთვის ვლოცულობთ, რომ სასუფეველში სულ განათებული გზით იარო.

ძალიან ენატრები შენი ოჯახის ყველა წევრს. ძალიან გვენატრები, დედა.

შენი ნონა და გიორგი

მამუკა ბარძიმიშვილის მონატრება




19 აგვისტო შენი დაბადების დღეა, ჩვენო საყვარელო, სანატრელო შვილო. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ვერ დავსწარი 38 წლის შესრულებას. დაუნდობელმა სიკვდილმა არ დაგაცალა შენი ვალის მოხდა შვილების წინაშე, ვერ გაიხარე მათი გაზრდით, არ დაგცალდა მოზიარე ყოფილიყავი ყველა იმ სიხარულის, რაც მომავალში უნდა მოხდეს შვილების ცხოვრებაში. შენი ნაკუშა წელს პირველად შეაბებს სკოლის კარს. როგორ სჭირდებოდა შენი პატრონობა და იმედი...

ჩემო შვილო, ვერაფრით ამოვკსებთ იმ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. შენს საფლავთან ყოველთვის მივალთ, ავგინებთ სანთლებს და ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ბაბანის მიწა.

ოჯახი

ეთერ კოტრიკაძეს!



ჩვენო საყვარელო ეთერ, ყველა შენი მეგობარი 25 აგვისტოს შენთან ვიქნებოდით, ვიცოდით რა, ჩვენი მოსვლით გაბარებული, ბრწყინვალე დასანახლისი გვემსპინძლებდა.

ჩვენ, ყველა შენი მეგობარი 25 აგვისტოს კვლავ ვიქრიბებით – უკვე შენს საფლავთან. მეორე დაბადების დღეს ალვინშიაეთ უშენოდ.

უკვე ერთ წელზე ცოტა მეტია, ალარ გვინახხარ, ალარ შეგვხვედრიხარ ყველასთვის საყვარელ ოჯახში შენი ლამაზი ღიმილით.

ეთერ, შენ ხომ უღალატო მეგობარი იყავი, რატომ გვიღალატე, რატომ დაგვტოვე ასე ადრე?! რატომ, რატომ მიატოვე შენი ასეთი ნაჯაფარი სახლ-კარი, შენი ოჯახი, მეუღლე?! დედა აღარ ჰყავს ლელას და პატარა ნიკუშას მხოლოდ გადმოცემით ეცოდინება, რომ ჰყავდა ძალიან ლამაზი და კეთილი ბებია ეთერი. თუმცა ეს ღალატი შენი ბრალი არ ყოფილა. შენ ხომ ყოველნაირად ცდილობდი სიკვდილის დამარცხებას შრომისმოყვარეობით, შეუპოვრობით, ოპტიმიზმით და ბოლოს სიცოცხლის სიყვარულით, მაგრამ ამაოდ. ხმალამოღებული და უანგარო მეგობარი ჩვენს დარდს და ტკივილს ინაწილებდი, რომ ჩვენთვის ნაკლები დაგეტოვებინა, შენი წასვლით კი უზომო დარდი და ტკივილი დატოვე ყველ ჩვენგანში.


რომ იცოდე, რა ძნელი, რა აუტანელია უშენობა, განცდა იმისა, რომ შენებრ თბილად და კეთილად ვერარ უმასპინძლებ შენს მეგობრებს, ახლობლებს. ძალიან გვაკლიხარ, უშენოდ სიცოცხლე ვერ ვისწავლეთ, ვერ შევძელით. ეთერ, შენი გვერდით ყოფნით სიცოცხლეს გვაფასებდი, ხოლო აღსრულებით სიკვდილი გაგვაფასებინე. შენ ხომ ყველაფერში მოთაუე და პირველი იყავი ჩვენს სამეგობროში და პირველობა აქაც არავის დაუთმე.

ეთერი, ეთერი – შენი სახელის ხსენებაზე თვალები ცრემლებით გვევსება, მაგრამ როგორც სიცოცხლეში, ისევ ჩვენზე ფიქრობ, ჩვენ გვეფრთხილდები და თითქოს გვეუბნები:

„ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ!
სიკვდილი არა არის რა. მე მხოლოდ გადა მხარეს გავედი.
მე ისევ მე ვარ. შენ ისევ შენ ხარ, რაც გიყვათ ერთმანეთისთვის იგივენი ვართ საუკუნოდ. ისევ ისე მომწართე, როგორც ყოველთვის მოგიმართავს. ისევ ისე მესაუბრე, როგორც ყოველთვის გესაუბრება.
ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ!
თუ მართლა იცი, რა არის ღმერთის მხლი და სასუფეველი.
თუ ძალგიძს, გაიგონო ანგელოზთა გალობა და ანგელოზთა შორის დამხანაო!
შეიშრე ცრემლი და ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ!“

მეგობრები

შოთა ერმალოს ძე დიდბარიძის გახსენება



უკვე 7 წელი გავიდა მეუღლის, მამის, ბაბუის და დიდი ბაბუის შოთა ერმალოს ძე დიდბარიძის გარდაცვალებიდან. 2004 წლის 15 აგვისტოს ერმალიძის დაბადების დღეა, რომელსაც 80 წელი შეუსრულდებოდა. დღეს მივლენ მის საფლავთან მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და ბაბუა შვილთაშვილი ლუკა ობოლაძე, მიულოცავენ შეუსრულებელ 80 წლისთავს, რომელსაც თან ახლავს აურაცხელი მოგონება, ცრემლი და სევდა.

იმინე ტკბილად, დიდი ოჯახის უფროსო, ჩვენ კი მუდამ ვილოცებთ შენი სულის სადიდებლად. გვკეროდეს, შენი ოჯახი არასოდეს დავიწყებს.

ოჯახი



დალი გიორგაძე-გელაშვილის მოსაგონარი

სიტყვა „ობოლი“ ყოველთვის იწვევდა შენში სინანულს უდღემო ბავშვების მიმართ. შენს შვილებზეც იტყოდა: თამაზის და დალის ობლები არიანო. მაშინ ყველას გაახსენებდით სიკეთით სავსე მშობლები, რომლებსაც ბევრი ჩანაფიქრი დაგრჩათ განუხორციელებელი. იმედი მაქვს, თქვენს ოცნებებს ფრთებს შეასხამენ შვილები, იქნებიან ისეთივე კარგები, როგორებიც თქვენ იყავით.


მაგრამ რა ჭკას ორი შვილის დამკარგავს – აღთო დედამ, რომელიც ცდილობს შენ გამო დატოვებული სიცარიელე არ აგრძნობინოს... მაგრამ შენი ნათქვამი „შვილო შაო“ სულ სხვა დედისეული სითბოთი იყო გამბიარი, რომელსაც ვერავინ შეცვლის.

ჩვენო საყვარელო დალი, 21 აგვისტოს შენი ორმოცია. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები შენი თბილი სევდიანი ღიმილით, რომლის მიღმა დარდი და ნაღველი იგრძნობოდა.

ახლა კი რაღა დაგვრჩენია – წარსული, რომელსაც მოვაგონებთ, ცრემლმორეული თვალებით კი უფალს შევთხოვთ შენი სულის ნათელში ყოფნას.

პეპელა თათარაშვილი

მაია და ლაშა ლურწკაიების მონატრება



ჩვენო მაკო, ჩვენო ლაშიკო! ძალიან, ძალიან მოგვენატრეთ, შვილებო, რა მძიმეა უთქვენოდ ჩვენი ყოფნა, მხოლოდ ღმერთმა იცის. რაც დრო გადის, უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდება ჩვენი ცხოვრება. არადა, თქვენი ამქვეყნად არყოფნის ათვლის დღიდან ასე გვგონია, დრო ჩქარა მიდის.

ორივენი გამორჩეულები იყავით ნათესავებსა და ტოლ-მეგობრებში. თქვენ ხომ უდიდესი ადამიანური სიყვარული, თავმდაბლობის განუმეორებელი გრძნობა დატოვეთ ამ ქვეყანაზე თითქმის სიკუდილის ნახევარი ლტოლვილობაში გაატარეთ, მაგრამ მომავლის იმედი არასოდეს დაგიკარგავთ. პირიქით, ბევრითი სწავლითაც და შრომით გიხდიდათ, ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები დამდგარიყავით. ბოლომდე არ დაგცალდათ, ვერ დაგაცალეს.

ლაშა, შვილო, მაიასთან ერთად ჩვენც გილოცავთ დაბადების დღეს – 21 აგვისტოს. მოვალთ თქვენს საფლავებთან, ყვავილებით შეგამკობთ, სანთლებს ავინთებთ, მოგეფერებით.

გვენატრებით ყველას, თქვენს დებს, ნათესავებსა და ახლობლებს. ვერ ვუძლებთ ტკივილს, რომელსაც მონატრება ჰქვია:


შვილო მაკო, შვილო ლაშიკო, გაჩ აზრი აქვს ჩვენს არსებობას?! სადაც მიდიხართ, იქ თან დაგვყევით თქვენზე დარდი და თქვენზე ფიქრები.

ზოგჯერ გვგონია, თქვენც ჩვენთან ხართ, ჩვენ გვერდითა ხართ და შემოგვცქერით.

გარდასულ დღეთა უნახობით აზრს გვიზიარებთ, გვესაუბრებით. ოხ, რა ყოფილა წუთისოფელი, არ იცი როდის გიმეხთლებს ბედი, ნუგეშად მხოლოდ ის დაგრჩენია, გვცერა, გმფარველობთ ზეცაში ღმერთი!

მაიასა და ლაშას მშობლები

ნოდარ გონაშვილს!



ჩემო საყვარელო ნოდარიკო, 3 თვე გავიდა, რაც შენი სახელი და გვარი აღარავის ამოუკითხავს, შენ ხომ სიიდან 10 თვის წინ ამოგშალეს. მინდა, კიდევ ბევრმა ადამიანმა წაიკითხოს შენი სახელი, გაიხსენოს შენთან გატარებული თუნდაც ერთი წუთი.


მიუხედავად იმისა, რომ ისევ გელოდები და მარად დაგელოდები, ვცდილობ დარდმა და სევდამ არ დამძლიოს და ეს სისუსტე ბავშვებმა არ შემამჩნიონ, რადგან შენ ყოველთვის გჭირდა ჩემი იმედი და ამ იმედთაც დამიტოვე შენი ლამაზი ელენიკო და ანუკა, ვისთვისაც ვაგრძელებ ცხოვრებას.

შენმა საყვარელმა გოგამ ცოლი ითხოვა, რამაც ალბათ უზომოდ გაგახარა. ჩვენც საოცრად ბედნიერები ვიქნებოდით, შენ რომ ჩვენ გვერდით ყოფილიყავი, მაგრამ თავს მხოლოდ იმით ვიმიდებთ, რომ ამ ქვეყანაზე ჩვენც სტუმრები ვართ და მეტი არაფერი. მხოლოდ ეს ძალა მატანინებს იმ დიდ უბედურებას, რასაც შენი გარდაცვალება ჰქვია. შენს ლამაზ სახლში ივიე ტრადიციები გრძელდება. უშენოდ ცხოვრებას ვაგრძელებთ და ვმრავლდებით.

შენ კი იმინე მშვიდად, ჩემო სიცოცხლევ, შენს საყვარელ მამიკოსთან ერთად. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. შენს საფლავს ყოველთვის დაამშვენებს ლამაზი ყვავილები, წმინდა სანთლები და ჩვენი ცრემლები.

მარად შენზე მეოცნებე შენი მეუღლე

კაკო ნათობაიძის ოჯახის ხსოვნას!



ქართველ კაცს ავსტრალიათა ლექსიკონში ასეთი კომინათქამი აქვს: ოჯახი ამოვიწყდაო.

ვაი, ეს რა საზარელი რამ ყოფილა, ხალხო, უარესს რომ ვერ ნახავ ადამიანი.

ამოწყდა სიყვარულითა და ერთგულებით ნაშენები ოჯახი – მშობლები, შვილი და ორი წლის შვილიშვილი.

ოთხი ცხედარი, ოთხი დიდი ტკივილი და უბედურება ერთ ლამაზ ქართულ ოჯახში.

იმ უბედურ 4 ივლისს ერთად ვიმგზავრეთ შენი ძმის მანქანით, ჩემო ქეთი, ჩემო ერთგულო, გულუბრყვილო სკოლის მეგობარო. ახლობლის ნიშნობაზე მიმავალი ხალისობდი, კარგ სასიათზე იყავი, მაგრამ ვაი, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა შენი ოჯახის ბედნიერება – ხაშურის გზაზე მომხდარმა ავარიამ სულ ერთი წამიერად შეგვზარა...

კაკო გადარჩა, მაგრამ ნახა თუ არა რაც მოხდა, განა ქვა იყო, გაეძლო – გული გაუსკდა და ცოლ-შვილთან ერთად ირჩია ყოფნა ოჯახზე უსაზღვროდ მოამაგე კაცმა.

ქეთი, შენმა ლოგინს მიჯაჭვულმა დედამ დღესაც არ იცის, რომ აღარ ჰყავხარ. ვერც შენ დაგიტირა მშობელმა და ვერც შენ დაიტირე შენი საყვარელი ალიკო.

უფალო, ლამაზი და ნათელი იყოს ამ უიღბლო ოთხეულისთვის სამარადისო სასუფეველი.

შენი თანაკლასელი ლია მარკელოვა



ვეფხვისმუზეთი რამაზ ალანიას

ძნელია მასზე წარსულში ილაპარაკო. გასულ ხუთშაბათს რედაქციაში იყო. ოღონდ ჩვეულებრივისგან განსხვავებით, ცოტა ხანს იჯდა კომპიუტერთან... მიმდინარე ნომრის კროსვორდები დაგვიტოვა. მომავალ ნომერზე აღარ უმუშავია უწინდებურად... ძალა აღარ ეყო... ორშაბათს რედაქციაში დარეკეს – რამაზ ალანია აღარ არისო...

ბოლო დღეებამდე ებრძოდა მძიმე სენს. ჩვენ თვალწინ ილეოდა კაცი... ერთხელ არ დაუჩივლია.

საოცრად ერუდირებული იყო. ცოცხალ ენციკლოპედიას ვეძახდით. როცა რაიმე ახალ, ჩვენთვის უცნობ (თუნდაც ლექსიკონებში არარსებულს) ტერმინს ან განმარტებას ვკითხავდით, მაშინვე გვპასუხებდა. მეტი დამაჯერებლობისთვის კომპიუტერში მოძებნიდა სასურველ ფაილს (საკუთარი, მდიდარი არქივი ჰქონდა).

უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრაზე მუშაობდა. როგორც ფიზიკოსთა უმეტესობა, ისიც ნამდვილი ინტელექტუალი გახლდათ.

მასთან სრულიად უმნიშვნელო და ხანმოკლე ურთიერთობაც საკმარისი იყო, გეგრძნო, რომ იგი იყო იმ პიროვნული ღირსებისა და დახვეწილობის მატარებელი, ასე იშვიათად რომ შეხვდები დღეს და სიხარულით რომ ავსებს ადამიანს ამ პრაგმატულ და მკაცრ სამყაროში...

„ქვირის პალიტრაში“ მისი დაარსების დღიდანვე მუშაობდა. მისი შედევრული კროსვორდები იმით გამოირჩეოდა, რომ თითოეულ სიტყვას სწორედ მისთვის შესაფერი, ლაკონური განმარტებით გამოიცნობდი...

თავისი ერთადერთი, 12 წლის ვაჟასთვის მარკებს აგროვებდა. რედაქციაში ხომ უამრავი წერილი მოდის, საზღვარგარეთიდანაც ვიღებთ ბარათებს. როგორ გაიხარებდა, ახალ მარკას რომ მივუტანდით...

დღესაც, ახალი ფოსტის გადარჩევისას, ისევ ავარჩიეთ რამდენიმე ახალი მარკა და კონვერტში ფრთხილად ჩავდეთ...

რამაზ ალანია მართლა დაკლდება „ქვირის პალიტრას“, მის ჟურნალებს და მკითხველს, რომელიც ხშირად უგზავნიდა მას სამადლობელ წერილებს...

გვინდა მივუსამძიმროთ რამაზის დედას, ქალბატონ ვულიეტას, მის მეუღლეს, ვაჟიშვილს, ახლობლებსა და მეგობრებს. ამ უკანასკნელთა შორის კი „ქვირის პალიტრის“ მთელი კოლექტივი.

„ქვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლი



ჩემი სევდიანი გვირი

„ერთი ჭადარი კვლავ გაუხმა რუსთველის გამზირს“ – პოეტის ეს წამომძახილი ბოლო ხანებში ხშირად ხდება გასახსენებელი. მიდიან ხელისგულზე სატარებელი თბილისელები. ახლობლებთან, ნაცნობ-მეგობრებთან ერთად დასტირის, ჭირისუფლობს ყველა, ვისთვისაც თბილისი განუმეორებელი ლექსი და სიმღერაა, უფროსუმცროსობის, ქალისა და მამაკაცის ხაზგასმული ურთიერთპატივისცემით აღბეჭდილი დამოკიდებულებაა, გამოუთქმელი სევდაცაა, დაუნდობელი დროის მიერ გამოწვეული. მიდის დრო და გვაჩვევს თბილისისათვის მიუღებელ სიტყვებსა და ცნებებს, უსახური ყოფა, სიცარიელე, გულცივობა, გაუცხოება...

ამიტომაც და არა მხოლოდ პირადი ნაცნობობისა თუ ნათესაური კავშირის გამო იწვევს განსაკუთრებულ სამგლოვიარო განწყობილებას ყოველი ნაღდი თბილისელის წასვლა.

ამ დღეებში კიდევ ერთი ასეთი ჭადარი დავიტირეთ – ქართული ესტრადის ბერმუხა **ედუარდ სეფაშვილი** – ფართო საზოგადოებისათვის გამორჩეული მომღერალი და ინსტრუმენტალისტი. ვიწრო წრეში მის აღმზრდელობით მადლსა და უნარზეც საუბრობენ: რამდენი ახალგაზრდა დააკვალიანა, ვის აღარ ასწავლა ის, რაც მისთვის არავის უსწავლებია, რასაც ჯერ კიდევ ბავშობაში თავად მიაგნო.

ძალიან ადრე იგრძნო პოპულარობით გამოწვეული სიამე: ბავშვობაში – პირველბიჭობა სამეგობროში, უბანში, სიყმაწვილეში – მისი მრავალმხრივი ნიჭით, უზადო გარეგნობით, მამაკაცური შარმით მოხიბლული ქალაქის ყურადღება.


...და ისიც უკრავდა, მღეროდა, ხატავდა, უწყინრად ენაკვიმატობდა. არავინ სძულდა. უყვარდა ყველა და ყველაფერი და... ქეიფობდა. ქეიფობდა, თუმცა იყო ტრავმა სულიერიც, ფიზიკურიც. იყო დარდი, იყო სევდა გულში ჩამარხული.

იქნებ ამიტომ სულ სხვანაირად მღეროდა, კვნესოდა, კისკისებდა და, მგონი, ლაპარაკობდა კიდეც მისი გიტარა...

იქნებ ამიტომაც ბოჰემური ცხოვრებაგამოვლილის სახელით დატოვა გზაკვალარეული სამშობლო კაცმა, ვისი ცხოვრებაც გამართლებაა პოეტის სიტყვებისა: „ტირილი ყველას არ ძალუძს ქვეყნად და ზოგი სწორედ ამიტომ მღერის“.

ინესა ნასარიძე

ჩვენ გვნერვენ დედაჩემის სული მიფარავდა...



შემოვალ, სანამ ეგ ქალი მანდ არისო, მდგმურზე მეუბნებოდა. ბოლოს, ქირის წასაღებად რომ მივედი, მდგმური შინ არ დამხვდა. ლოდინით დაღლილს ტახტზე მიმძინებოდა. უცებ ხელის შეხება ვიგრძენი. თვალი გავახილე, დედაჩემის თბილი შალი მეფარა მხრებზე. თითქოს ნაბიჯების ხმაც მომესმა. დავინახე, დედა კარში გადიოდა. წამოვხტი, დავედევნე, მაგრამ ლანდი გაუჩინარდა.

მუდამ შევნატროდი მათ, ვის ოჯახებშიც მყუდროებაა, სადაც მშობლები შეხმატკბილებულად ზრდიან შვილებს, თანაბრად ინაწილებენ ჭირსა და ლხინს. ეს ბედნიერება მე არასოდეს მქონია. მამა ლოთობდა, წარამარა შეურაცხყოფდა დედას. მე და ჩემს დას, სანამ პატარები ვიყავით, თავისებურად მამა გვებრალებოდა, როცა წამოვიზარდეთ, მივხვდით, რომ ის ჩვენთვის დაკარგული იყო. დალევდა თუ არა, დაგვაწიოკებდა, გვემუქრებოდა, — დაგხოცავთო. გულგახეთქილები ხან სად ვიმალებოდით, ხან სად. დედა იძულებული გახდა, მამა მიეტოვებინა. ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ამიერიდან ჩვენთვის მეგობარიც ის იყო, ბებიაც, პაპაც, ნათესავიც. ორივე დამ ტექნიკური სასწავლებელი დავამთავრეთ და ქარხანაში მოვეწყვეთ. მალე ჩემი და გათხოვდა. ორი გოგონა შეეძინა. მაგრამ არც იმას შეხვედრია ხეირიანი ქმარი. საყვარელმა ბიჭი გაუჩინა და არის ასე ორ „ოჯახს“ შორის გამოკიდებული. ვერც ერთს ელევა, ვერც მეორეს. უფრო ხშირად ჩემს დას ამცირებს: — ძუკნები დაყარე, შენ რა ქალი ხარო...

ამ ამბავმა დედას მამაჩემისაგან მიყენებული ტკივილი დაავიწყა. სულ ცდილობდა, ჩემი დის ოჯახში სიტკბო და ურთიერთგაგება ყოფილიყო.

მერე მეც გამათხოვეს. თავიდან ყველაფერი თითქოს ნორმალურად მიდიოდა. ჯერ ბიჭი შემეძინა, მერე გოგონა. დედაჩემი თავს დაგვტრიალებდა, მეხმარებოდა ოჯახის ანყობაში. მაგრამ მალე წამართვა სიკვდილმა. ჩვენც ცხოვრება გაგვიჭირდა. სამუშაო არ გვქონდა.

ჩემი მეუღლე კერძო საქმეებში ჩაერთო. როგორღაც ორიოდ გროშს შოულობდა. მე დედისაგან მემკვიდრეობით ერთი ოთახი დამრჩა და ის გავაქირავე ავეჯიანად. მდგმური ლამაზი ქალი იყო. ქირასაც სინდისიერად მიხდიდა. მაგრამ მას მერე სული ამიფორიაქდა, რაც დედაჩემის აჩრდილმა დამიწყო დევნა სიზმარშიც და ცხადშიც. მისი ლანდი რამდენჯერმე შევნიშნე დერეფანში, შუბლშეკრული იყურებოდა. ერთხელ მესიზმრა, რომ კიბეზე იჯდა და ტიროდა. შემოდი, დედი, რა შორიდან იყურები-მეთქი. ვერ მაგრამ ლანდი გაუჩინარდა.

ორი წელი გავიდა მას მერე. ახლაც ვერ ვიხსენებ, შალი კარადიდან მე გამოვიღე, თუ... მალე ჩემი მდგმური სხვაგან გადავიდა. ჩემმა დამ მითხრა: — დედაჩემს ბებიასგან დანატოვარი 9 ოქროს ბეჭედი ჰქონდა ზარდახშაში, უნდოდა ჩვენთვის გაეყო, არ დაკარგოო. ვნახეთ — ზარდახშა ცარიელი იყო...

მეტი უბედურება თუ შემხვდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი: ახლა ჩემი ქმარი ამოვარდა კალაპოტიდან. სმა დაიწყო. მამაჩემზე უარეს ლოთად იქცა. საკმარისია ერთი ჭიქა დალიოს, რომ უშვერის პირით გვაგინებს მეც და შვილებსაც, დაგვდევს საცემად, გვემუქრება, — სათითაოდ გამოგჭრით ყელსო. ამ უბედურებაში ერთი ბეღურა შემოგვეჩვია. სულ თავზე დასჭიკჭიკებს ჩემს ვაჟს. ერთხელ ისე ახლოს დაუჯდა, რომ ბავშვმა ხელი გადაუსვა. არ გაფრენილა, გაიყურსა. ზამთარში რამდენჯერმე ფარდულში გავათიეთ ღამე, რომ მთვრალი ქმრისათვის შვილები გამერიდებინა. ეს ბეღურა დილით შემოასკდებოდა კედლებს, წიოდა, ჭყიოდა. ჩვენ მაშინ არაფრის თავი არ გვქონდა და ყურადღებას არ ვაქცევდით. ამას წინათ მამამ ბავშვები გარეთ გამოყარა. შინ არ ვიყავი. შევაღე თუ არა კარი, ახლა მე დამედევნა. როგორც იქნა, თავი დავაღწიე და ბავშვები მოვძებნე. გარეთ თავსხმა და ჭექა-ქუხილი იყო. ვეღარავისთან შევაფართ თავი. გალუმპულები შუაღამისას შევიპარეთ სახლში. დილით ადრე ვაპირებდით ადგომას, რომ ქმარს არ ვენახეთ. სულ ძილღვიძილში ვიყავი. ვხედავ, ლავგარდანზე (კარნიზზე) ზის დედაჩემი, მოწყენილი, გასაცოდავებული.

ქალო, ამ სიმძიმე მანდ როგორ ზიხარ, არ ჩამოვარდე-მეთქი. ეჰ, სადღა მაქვს წონაო, — მიპასუხა.

ხმაურზე გოგონას გამოეღვიძა და ვის ელაპარაკებიო, — მკითხა. გავახილე თვალი. ლავგარდანზე ის ბეღურა იჯდა. არ ინძრეოდა, დაღვრემილი აცეცებდა თვალებს...

ალბათ დედაჩემის სული თუ იყო...

შ-ჰ. ქარელი

სამსხვერპლო ბაზკანი



მართლაც სხვაგვარად მაღლიანი და იდუმალი ცხოველია ცხვარი და როცა უფლისადმი მადლიერების გამოხატვა სურთ, სწორედ ცხვარს სწირავენ. გარდაცვლილსაც ცხვარს „გააყოლებენ“ საიქიოს...

რაჟდენ სიმონიას ცხვართან დაკავშირებით შეემთხვა სწორედ უჩვეულო ამბავი.

რამდენიმე წლის წინ მის უფროს ვაჟს, დათოს ექიმებმა სიმსივნე დაუდგინეს.

— სასოწარკვეთილი ტყეში გავიქეცი, დავვარდი მუხლებზე, ხმით ავტირდი, მიწას ვახალე თავი და ზეცას შევლაღადე: — ოღონდ შვილის სიცოცხლე მაჩუქე, უფალო, და სიკვდილამდე შენს სამსახურში ვიქნები, ცხვარს კი ამ დღეებშივე ამოგიყვან შენს წმინდა სალოცავში-მეთქი, — ჰყვება ბატონი რაჟდენი, — წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი სოფლიდან შორს, მთაში გვაქვს. იგი მაშინ აუშენებია მალულად მორწმუნე ბერს, თედორეს, როცა უცნაური ამბავი ჩამოვიტანა მთიდან, — „ჩვენს სალოცავში შევედი და სამსხვერპლო ცხვარი დამხვდა, წევს ხატების წინ. ეტყობოდა, მშიერი იყო, ბალახი შევუტანე და რომ ჭამა, მოღონიერდა. ნეტავი, რომელმა ჭკუათმყოფელმა გაიმეტა სატანჯველად, რომ ცოცხლად დატოვა. ან შიმშილით მოკვდება და ან მგელი შეჭამსო!..

გულმა რაღაც მიაზრა, მეორე დღესვე ავვარდი მთაში და... მაშინვე ვიცანი — ჩემი ტარიგი იყო...

ისევ დავვარდი მუხლებზე და ღმერთს თაყვანი ვეცი. ცხვრის დაკვლა აღარც მიფიქრია, შემეშინდა.

1991 წელი იდგა მაშინ და მთელმა სოფელმა იცის, რომ ზუსტად შვიდი წელიწადი ვუვლიდი მას — ზამთარ-ზაფხულ ბალახს და თივას ვუმარაგებდი. იქვე წყაროც ჰქონდა. ძირითადად სულ ტაძარში იყო ხოლმე და ერთხელაც არ წაუბილწავს იქაურობა, როცა რამე შეაწუხებდა, ადამიანივით გარეთ გამოდიოდა... არც მგელი ეკარებოდა და არც დათვი.

7 წლის შემდეგ, 1998 წლის შემოდგომაზე, 23 ნოემბერს, ზუსტად გიორგობა დღეს, გაქრა და არც მკვდარი გვინახავს მას შემდეგ და არც ცოცხალი. მართლა სასწაულებრივი იყო მისი გაუჩინარება...

ჩემი შვილი, ღვთის წყალობით, კენჭივითაა, ფრჩხილიც აღარ წამოსტკივებია იმ ოპერაციის შემდეგ, ცოლიც შეირთო, შვილებიც ჰყავს და გრძელდება სიცოცხლე ჩვენს ოჯახში, რომლის ყოველი დღე უფლის დიდებით იწყება და მთავრდება!.

ინგა ჯაფელი

კომუნისტები ყველაფერს ანგრევდნენ...

მინდოდა, ცხვრის შეწირვა ოპერაციამდე მომესწრო. ვიყიდე კიდეც. ცხვარს ბოსელშიც არ ვაკადრე დაბმა, შინ შევიყვანე, ცარიელ ოთახში, საუკეთესო ბალახი დავუყარე...

ორიოდე დღეში უნდა წამეყვანა მთაში. ქალაქსა და სოფელს შორის ვიყავი გაბმული, დათო უკვე საავადმყოფოში იწვა, ოპერაციისთვის ამზადებდნენ...

საღოცავში ძმა და ბიძაშვილი მიმყვებოდნენ და დილაადრიან დავიჭირეთ წასვლის თადარიგი, მაგრამ ცხვრის გამოსაყვანად რომ მივედი, იმ ოთახის კარი ღია დამხვდა და შიგ აღარც ცხოველი იყო. მოვიძიეთ, მაგრამ კვალსაც ვერსად მივაგენით.

სხვა ცხვრის ყიდვა აღარ ესწრებოდა, ოპერაცია მეორე დღეს იყო დანიშნული და ჩატარდა კიდეც... დათო ოპერაციის შემდეგ სამი დღე უგონოდ იყო. განგებით, როცა ცნობიერება დაუბრუნდა, მე ვიყავი მის გვერდით და პირველი, რაც მითხრა, ეს იყო: — უფალმა მიიღო, მამი, შენი ძღვენი, ცხვარი მის ხელშია და ყველაფერი კარგადაა, მე დიდხანს ვიცოცხლებო.

იმავე საღამოს ექიმებმა გულწრფელად მოგვილოცეს, სიმსივნე არ აღმოჩნდა ავთვისებიანი. მალე დათო საავადმყოფოდანაც გამოწერეს.

დანაპირები არ მასვენებდა და ახალი ცხვრის ყიდვა გადავწყვიტე, მაგრამ მეზობელმა

„სამხალლო-სალაღო“ გეკრდის პასუხები

I. სპილო.

II. აბა, გამოიცანი:

1) — გ); 2) — გ); 3) — გ); 4) — ბ); 5) — ბ); 6) — ა); 7) — გ).

ხსოვნა



მამია ჭარბაძის მონატრება

გავიდა ერთი გრძელი ჯოჯოხეთური წელიწადი. ტკივილითა და გოდებით მოგვაახლოვდა 12 აგვისტო, შენი ამ წუთისოფლიდან წასვლის დღე. 72 დღე-ღამე სიცოცხლეს ებრძოდი, მაგრამ ტკივილები ისეთი გაუსაძლისი აღმოჩნდა, რომ ვერ გაუძელი.

შენ მხოლოდ 33 წელი იცოცხლე, დატოვე კვალი ნათელი, სახელი კაცურკაცურობისა. შენი ერთადერთი შვილი ნიკუშა უკვე სამი წლისაა, ხშირად გახსენებს, – მამია მამა სად არისო?! ენატრები, რადგან ბავშვს მამის სიყვარული აკლია, შენი სითბო აკლია საცოდავ დედაშენს, რომელიც განსაკუთრებულად გიყვარდა. დატოვე გაუბედურებული მშობლები.

მაჭირს უმენობა – არადა, როგორ ალამაზებდი ჩემს ცხოვრებას, მხოლოდ ერთად გატარებული ნათელი დღეების მოგონებაღა მასულდგმულებს.

22 აგვისტოს, შენს დაბადების დღეს უშენოდ შევხვდებით, მამია, შენს საფლავს წმინდა სანთლები, ყვავილები და ჩვენი ცრემლები დაგისველებს.

ღმერთს ნათელში გამყოფოს, მე კი მუდამ ვილოცებ შენი სულისათვის.

ლოცვითა შევთხოვთ: უფალო, აცხოვნე მამია უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მეუღლე ირინა

ლალი ჩოხელას!



ჩვენო საყვარელო ლალი! 17 აგვისტოს ნახევარი საუკუნის შესრულება უნდა მოგველოცა შენთვის. მუხლალა წუთისოფელი, ალარ გვაცალა.

ამბობენ, ღმერთსაც კარგი უნდაო. იქნებ შენი დღეგრძელი სამყოფელი მართლაც კარგია, მაგრამ ჩვენთან არა ხარ, გვენატრები.

სევდითა და სიყვარულით ვიგონებთ შენს ბავშვობას, ახალგაზრდობას, შენს ლამაზ, უბადლო ღიმილს.

ახლა შენს მშობლებთან და საყვარელ პაპა-ბებიასთან ხარ. ილოცე შენი საყვარელი ზაზასა და მისი შვილებისათვის.

უსაზღვროა ჩვენი დარდი და წუხილი.

ერთი რამ გვაიმედებს – მამიები მალე გინახულებთ, კვლავ ერთად მოვყრით თავს.


ნათელში გამყოფოს ღმერთმა!

მსუბუქი იყოს შენს სამარეზე მშობლიური მიწა!

შენი ძმა და მამიები

თამაზ თათულაშვილის მონატრება

ვაჟკაცი, რომელიც დაკლდა სოფელს!



თაზო, ჩემო საყვარელო ძმაო, ორმოცი დღე გაშორებს სიცოცხლესთან, რომელიც არაკაცების ხელით წაგერთვა. ერთი დღე-ღამე იბრძოდი შენი ბობოქარი, ალალი, სპეტაკი, ბავშვივით სუფთა, პატიოსანი, გულუბრყვილო და სიკეთით სავსე გულით.

თამაზ, რა ულმობელი ყოფილა სიკვდილი, რომელიც არამანდილოსნების გაჩენილმა არაკაცების ხელმა მოგვიტანა... ვერც შენმა ძალიან კეთილმა, ღვთის მორწმუნე გულმა გიშველა.

გაუსაძლისია ტკივილი ორ შვილმკვდარი დედისა, რომელიც დილა-საღამოს სიკვდილს ნატრობს. მტანჯველია ტკივილი, მონატრება, შენზე მოგონებები სასოწარკვეთილი და-ძმისა, რომელთაც ძალიან აკლიათ თავისი ბუმბერაზი, კეთილი, მოსიყვარულე ძმა.

შენ ხომ სიცოცხლეს შეხაროდი, მრავალი სამომავლო გეგმა გაჩენდა და ყველაფერი ერთმა წამმა, ბოროტი, ულმობელი არაკაცების ხელმა წაიღო.

მწარეა ობლობის ხვედრი შენი შვილებისთვის, საყვარელი ბიძის მონატრება ძმისშვილებისთვის, რომლებმაც ცხარე ცრემლებით დაგიტირეს.

კაცურად იცოცხლე, იცხოვრე შენი 46 წლის მანძილზე. ყველას შეაყვარე თავი და ამიტომაც გულით, ალალი ცრემლით დაგიტირა სოფელმა, რომლის ნახევარიც ძაძით შეიმოსა, რათა პატივი ამით მაინც მიაგონ შენს სპეტაკ სულს, რადგან სხვა უკვე აღარაფერი შეუძლიათ.

შენს გამწარებულ დას, მინდა მჯეროდეს, რომ დღეს სადაც ხარ, ყველგან ნათელი უფლისა თან გდევს.

დაე, უფალი გაგიძღვეს იმ შეუცნობელ სამყაროში, ხოლო შენი ტანჯვით და ტკივილით დამტვრეულ დევკაცის სხეულს მალამოდ ჩემი მწარე ცრემლი დაედოს.

იმედს ვიტოვებ, რომ ღმერთი ყველას თავისას მიუზღავს.

ნარგიზა

თაზო, 40 ტკივილიანი დღე გავიდა უკვე, რაც შენ ჩვენგან წახვედი. დაგვიტოვე დიდი ტკივილი და სევდა. 2 წელიწადში 2 ძმის სიკვდილი ძალიან ძნელი გადასატანია უბედური დედისა და ახლობლებისთვის.

თაზო, შენი და მალხაზის სახელს დავიწყება არ უწერია, ვიდრე ჩვენ ცოცხლები ვიქნებით.

შენი დეიდაშვილი ნათია პაპიაშვილი ოჯახით

გულჩინა გვარამაძის გახსენება



„ერთადერთი, რითაც უდროო სიკვდილი ავკილდოებს ადამიანს – მარადიული ახალგაზრდობაა“ – ეს შენი საყვარელი სტრიქონებია, გულჩო.

აკი გარგუნა კიდეც ღმერთმა მარადიული ახალგაზრდობა. 26 წლისა წაგვართვა შენი თავი მოურჩენელმა სენმა. ასეთი ახალგაზრდა და ლამაზი ემახსოვრები ყველას, ვინც გიცნობდა, ვისაც ძალიან უყვარდი.

გულმოკლული დაჰქვითინებს დედა შენს საფლავს, გიორგი კი სანთელს გინთებს, ღმერთს ევედრება, ნათელში უმყოფოს დედაკოს სული.

გაუსაძლისია ყოველი დღე უშენოდ. ზოგჯერ არც კი გვჯერა, რომ აღარ მოხვალ, აღარ გაგეიმებ. შენ ხომ ძალიან გიხდებოდა ღიმილი.

20 აგვისტო შენი დაბადების დღეა. ცათა სასუფეველში გილოცავთ ამ დღეს და ღმერთს ევედრებით, ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

შორენა

ნატო ჯავახიშვილის მონატრება



ნატო! – შენ გენაცვალოს შენი ბაბო. ჩემო საყვარელო შვილიშვილო, 17 აგვისტოს 21 წლისა ხდები. გილოცავ დაბადების დღეს. შენ ხომ ჩემთან, სოფელში გიყვარდა დაბადების დღის აღნიშვნა. ახლა კი საცოდავი დედაშენი გულდამწყვარი, თვალცრემლიანი, საფლავზე გიხდის უკვე მესამე დაბადების დღეს.

ჩემო საყვარელო ნატო! – როგორ მენატრები, შვილო და როგორ მტკივა გული, რომ არ დაგცალდა სტუდენტობა და გულის მოსაკლავად დაგვიტოვე სტუდბილეთი.

ბაბო გენაცვალოს, ისევ გელოდები, გზას გამოვცქერი, მაგრამ – სადა ხარ შვილო?

სიზმარში მგონია თავი, ისე მოულოდნელად წახვედი ჩვენგან.

უფალს ვეხვეწები, ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული, ჩემი დანთებული სანთლები კი გზას გინათებდეს ცათა სასუფეველში, ჩემო ნატო.

შენგან დათუთქული ბაბო ოლა

გუგული კუჭუხიძე ნიკოლეიშვილის გახსენება



ჩვენო ბერფასო, საყვარელო დამანო, 40 დღე გავიდა უშენოდ... 40 მძიმე, ცრემლიანი დღე. ვერარ გვეხმიანი, ვერარ გვარიგებ, ვერარ გვასწავლი და გვესაყვარულები. შვილზე შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები მუდამ თავს დაგტრიალებდით, გეყვარებოდით... უცებ გამოგვეცალე, ობლად დაგვტოვე... არა მარტო ოჯახის წევრებისა და ნათესაობის, ყველა ახლობლისთვის სამყარო და ხელისგამმართავი იყავი. შრომაში ჩალიე სიცოცხლე, ჩვენც შეგვყევარე შრომა და ქცევა. ღმერთმა გაცხონოს, ღმერთმა გილხინოს, ჩვენო ბერფასო და დაუვიწყარო...

შენი ოჯახი

მერაბ ფალავას!

წარმოუდგენელი იყო შენი გარდაცვალება, დაუჯერებელია, რომ აღარ დაბრუნდე შენს საყვარელ ეზო-კარმიდამოში.

ყველას უყვარხარ. განწირულად წარდექ უფლის წინაშე, ისევაც გულმართალი ადამიანი.

ობლობაში გაიზარდე, შეიქმენი ბედნიერი ოჯახი და უკეთეს მომავალზე რომ ვფიქრობდით, მაშინ დავიღუპეთ შენი გარდაცვალებით.

17 აგვისტოს, უშენოდ მოსულ პირველ დაბადების დღეს გილოცავთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ოჯახი

ზაზა საჯაიას გახსენება



ზაზა, მორე დაბადების დღეს ვხვდებით 16 აგვისტოს უშენოდ.

მძიმე ჯვარი დაწვა შენს ოჯახს სატკივრებლად და ამ ჯვარს სახელად უშენოდ გატარებული ყველა დღე ჰქვია. უზომოდ ენატრები დედას, დას, მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს. ვერაფერი გაქრობს იმ დარდსა და ტკივილს, რომელიც შენი წასვლის დღიდან დაუტოვე შენს ოჯახს.

უფალს შეეხვეწე შენი ოჯახის გაძლიერებას, მუდამ იხაროს შენს საფლავზე იამ და ვარდმა. დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და შენი სულის საოხად დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

შენი სული უკვდავია, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი და დიდი საჯაია

ძალლის შვილობილი

რამდენიმე კვირის წინ ციმბირის ერთ-ერთ რაიონში იპოვეს 7 წლის ბიჭუნა, რომელსაც 3 თვის ასაკიდან ძაღლი ზრდიდა. ბიჭი თავშესაფარში მიიყვანეს. თავიდან მას არ სურდა ადამიანებთან ურთიერთობა, იქცეოდა ისე, როგორც ძაღლები იქცევიან: დადიოდა ოთხზე, იკბინებოდა, მიწოდებულ საკვებს ჯერ ყნოსავდა, მერე მიირთმევდა. როგორც ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, დედამ ანდრეი სამი თვისა მიატოვა. მამა ლოთობდა, შემდეგ უგზო-უკვლოდ გადაიკარგა.

სახლი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, უკაცურ ადგილას იდგა. ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელსაც შეეძლო ბავშვზე ზრუნვა, ძაღლი აღმოჩნდა.

უახლოეს ხანებში ექიმები გამოიკვლევენ ანდრეის და განსაზღვრავენ, შეძლებს თუ არა სწავლას. დადებითი პასუხის შემთხვევაში — ჩვეულებრივ ბავშვთა სახლში გააგზავნიან, თუ არადა — სპეციალიზებულ ინტერნატში. თავშესაფრის თანამშრომელთა თქმით, ამჟამად ანდრეიმ დაიწყო ადამიანური სიარული და აღარ ეშინია ხალხისა. ბავშვმა ჯერჯერობით არ იცის ლაპარაკი და აღმზრდელები ჟესტებით „ელაპარაკებიან“. მას უკვე ასწავლეს ლოგინის გასწორება, კოვზით ჭამა და ბურთით თამაში. სხვა ბავშვები ჯერჯერობით გაურბიან ანდრეის, „ველურს“ ეძახიან. ბიჭი მხოლოდ ერთ გოგონას დაუმეგობრდა, რომელსაც ჟესტებით „ესაუბრება“. როგორც აღმზრდელები ამბობენ, ბავშვი თანდათან მშვიდდება და ნაკლებად ამჟღავნებს აგრესიას გარშემომყოფებისადმი.

მეგაპოლის-ექსპრესი

წინ, მარსისკენ... მარწყვით

ინგლისელმა ფერმერმა ნასა-სგან (ნაციონალური აეროკოსმოსური სააგენტო) მეტად საპატიო დავალება მიიღო — მან უნდა გამოიყვანოს მარწყვის ჯიში, რომლის მოშენება შესაძლებელი იქნება პირდაპირ ორბიტულ სადგურზე. დავალება არც ისე იოლია, მაგრამ ფერმერს დრო საკმაოდ აქვს — ამერიკელებს კოსმოსში მარწყვით პირის ჩაგემრიელება 2020 წლისთვის აქვთ დაგეგმილი.

ასტრონავტები მარწყვს პლანეტა მარსისკენ მიმავალ გზაზე იგემებენ. ამიტომ ფერმერმა ისეთი ჯიში უნდა გამოიყვანოს, რომელიც უწონობაში დიდხანს გაძლებს. რატომ მაინცდამაინც ინგლისური მარწყვიო, იკითხავთ. იმიტომ, რომ კალიფორნიული ან ფლორიდული მეტად ნაზია და მალე ფუჭდება.

ეხო პლანეტი №27



მთავარი გერმანელი ჰიტლერია

ამერიკელმა სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ აშშ-ში ყველაზე ცნობილი გერმანელი არის ადოლფ ჰიტლერი. მის შესახებ იცის ქვეყნის მოსახლეობის 34%-მა.

ფიურერს ფეხდაფეხ მიჰყვება გერმანიის კანცლერი, გერჰარდ შრედერი, რომლის სახელი იცის გამოკითხულთა 18%-მა. ხოლო ამერიკელთა 32% დარწმუნებულია, რომ ყველა გერმანელი ფაშისტია.

სანი

საკუთარი სახელი გირაოდ!

ინდიელთა კვაკტულის ტომს (კანადა) დღემდე აქვს შემორჩენილი ერთი ჩვეულება: ის, ვინც ფულს სესხულობს, გირაოდ საკუთარ სახელს ტოვებს — მანამდე, სანამ ვალს არ დააბრუნებს, უსახელოდ დადის. დაძახებისას თანატომელები გაურკვეველი ბგერებით ან ხელების მოძრაობით იხმობენ.

საინტერესოა, ეს ჩვეულება რომ მთელ მსოფლიოში გავრცელებულიყო, რამდენი ადამიანი დარჩებოდა უსახელოდ?!

მირორი

ძირს „მშვიდობის მტრედი“!



ქალაქ მაინის ფრანკფურტის ხელისუფლებამ ბრძოლა გამოუცხადა მტრედებს, რომელთაგან წაბილწული შენობების გარემონტებაზე მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად უამრავ ხარჯს იღებს.

ქალაქის ცენტრში სისტემატურად პატრულირებენ პოლიციის მუშაკები, რომელთა მოვალეობაა იმ მოქალაქეებისა და ტურისტების „გაუვნებლება“, რომლებიც მოედნებზე მტრედებს აპურებენ. ამიერიდან მათ ჯარიმა ელოდებათ — თავდაპირველად, 100 ევრო და გაფრთხილება, განმეორებითი დარღვევისთვის კი, 500 ან მეტი ევრო.

მაქსიმალური ჯარიმის პირველი კანდიდატი „მტრედების პროფესიონალი დამპურებელი“, ჰესენელი პენსიონერი შეიქნა — მას ავტომანქანით კილოგრამობით საკენკი ჩამოჰქონდა მტრედებისთვის.

„მტრედი მშვიდობის ფრინველია!“ — აუხსნა მისგან თავმობეზრებულ პატრულს პენსიონერმა, ეტყობა, მას კარგად ახსოვს პიკასოს „მტრედი“.

პოლიციაში ამ ფრინველებს უფრო პროზაული სახელებით ამკობენ: მაგ. „მფრინავი ვირთხები“ და ა. შ. ახლა „პაციფისტმა“ პენსიონერმა 5 ათასი ევრო უნდა გადაიხადოს.


ვოკრუგ სვეტა №28

პირველი სიტყვის ასაკი

ფრანგმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ თანამედროვე ადამიანის წინაპარმა პირველი სიტყვები წარმოთქვა 300 ათასი წლის წინ და არა 100-150 ათასი წლის წინ, როგორც ადრე ფიქრობდნენ.

ცნობილია, რომ ბავშვი ლაპარაკს იწყებს და ირგვლივმყოფებს ჰბაძავს, მაგრამ მეცნიერებს დღემდე ვერ გაუციათ პასუხი კითხვაზე: როდის ფორმირდება აქტიურად ტვინის ზონა, რომელიც პასუხისმგებელია ლაპარაკზე — დაბადებამდე თუ შემდეგ. მხოლოდ ერთი რამაა ცნობილი, რომ ადამიანს არა აქვს თანდაყოლილი მონაცემები სალაპარაკო ენისადმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი მიწიერ ბავშვს უცხოპლანეტელი იშვილებს, ის ძალდაუტანებლად ისწავლის ურთიერთობას მათ ენაზე.

ორაკული №8



მოსამართლე... იკბინება

თემიდა მოსამართლეებსა და ნაფიც მსაჯულებს კორექტულობასა და სამართლიანობას სთხოვს, მაგრამ ისინიც ხომ ადამიანები არიან და პირდაპირ სასამართლო პროცესზე „აიშვებენ ხოლმე თავს“.

მოსამართლეთა უმეტესობა თავშეკავებული ხალხია, მაგრამ მტრისას, თუ განრისხდნენ. მაგალითად, სან-ფრანცისკოელმა მოსამართლემ დენ ირვინგმა ბრალდებულის დაცინვას რომ ვერ გაუძლო, ცხვირზე უკბინა. პოლიციის აქტში ჩაწერეს — „ბრალდებულის გამოხდომების პასუხად მოსამართლე წამოხტა, მანტია შემოიგლიჯა და კონფრონტაციაში ჩაება. შედეგად, ბრალდებულმა ცხვირის დაზიანება მიიღო“. სხვათა შორის, იმ პროცესზე ბრალდებული დამნაშავედ აღიარეს თუ არა, მან მაშინვე უჩივლა მოსამართლეს ფიზიკური ზიანის მიყენებისთვის. მოსამართლე ირვინგს ჯარიმა გადაახდევინეს და დროებით ჩამოაშორეს სასამართლოს.

კანადელმა მოსამართლემ მეთიუ ბერნარმა კი სასამართლო პროცესზე შავი დღე აყარა დაზარალებულს, რომელიც ორმა მოზარდმა გაქურდა. „მხოლოდ კრეტინს შეუძლია ღამით სახიფათო რაიონში სეირნობა ფულით ხელში. მეც სიამოვნებით გაგძარცვავდი!“ — განუცხადა პირდაღებულ დაზარალებულს მოსამართლემ.

კენტუკელმა ნაფიცმა მსაჯულებმა კი რომ ვეღარ გადაწყვიტეს, ეცნოთ თუ არა მსჯავრდებული დამნაშავედ, მონეტა ააგდეს. საბრალოს არ გაუმართლა — მონეტამ გადაწყვიტა, დამნაშავეაო და... სამუდამო პატიმრობაც მიუსაჯეს. ნაფიცი მსაჯულების „მუშაობის“ ამბავი გაიგეს სადაც ჯერ არს და განაჩენს გადახედავენ.

ოკნა №29

დედიკო... დედიკომ... დედიკოსი...

ბრიტანელი მკვლევარების მტკიცებით, მათ მამაკაცი ლიდერის საიდუმლოს გასაღებს მიაგნეს. მათი აზრით, ნიჭიერი ხელმძღვანელები, დიქტატორები და პრეზიდენტები უპირატესად დედიკოს ბიჭები არიან — ისინი, ვინც დედის კალთას იყო გამობმული. დედმამიანი ლიდერები კი თურმე ხშირად უუნარონი და უიღბლონი არიან.

ამას ისტორიული მაგალითებიც ადასტურებს — მაგალითად, ადოლფ ჰიტლერს მუდამ თან დაჰქონდა დედის ფოტო. ლენინი, პროლეტარიატის დიდი ბელადი, ამტკიცებდა, რომ დედის გავლენით გახდა რევოლუციონერი. მაჰათმა განდი კი, უსისხლო რევოლუციის ავტორი, დედას ემადლიერებოდა, რომ სწორ გზაზე დააყენა.

ოგონიოკი

სახალისო რეკორდები



...ინდოელი გლეხი გუჯარ ქჰატანი რეკორდსმენი გახდა. მან მსოფლიოს გაკვირვება გრძელი ულვაშებით გადაწყვიტა და 26 წლის განმავლობაში მიზანსაც მიაღწია: მისი ულვაში 4,1 მ აღწევს და გინესის რეკორდების წიგნში საპატიო ადგილის დაკავების პრეტენდენტია. „ჩვენს სოფელში ულვაში მამაკაცური ღირსების დასტურია, — უთხრა ჟურნალისტებს გუჯარმა, — დიდი დრო ჩემს ულვაშებზე არასოდეს დამიხარჯავს — მხოლოდ დილაობით შევიზელ ხოლმე ზეთს. ეს არის და ეს“.

60 წლის პოტენციური რეკორდსმენი სხვა „სიმდიდრის“ პატრონიცაა — ჰყავს ორი ცოლი, ცამეტი ვაჟი და ერთი ქალიშვილი — ესეც რეკორდია. თანასოფლელები გუჯარს დიდი პატივით ეპყრობიან და საოჯახო წვეულებებზე სასურველ სტუმრად მიაჩნიათ.


...კიდევ ერთ რეკორდსმენს გაგაცნობთ. ვიეტნამის სამხრეთით ერთი პატარა სოფელია. აქ ცხოვრობს კაცი, რომელიც ვიეტნამელების ეროვნული სიამაყეა — 67 წლის სახალხო მკურნალს, ჩან ვან ჰაის უგრძესი თმა აქვს. უკანასკნელად თმა 1973 წელს შეიჭრა. ახლა მისი თმის სიგრძე 6, 2 მ-ს აღწევს. სახალხო მკურნალს ამან დაუმკვიდრა ადგილი უჩვეულო რეკორდების წიგნში, რომელიც ახლახან გამოიცა ვიეტნამში. დიდების გემო რომ გაიგო, ჰაი ახალი მიღწევებისთვის ემზადება — გინესის რეკორდების წიგნში სურს მოხვედრა.

რიუზუიკი

ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო ბროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



შენიშვნები წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში მომღერალ ლიზა ბაბრატიონის სიტყვებს ამოიკითხავთ.



გ. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; **ა.** ცელქი, მოუსვენარი; **ე.** რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **დ.** ფულის ერთეული საბერძნეთში; **ა.** ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა ზღვის ტალღების ზემოქმედებით; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **ი.** სუფთა გამარჯვება ძიუდოში; **ს.** ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი; **ვ.** ბოლოში ორად გაყოფილი წვრილი აღამი, რომელსაც სამხედრო გემებზე აღმართავენ; **ე.** რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ნ.** მდინარე ეგვიპტეში; **ე.** განსწავლული ადამიანი; **ჩ.** რა ჰქვია დესერტს ქართულად; **ვ.** ბალტიისპირელი მომღერალი ქალი; **ე.** რუსი მწერალი, სახელგანთქმული „კუზიანი კვიცის“ ავტორი; **ნ.** ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი; **თ.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ა.** ოთახში ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლის სხივი; **ნ.** ქარის მიერ ერთ ადგილზე მიყრილი თოვლი; **ე.** გუთნის ძველი ქართული სახელწოდება; **რ.** ამ მდინარეს ბერძნები ფაზისს ეძახდნენ; **თ.** სპილენძის წვრილყელიანი ჭურჭელი წყლისათვის; **ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
პ. პიონერი; **რ.** რემარკი; **ე.** ელიოზი; **ს.** სოჭი; **ა.** ავიცენა; **ს.** სირიუსი; **ლ.** ლუიდორი; **ი.** იმამი; **დ.** დოგმა; **ე.** ეტალონი; **რ.** რანგუნი; **ო.** ოსკარი; **ბ.** ბავარია; **ს.** სმეტანა; **კ.** კეთრი; **ვ.** ვიერი; **ი.** ისთვუდი; **რ.** რეალი; **ი.** იაგუარი; **ს.** სირტაკი; **პ.** პლეადა; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლიონიდე; **ი.** იური; **ტ.** ტყემალი; **რ.** რაბინი; **ა.** ასინეთა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: ოში ჭირია, განკვეთეთ აბრესორები.

კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს უსლოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:



16 აგვისტო

გიორგი პირველი (998 ან 1002-1027) საქართველოს მეფე; **ზაქარია ფალიაშვილი**, კომპოზიტორი; **პიერ რიშარი**, მსახიობი; **ჯეიმს კემერონი**, რეჟისორი; **მადონა**, მომღერალი, მსახიობი.

17 აგვისტო

შონ პენი, მსახიობი; **მუსლიმ მაგომაევი**, მომღერალი; **რობერტ დე ნირო**, მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი; **ოლეგ ტაბაკოვი**, მსახიობი და რეჟისორი.

18 აგვისტო

ნოდარ ჩხეიძე, საქართველოს სახალხო არტისტი; **ანტონიო სალიერი**, კომპოზიტორი; **რომან პოლანსკი**, რეჟისორი; **კაროლ ბუკე**, მსახიობი; **ნატალია ვეტლიცკაია**, მომღერალი; **რობერტ რედფორდი**, მსახიობი; **კრისტიან სლეიტერი**, მსახიობი; **პატრიკ სუეიზი**, მსახიობი.

19 აგვისტო

ვახუშტი ბაგრატიონი, ქართველი მეცნიერი, გეოგრაფი; **ბილ კლინთონი**, აშშ-ის 42-ე პრეზიდენტი; **ნანი მორეტი**, რეჟისორი, მსახიობი; **კოკო შანელი**, მოდელიერი; **მეთიუ პერი**, მსახიობი; **იან გილანი**, ჯგუფი DEEP PARPLE-ს მუსიკოსი, სოლისტი.

20 აგვისტო

რაჯივ განდი, პოლიტიკური მოღვაწე; **სლობოდან მილოშევიჩი**, პოლიტიკოსი.

22 აგვისტო

მარიამ ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი, აკადემიკოსი; **რეი ბრედბერი**, მწერალი-ფანტასტი, სცენარისტი.

სიტყვათა კონა

კოტრი (ძვ.) — ვალის გადახდის უნარდაკარგული.
კოტრანა — ნიგვზითა და ძმრით შეზავებული კომბოსტო.
კოტრილი — პატარა გობი, ვარცლი.
კოფთა (რუს.) — ქალის წელსზევით ჩასაცმელი.
კოფო — ურმის, მარხილისა და მისთ. ჭალებზე გარდიგარდმო ჩამოცმული ფიცარი. 2. ეტლში — მეეტლის შემაღლებული დასაჯდომი ადგილი.
კოფრჩხილია — ორწლოვანი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა: ნორჩს ხმარობენ მხლად და მწნილად.
კოქსი (გერმ.) — მყარი სათბობი, რომელსაც იღებენ ქვანახშირის ან ტორფის უჰაეროდ გახურებით.
კოლოპურტი (ძვ.) — მიცვალებულის ბოლო ნაცვამი ტანისამოსი (დასაფლავების შემდეგ მღვდელს მიჰქონდა).
კოში — 1. ხის ან გოგრის ჭურჭელი თასივით. 2. კონუსის ფორმის თევზის საჭერი დაწნული კალათი.
კოშტი — გამკვრივებული, გამაგრებული გუნდა ან ნაჭერი (სანთლისა, გამდნარი ქონისა).
კოწმახი — მეტად მჟავე.
კოწახური — ეკლიანი ბუჩქი, ისხამს მჟავე ნაყოფს, რომელიც იჭმება.
კოწიანი — 1. წრიალი, ტრიალი. 2. უწესოდ ჭიდაობა, გაწევ-გამოწევა, ბღლარძუნი.
კოწიწი — გატეხილი ჭურჭლის დასაწებებელი ნივთიერება (რძეში გახსნილი კირი ან კვერცხის ცილა, რომელსაც ბამბა ან კანაფის ძენძი ურევია).

რისთვის ისჯება არაკომპაქტურად დასახლებული მოსახლეობა

— მარტვილის რაიონის სოფლების სკოლებში 1, 2, 3, 4 კლასებს ერთობლივი გაკვეთილები უტარდებათ. რა ჰქვია სწავლების ამ ფორმას? რისთვის ისჯება არაკომპაქტურად დასახლებული სოფლის მოსახლეობა?

ერთგული მკითხველი

კითხვაზე უპასუხებს **ლევან გახელაშვილი**, განათლების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

— საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში — რაჭის, ფშავ-ხევსურეთისა და სამეგრელოს მთიან ზონაში მოსახლეობა მეჩხრადაა დასახლებული და, შესაბამისად, მოსწავლეთა მცირე კონტინგენტია. სამწუხაროდ, დაუფინანსებლობის, მასწავლებელთა შტატების სიმცირისა და სხვა მიზეზთა გამო, სწავლების ასეთი ფორმა ზოგიერთ სოფელში დღემდე არ სებობს.

როდის დაიწყებენ მუშაობას საბავშვო ბაღები?

— ვრცელდება თუ არა საბავშვო ბაგა-ბაღებზე სწავლის გადატანის ვადები?

ნინო ხომერიკი



კითხვაზე უპასუხებს განათლების სამინისტროს პრესცენტრი.

— ეს საკითხი მშობლებთან შეთანხმებით საბავშვო ბაგა-ბაღების ხელმძღვანელების გადაწყვეტია. შესაბამისად, განათლების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სწავლის გადატანასთან დაკავშირებით მათზე არ ვრცელდება. ჩვენ ბაგა-ბაღებს სამუშაო გრაფიკს არ ვუდგენთ, თუმცა ცვლილებების შესახებ მათგან ინფორმაციას რეგულარულად ვიღებთ. ამდენად, მშობლებმა და საბავშვო ბაგა-ბაღების ხელმძღვანელებმა თავად გადაწყვიტონ, როდის დაიწყებენ მუშაობას.

«პატარა კაცებთან საქმის დაჭერას არ ვაპირებ»

— ქალაქში ხმა დაირხა, რომ ტელეკომპანია „მზის“ ეთერში კახა ბენდუქიძისგან შეურაცხყოფილმა ლევან გაჩეჩილაძემ, გადაცემის დასრულების შემდეგ, ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროში სახალხოდ ბოდიშის მოხდა მოსთხოვა მინისტრს. იმასაც ამბობენ, რომ ვიზიტს შეხლა-შემოხლა მოჰყვა. მართალია, თუ არა ეს და რას აპირებს პარლამენტარი?

თინა სიხარულიძე



კითხვაზე უპასუხებს ლევან გაჩეჩილაძე, პარლამენტის წევრი

— ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. არც კი მქონია სურვილი, მივსულიყავი სამინისტროში და ბოდიშის მოხდა მომეთხოვა ბენდუქიძისთვის. თუმც, საბოდიშო მას ნამდვილად აქვს — ზნეობრივი ნორმების დარღვევისთვის მან მოსახლეობას უნდა მოუხადოს ბოდიში. ამ გამოხდომით დამცირებული მე კი არა, თავად კახა ბენდუქიძეა. მე კი „პატარა კაცებთან“ საქმის დაჭერას არ ვაპირებ...

ფობია თუ ყოველდღიურობა...

— თქვენი თხოვნით, ვაგრძელებთ ფობიების ჩამოთვლას:

სციოფობია — ჩრდილების შიში
სკოლეცოფობია — ჭიების შიში
სკოტომაფობია — დაბრმავების შიში
სკრიპტოფობია — მთვარის შიში
საიდეროფობია — ვარსკვლავების შიში
სინგენოსოფობია — ნათესავების შიში
ტაქოფობია — სისწრაფის შიში
ტეფეფობია — ცოცხლად დამარხვის შიში
ტესტოფობია — გამოცდების ჩატარების შიში
ფალაკოროფობია — გამელოტების შიში
ფილემაფობია — კოცნის შიში
ფილოფობია — სიყვარულის შიში
ფობოფობია — შიშის შიში

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პოლიციას პოლონელი გულშემატკივრები აეროპორტში არ გაუცილებია

— 12 აგვისტოს საქართველოს ეროვნულ სტადიონზე პოლონეთის „ლეგიის“ გულშემატკივართა უხამსმა საქციელმა აღმაშფოთა. ჩვენი მოქალაქეები რომ ასე მოქცეულიყვნენ საზღვარგარეთ, პოლიცია უმალ დააკავებდა მათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის. როგორც გავიგე, უცხოელი წესრიგის დამრღვევები არამცთუ დაუკავებიათ, ერთ საათში კორტეჟის თანხლებითაც კი გაუცილებიათ.

გიორგი ხოშტარია



კითხვაზე უპასუხებს ირაკლი ფირცხალავა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის უფროსი.

— უდავოდ, პოლონეთის „ლეგიის“ გულშემატკივრები უხამსად მოიქცნენ, რამაც ქართველი გულშემატკივრების პროვოცირება გამოიწვია — შეიქმნა უკონტროლო სიტუაცია. ნაწილობრივ ეს იმის ბრალიც არის, რომ მატჩზე დასწრება უფასო იყო. პოლონელი და ზოგიერთი ქართველი გულშემატკივარი ნასვამი მივიდა სტადიონზე (სხვათა შორის, საზღვარგარეთ ასე არ ხდება). პოლიციას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის არც უცხოელი და არც ქართველი გულშემატკივარი არ დაუკავებია, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დაძაბული სიტუაცია შეიქმნა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ შეტაკება არ მომხდარიყო. სამწუხაროდ, მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ დროულად ვერ დავაფიქსირეთ ის პირები, რომლებმაც ინციდენტის პროვოცირება მოახდინეს. მოგვიანებით, შეხლა-შემოხლის აღკვეთის შემდეგ, ჩვენ ფოტოკორესპონდენტის გადაღებული კადრებით დავადგინეთ ინციდენტის გამომწვევი მიზეზები.

პოლონეთის „ლეგიის“ გულშემატკივრების დაკავების ბრძანება არც მიგვიღია. თუმცა, არც გაგვიცილებია აეროპორტში.

P.S. იქნებ მომავალში საქართველოს პოლიციამ მეტი გულისყური გამოიჩინოს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი დასწრება ეროვნულ სტადიონზე მიმდინარე მატჩებზე კულტურულ-მასობრივ შინაარსს შეიძენს. ხოლო გულშემატკივართა დაშლის საქმეს შინაგანი ჯარიც კარგად გაართმევს თავს.



რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა

ძვირფასო მკითხველო, „ანდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„შემოგეყარა ყივჩალი...“

უხამსობასთან წილნაყარმა პოლონელებმა ქართველ პოლიციელებს სულ „ვერი გუდ“ ეძახეს



პოლონელთა გამოწვევა

ქართულმა გუნდებმა უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები გამართეს. თბილისის „დინამო“ პრაღაში „სლავიას“ დაუპირისპირდა, ხოლო „თბილისმა“ პოლონურ „ლეგიას“ უმასპინძლა. ორივე შეხვედრაში ჩვენმა ფეხბურთელებმა მარცხი იწვნიეს, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეტოქეებმა უშეღავათო, მძიმე ბრძოლაში გვაჯობეს და ჩვენებურთა მონდომებას იღბალიც რომ შეხიდებოდა, შესაძლოა მეტი ოპტიმიზმით შევგებებოდით საპასუხო მატჩებს.

„დინამო“ უკვე მე-12 წუთზე მელქაძის გატანილი გოლის წყალობით უგებდა ჩეხეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს და პირველ ტაიმში მეტის მიღწევაც შეეძლო. ქართველები მკაცრი პრესინგით „ახრჩობდნენ“ მასპინძლებს და ინდივიდუალური ოსტატობით ჯაბნიდნენ ათლეტურ ჩეხებს. დასანანია, რომ ტრავმის გამო დავით კვირკველია გვაკლდა, იქნებ მის თამაშს სწორედ ის გადამწყვეტი როლი შეესრულებინა, რაც კრიტიკულ მომენტში დააკლდათ „დინამოელებს“. ჩეხთა მეკარე ჩერნი გვარიანად გაისარჯა, რათა ქართველთა შეტევები უკუეგდო. ტაიმის ბოლო წუთზე კი „სლავიას“ კარის დარაჯიც უძლური იქნებოდა, კახა ალადაშვილს რომ ოდნავ ძლიერად და მოზომილად დაერტყა. ჩეხები მეორე გოლს გადაურჩნენ და შესვენებამაც სულზე მოუსწროთ. სამწუხაროდ, იღბალმა II ტაიმის დასაწყისშიც გვაქცია ზურგი, როცა მელქაძის დარტყმა ძელმა მოიგერია. ჩეხები მიხვდნენ, რომ კატასტროფა გარდაუვალი იყო და თავი გაიმეტეს. არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა მატჩი დარჩენილ წუთებში, არბიტრს 61-ე წუთზე პენალტი რომ არ დაენიშნა თბილისელთა კარში და ბრაზილიელ ლეგიონერ ადაუტოს წონასწორობა არ აღედგინა. ვიდრე „დინამოელები“ გონს მოვიდოდნენ, ჩეხებმა მეორე გოლიც გაიტანეს. ამჯერად კუთხურიდან ჩამოწოდებულზე პიტაკმა დაასწრო ყველას. მასპინძლები ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც დაეუფლნენ. ერთხანს აკავებდნენ ქართველები „სლავიას“ იერიშებს, მაგრამ ზეწოლა ვეღარ შეაჩერეს და 79-ე წუთზე მესამე გოლიც გაუშვეს. მატჩის ბოლომდე „დინამომ“ კიდევ ერთხელ იძალა, კაკალაძეს და კანკავას შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ ჩეხთა გოლკიპერმა ხიფათი უვნებელყო. საბოლოოდ, 3:1 მასპინძელთა სასარგებლოდ. მართალია, წავაგეთ, მაგრამ ყველაფერი საპასუხო მატჩში, თბილისში გადაწყდება და გადაჭრით ვერავინ იტყვის, რომ „სლავიამ“ უკვე დაიბევა მომდევნო ეტაპის საგზური.



პოლიციამ დარტყმა თავის თავზე აიღო

„თბილისისა“ და „ლეგიას“ მატჩიც დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პოლონური გუნდი ფინანსურადაც და ნებისმიერი სხვა საფეხბურთო კომპონენტითაც გაცილებით ძლიერია, მაგრამ „თბილისის“ კოზირი ბრძოლის ჟინი და ჭაბუკური შემართებაა. ამიტომაც იყო, რომ ბოლო წუთამდე არავინ იცოდა, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება. ქართველებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს, საგოლე მომენტებიც შექმნეს, მაგრამ „ლეგია“ ვერაფრით გატეხეს, პოლონელთა ტაქტიკა თბილისელთა შეტევების ჩახშობაზე, დაცვაში უშეცდომო თამაშზე და ხელსაყრელ მომენტებში დევაძის კარის დალაშქვრაზე იყო აგებული. კლასმა თავისი გაიტანა და ერთი გოლის გატანა სტუმრებმა მაინც შეძლეს. თბილისელებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენეს. გიორგი დევდარიანის შეგირდები ღირსეულად ირჯებოდნენ და „ვიტ-ჯორჯიასავით“ თავი არ შეურცხვენიათ პოლონურ გუნდთან. სირცხვილი სტუმართა გულშემატკივრებმა გვაჭამეს და კინაღამ ამის გამო თავიც წააგეს.

პოლონელთა გვარიანად გალეშილი ქომაგები აღმოსავლეთ ტრიბუნის ქვედა იარუსზე განლაგდნენ და იქიდან ამხნევებდნენ თავიანთ გუნდს. ამას კიდევ აიტანდა კაცი, რომ არა მათი გამომწვევი და უღირსი საქციელი სტუმართა გოლის შემდეგ. გათავხედებული „ფანები“ ჩვენი გულშემატკივრებისკენ შებრუნდნენ და უხამსი ჟესტების დემონსტრირება დაიწყეს. ქართველები, სრულიად ბუნებრივად, გამოწვევას ადეკვატურად აჰყვნენ და ზედა იარუსიდან გინებისა და პლასტმასის ბოთლების კორიანტელი დააყარეს. პოლონელებმა თავისი არ დაიშალეს, მატჩის შემდეგ მინდორზეც გადავიდნენ და ახლა იქ დაიწყეს ევროპული „შოუ-სტრიპტიზი“. ჯერ მოედანზევე „მოისაქმეს“, მერე კი ტრუსები ჩაიხუხამსი საქციელის ამსახველი ვიდეოფირები წარვუდგინეთ. როგორი ობიექტურობით შეადგენს უეფაში წარსადგენ პატაკს ყველაფრის თვითმხილველი ევროპელი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფულადი ჯარიმის (თუ ეს გვაკმარეს) გადახდა რომ მოგვიწევს, ეს უეჭველია. ჯარიმას ვერც „ლეგია“ გადაურჩება, მაგრამ ჩვენ რა გვეშველება, ისაა საკითხავი. ფარერების შემდეგ ეს უკვე მეორედ მოხდა, რომ უცხოელები დაურიდებლად ბილწავენ ეროვნულ სტადიონს. მაშინ სათანადო პასუხი არ გავეცით სტუმრებს. ყოველ შემთხვევაში, ნაჩუქარი პამპერსებით ვერაფერი ვასწავლეთ. ამჯერად პოლონელებმა „გაივაკეს“. სტუმარმასპინძლობის ქართულ გაგებას ცოტა ღაგამი ამადეს და თავიანთი „ავლადიდება“ გამოფინეს(!). ასეთ შეურაცხყოფაზე ქართველი გულშემატკივრები მთლად გადაირივნენ და საქმეში სპეცნაზი რომ არ ჩარეულიყო, მერწმუნეთ, იქ ტრაგედია დატრიალდებოდა. პოლიციამ რისკიანად და ოპერატიულად იმოქმედა. პოლონელებს აქეთ-იქიდან ჩაუდგნენ და სპრინტერული სიჩქარით სტადიონის გვირაბში ჩაათრიეს, ყოველივე ეს მინის ბოთლების „წვიმის“ თანხლებით ეწყობოდა და დამფრთხალმა პოლონელებმა, მას შემდეგ, რაც თავი სამშვიდობოს დაიგულეს, სულ ბეჭებზე უტყაპუნეს ხელი ქართველ პოლიციელებს და „ვერი გუდ“ ეძახეს. ამ გაწამაწიაში ჩვენს სამართალდამცველებსაც მოხვდათ რამდენიმე ბოთლი და ნებართვა რომ ჰქონოდათ, თავისივე გადარჩენილ სტუმრებს კარგადაც მიუჟავდნენ. გასახდელებთან მიყუჟული და შეშინებული პოლონელი ფანები ცალყბად იღიმებოდნენ და უეფას ინსპექტორს მომხდარის დაფიქსირებას სთხოვდნენ(?!). უკან არც ქართველმა ჟურნალისტებმა დავიხიეთ და უეფას ჩინოვნიკს პოლონელთა



თუ არ შეგეძლო, რაღას სვამდი, შე ოხერო...

ოვდოთ, თორემ ახლა სხვა ჯიშის „ცივილიზებული“ ევროპელი ჩამოვა და ვინ იცის, ყივჩაღივით ისეთი რამ მოითხოვოს, რის შემდეგაც ბოთლებისა და ქვების სროლა ბამბის ჩხრიალად მოგვეჩვენოს. არ ვამბობთ, რომ იარაღი ჩახმახზე შევაყენოთ, მაგრამ ყველა შესაძლო სამართლებრივი მეთოდით უნდა აღვკვეთოთ მათი თავგასულობა. ყველაზე სწორი იქნებოდა, რომ დებოშის ამტეხი პოლონელები განყოფილებაში მიებრძანებინათ და გისოსებში ეყურყუტებინათ, მაგრამ ჩვენ ხომ სტუმართმოყვარე და ტოლერანტი ხალხი ვართ(?!). ვშიშობ, ხვალ და ზეგ ეს სტუმართმოყვარეობა ძვირად არ დაგვიჯდეს, ამის მაგალითები გვაკლია თუ რა?..

„თბილისის“ პრესატაშე **მამუკა კვარაცხელია:**

— სტუმართა გულშემატკივრები ძალზე გამომწვევად იქცეოდნენ და მომხდარი მთლიანად მათ სინდისზეა. ამას წინათაც გვესტუმრა პოლონური გუნდი „ვისლა“ და მიუხედავად იმისა, რომ 8:2 მოგვიგო, აპლოდისმენტებით გავაცილეთ. ასე რომ, ინციდენტი არ მოხდებოდა, სტუმართა მთვრალ ფანებს პროვოცირებისკენ რომ არ ებიძგათ ქართველებისთვის.

— მიუხედავად ჩვენი არგუმენტებისა, უეფა ალბათ მკაცრ ფულად ჯარიმას დაგვაკისრებს.

— სამწუხაროდ, ალბათ ასე იქნება. მატჩის დელეგატს 24 საათის განმავლობაში უნდა წარედგინა პატაკი უეფაში. მისი შინაარსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ოთხშაბათამდე უეფას ყველა საჭირო ვიდეოფირს და არგუმენტაციას გავუგზავნით, რომელშიც პოლონელთა დანაშაულებრივი ქმედებანია დაფიქსირებული.

— ჩვენს სასარგებლოდ ბევრი ფაქტი მეტყველებს?

— რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, მათ არ ჰქონდათ მინდორზე გადმოსვლის უფლება, მერე შუა მოედანზე დადგნენ და რა შეურაცხყოფაც მოგვაყენეს, თავად ნახეთ.


— როგორ აღმოჩნდნენ ისინი მინდორზე?

— ქართველ სამართალდამცველებს აუცილებლად მოუწევთ სამომავლოდ ამის გათვალისწინება. ჩემი აზრით, პოლიცია გართულებებს მოერიდა და იმიტომ მოხდა უცხოელების მოედანზე გადმოსვლა. შემდეგ რაც ჩაიდინეს, ამას აღარავინ ელოდა. კიდევ პოლიციელებს უმადლოდნენ, თორემ იქ საშინელება დატრიალდებოდა.

— ამ ფაქტმა, ალბათ, გუნდზეც ცუდად იმოქმედა.

— რა თქმა უნდა. „თბილისი“ ვაჟკაცურად ეთამაშა „ლეგიას“ და საპასუხო შეხვედრაშიც მინდორზე ერთი მიზნით გავა, ბრძოლა გაუმართოს მასპინძელთა გუნდს. წინასწარ მარცხთან შეგუებას არ ვაპირებთ და გამარჯვებული მხოლოდ ვარშავაში გამოვლინდება.

ირაკლი ღაბაძე ათენში ვერ იასპარეზებს



ქართულ ოლიმპიურ დელეგაციას ხერგიანის ვერცხლის მედალმა ამაღლებული განწყობილება შეუქმნა, მაგრამ ყველას გული დასწყვიტა ირაკლი ღაბაძის ტრავმამ, რომელიც ათენის საჩოგბურთო კორტებზე ვეღარ იასპარეზებს. ჩვენს სპორტსმენს მარჯვენა ხელის მაჯაზე ტრავმა გაუმიზეზდა და მკურნალობის მიუხედავად, ასპარეზობის დაწყება ვერ შეძლო. ღაბაძეს დევისის თასზე, ეგვიპტესთან თბილისური დაპირისპირების უამსაც აწუხებდა ტრავმა, რის გამოც ოლიმპიადამდე ჩატარებული ტურნირები წარუმატებლად ჩაამთავრა. ირაკლის მწვრთნელიც, ექიმიც და დელეგაციის ხელმძღვანელობაც იმედოვნებდნენ, რომ ოლიმპიადაზე გამოსვლაში ხელი არ შეეშლებოდა, მაგრამ ირაკლისთვის ტკივილები აუტანელი გახდა. სამედიცინო შემოწმების შედეგად მას კარგა ხნით აუკრძალეს ვარჯიში და მაჯა თაბაშირში ჩაუსვეს.

ქართველი ჩოგბურთელის ნაცვლად ორგანიზატორებმა, სათადარიგოთა შორის პირველი ნომერი, ბელორუსი ვლადიმირ ვოლჩკოვი დაუშვეს ოლიმპიადაზე, რომელსაც 2000 წლის უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალში აქვს ნათამაშები, თუმცა, ბოლო დროს მხოლოდ მეორეხარისხოვან შეჯიბრებებში ასპარეზობს და რეიტინგში 157-ე ადგილი უჭირავს.

ჯერ ფიგუ, შემდეგ რუნი

ევროპის ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს, უეინ რუნის „ეჟერტონთან“ ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია და თვალი უფრო ძლიერი კლუბებისკენ უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური გუნდის თავკაცები მასში საზღაპრო თანხებს ითხოვენ, რუნისადმი ინტერესი არ ცხრება. მისი შესაძლო ტრანსფერის მოგვარება მხოლოდ იმ კლუბებს ძალუძთ, რომლებიც სწორედ რომ ზღაპრულ ფეხბურთს თამაშობენ. რუნის თაობაზე მისი აგენტები მადრიდის „რეალს“ შეეხმიანენ და ფორვარდის შეძენაზე სიტყვა ჩამოუგდეს. სამეფო კლუბის ოფისში დიდებტანტები არ სხედან და რა თქმა უნდა, ხვდებიან, რომ ფეხბურთელის სურვილის გარეშე ეს არ მოხდებოდა. ინტრიგის მთელი მარილი იმაშია, რომ რუნის შესაძენად არც „მანჩესტერი“ აბობს უარს. სერ ალექს ფერგიუსონის სასელექციო ალღოს სერიოზული ხარვეზები გაუჩნდა, მაგრამ „იუნაიტედის“ თავკაცი სპონტანური წესით ცდილობს დაშვებული შეცდომების აღმოფხვრას. ახლა ყველაფერი „რეალის“ და „მანჩესტერის“ პრეზიდენტთა მარიფათზეა დამოკიდებული.

ამასობაში კი, სამეფო კლუბმა ბოლო მოუღო ფიგუს გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმას და პორტუგალიელს ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკება შესთავაზა. ფიგუს კონტრაქტი 5-წლიანი იყო და 2000 წელს მოეწერა ხელი. გაჩნდა ცნობა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ „რეალი“ მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას აღარ აპირებდა. მუდამ აუღელვებელი ფიგუ ამ ინფორმაციასაც მშვიდად შეხვდა და ჩვეული ღიმილით აღნიშნა, რომ ეს მისთვის პრობლემას არ არის. „რეალის“ მესვეურნი კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ და განაცხადეს, რომ პორტუგალიელს კიდევ 2 წლით გაუგრძელებენ კონტრაქტს. ასე რომ, ჯერ ფიგუ, მერე რუნი. სამეფო კლუბს მართლაც სამეფო ამბიციები აქვს.



რუბრიკა მოამზადა
ზვიად სეხნიაშვილმა

№32 (410) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 474 მკითხველი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 156-მა ქალმა და 312-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„როგორ ქართულ ტელეარხს უყურებთ ყველაზე ხშირად?“**


შედეგების მიხედვით ყველაზე ხშირად, მკითხველთა უმეტესობა კვლავ „რუსთავი 2-ს“ უყურებს. რესპონდენტთა 60% უმაღლეს შეფასებას, 8 ქულას სწორედ ამ ტელევიზიას ანიჭებს. მხოლოდ 2% „იმეტებს“ მას მინიმალური ერთი ქულისათვის. ასე რომ, **7.2** საშუალო ქულით „რუსთავი 2“ პირველ ადგილზეა.

მიუხედავად იმისა, რომ მკითხველთა მხოლოდ 28%-მა დაუწერა ტელეკომპანია „იმედს“ უმაღლესი შეფასება, იგი 0,5 ქულით ჩამორჩება გამარჯვებულ ტელევიზიას, მეტიც, მინიმალური ქულების სიმცირით (0,7%) სჯობნის კიდეც მას.

„იმედს“ მხოლოდ 0,4 ქულით ჩამორჩება ტელეკომპანია „მზე“.

მაყურებელი, როგორც ჩანს, ისევ ენდობა სახელმწიფო ტელევიზიას — პირველი არხი მეოთხე ადგილზე გავიდა 5,33 საშუალო ქულით.

ეტყობა, დღეს მაყურებელს მაინცდამაინც არ ხიბლავს მსუბუქი, გასართობი პროგრამების ყურება. ამიტომაც მათმა მხოლოდ თითო-თითო პროცენტმა შეაფასა უმაღლესი ქულით „202“, „I სტერეო“ და „ევრიკა“. არც ინდური ფილმების მოყვარულნი აღმოჩნდნენ ბევრნი, მათმა რიცხვმა მხოლოდ 3%-ს მიაღწია და „კავკასია“ მე-6 ადგილზე აღმოჩნდა.



საპრიზოს ზუსტად თერთმეტი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 47 წლის **სვეტლანა ნიკოლაიშვილი**, 23 წლის **ნათია წიკლაური**, 18 წლის **ნონა კალანდია**, 60 წლის **თეიმურაზ ვარდოსანიძე**, 53 წლის **მორბედი ქვარცხავა**, 26 წლის **გიორგი ხატისკაცი**, 16 წლის **გიორგი წინამძღვრიშვილი**, 14 წლის **ლაშა ოსიძე**; 48 წლის წყალტუბოელი **გელა ხაჭაპურიძე**, 26 წლის დუშელი **ა. სინჯარაძე** და 56 წლის რუსთაველი **გერმანე კუპრეიშვილი**.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 18 აგვისტოს, 17 საათზე.

№33 (411) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის ანყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.


რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის ჩეიტინგში და უპასუხოთ **«მკითხველის პრემიას»**.

№33 (411) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 18 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 19 აგვისტოს 13 საათამდე.

©თბილისი



ყურადღება! რეიტინგის ბარათები პანელურად იქნება წარმოდგენილი „რეიტინგში“. თქვენ შეგიძლიათ უპასუხოთ მხოლოდ ერთი ან მეტი დამატებითი კითხვიდან „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. არჩეული პარამეტრები ასევე მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათები.


ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

დამატებითი კითხვის შედეგები

ენდობით თუ არა საქართველოს ხელისუფლებას?

საქართველოს ხელისუფლების იმედი კვლავ მრავალ ადამიანს აქვს. მას მკითხველთა დიდი ნაწილი (63%) ენდობა. 26%-ს ვერ გაურკვევია, ენდოს თუ არა უმაღლეს ხელისუფალთ, ხოლო 11% არ ენდობა მათ.



დამატებით კითხვას 429 რესპონდენტი გამოეხმაურა.

ჭოტოანტიკვარი © ჭოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— იყო დრო, პეპლებს დავდევდი, მერე კი, „შეფმზარეულობა“ ამკიდეს...

წინა ნომრის „ფოტოანტიკვარში“ გამოქვეყნებულ ფოტოს ასეთი მინიშნება ჰქონდა: „ხმალივით ჭრიდა ჩემი სიტყვა პარლამენტში“. ჩვენი მკითხველის ერთმა ნაწილმა ხმალივით ბასრი სიტყვის მთქმელი ყოფილი პარლამენტარები გაიხსენა. ესენი არიან — ირაკლი წერეთელი, ვახტანგ რჩეულიშვილი, კოტე კემულარია, ზურაბ ჟვანია, გიორგი თარგამაძე, მიხეილ სააკაშვილი... მკითხველთა 64-%-მა კი ზუსტად ამოიცნო ამ პატარა ბიჭუნაში ყოფილი პარლამენტარი **ვახტანგ ხმალაძე**.





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი

ვახტანგ ხმალაძე, 3 წლის

ფოტო განყობისთვის



. . . — მშვინია, არ გაჟშავდე!..

ეს იცოდით?..

*** უძველეს დროში იაპონური თეატრების სცენებზე მარილს ყრიდნენ ბოროტი სულების გასადევნად.

*** აღორძინების ხანაში ევროპის ბევრი სახელმწიფოს კანონი გლეხობას უკრძალავდა მოდის აყოლას.

*** ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზას“ არ აქვს წარბები, ვინაიდან აღორძინების ხანაში ქალები იპარსავდნენ წარბებს.

16/VIII
ახალი მთვარე


წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. მაშხალა; 4. დესერტი; 6. მნათე; 7. „რეალი“; 8. აბელი; 9. იდები; 10. ალერსი; 13. „დირო-ლი“; 16. პრიზი; 18. ჭრიჭინა; 19. ნირვანა; 20. იუნგა; 22. სტიქია; 23. პარიზი; 25. ლახტი; 27. მოემი; 28. ნიადა; 29. ლხინი; 30. იარვეტი; 31. ალაზანი.

შვეულად: 1. მარგალიტა; 2. ამორძალი; 3. მატარებელი; 4. დენიკინი; 5. ინტერნატი; 11. ელინი; 12. სტილი; 14. იორღა; 15. ოვალი; 16. პაი; 17. ინა; 21. ნახჭევანი; 22. სურავანდი; 24. იმუნიტეტი; 25. ლუმინალი; 26. იმიტაცია.











თარაზულად: 1. სპარტაკის როლის შემსრულებელი; 4. გარკვეული წესით განლაგებულ მათემატიკურ სიდიდეთა ცხრილი; 6. ფრანგი მსახიობი; 7. რბილი ტყავი; 8. ნამი; 9. კუზიანი კურდღელი; 10. ნოეს ერთ-ერთი ვაჟი; 13. ინგლისელი მწერალი ქალი, დეტექტივების ავტორი; 16. მძორის მჭამელი ფრინველი; 18. ძვირფასი თვლებით გაწყობილი გვირგვინი; 19. სკივრი; 20. სია, ცხრილი; 22. უშფოთველი ცხოვრება; 23. საუკეთესო ხარისხის ბროლი; 25. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი; 27. მწერის განვითარების ბოლო სტადია; 28. მწვალებლობა; 29. სტანდარტული ფორმის მოკლე ამოცანა; 30. სახელმწიფო აზიაში; 31. ღვთის არსებობისა და ყოველგვარი რელიგიის უარყოფა.

შვეულად: 1. ერთკუზიანი აქლემი; 2 ქაღალდის ფულის გაუფასურება; 3. შარჟი; 4. კანის და თმის ფერის განმსაზღვრელი ფერი; 5. ფელინის ფილმი; 11. სადღესასწაულო სამოსი; 12. სპორტული ნაგებობა ველოსპორტში შეჯიბრებისათვის; 14. დიდი შალაშინი; 15. ფინური აბანო; 16. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 17. ბუვიეს რომანი; 21. ერთგვარი ხოჭო ძვ. ეგვიპტეში, ითვლებოდა მზის ღვთაების ერთ-ერთ გამოვლინებად; 22. მანძილი, სივრცე ორ საგანს შორის; 24. ზღვის დიდი ფრინველი; 25. იძულებითი გადასახადი, რომელსაც ოჯახს მოცილებული პირი კანონის ძალით უხდის თავის შვილებსა და მეუღლეს; 26. კანონის ან გადაწყვეტილების გაუქმება.

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

ჰოლივუდში სიყვარულს ვერ დაემალავ!

ჰოლივუდში ყველასთვის მოულოდნელად ახალი წყვილი გაჩნდა — „ოსკაროსანი“ ბენ აფლეკი და ფილმ „ჯაშუშის“ ვარსკვლავი ჯენიფერ გარნერი. სულ ახლახან ამერიკული პრესა ირწმუნებოდა, ბენი ძალიან ბედნიერია თავის ახალ სატრფოსთან — ენცა სამბატრისთანო, ხოლო გარნერი არაფრით ტყდებოდა, რომ დაშორდა შეყვარებულს, მსახიობ მაიკლ ვარტანს.


ბოლო ხანს ბენი ლოს-ანჯელესიდან ხშირად დაფრინავს ვანკუვერში, სადაც ჯენიფერს იღებენ ახალ ფილმში „ელექტრა“. აფლეკს არცთუ იშვიათად ხედავენ იმ სახლში, რომელიც გარნერმა ვანკუვერში იქირავა. შეყვარებულები ყოველთვის ხელიხელგადახვეულები სეირნობენ და გამუდმებით ეალერსებიან ერთმანეთს.



რა თქმა უნდა, მათი აგენტები ყველაფერს უარყოფენ.

ჰოფმანი რეალურ ცხოვრებაშიც გმირულად იქცევა

ტყუილად არ ითამაშა დასტინ ჰოფმანმა მთავარი როლი ფილმში „გმირი“. ის რეალურ ცხოვრებაშიც გმირულად იქცევა. რამდენიმე დღის წინ ერთი მანდილოსანი იხსნა სიკვდილისგან, რომელსაც კრაზანის ნაკბენის გამო ალერგია განუვითარდა. ეს მოხდა მალიბუს პლაჟზე, ჰოფმანის ვილის მახლობლად. მსახიობმა ნემსს და შპრიცს სტაცა ხელი და ექსტრემალური დახმარება გაუწია დაზარალებულს. თურმე ჰოფმანის მეუღლესაც ალერგია ეწყება კრაზანის ნაკბენზე და ვარსკვლავი ყოველთვის მზად არის ცოლის დასახმარებლად. ვიღაცამ იხუმრა, რომ დასტინმა პირველი დახმარების გაწევა მაშინ ისწავლა, როცა ექთანს თამაშობდა კომედიაში „ტუტსი“-ო.



ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

33 შფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№33 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 19 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

სიტყვა და საქმე

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ჟოგულეთი, გათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, გაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებას.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილ მასალებს, უცხო ქვეყნის ინფორმაციის სანდოობაზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიძეული

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „პრესინფორში“.